ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ V

მ ა ი ს ი, 1895

ტფილისი
სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т—ВА, Л.—МЕЛ. № 13
1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Мая 1895 года.

შინაარსი

გვ.

I ცოლ-ქმარი.—მოთხრობა ილიან ნიკოლაიშვილისა. . 1

II ფ.....ს.—ლექსი ახალგაზდა ქართველისა. . . 13

III ფირალი დავლაძე.—მოთხრობა ლადიანისა (დასასრული). 17

IV ხევსურული ლექსები.—თქმული გაჟიკა არაბულისაგან 45

V ცეცხლითა და მახვილითა.—რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება). . . 46

VI არა, არ ვსტირი...—ლექსი განდეგილისა . . 92

VII განთიადი.—მოთხრობა ეჟისა, თარგმანი თ. სახოკიასი (გაგრძელება) 94

VIII მთიულეთი 1804 წელსა.—ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა (გაგრძელება) 1

IX საბალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა.—VII—მ. კელ—სა . 24

X შენიშვნა.—გახტანგ თულაშვილისა . . . 44

XI ზოგიერთი ზნე-ჩვეულება ძოროწინეგის დროს კახეთში.—თ. მ—სა 54

XII ჩვენი ისტორია.—ნ. მთვარელიშვილისა . . 63

XIII ბიბლიოგრაფია.—«ოთხი მოთხრობა» ეგ. ნინოშვილისა (ინგოროყვასი), ავტორის სურათით და მისი ბიოგრაფია, შედგენილი გ. წერეთლის მიერ, ტფილისი 1895 წ.—G.—**Очерки по Исторіи Грузинской словесности.** Выпускъ первый. Народный эпосъ и апокрифы. А. С. Хаханова. Москва 1895 годъ.—მ. კელ—სა. 93

XIV რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება.— III. — რძის გამოსაგვლენი საშუალებანი..—IV—ნადების მოგროვება და მოხდა.—პროფესორის გ. შეტრაიშვილისა (გაგრძელება). 107

XV განცხადებანი.

დამატება:

XVI საქართველოს სიძველენი. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლ-ქმარი

მოთხრობა

I

აღდგომის მეორე დღეა. გაზაფხული თავის ძალაში შესულა და საკაიდღისოდ კეკლუც ქალივით მოურთავ-მოუკაზმავს საჯავახოს ისედაც მშვენიერი ბუნება. მაღლიდან რომ გადახედოთ იქაურობას, თქვენს თვალს საუცხოო სურათი წარმოუდგება: ლურჯი, მწვანე, ვარდის-ფერი და სხვა ათასი ფერადი ყვავილი ისეა ერთმანეთზე შეწყობილ-შეხამებული, რომ გგონია, ხელოვნურად შეკრული თაიგულიაო. მაგრამ სად ხელოვნება და სად ეს სურათი! ასეთს თაიგულებს მხოლოდ ბუნება სწნავსა და ჰკრავს. ჩიტები ათასფეროვან პეპელებივით დაცქრიალებენ ამ ბუნების დიდებულს თაიგულში და გაისმის მათი მწყობრი სტვენა-ჭიკჭიკი, თითქო ქება-დიდებას უგალობენ შემოქმედსაო. ჰაერი გაჟენთილია მრავალგვარ ყვავილთა და ბალახთ სურნელებით... სტკბები ამ სურათით და გაგონდება პოეტის სიტყვები:

„შვენიერი ხარ მეტად, ბუნება,
შენში ცხადათ სჩანს ღვთის ძლიერება!
ნეტავ თუ იყოს სადმე ქმნილება,
გჭვრეტდეს, არ იგრძნოს მან ნეტარება?!“

გიჟმაჟ ხევის-წყალას კიდეზე ეკლესიის მახლობი მინდორი გადაჭრელებულია სადღესასწაულოდ მორთულ ქალითა და ვაჟით. რა გასართობი გინდა, აქ არა ჰნახო?! აგერ ოცამდე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერტუა ჩოხაში გამოკვანწულ ყმაწვილ ბიჭებს ერთმანერთისათვის ხელი-ხელს ჩაუვლიათ და დოლის ხმაზედ თათრულ ფერხულ „ცაი ცა-ცაის“ თამაშობენ; ეგერ ქალიშვილები „დაირა-ბუზიკას“ აჭყიპინებენ; აგერ ჩრდილოში სოფლის პირველ მომღერალს მოხუცს გვერდით ყმაწვილები მოსხდომიან და საამოდ ღიღინებენ; იქ პატარა ბიჭები ბრეკიდან კვერცხებს აგორებენ, ზოგიც ჭაკუნებით ბურთს თამაშობს. ერთის სიტყვით, სიცოცხლე სდუღს და გადმოდის.

— ბატონები მობძანდებიან!—წამოიძახა ვილამაც.

თითქო ჩიტებს ალალმა დაჰქროლაო, ისე მიჩუმდა და მიწყნარდა ამდენი მომხიარულე ხალხის ხმა. პატარა ბიჭებმაც კი შეაჩერეს ჭაკუნი.

მოსახვევში გამოჩნდა თავადი შაბილი და იმისი კნეინა კატო. კატოს გვერდით მოსდევდნენ ხუთიოდე თავზე-ხელაღებული ყმაწვილი კაცი და ელაზღანდარებოდნენ. კნეინა გულიანად იცინოდა.

ასეთი სტუმრები გამოულეველია თავადი შამილის ოჯახში. შამილი კარგი მემამულე კაცია. აგერ ცამეტი-თოთხმეტი წელიწადია, რაც კატოსთან შეუღლებულია და ჯერ შვილი არ მისცემია. თუმცა ორივ ცოლქმარი ჯერ ახალგაზდანი არიან, მაგრამ სიყმაწვილის ცოდვის წყალობით შვილის ყოლის იმედი აღარა აქვთ და ამდენ მამულს, აბა, ოხრად ხომ არ დააგდებენ?! ქეიფობენ, ბატონო, ქეიფობენ. ქეიფობენ დღისით, ქეიფობენ ღამით... თავიანთ სიცოცხლეს ქეიფში ატარებენ. ათი თუ თხუთმეტი სტუმარი გამოულეველია იმათსა. „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“, ნათქვამია. მოდიან იმერეთ-სამეგრელოდან „კუდაბზიკა“ თავად-აზნაურნი და ხარბად ეწაფებიან ღვინოს და კნეინასთან არშიყობას.

კატოს მამა, გოჯასპირი, პირველი მემამულე იყო რაჭაში, მაგრამ... თავადიშვილი იყო და ქეიფი უყვარდა. სანამ გლეხებს ჩამოართმევდნენ, მოგეცათ ღვთის წყალობა, ჩვენი თავადი განცხრომაში იყო, მაგრამ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გაჭირდა საქეიფო ფულის შოვნა. უწინ რომ ყოველივე

მზა-მზარეულად მოსდიოდა, ახლა ყველაფერში ფული უნდა ეძლია. ბიჭი უჯამაგიროდ არ უდგებოდა და გოგო. მეტი რა გზა ჰქონდა, მიჰყო ნელ-ნელა ხელი მამულების ყიდვას. ამასობაში ბანკიც დაარსდა ქუთაისში. გოჯასპირმაც აიღო და მთელი თავისი მამული რავდენსამე ათას მანეთად დაუგირავა ბანკს. მაგრამ ეს ფული მალე „ჩაადნა“ ხელში, სარგებელი ვადაზედ ვეღარ შეიტანა და ბანკმა მამულები ვალში გაუყიდა.

დარჩა ჩვენი თავადი პირს ჩალა-გამოვლებული. რა უჭირდა გოჯასპირს, მაშინ რომ ეს დრო ყოფილიყო! დაიწყებდა წანწალს აქეთ-იქით, დღეს ერთისას გამოძღებოდა, ხვალ მეორისას და, ასე თუ ისე, გააჩანჩალებდა ამ უმადურს წუთი-სოფელს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. წინად მხოლოდ სტუმარი უყვარდათ, მაწანწალა მუქთა-ხორანი კი ძალიან ეჯავრებოდათ. ამას გარდა გოჯასპირს ერთი მძიმე ტვირთი აწვა კისერზე, რომელიც საქმეს ძლიერ უჭირვებდა. ეს გახლდათ თერთმეტ-თორმეტი წლის კატო. გოჯასპირმა დიდის ფიქრისა და თავის ტეხის შემდეგ გადასწყვიტა კატო ქუთაისში თავის დისათვის მიებარებინა. შეჯდა ერთს „ჯახრიკა“ ცხენზე, კატო უკან შემოისვა და ქუთაისისაკენ გამოსწია. აქ მან კატო თავის დას, გულქანას, მიუგდო, თვითონ კი ბედის საცდელად ოდიშისაკენ გაემგზავრა. საჭირო კაცებიც მალე იშოვა. დაუმეგობრდა გამოჩენილს ქურდებსა და ავაზაკებს; გამოართვა აფხაზეთში დაპარული ცხენები და რაჭის გზით ოსეთისაკენ გაირეკა. ოსეთში ზოგი გაჰყიდა, ზოგი ისევ ნაპარავ ცხენებზე გადასცვალა, თვითონაც რავდენიმე ცხენი ასწაპნა ოსებს და ოდიშისაკენ გამოლალა. ამ ნაირად ორი-სამი გზობა ბედნიერად გამოიარა, მაგრამ მეოთხედ... მოგეხსენებათ, „კოკა წყალზე გატყდებაო!“ მეოთხედ დაედევნენ გოჯასპირს ცხენების პატრონები თოფებითა და მიიმწყვდიეს ცხენის წყლის პირად. უკან დაბრუნება მოუხერხებელი იყო. ერთის წუთის ყოყმანის შემდეგ გოჯასპირმა ცხენს ქუსლი ჰკრა და ადიდებულს წყალში შეაგდო. დიდ ხანს ებრძოლა ცხენი ტალღებს, მაგრამ ვეღარ გაუძლო. ამ უკუღმართის წყლის სიმაგრემ მალე სადინარისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ გაიტაცა და რავდენისამე წუთის განმავლობაში უძირო მორევმა შთანთქა ჩვენი ბრწყინვალე თავადი.

შეიტყო გულქანამ გოჯასპირის ამბავი, მაგრამ მაინცა და მაინც თავი არ გაუტეხია. კატომ ცოტა ხანს კი იტირა, მაგრამ იმ თავბრუ-დამხვევმა ცხოვრებამ, რომელშიაც ბედმა ჩააგდო, მალე შეაშრო თვალებზე ცრემლი. მამის საგლოვად ახლა სად ეცალა! ყოველ საღამოს მამიდა-მისის სახლი სხვა-დასხვა ჯურის ახალგაზდებით ივსებოდა. ზოგს მათგანს კატოსათვის კამფეტები მოჰქონდა, ზოგიც კამფეტებზე არა ნაკლებ ტკბილი საარშიყო სიტყვებით იქცევდა თავს და მგლურის თვალებით უცქეროდა, მაგრამ მათი დაფარული, გარყვნილი აზრი კატოსათვის ჯერ გაუგებარი იყო. ის ნამდვილის ბავშვურის გულუბრყვილობით ეხვეოდა და ჰკოცნიდა ხან ერთსა და ხან მეორეს; ისინიც ამ ხვევნა-კოცნაში იკლავდენ მხეცურს ნდომას. თუ ასეთი „უმანკო ცელქობა“, როგორც მამიდა გულქანა ამბობდა, ხან-და-ხან ზომას გადააჭარბებდა, მაშინ კატოს ჩუმად გამოაპარებდა და დასაძინებლად ისტუმრებდა.

კნეინა გულქანას ოჯახი... მაგრამ არა. უკეთესია, ავუხვიოთ გვერდი მის აწერას, თორემ ზნეობის ტალახისა და სიბინძურის მეტს იქ ვერასა ვნახავთ. საკმაოა, მოვიხსენიოთ მხოლოდ ისა, რომ იქ თავს იფარავდნენ „მიზეზებისა გამო სხვისა და სხვისა“ ქმრებისაგან გამოქცეული მანდილოსანნი, რომელნიც გულქანას საფარველ ქვეშ თავისუფლად ეძლეოდნენ დროსგატარებას. ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის იკრიბებოდა კნეინა გულქანას სახლში ეს ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზდობა... აი, ასეთს ზნეობის დამამხობელს გარემოებაში იზრდებოდა პატარა კატო. მან თავის უფროს ამხანაგებისაგან ზედმიწევნით შეისწავლა კოხტა მიხვრა-მოხვრა, თვალების ვნებათ აღმძვრელი გადატრიალებ-გადანარვა, ეშმაკური სიცილ-კასკასი, მოხდენილი ჩაცმა-დახურვა, გავლა გამოვლა, სიტყვა-პასუხი და ყოველივე ის, რაც კი შეადგენს ყველა საეჭვო ყოფაქცევის ქალის ღირსეულს სამკაულს.

საკვირველია, რომ ამ უზნეო, დახავსებულ დედაკაცის, გულქანას, გულში ჯერ კიდევ ოდნავ ბჟუტავდა კეთილშობილური ნაბერწკალი, ნათესავური გრძნობა. მართალია, კატო სტუმრებთან გამოჰყავდა, მაგრამ მხოლოდ გასართობად. გარნა ამავე დროს მკაცრი თვალყური ეჭირა, რომ ქალი არავის არ აჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, კატომ ძლიერ ადრე იგემა აღკრძალული ნაყოფი. ჯერ კიდევ თექვსმეტის წლისა არ იყო, რომ ერთმა არამზადა სტუმართაგანმა საწოლის ოთახის ფანჯრიდან გადაიტყუა მახლობელს დუქანში. მას შემდეგ ყოველ ღამ, როცა გულქანა გულის ძილში იყო, კატო ფრთხილად გადაცოცდებოდა ფანჯარაში და თავის მიჯნურთან მიდიოდა პაემანზე. გულქანამ ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა კატოს ფეხმძიმობის უტყუარი ნიშნები, გულის რევა და ხასიათის გამოცვლა გამოაჩნდა. გაბრაზებულმა „დავარმა“ ჩაავლო კატოს ხელი ნაწნავებში და მინამ სცემა, სანამ მთლად არ დააძვალრბილა. მაგრამ მარტო ცემით აბა რას გაამთელებდა! მეტი გზა არ იყო, კატოსათვის უნდა ეშველნა რამე, რაც შეიძლება მალე, სანამ ეს ამბავი მთლად არ გამოაშკარაებულიყო, როგორმე საქმრო ეშოვა და თავიდან მოეშორებინა.

შემთხვევამაც არ დაიგვიანა. ერთს მშვენიერს საღამოს ერთს მუდმივს სტუმართაგანს ვიღაც უცხო ყმაწვილი მოჰყვა. ეს გახლდათ გიმნაზიის მეოთხე კლასიდან ახლად გამოგდებული თავადი შამილი. გულქანამ რომ მისი ვინაობა შეიტყო, კატოს თვალი უყო და წასჩურჩულა, ამ ყმაწვილს გვერდიდან არ მოშორდე და ალერსით თავბრუ დაახვიეო. კატომაც პირველ საღამოსვე თავისის თილისმებით ისე შეჰბოჭა ეს ყმაწვილი, რომ იმის ხელიდან დასხლტომა შეუძლებელი იყო. სიყვარულმოდებული შამილი მეორე დღესაც მივიდა თავის სატრფოსთან, მესამესაც და მალე ისე დაუახლოვდა, რომ ხშირად ღამითაც კი რჩებოდა. თუ როგორმე ვერ მივიდოდა ერთს დღეს, მეორე დღეს კატო თვალებ-დაწითლებული დაჰხვდებოდა. დაუწყებდა

საყვედურს: „ალბად ალარ გიყვარვარ, უთუოდ სხვა საყვარელს აიჩენდი. ერთს წუთსაც არ შემიძლია უშენოდ გაძლებაო“ და სხვა და სხვა... გულქანაც კვერს დაუკრავდა: „მთელი დღე სტიროდა. იმის საცოდაობით დავიწვიო“. შამილსაც ყოველივე ეს ხალას ოქროდ მიაჩნდა და ამ თვალთმაქცი ქალის სიყვარული თან-და-თან უძლიერდებოდა. რაღა ბევრი გავაგძელოთ, შამილმა მამის დაუკითხავად კატოზედ ჩუმად ჯვარი დაიწერა და გულქანასას დაბინავდა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ შამილის მამა ამ საიდუმლოს შეიტყობდა. შამილი საშობაოდ მუნდირში გამოჭიმული მამასთან ჩავიდა, ვითომ გიმნაზიიდან სადღესასწაულოდ დათხოვნილი. ბილეთის მაგიერ რაღაც რუსული ნაბეჭდი ქაღალდი უჩვენა და დაარწმუნა, რომ ახლა მეხუთე კლასში გადამიყვანეს და კარგადაც ვსწავლობო. დღესასწაულები რომ გათავდა, მამას კარგა ძალი ფული გამოსტყუა, ზოგი სახარჯოდ, ზოგიც ვითომც კერძო მასწავლებელისათვის, რომელიც ბერძნულსა და დათინურს ასწავლიდა და ქუთაისს გაბრუნდა. თითქმის მთელი წელიწადი ატყუა ამგვარად მამა. მაგრამ ბოლოს მამამ საიდგანღაც ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო. ერთადერთის საყვარელის შვილისაგან მიყონებული შეურაცხყოფა ისე ძლიერი იყო, რომ საბრალო მოხუცი დამბლად დაეცა. ეს ამბავი მაშინვე შამილს აცნობეს. ისიც გაეშურა სოფელში და ავადმყოფთან მივიდა. დაინახა თუ არა მომაკვდავმა თვისი უძღები შვილი, ერთი ნაღირივით საზარლად შეჰღმუვლა, ხელმეორედ დამბლა დაეცა და სული განუტევა.

მამის სიკვდილი, სულო ცოდვილო, შამილს კიდეც გაეხარდა, რადგანაც მით ბორკილი მოეხსნა და თავის გემოზედ ცხოვრების მოწყობა თავისუფლად შეეძლო. გლოვით, რასაკვირველია, იგლოვა საპირფეროდ და დიდი ალაპიც გადიხადა.

საუცხოვო სანახავი იყო შავით-მოსილი ოჯახის ახალი დიასახლისი კატო. თვისის მშვენიერებით მან მრთელი იქ

დამსწრე ახალგაზდობა მოჰხიბლა. ყოველი მათგანი კნეინას ეშხით შამილის დაახლოვებას მოწადინებული იყო. აღაპის შემდეგ ერთი კვირაც გავიდა და შამილმა ჩვეულებისამებრ მიცვალებულის სულის ახსნაზედაც მოიწვია სტუმრები. დალიეს მიცვალებულის სულის შესანდობარი, ამას სამშვიდობო მოჰყვა და შემდეგ კი გაიმართა სადღეგრძელო თვითეულისა ცალ-ცალკე. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, თითო ჭიქის მაგიერ ექვს-ექვსი ჭიქა ჩამოატარეს თეფშით, შემდეგ ცხრა-ცხრა და ბოლოს ყანწებზედაც გადავიდნენ. ასე რომ ამ სადილს სულის ახსნა მარტო სახელად ერქვა, ნამდვილად კი პატარა ქორწილს უფრო ჰგავდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ქორწილის დამამშვენებელი სიმღერა-გალობა არ ისმოდა; მართალია, აქა-იქ ღვინისაგან ტვინ-შეხურებული სტუმარი უცებ წაიზმუილებდა რაღაც სიმღერის მსაგვსს ხმას, მაგრამ უცებვე ჩაჩუმდებოდა, რადგანაც ან თვითონვე მოაგონდებოდა, მგლოვიარე ოჯახში ვიმყოფები მიცვალებულის სულის ახსნაზედაო, ან არა და მეზობელი წაჰკრავდა მუჯლუგუნს და ისე ჩააჩუმებდა. როგორც იყო ამ მიცვალებულის „გასაპატიოსნებელ“ სმასაც ბოლო მოეღო და ღვინისაგან გაბრუებული სტუმრები ბარბაცით შინისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. სულის ახსნას ორმოცი ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან, გამოტირილი მოჰყვა. დიაღ, გამოტირილი! ამით ანგარიში და წესი მიცვალებულისა და საზოგადოების წინაშე მოიხადეს, გამოიტირეს განსვენებული და მიივიწყეს.

ორმოცს შემდეგ ყურთამდე გაიღო ყოველგვარ მაწანწალა, „თავზე-ხელაღებულ“ ყმაწვილებისთვის თავადი შამილის სასახლის კარები. კნეინას ეშხით მოხიბლული ახალგაზდობა თავადის შამილის მუდმივი სტუმარი შეიქნა. ძალიან შორს გაითქვა შამილის პურმარილის სახელი. ყველა და ყოველგან, პირში თუ პირს უკან, უფრო კი, რასაკვირველია, პირში, შამილის ქებაში იყო. „უცხონდა მამის სული, ნამდვილი ძველი თავადიშვილიაო!“ გაიძახოდნენ ყველა მისი ნაცობ-მეგობრები. შამილიც, ამ ქე-

ბით წაქეზებული, ერთი-ორად უმატებდა მასპინძლობას. ძვირად გავიდოდა დღე, რომ მისას საკლავი რამ, ცხვარი ან ძროხა, არ დაკლულიყო. სტუმრების რიცხვიც ისე როგორ შემცირდებოდა, სამზე დამდგარიყო! ასეთს იშვიათს შემთხვევაში კნეინა მთქნარებით გაიძახოდა: „უხ, რა „სკუჩნაობააო“.

„ძველის თავადის“ ღირსეული სახელი რომ ღირსეულად ეტარებინა, შამილმა საჭიროდ დაინახა სულ სხვანაირი ელფერი დაედო თავისის ოჯახისთვის და ისე მოეწყო, როგორც ნამდვილს ძველს თავადიშვილს შეჰფეროდა. გაიჩინა ბლომად მწევარ-მეძებრები და ქორ-მიმინოები, საუკეთესო ჯიშის ცხენები, მეძაღლე-ბაზიერები, მომღერლები, ტაკიმასხარები და სხვა ორმოცამდე მსახურ-მოახლეები...

უქმი და საქმი შამილის ჯალაბს არ გააჩნდა. მისის ოჯახიდან განუწყვეტლივ სიმღერისა და დაირა-მუზიკის ხმა მოისმოდა. სტუმარი და მასპინძელი დღეს მიზანში სროლით ირთობოდა თავს, ხვალ ნადირობით, ზაფხულში—მწყერაობით, ზამთარში—ხოხბაობით... ნადირობის შემდეგ, გაიმართებოდა „სმა ჭამა, დიდად შესარგი“ და ყანწების ტრიალი... სტუმარი სუფრიდან მთვრალი თუ არა, კარგა შეზარხოშებული უნდა ამდგარიყო, თორემ მასპინძლებს დიდად აწყენინებდა. ამიტომაც იშვიათად მოხდებოდა, რომ ვინმე სადილ-ვახშამს შემდეგ ფხიზელი დარჩენილიყო. ღვინისაგან გახურებული, ნამუს-დაკარგული ვაჟბატონები ღამითაც აღარ ისვენებდნენ. მიწყნარდებოდა თუ არა ფეხის ხმა, აირევოდა მონასტერი... თავხედს სტუმრებს აღარც სირცხვილი გააჩნდათ და აღარც მორიდება ჰქონდათ. სტუმარ-მასპინძელნი თითქო ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ და აღარ იყო დაზოგვა აღარავისი.... აღარც შინაურისა და აღარც გარეშესი. უფრო კი შამილი პირველობდა. შემოადგამდა თუარა ახალი მოახლე ოჯახში ფეხს, კნეინა თვისი მოთაფლულის სიტყვებით ისე მოჰხიბლავდა, რომ, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა მერე! ხან თვისის გამონაცვალის ჩითის კაბით

ინადირებდა საწყალის, გამოუცდელის მოახლის გულსა და ხან ტკბილის სასმელებით კარგა გაბრუებულს აქეზებდა თვის ძვირფას მეუღლესთან სალაღობოდ. დიაღ, კატო პირველი ეხმარებოდა თავისს ქმარსა. კარგა ხანია, რაც მათ შორის გარიგება მოხდა. ამ გარიგების შემდეგ კნეინა შამილს ეხმარება შამილი ქალბატონს არას უშლის. ძვირად დაუჯდა კნეინას ამ თავისუფლების მოპოვება. შამილმა რომ პირველად კატოს ღალატი გაიგო, საშინლად გაბრაზდა. გამძვინვებული დათვივით ეცა მოღალატე ცოლს, ქვეშ ამოიდო და დაუწყო თელვა. არ ვიცი, რას არ დაჰმართებდა, ცოცხალ-მკვდარი ქალი რომ ბიჭებს ხელიდან არ გამოეგლიჯათ. ამ შემთხვევის შემდეგ მრთელის ორი თვის განმავლობაში ამათი ოჯახის კარები სტუმრებისათვის დაიხშო და ცოლქმარს შუა ასტყდა განუწყვეტელი ცხარე ბრძოლა.

ნაცვლად მხიარულის მრავალჟამიერისა სასახლიდან კივილი და უშვერი ლანძღვა-გინება მოისმოდა. ყოველ დილით მოახლეებს დარბაზიდან ახალ-ახალი ამბები გამოჰქონდათ და ფარეშებიც მთელს სოფელში ავრცელებდნენ. შამილს იმდენად ცოლის ღალატი არ აწუხებდა, რამდენადაც თვისის თავმოყვარეობის შებღალვა და დამცირება. „სხვას კიდევ ჰო, მარამ მე?! მე უნდა მიღალატოს ცოლმა და ლუკმა-ლუკმა არ ავკებო?“ ფიქრობდა შამილი და რამდენჯერმე კიდევაც მიბეგვა, მაგრამ არც კატოს დაუყრია იმისთვის ხეირი: ყოველთვის მედგრად ეომებოდა ხან ბრჭვალებით, ხან კბილებით და ერთხელ მაკრატლით კინაღამ გამოფუშა კიდეცა. როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაზედ დაუსრულებელი არა არიხ-რა. რასაკვირველია, ამათ ბრძოლასაც ბოლო მოელო და უხასიათო თავადი იძლია, ანუ უკეთა ვთქვათ, ორივენი გამარჯვებულნი გამოვიდნენ. პირობა დასდეს სასიყვარულო საქმეში ერთმანეთისათვის ხელი მოეწყოთ. რასაკვირველია, ეს პირობა არც წერილობითი იყო და არც სიტყვიერი, ისე, აზრით მიუხვდნენ ერთმანეთს, ზეპირად, და კარგადაც მიუხვდნენ. ამას შემდეგ ყველაფერი

ძველს კვალში ჩადგა და ცოლქმარს შუა გარეგნობით ტკბილი ურთიერთობა დამკვიდრდა. ამათმა გარიგებამ მრავალს უმისოდაც ბედისაგან დაჩაგრულს, ბეჩავს მუშაკს დაურღვია მყუდროება და ბევრს პატიოსანსა და უმწიკვლო ოჯახს საფუძველი შეურყია. კნეინა კატოს ხერხიანობის წყალობით, თვით საჯავახოში და მის ახლო-მახლო სოფლებში არც ერთს სანდომიანს ქალს აღარ გაუჭაჭანია, რომ შამილს არ ჩავარდნოდეს ტორებში. შეავლებდა თუ არა შამილი თვალს რომელსამე სოფლის დედაკაცს და რითიმე მოეწონებოდა, კნეინას ეტყოდა: „ამა და ამ ყაძახის ცოლი ვნახე და ძალიან მომეწონაო“. ეს სიტყვები სრულიად საკმაო იყო, რომ კნეინა დაბადებულიყო და დასახელებული დედაკაცი შამილისათვის გაეგრიგებინა. ამ ნაირად შამილი ძლიერ ხშირად იცვლიდა სატრფიალო საგანს. ანკი რატომაც არ გამოიცვლიდა, როდესაც ასე ადვილად უხერხდებოდა.

დიაღ, ძლიერ ადვილად ახერხებდა კნეინა ამგვარ საქმეებს, მაგრამ ბასილა უდრეკაშვილის ცოლს, მაიას, მაინც კი ვერა მოუხერხა-რა. კნეინას რომ მაიასთან არაფერი გაუვიდა, იმის დედამთილს, მარიკას შეუჩნდა და დიდძალს საჩუქარს დაჰპირდა, ოღონდ კი დახმარება გამიწიეო. მაგრამ იმანაც რომ უარი უთხრა, კნეინა შურისძიების გზას დაადგა. დააჭერინა საძოვარზე ბასილას ძროხა და „საბალახოზ“ ერთიორად გადაახდევინა; მოაკვლევინა იმისი ღორი და თავის ძაღლებს შეაჭმა; მოაჭრევინა ბასილას ხარისთვის კუდი და, სანამ ამაშიაც „საბალახოზ“ არ გადაახდევინა, თავაკრული ჰყავდა ეზოში... ერთის სიტყვით, გაუჭირა საწყალს ბასილას საქმე.

ბატონები რომ დაემწყალობებია, ბასილამ ძღვენი „გამოაწყო“ და თვისის ხელით მიართვა. კნეინას ძღვენი ისე ვერ მოალბობდა, მაგრამ მაიას ბრჭყალებში მოსაგდებად ახალი პლანი ჰქონდა მოგონილი, და ეს პლანი რომ არ ჩაშლოდა, ბასილას

ისე აჩვენა თავი, ვითომ ძალიან მესიამოვნაო და საყვედურით უთხრა:

— აა, მადლობა ღმერთს, რომ გაგვიხსენე!

— რას მიბძანებთ, ქალბატონო! თქვენ თუ არა, აბა ვინ უნდა მახსოვდეს? მახსოვხართ და ძალიანაც მახსოვხართ. მარა მოგეხსენებათ, ბატონო, ღარიბი კაცი ვარ, ხელის დასამშვენებელი ვეფერი ვიშონე და იმიზა ვერ გიახელი ამტოლხანს. ახლაც, თქვენი საკადრისი არაა, მარა, ნუ გამიწყრებით, გაჭირვებამ გამაბედვია. მე რა, ერთი ჭიანჭველა ვარ, ფეხს დამადგამთ და გამსრესთ. ჩემი დაჩაგვრა რა უნდა იყოს. მარა გეკადრებათ კი თქვენისთანა დიდკაცს? ღმერთმა კი იცის, არაფერი დამეშავებიოს. სულ-განათლებული ბატონის ერთგული მოსამსახურე ვიყავი, არც თქვენთვის ვიქნები ორგული, თუ კი რამე გამივა. მტრის ენას ნუ აყოლიხართ, ბატონო! მტერი ბევრს რამეს იტყვის; მარა ყველაფერი მართალი კი არ იქნება.

— არა, ჩემო ბასილა, მტერი რა შვაშია? რაც ჩვენ შორის უსიამოვნება იყო, სულ იმ კუდიანი დედაშენის ბარია. ამას წინად საყდრიდან მოვდიოდი და თავი არ დამიკრა. მეც მეწყინა და მივაძახე, ძვირად დაგიჯდენ ამ აგდებას-მეთქი და კიდეც გადავუხადე. ბატონს პატივის-ცემა უნდა.

— რასაკვირველია, ბატონო, მარა მოხუცებულობისაგან საწყალი მთლა გამოჭერჩეტდა. ვერ გიცნობდათ, თვარა რავა გაგიბედავდათ!

— მეც იმას არ გეუბნები, რომ ბატონს ცნობა უნდა, პატივის-ცემა უნდა-მეთქი. თქვე დალოცვილო, საყანე ჩემი გაქვთ და საბაღჩე, და თავის დაკვრაც კი გემძიმებათ? მაგრამ რაც იყო, იყო! დავივიწყოთ. დღეის იქით გახსოვდეთ უმცროსი-უფროსი. ბატონისათვის კიდევ არ გამიმხელია, თორემ, ხომ იცი მისი ამბავი, უარესს დღეს დაგაყენებდათ.

ბასილა რომ სასახლიდან დაბრუნდა, დედაბერს საყვედური უთხრა ქალბატონის გაჯავრებისათვის. დედაბერს ძალიან

მათ სურნელება
და ელვარება
გრძნობის აღმძვრელად ნაზ-ნაზად შლილა,

—

შავ თმათა ზილფნი
ოდნავ ფურჩქნილნი
მხრებს ვით მიჯნური ელამუნება,
სურვილ-შემკრთალი
გულის ფანცქალი
კოკორთ ტკბილს ამბებს ეტიტინება.

—

სარაჯ მჩქეფარე,
შმაგად მგზებარე
ნორჩი სიცოცხლე ათქვირებულა,
ცელქი ღიმილი
ბაგეზე შლილი
რა სამაცდუროდ დაკიდებულა!

—

ვმზერ... სევდიან გულს
მიმტკბარუნებულს
შარბათ-ამული ეფიფთქორება;
ფრინავს ოცნება,
ეციალება
სხვა ხეტარება, სულ სხვა ცხოვრება...

II

სუ, სუ!... ჩანგური
წუნარ-საამური
სხვა რამ ჰანგებით აპირობს ჟღერას:
სულის შვენება
გრძნობიერება
სჯობსო სიტურფეს და თვით ვენერას.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არის ქალი,
ვის მადლის ალი
გულში მარადის ჩასახებია;
ვის სათნოება,
ლმობიერება
ვით კელაპტარი გაბრწყინებია.

—

ის არის ქალი,
ვის ვნების ძალი
ვერა თილისმით ვერ მოჰრეკია,
ცნობიერებას,
კაცმოყვარებას
ქვენა გრძნობანი დაუმლევია.

—

იგია ქალი,
გონების თვალი
ვის დიდი სწავლით ახილებია,
ჭეშმარიტებას,
მეცნიერებას
თუ გულის წმინდით შეჰყვარებია.

—

იგია ქალი,
როს მისი ვალი
სამშობლოსადმი აღსრულებულა;
როს საქართველოს
ტანჯული გული
მისი ცრემლებით დაამებულა.

—

იგია ქალი,
ვისით დამშრალი
მშობლური ენა აღდგინებულა,
ერისა წყლული,
შხამ-დაგესლული
სალბუნ-ნექტარით განკურნებულა.

—

ეუცხოვა ეს ამბავი, მაგრამ, მიხვდა რა ქალბატონის ოინს, ამანაც აღარ უთხრა თავის შვილს ნამდვილი მიზეზი. მარიკამ კარგად იცოდა თავის რძლის პატიოსნება და დარწმუნებული იყო, რომ ის არას დროს არ გაჰყიდიდა თავისს ნამუსს. ამიტომ აღარ შეუშფოთა შვილს მყუდროება და თავი ისე აჩვენა, თითქო კნეინას მოჭორილი ამბავი მართალი ყოფილიყოს.

იასონ ნიკოლაიშვილი.

(დასასრული იქნება)

შ.....ს

I

ავჭა, ყდერს ჩანგი...
მას გულის ჭანგი
იდუმალ ხმებად ენარნარება
და ესრე ტანჯულს
სულსა დაჩაგრულს
უთინათინებს კვლავ ნეტარება....

—

რა რიგ დაგყლერო,
რით დაგამღერო
ჭაი, ქალწულო, შენი შვენება!
მოციმციმარე
სახე მღიმარე
თვალს მოშორებად რად ენანება?!...

—

ამზრზინებელი
ეშხი მხიბლველი
შავსა თვალებში ახლად ნთებულა,
მათზე წამწამნი
ტრფიალთ საწამნი
ჭო, რა სინაზით მიძინებულა!

—

თითქო სუმბული
წალკოტში ბმული
ალი ტუჩები მორცხვად გაშლილა;

მას ერქმის ქალი,
ვის სიყვარული
მხოლოდ ერთისთვის გაღვიძებულა,
გრძნობათაგანა
ტრფობისა ნანა
ქმრის სიფიცხით დამდურებულა.

—

მას ეთქმის ქალი,
თუ სულის ძალი
შვილს ტკბილ ძუძუსთან აწოვებინა,
მტკიცე ზნეობით
და ხასიათით
იგი შემკული მამულს შესძინა.

—

მებადვის რწმენა...
მუსიკობს ენა,
ესური განვაგრძო კვლად გალობა,
მაგრამ უწყდება
ჩანგს სიმი... დგება
გულის ტანჯული,—გრძნობა დაღლილობა.

ახალგაზდა ქართველი

ფირალი დავლაძე

მოთხრობა

V *)

სამსონმა დიდი კავშირი დაიჭირა ნიკოსთან. ნათლიამ მიიპატიჟა მოყვრები ბათუმში, კარგად გაუმასპინძლდა მათ და შემდეგ პატივისცემით გამოისტუმრა შინ. მაკრინეს ძალიან მოეწონა ბათუმი; „ვისაც იგი არ უნახავს, იმას ცოცხალი ვარო არ ეთქმის სწორედ: რა და რა სანახავები იქინეია, იმას ენა და პირი რავა გამოთქვამს“, ამბობდა ის კმაყოფილებით. გავიდა ორი თვე. ივანე სატუსაღოში იჯდა. ერთს საღამოს ტარაძეებს ნიკო ეწვია. სამსონ შინ არ იყო.

— რაა ასეი ძვირი სტუმარი რომ ხარ ჩვენი? ასე უნდა მოყვრობა?—უსაყვედურა ნიკოს ნათლის-დედამ.

— რა ვქნა, მე კი მინდა სულ აქანაი ვიყო, მარა რომ არ მცალია, რა ვქნა?

— ოჯო! გული-გულობდეს, თვარა მოცლა აფერია!—გაანაგრძო მაკრინემ.

— რომ ვერ ვახერხებ! ახლაც აგერ ტფილისიდან გამევიარე, თვარა სადაა მოცლა!

ჩაის შემდეგ ნიკომ დაიწყო.

— ჩვენ რომ რაცხა ვიცით, იმის რა ქენი შენ დასტურ?

— რა ეიცი,—სთქვა მაკრინემ და ეშმაკურად ჩაიცინა,—ჯერ აფერი, მარა იმას კი მუაწყობთ ჩვენ რავარც იქნება.

*) «მოამბე» № IV.

— ახლა იმაზე ხომ არაა. ქალი ათასი მეძლევა მე აზნაურის და თავადისაც, ერთი-ერთმანეთზე უკეთესი, მაგრამ მაი რაცხა უფრო ჩამივარდა გულში. არც შენ რომ არ გეთქვა მე მაგას არ ვიფიქრებდი...

— აბა მე გეტყვი შენ, ნიკო! ოღონ ღარიბია, ღარიბია, გვზითი არაფერი აქ, თვარა მაგისთანაი ქალი არაა ახლა ამ გურიაში. იგი არ ვიცი სწორედ, ეგება ქე გეიპაიჯონ, მარა ისეი უნდა მუვაწყოთ საქმე, რომ უარის თქმაი აღარ მოხერხდეს. სხვებს რომ დევითანხმებდეთ რამე ნაირათ, მარტუაი ციცაი ვეფერს გახდება.

— აბა შენ იცი ახლა, ჩემი ლაპარაკი რაღათ გინდა! ეგება ფული დარჩეს საჭირო და შემატყობიე, ნუ მომერიდები. სხვაფერ ახლა რა ვიცი, თუ თლა აბდალი არაა ქალი, რეიზა უნდა თქვას უარი; ეის წაყობა იმისთანას, რომ ჩემსავით არ-ჩინოს იგი?

— ასეა, მარა ხომ იცი, პაწაი ნასტავლი ქალია და, თუ გაჯინიანდა, არაფერს დეიჯერებს. მარა რაც უნდა ქნას, მე იმისთანა საქმეს მუუხერხებ, რომ მერე თვითონ შამომეხვეწოს.

მაკრინემ მეორე დღესვე გაუგზავნა კაცი ნინოს და შეუთვალა: „ჩემო ნინო, საჩქარო საკერავი მაქ და ხვალ რაცხაფერაი მომეხმარეო“.

ნინო მოვიდა. მაკრინე მოეხვია მას, ჩაჰკოცნა და ალერსით უთხრა:

— შენ დაგაცალა ღმერთმა, ჩემო ნინო! შენ რომ ახლა არ მოსულიყავი საკერავი ქე დამირჩებოდა.

— ოჯო რა დიდი საქმეა მაი, დეიდა, მეტი რა სიკეთე შემიძლია აბა, რა გაქ საკერავი?

— რაცხა სამსონის ახალოხი მაქ; ბათუმში აპირობს კვირიზა და მეჩქარება.

კერვა დაიწყეს.

— ერთ რაცხას გკითხავ, ნინო, და, თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარი,—დაიწყო მაკრინემ სადილის შემდეგ, როცა ორივენი მარტოდ დარჩნენ.—მე ნუფერს დამიმალავ, ღმე-

რთმა კი იცის, მე რომ შენდა სიკეთე მინდა, ჩემ შვილებში არ გამომერჩევი!

— რა იყო, დეიდა, თქვი, რავა დაგიმალავ, თუ კი სათქმელია.

— რა ვიცი, ბალანაი ქალი ხარ, ეგება შეგრცხვეს.

— თქვი, ბატონო, რაცხაა და...

— გათხოვას არ აპიროპ აწი?

ნინო ჭარხალივით წამოწითლდა.

— დამეთხუე, ჩემი დეიდაი...

— დედავ, შენი ჭირიმე, აბა რას შობი, ბატონო? რა გიჭირს, ვითომ დრო არაა თუ? მამა-შენი ღარიბი კაცია, შვილები, ღმერთის წყალობა, სხვაიც ბევრი ყავს, ყვალას გაზდა და პატრონობა უნდა. ხომ იცი რა ძნელია ახლანდელ დროში გასათხუარი ქალის შენახვა. მოვნახოთ ერთი კაი კაცი, პატიოსნად რომ თავი გერჩინებოდეს განათლებულ ადგილზე, იმისთანაი. მე მყავს ეგერ ერთი კაცი გამორჩეული და მაი საქმე რომ მოხერხდებოდეს, შენ მერე ჩემი ლოცვის მეტს აფერს არ იზამ სწორედ!

— ვინ არის, მაინც შევიტყო?

— ხომ იცი, რომ შენდა გლახას აფერს ვიფიქრებ. საწყალმა ჩემმა დამაც ისეი ჩამაბარა შენი თავი და სიცოცხლეშიაც სულ იმას მელაპარაკებოდა, რომ ჩემი ნინო ვინმე ხეირიანი კაციზა მიმაცემიეო. ჩემიანი რომ ხარ და შენდა კაი მინდა, იმიზა გეტყვი, თვარა ქალი ათასი ეძლევა იმას, ზოგი თავადის და ზოგი აზნაურის, მარა იგი ყველას ვარს უჩივა. შენ კი იცნობ იმას.

— არ ვიცი სწორედ, ვის ჩივი.

— ნიკო კალაძეს.

— იმას მაინც არ წავყვები, სულ რომ საშველი არ ქონდეს ჩემს საქმეს!—წარმოსთქვა ნინომ აღელვებით.

— დედავ! რა აქ იმას დასაწუნარი, ღმერთო კი მომკალი!—გაიკვირვა მაკრინემ.—უი რაცხა, შე დალოცვილო! იზამდეს თვარა...

— ქვეყნის უკეთესიც რომ იყოს, მე მაინც არ მინდა!

— მე ძალიანი მიკვირს შენი საქმე სწორედ! ნიკო კ—ძეს ვინ ეტყვის ვარს აღარ ვიცი მე! რა აკლია ღვთის გაჩენილი ქვეყანაზე? ისე განათლებულად შეინახავს იგი ქალს, რომ მეორე არ ეყოლება ტოლი. მის ბედს ძაღლი არ დაყეფს, ვინცხას იგი შეხთება. მე გეტყვი შენ მდიდარი არაა თუ? მარტუაი ბათუმში ცხოვრება რად ღირს? ახლა ჩივი ასეი, თვარა მერე შენც ბევრს ინანებ!

ნინო საშინლად აღელდა, ზეზე წამოდგა და ათრთოლებულის ხმით უსაყვედურა მაკრინეს:

— დეიდა, ამიზა არ მოვსულვარ მე აქანაი! რაა რომ დამიჩემე აი ნიკო კალაძე და საშველს აღარ მაძლევ? ბაბას მჭადი კი ეშონება. მე ხმელაი მჭადს ვჭამ და იმისთანა კაცს არ წავყობი, რაც უნდა დამემართოს. ვისაც უნდა, იმას ყავდეს იგი!

— ჯვარი გწერია, ბატონო, შენი ნებაა! მე ვითამ კაი მინდოდა,—გულ-ნაკლულად წარმოსთქვა მაკრინემ.

ნინოს იმ ღამესვე უნდოდა სახში წასვლა, მაგრამ მაკრინემ არ გაუშვა: „რა გეჩქარება ამ შუაღამეზე. ამელამ დარჩი აგერ და ხვალ დილას, გრილის სულზე, ქე წახვალ, თუ მაინდამაინც საშველი არა აქ, ციცას გაგატან".

ნინო დასთანხმდა. ვახშმის შემდეგ მაკრინემ ცალკე ოთახში გაუშალა ლოგინი ნინოს. ყმაწვილი ქალი მარტოდ დარჩა და რაღაც ფიქრებში გაერთო. ამ დროს კარები გაიღო და ნინოს ოთახში, სრულიად მოულოდნელად, ნიკო შემოვიდა. ამის დანახვაზე ნინო სულ ერთიანად გაფითრდა, შიშისაგან კანკალი დააწყებინა.

— უკაცრავად! მგონია არ მელოდით ახლა თქვენ! სალამო მშვიდობის, ბატონო ნინო!—ურცხვად წარმოსთქვა ნიკომ. ნინო შიშისაგან გამოერკვა და გული მოიბრუნა.

— ეშმაკმა წაგიღო შენც და შენი მშვიდობაც!—ზიზღით წარმოსთქვა მან და კარში გასვლა დააპირა, მაგრამ გარები დაკეტილი დაუხვდა.

— ვაიმე! დეიდამ მიქნა აი!—წამოიკივლა ნინომ სასოწარკვეთილებით; ის კვლავ შიშმა შეიპყრა.

— სსს... ჩუმა! ტყულაი ირჯები, ვერსად ვერ წახვალ! ნუ ყვირი, შენდა ჯობს. აქ რომ ვინმე მოვიდეს ახლა—შენთვის უარესია, შენ გეილანძღები, თვარა მე რა მიჭირს. ჩვენს მეტი ამ სახლში ახლა არავინ არაა.

ნინომ სკამს ხელი სტაცა და კუთხეში გაჩერდა. ტანი სულ ერთიანად უცახცახებდა.

— რა გნებავს თქვენ ჩემგან?—ძლივს წარმოსთქვა მან.

— რაა დასტურ ასთეი რომ მიჯავრდები, რა დავაშავე, რომ არ ვიცი!—სთქვა ნიკომ და ნინოსაკენ წავიდა.

— არ მოხვიდე, თვარა თავს გაგიტეხ, იცოდე!—წამოიძახა ნინომ განწირულებით და სკამი მოიმარჯვა ხელში.

— რა იქნა, მართლა, კაცის მჭამელი ხომ არა ვარ! მე საჩხუბრად კი არ მოვსულვარ შენთან, მოსალაპარაკებლად მოვედი თვარა: ჩემზე რაცხა რომ გითხრეს, იმისას რას იტყვი?

— რა მაქ შენთან სალაპარაკო მე? შენ საძაგელი კაცი ხარ, საშინლად მეზიზღები! თავი დამანებე, შენდა წადი!—მიუგო ქალმა.

ამ პასუხმა ნიკო დიდად გააბრაზა; მას სიბრაზისაგან სახე ერთიანად გაუყვითლდა. „რადგანც ასეა, მაგას მაინც ჩავიგდებ ხელში, თუ გინდა რაც დამემართოს“, გაიფიქრა და რაღაც მხეცური გრძნობა აღეძრა, გრძნობა შურის-ძიებისა, ძალ-მომრეობისა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ვითომც აქ არაფერიაო და წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— რა გიეწყობა, თუ არ გინდებვარ! ძალით ხომ არ იქნება. მარა ერთს კი გთხოვ: ამ ამბავს, ნურაფერ კაცს ნუ შეატყობიებ, თუ ღმერთი გწამს!

ნინომ თავისუფლად ამოისუნთქა და სკამი ძირს დაუშვა, მაგრამ ამ დროს, უეცრად, მას მივარდა ნიკო და ხელები დაუჭირა. გულ-გახეთქილმა ნინომ ერთი დაიკივლა და გაბრძოლება დააპირა.

— ახლა რაღას იტყვი, ქალ-ბატონო!—დაიწყო ნიკომ და პირზე ბოროტი ღიმილი შეუთამაშდა.

გამწარებულმა ნინომ კვლავ გაიბრძოლა, ხელების განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ: ნიკომ ისე მძლავრად დაუჭირა მას ხელები, რომ ქალს ტკივილისაგან კინაღამ გული წაუვიდა. ბრძოლა შეუძლებელი იყო.

— რა საკადრისია მაი, მოწიფულმა კაცმა მომერიე სუსტ ქალს, დამიჯაბნე! გამიშვი ხელი, თუ ღმერთი გწამს!—შეევედრა ნინო აკანკალებულის ხმით.

— ხომ ხედავ, ჩემს ხელში ხარ? ახლა რაც მინდა იმას გიზამ, მარა მაგას კიდო არ ვკადრებ ჩემს თავს. მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ცოლად წამყობი, შენი შერთვა მინდა; თვარა რა მენაღვლება: თავი შენ მოგეჭრება, მეიჯაყები, ქვეყანას შევატყობიებ, რომ მე შენთან ღამე გავათიე.

— ხელი გამიშვი! ლაპარაკი ისეიც კი შეიძლება.

— ყოლიფერს გიზამ, თუ ჩემ სიტყვას დეიჯერებ.—ამ სიტყვებით ნიკომ სკამზე დასო ნინო, თითონაც ახლო მიუჯდა და ტკბილად განაგრძო:

— შენისთანაი ცხოვრება ერთს ქალს არ ექნება გურიაში: სადაც შენ ამოირჩევ, იქინეი გაცხოვრებ; ღვთისგან გაჩენილი არაფერი არ მოგაკლდება ქვეყანაზე: საჭმელი კაი გექნება და სასმელი, წასლა და მოსლა. მამა-შენიც მადლიერი იქნება: მე კაცი ვარ ქვეყანაზე, იმის პატივის-ცემას კი შევიძლებ.

— დამეთხუე ამელამ და ხვალ ყოლიფერს გეტყვი.

— აბა დაუფიქრდი კარგა მაგ საქმეს!. უარის თქმაი შენდა უარესია, იცოდე! თლა გეილანძღები, ველარსა ვერ გამოჩთები. მერე კი ინანებ, მარა გვიან იქნება! მე ასეი გეუბნები და სხვაი შენ იცი, სთქვა ნიკომ და მეორე ოთახში გავიდა.

ზიზღით გააყოლა ნინომ თვალები მიმავალს ნიკოს. შუა ღამე იყო. ყმაწვილი ქალი დაჯდა ლოგინზე; მას გული ამოუჯდა, ტირილი დაიწყო.

მეორე დღეს გაშმაგებული მაქსიმე სამსონისკენ მირბოდა.

— რას მიპირობ ახლა, რას, შე ქრისტეს ფეხის მჭამელო?— შეჰყვირა გაბრაზებულმა მაქსიმემ მაკრინეს, რომელიც მას აივანზე შემოეგება,—შენ ჩემს გალაძღვას შეგარჩენ, თუ რავა გგონია?

— თუ არ გადირიე შენ? პიჯვარი დეიწერე, რა გალაძღვაო?!— გაიკვირვა მაკრინემ.

— შენ აფერი სიავის არ შეგცხობა, შე შეჩვენებულო, შენ! ვისას გეილანძღა ჩემი ქალი წუხელის, ვინ მიქნა მაი?— ჰყვიროდა მაქსიმე.

— ბატონო, ჯერე ამბავი შეიტყვე და მერე გამჯავრდი! ღმერთო შენ დამიცევი, მოწყალევ! რამ გადარია აი კაცი? რა დავაშავე, რომ არ ვიცი! რავა, სტუმარი არ შამომეშვა სახლში თუ?

— ჩემს ბალანასთან რა უნდოდა მერე შენს სტუმარს ღამე?

— ღმერთო ნუ გადამრევ! რაფერ გაავრცელებენ ყოლიფერს! ელანძე შინა არ დაერჩი და ნიკო შევიდა თურმე იმასთან, ხელი ჩამოერთმია და ლაპარაკი დიეწყო, ცოლად წამყევიო ეთქვა. ახლა ასეა მიღებული ყოლგან განათლებულ ადგილებზე, მარა ქვეყანა კი არ დაქცეულა. ქალს თუ უნდა, პირობას მისცემს, თუ არა და უარს ეტყვის და გათავდა. ამას არც შუამავალი უნდა, არც არაფერი. ამიზა გადირია, გახელდა, ღამე ძვილაი მოვაცთიე და დღეს გათენებამდი გამეიქცა. აგი იყო ასე! რა ვქნა მე სასიკვტილემ? კისერი მომტეხოდა ნეტაი და მაგი არ დამმართოდა, იგი არ მერჩია! შენ ქე დამემდურე, იგი, მგონია, საუკუნოდ დამეკარგა; რა მიწაში წევიდე, რომ არ ვიცი! მღელვარებით დააბოლავა სიტყვა მაკრინემ და თვალებიდან ცრემლები ამოიწმინდა.

— მაგას ვერ გამიბედავდა მე იგი ყაძახი, შენ რომ არ გექნა! წყნარის ხმით უსაყვედურა მაქსიმემ.

— რა მექნა, შენი ჭირიმე? ასე იყო, აი რომ გითხარი.

— კი მარა ჯერე ჩემგან არ უნდა შიეტყო ამბავი? ჩემდა უკითხავად რავა გაბედა იმასთან ლაპარაკი ვითამ?

მაქსიმე ახლა უფრო დამშვიდებით ლაპარაკობდა. ეს გარემოება მაკრინეს არ გამოეპარა.

— მე ერთი ქე მითხრა, სულო ცოდვილო, მოციქულობა მიქენიო,—დაიწყო მან,—მარა შენ ველარ გნახე სალაპარაკოდ. ისეი ციცას ტყულაი, გამოსაცთელად, ქე ვუთხარი გუშინ აქანაი. იმას რავა ვიფიქრებდი, თუ ნიკო თვითონ ეტყოდა რამეს.

— კი მარა, ახლა ხომ მომეჭრა თავი ქვეყანაში, ხომ გევილანძღე?

— ვინ შეიტყობს, ბატონო, იგი რავა იტყვის რამეს! აბა მე გეტყვი შენ, მაქსიმელ,—განაგრძო მაკრინემ:—სიტყვამ მეიტანა აგერ და ქე ვიტყვი. ისეი რავა გამიწყრება მე ღმერთი, რომ ჩემი დისულიზა რამე გლახა ვიფიქრო. ვითომ რომ ვქნათ მაი საქმე, ურიგო იქნება თუ? მოგეცა ღვთის წყალობა, იგი შეძლებული კაცი იყოს! ვინაა მაგის ბადალი ახლა ამ გურიაში? მე გეტყვი შენ ქალს ვერ შეინახავს განათლებულად, თუ რა გინდა!

— ყაძახს რაფერ მივსცე ქალი და იგიც კიმოთაი კალაძის შვილს, ქვეყანა რას იტყვის?

— შენ დალოცვილო, ახლანდელ დროში ვიღან უყურებს აზნაურშვილობას! ყოლი კაცი კაი ცხოვრებიზა იკლავს თავს. მე გეტყვი ბიჭად დეიწუნებს ვინმე! ჩემო მაქსიმელ! ხომ იცი, ქვეყნის უკეთესი თუ ვინმეა, იგი მზითვსაც ბევრს ითხოვს და ზოგიერთი აზნაურის და თავადის მიცემას, მაგის მიცემა ჯობია ათასწილაი: შეძლებული კაცია, ქალს კარგად არჩენს და შენც პატივს გცემს: შვილები გამოსაზარდი გყავს, რომ დაგჭირდეს დღეს ათას მანათს გიშოვნის.

— ციცამ რა თქვა, თუ ჰკითხე?

— ციცაი უარზეა, მარა იმას რას უყურებ შენ, ბატონო! ქალი მისდღემჩი არ იტყვის, კი მინდაო. ახლა იგი არ ვიცი მე, ეგება სხვაი რამეც ქე ქონდეს მას გულში, ვინ იცის რას არ იფიქრებს ყმაწვილი ქალი. ამას წინეთაც კი გითხარი, მაქსიმე, თუ გახსოვს, ივანე დავლაძეს სხვანაირად უჭირავს თვალი-მე-

თქი. ახლა გვმართებს დაფაცურება, მოწიფულ ქალს დროზე უნდა პატრონობა. ვინ იცის იმ შეჩვენებულმა რომ გეიშვას თავი და ქალი გაგვილანძღოს, რაღა გეეშველება მაშვინ? ახლა გვაქ აგერ დროი, ბედი კარზე მოგვადგა და ჩვენც ნუ გაეაბრუნებთ. ერთი სიტყვით, მაი ძალიან კაი საქმეა და რაცხაფერაი ნულარ დავკარგავთ.

— თუ დევითანხმეთ კი, მარა რა ვიცი.

— ოჯო, რავა ვერ დეითანხმებ, თუ კი მეინდომებ, შენი ნება არაა! შენ რომ ეტყვი, იმას დეიჯერებს, აბა რას იზამს!

ამით გათავდა ლაპარაკი. მაქსიმე დამშვიდებული დაბრუნდა სახლში; მან გადასწყვიტა თავისის ქალის ბედი და ეს გადაწყვეტილება ნინოსაც გამოუცხადა.

— რა გიჭირს, ბაბა,—უთხრა მაქსიმემ შვილს დაყვავებით:—კაი ბიჭია და ძალიანი მდიდარი, ბატონსავით გაცხოვრებს, შენმა გაზდამ, ერთი ქალი ვერ იქნება შენსავით. მამაშვილობამ, მეც კი მინდოდა ერთი კაი ნასტავლი ჩინონიკი მომენახა შენდა, მარა, თუ ვინმე ხეირიანია, იმას დიდი გვზითი დასჭირდა და ჩვენ, ხომ იცი, არაფერი არ გვაქ. ღარიბ აზნაურს ისევე მაგი ჯობს.

ნინომ პასუხის მაგიერად ტირილი დაიწყო.

— საკოდაო ბაბავ, გაგიჭირდა და მყიდი!—ბოლოს ქვითინით წარმოსთქვა მან.—არაფერს არ გთხოვ ქვეყანაზე, ხმელაი შჭადი მაჭამე და იმას ნუ მიმცემ! მე რომ ნაკაბევი დამჭირდება, იმისას რაცხას კი გავაკეთებ შინ!

— ნუ დეიჩემებ რაცხა ახირებულს!—წყრომით უთხრა მამამ.—გასაჭირალი აფერია და ძალათაი იჭივრებ! ქვეყანაში ხომ თავი მოგვეჭრა, ხომ თლა გევილანძღეთ, რომ ახლა მაი საქმე არ იქნას! მერე მაგისთანაი კი არა, უკანასკნელი მუტაკეიც აღარ წაგიყვანს!

— მე აფერი კაცი არ მინდა ქვეყანაზე, მარა, თუ ჩემი დაკარგვით გაკეთდებით, იმასაც შევიტყობ!...

ნინოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა: ცრემლები არჩობდნენ.

მოლაპარაკება გათავდა. ამბობდნენ, მაქსიმემ ნიკოსაგან ორმოცი თუმანი მიიღოო. ჯვარის წერის დღეც დანიშნეს. საქმროს ძვირფასი საქორწილო ტანსაცმელი გამოუგზავნა საცოლოს. ყველანი მზადებაში იყვნენ, ნინო კი ჩუმად იმდუღრებოდა; ის ერთ კვირაში საშინლად გახდა. ეკლესიაში, ჯვარის-წერის დროს, ნინო ფერ-მიხდილი იდგა ნიკოს გვერდით. როდესაც მღვდელმა ჰკითხა: „ხომ შენის სურვილით მიჰყვები ნიკოსაო“, ნინომ პასუხი არ გასცა. მღვდელმა განუმეორა კითხვა; მაგრამ პასუხი ვერც ეხლა მიიღო. მესამე კითხვაზე ნინომ მწუხარედ შეხედა მღვდელს და პირზე მწარე ღიმილმა გადაურბინა...

VI

სოფ. ნ—ში ეგზეკუცია დგას. მკვიდრთა ვაი-ვაგლახით და მწარე ოფლით მოპოებული სარჩო-საბადებელი დღეს ჯარის-კაცთა ხვედრად გამხდარა. სოფელი დრტვინავს, სასოწარკვეთილებას ეძლევა, ის ემუდარება ხან მაზრის უფროსს და ხან გუბერნატორს: „თქვენი ღვთის გულიზა, გვიშველეთ რამე, ამოგვაგდეს, დაგველუპა ოჯახი, ცოლშვილი. ჩვენ აფერ შუაში არ ვართ, ღმერთმა მოჰკითხოს იმას, ვისი მიზეზითაც ჩვენ ამ ყოფაში ვართ. ან რამე საშველი მოგვეცით და ან გადაგვასახლეთ მაინც აქედან სადმეო“. მაგრამ სოფლელთა ამგვარი თხოვნა-ვედრება უყურადღებოდ რჩება, რადგან მათ, მთავრობის აზრით, დიდი დანაშაული აქვთ: ამ სოფლის შვილი, ივანე დავლაძე, ყაჩაღად გავარდნილა; ის დღეს მეთაურობს ერთს საშინელს ბრბოს ავაზაკებისას, რომელთაც თავ-ზარი დასცეს არამც თუ მარტო გურიას, არამედ მთელს გუბერნიასაც კი. საკვირველის სისწრაფით გადადის ეს ბრბო ერთის ადგილიდან მეორეში, დაუსჯელად სძარცვავს და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი სადმე საკბილო შეხვდება. ამ ავაზაკთა შეუპოვარს მოქმედებას განცვიფრებაში მოჰყავს ადმინისტრაცია, რომელიც სხვა-და-სხვა „განსაკუთრებულ ზომებს“ იგონებს ამ

ბოროტების მოსასპობად; სხვათა შორის მან საჭიროდ სცნო სასტიკად დაესაჯა ნ—რი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს სოფელი ინახავდა ბელად ფირალს დავლაძეს.... ივანეს საქმის შესახებ დანიშნული გამოძიება უკვე გათავდა. სულ რვა შეწამებულნი იყვნენ; ამათში სამი სრულიად გამართლდა. ამ სახით, დანაშაულობა ხუთ კაცს ბრალდებოდა; მათ შორის დავლაძე საქმის მოთავედ იყო მიჩნეული. აღმოჩნდა, რომ ბოროტ-განმზრახველთ ფულად 1900 მან. წაეღოთ; ამ ფულიდან ივანეს 800 მ. აელო. ის იყო ივანე ოზურგეთიდან ქუთაისს საპყრობილეში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ამასობაში იმან გაქცევაც კი მოახერხა....

ნ—ის სასოფლო სამმართველოს ეზოში ყრილობაა. ხალხი გუნდ-გუნდად დაყოფილა და გაცხარებული ლაპარაკი აქვს.

— ოჯო, რა გევიკლიო, იმ სტრაჟმა უარესი ქნა კიდო!— სთქვა ერთმა ჰალარა-შერეულმა გლეხმა.

— მე თუ მკითხავ, იგენმა ამუაგდო თლა ქვეყანა! სტრაჟი ვართ და ვეფერს შეგვწამებს კაციო და რას შობიან ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის!—დაუმატა მეორემ.

— ასეა ხო და ფულს ქე გვახთიებენ ჩვენ და იგენს ჯამაგირად აძლევენ! ქვეყანაში სამართალი ჯერ არ დალეულა, ვითხუოთ, ამის ფულს მაინც ნულარ გვახთიებენ, სხვაი შეწუხება აღარ გვეყოფა თუ?—ცხაროზდა მესამე.

— ითხუე თვარა მაშვინათე დაგიჯერებენ, არ გინდა! შენი გაჰივრება ძალიანი კი ენაღლება ვინმეს!—მწუხარედ შენიშნა მეოთხემ.

— დაგვიჯერებენ, თუ არა, მაინც ვცადოთ და სამართალი თუ მეიწოზა ჩვენი გულიზა, მადლობა ღმერთს, იმასაც შეიტყობს კაცი!—წარმოსთქვა მესამემ.

ამასობაში ბოქაულიც გამოჩნდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სალამი მისცეს მას. ბოქაულმა ლაპარაკი დაიწყო:

— მე თქვენ შეგყარეთ აქ დღეს, რომ კიდევ იმ ფირალეზის შესახებ მოგელაპარაკოთ. თქვენ სჩივით, რომ თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მეტად სამძიმოა, აუტანელიაო. თუ

გინდათ ამ გაჭირვებიდან გამოხვიდეთ და თავი განითავისუფლოთ, ისევ თქვენვე უნდა ეცადოთ. მთავრობა თქვენს თხოვნას არ შეიწყნარებს, სანამ თქვენ დავლაძეს არ ჩაგვაბარებთ. იგი ამ სოფელში ბუდობს, თქვენ არჩენთ მას, ხელს აფარებთ. თქვენ ყველაფერი იცით; მოგვეცით ეს ავაზაკი და მისი თანაშემწენი და მაშინ თქვენც საშველი მოგეცემათ. თუ ამას არ იზამთ, მაშინ, იცოდეთ, კიდევ უარესი დაგემართებათ! ამიერისგან, თუ ვინმე მოკლულ იქმნება, ან სხვა რამე დაშავდება, ყველაფერში თქვენ აგებთ პასუხს, თქვენ უნდა ზღოთ! დააბოლავა სიტყვა ბოქაულმა. ხალხში ჩოჩქოლი შეიქმნა. ერთმა დამსწრეთაგანმა საპასუხოდ რაღაც ჩაილაპარაკა თავისთვის, მაგრამ იმისი ხმა გარკვევით არ ისმოდა.

— კაცო, თუ რამეის თქმაი გინდა, გეიწიე წინ და ისეი თქვი ბარაღმაი, რომ ყველამ გეიგონოს! — შენიშნა მოლაპარაკეს ვიღამაც. მაგრამ ამ დროს მეორე მხარეს ხალხი გაიპო და წინ წამოდგა ალექსი სანდომიძე. ალექსი იყო შვილი ქვრივის მარინესი, მისი ერთად-ერთი ნუგეში და იმედი. ნახევრის წლის იქნებოდა ალექსი, როცა მისი მამა გარდაიცვალა. დაბეჩავებულმა მარინემ შვილი გიორგი დავლაძეს მოანათვლინა, „აზნაურშვილია და მფარველობას გამიწევსო“. მარინე თავისს შვილს შეჰხაროდა, მხოლოდ მისს ბედნიერებაზედ-ღა ოცნებობდა. ახლა ის სასძლოსაც ეძებდა. „ღმერთი რომ ჩემი ალექსის ცოლ-შვილს მომასწრობდეს, მერე თუ მოვკტები, აღარ ვჩივიო“, ხშირად იტყოდა მარინე. მეზობლები დიდს პატივსა სცემდნენ ალექსის; ეს იყო პატიოსანი, გულ-კეთილი და შრომის მოყვარე ახალგაზდა. მარად მკვირცხლს და მხიარულს მას სიმღერაში და ცეკვა-თამაშში ბადალი არ ჰყვანდა მთელს სოფელში. დღევანდელ ყრილობაზე ალექსის მოულოდნელმა საქციელმა, მისმა მღელვარებამ და არა-ჩვეულებრივად მოელვარე თვალებმა მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. ყველამ ხმა გაიკმინდა. ალექსი ფერ-მკრთალი იდგა, სიბრაზე არჩობდა მას. აზღვავებული გრძნობა გულს მოაწვა და გადმოხეთქა...

— ჩვენ რაც გვჭირს, იგიც გვეყოფა! მეტი რა უნდა გვიქნათ, რალა შეგვრჩენია, რომ წაგვართვათ და გაგვიყიდოთ? ჩვენ შიმშილით ვიხოცებით, არაფერი აღარ შეგვარჩინეს ქვეყანაზე! ახლა მუშაობასაც აღარ გვანებებთ! ერთი კვირეა აგერ შინ არ ვყოფილვარ: ხან აქეთ მათრიეთ, ხან იქით; წუხელის მოვედი რაღარც იყო შინ და ჩემი მარჩენელი ხარები აღარ დამხთენია! ვინ წამართვა მე იგინი? ფირალი იმიზა არ მოვიდოდა. ფირალი იმდონს ვეფერს გვაწყენს, რასაც სხვაი გვიშობა ჩვენ! მე კი ვიცი, ვინცხამ მიქნა მაი, მარა ჩემს დაქცევას იგენს არ შევარჩენ, თუ ალექსაი ვარ! ასეი ვიღუპებით ჩვენ და კიდო დაგიჩემებიენ, ფირალები მოგვეცითო! საიდგან მოგცეთ, თქვენ ვერ დეიჭირეთ, თუ ასთეი ადვილია? მარა რა გენაღვლებიენ, რასაც იტყვით, ქე გაგივათ-და! აი სტრაჟი რაღას აკეთებს აბა? ტყულაი ჭამენ მაგენი ჩვენს ნაოფლარ ფარას! თლა იგენი უწყობენ ხელს ფირალს! ჩვენ არ გვინდა იგინი, არა! იგენის ჯამაგირს აწე ველარ გადვიხდით!—თვალების დაბრიალებით დაასრულა სიტყვა ალექსიმ და ირგვლივ მიმოიხედა.

ამ პასუხმა ბოქაული მოთმინებიდან გამოიყვანა; მან წარბი შეიკრა და მრისხანედ იკითხა:

— ვინ არის ეს თავხედი, ასე შეუპოვრად რომ ლაპარაკობს?

— მაგი, მე რომ ამას წინეთ მოგახსენე, იგი გახლავს,—მიუგო მამასახლისმა.

— ეხლავე დაიჭირეთ და ოზურგეთში გამოგზავნეთ!—ბრძანა ბოქაულმა.

— ველარ მოაგრთვი სწორედ! ძალიანი უკაცრავად ბძანდები, მე ხელს ვერ მახლებს კაცი!—დაიძახა ალექსიმ, მარდად შემოტრიალდა, გაარღვია ხალხი და გაიქცა.

— დაიჭირეთ მაგი ბრიყვი!— ჰყვიროდა გააფთრებული ბოქაული.

მამასახლისი, მისი თანაშემწე და ერთი ვილაც კიდევ გამოუდგნენ გაქცეულს, ჩქარა ცხენოსანი ყაზახებიც დაედევნენ,

მაგრამ გვიან-და იყო: ალექსიმ ამასობაში სიმინდის ყანაში გადირბინა და თვალის დახამხამებაში გაჰქრა. დამსწრე საზოგადოება მღელვარებამ შეიპყრა: ალექსის სიტყვები ყველას გულს მოხვდა...

გულ-გახეთქილმა მარინემ დიდ ხანს ეძება შვილი; ბოლოს, როგორც იყო, სადღაც შეხვდა მას, მუხლებზე მოეხვია და შეევედრა:

— ნენა, შენი ჭირიმე! ნუ დამღუპავ, ნუ გამომჭრი ყელს, წამოდი იმ ნაჩანიკთან, შევეხვეწოთ ორივემ, მუხლზე ვაკოცოთ და ეგება გვაპატიოს!

— არა, ნენა, იქინეი მისვლა მე არ შემიძლია! იგენს რომ კაცი ჩაუვარდებათ ხელში, მერე რაღა დროისაა! იგენთან ცოცხალი არ მივალ; თავს ვერ გავალახვიებ, მაინც ქე დამკარგვენ და ისევე ასე ჯობს. საწყალო ნენავ! ძალიანი კი მეცოდვები, მარა რა ვქნა! თუ რამეა შინ, იგი შენ ქე მეიხმარე სიცოცხლეში და მე ვითომ კტარი ვყოფილვარ, ან სულ არ დავბადებულვარ, ისე იფიქრე!—ალექსიმ საშინელის მღელვარებით სთქვა ეს სიტყვები, შემდეგ გადაეხვია დედას, მხურვალედ ჩაჰკოცნა, გამოემშვიდობა და წავიდა.

VII

ბათუმის ერთს განაპირა ქუჩაზე, ზღვის პირას, პატარა სახლი სდგას. ამ სახლში ცხოვრობს ნიკო კ—ძე თავის მეუღლით ნინოთი. შვიდი თვეა მას შემდეგ, რაც ნიკომ ჯვარი დაიწერა. შემოდგომის გრილი საღამოა. გაღებულ სარკმელთან ზის ნინო და ზღვისაკენ გაიყურება. ამ შვიდი თვის განმავლობაში ის შესამჩნევად გამოცვლილა. მისი ოდესღაც მშვენიერი თვალები ჩაღრმავებულან. გამხდარი, სევდა-მწუხარებით მოცული სახე აშკარად ჰმოწმობდა, რომ ცხოვრება ამ ქალისთვის აუტანელი ტანჯვა-ვაება იყო. ნინო ფიქრებში გართულიყო. ვინ იცის, რა აგონდებოდა მას ამ დროს. ღამის ათი

საათი დაჰკრა. ნინო ისევ უძრავად იჯდა და თვალს ადევნებდა ზღვის ტალღების მოძრაობას. ამასობაში ნიკო მოვიდა.

— რა ამბავია, რომ გაგიფითქავს მაი აკოშკა და გადაყუდებულხარ ზეთ, სიცივე რომ არის, ველარ შეიტყვე?—უსაყვედურა მან ცოლს.

ნინომ ხმა არ გასცა.

— შეგცივდება და ავად გახდები, რეიზა შობი ამას, გენაცვალე?—მიუალერსა ნიკომ და ხელები მოხვია ნინოს. ქალმა თავი გაინთავისუფლა და ზიზღით წარმოსთქვა:

— გამეცალე იქით!

— ვის უჩივი მაგას?—მე ვინ ვარ?—ჰკითხა გულ-მოსულმა ქმარმა.

— ვინა ხარ და ერთი მოჯალაბე, გადათრეული! აბა კაცი გგონია ვითომ შენი თავი?

— გაჩერდი, თვარა მე შენ წაგაკნეტიებ მაგ ენას ერთ დღეს! რომ წაგეკიდები თმაში, სულ შამოგათრევ ამ ეზოს!—შეუტია ცოლს გაბრაზებულმა ნიკომ.

— მეტი რა სიკეთე შეგიძლია აბა შენ, კაცის საჯაყავო;—სთქვა ნინომ და მეორე ოთახში გავიდა. ნიკო იქვე დარჩა, სტოლს მიუჯდა, ამოიღო ჯიბიდან ფულები და ანგარიში დაუწყო. ამ დროს, უეცრად, კარები გაიღო და ნიკოს ოთახში შევიდა თავით ფეხამდე შეიარაღებული ივანე. მას ორი სხვა თოფიანი კაციც შემოჰყვა. ხმაურობაზე ნინომ გამოიხედა, მაგრამ, შეამჩნია რა ივანე, ერთი შეჰკივლა და გულ-შემოყრილი იქვე კარებთან ჩაიკეცა. ნიკო შიშისაგან ერთიანად გაფითრდა, ტანში კანკალი აუვარდა.

— უკაცრავად! მგონი საქმე შეგიშალეთ,—დაიწყო ივანემ.—მგონია კი უნდა მიცნობდე. კაი ხანია შენი ნახვა მინდოდა, მარა აქამდი ვერ მოვახერხე.

— დაბძანდით!—ძლივსღა წაილუღლუღა ნიკომ და სკამის მოსატანად წამოიწია.

— არ გიეჭანო მაქიდან, თვარა ამ წუთში გაგაქრე!—დასჭყივლა ივანემ.

ზარ-დაცემული ნიკო ხელებ-გაწვდილი გაშეშდა.

— ვინ ხარ შენ, მამა-შენი ვინ იყო, ხომ კი გახსოვს?— მკაცრად ჰკითხა ივანემ.

— მე... კი... უნდა მიცნობდე თქვენ.—ძლივს წარმოსთქვა ნიკომ.

— შენ კიმოთაი კალაძის შვილი ხარ, გლახა კიმოთაი რომ იყო, სამოწყალო, იმის! შენ გუურეცხელი ყაძახი ხარ, მოჯალაბე, ხომ კი?

— ბატ....

— ახლა მიძახი ბატონს, შენ წუნკერო, შენ?—გააწყვეტინა სიტყვა გამძვინვარებულმა ივანემ.—შენი ბატონი ყოველთვის ვიყავი მე, მარა ორი კაპეიკი რომ იშოვნე, მერე კაცი აღარ გიჩთა თვალში, ქვეყანა შენი იყო გეგონა!

— მომიტავე, თუ....

— მე მაშვინათე დამკარგავდენ გეგონა, აღარ ფიქრობდი, თუ სადმე კიდო შეგხთებოდი და მაგიორს გიზამდი, თავი ეიგდე თლა, იმისთანაი საქმე გაბედე, მარა ახლა კი წაგანკალებ ყოველიფერს ერთათ, ჩაგაძაღლებ!

სანთლის შუქზე უეცრად ხანჯალმა გაიელვა, მოისმა ყრუ გმინვა და რაღაცა მძიმედ იატაკზე დაეშვა. ივანე მაშინვე ნინოს მიევარდა, რომელიც ამ დროს გაფითრებული კედელს მიყრდნობოდა, ხელი მოხვია მას და თავისკენ მიიზიდა; მაგრამ ქალი გამოუსხლტა, ხელი ჰკრა ივანეს და წყრომით წარმოსთქვა:

— გეიწი იქით! კაცის მკვლელი მე არ მინდა!

ივანე გველ-ნაკბენივით ნინოსაკენ გაექანა.

— შენც მომატყუე ხომ?—წამოიძახა მან გააფთრებულმა, ხანჯალი ჩასცა ქალს ზურგში და გარედ გავარდა...

ნიკოს შემაძრწუნებელმა სიკვდილმა მთელი ბათუმი შეაშფოთა. ნინო, როგორც იყო, ჭრილობას გადურჩა. მკვლელებს სახლიდგან არაფერი არ წაელოთ, არც ფულად და არც რაიმე ნივთეულობა. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებდა, რომ ნიკო შურის-ძიების მსხვერპლი იყო და სხვა განზრახვას ამ

ბოროტ-მოქმედებაში ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ ვინ იყო ეს შურის მეძიებელი? გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ნინო თვისის სურვილით არ გათხოვილა, რომ ვითომც ის ერთხელ კიდევაც დაჰმუქრებოდეს ნიკოს: „თავი დამანებე, ნუ გადამკიდებიხარ, თვარა არ შეგრჩება მაგი შენო“. ცოლ-ქმარი თანხმობით ვერ სცხოვრობდნენ, მუდამ უსიამოვნება მოსდიოდათ. აღმოჩნდა, რომ ნინო კარგად იცნობდა წინად ივანეს. ყველა ამ გარემოებათა წყალობით ნინოზე ეჭვი მიიტანეს: უთუოდ მას ნიკოს ჯავრი ჰქონდა, მისი სიკვდილი სწყუროდა, ეხლა შემთხვევა მიეცა და ივანეს შემწეობით თავისი განზრახვა კიდევაც შეასრულაო. ამ აზრს ის გარემოებაც ეთანხმებოდა, რომ ნინო მსუბუქად დაჭრილი აღმოჩნდა. ნიკოს მოსამსახურე ბიჭმა განაცხადა გამომძიებელთან: „ქალ-ბატონმა ერთი გზობა რაცხა დაწერილი წიგნი მომცა და მითხრა, თუ შეგიძლია მაი წიგნი ნაობახში მიიტანეო, მარა მერე ისევე გამომართვა, და მგონი დახია; მას აქეთ ქე იქნება ერთი ხუთი თვეი; მაშვინ სოფელში ვიყავით“. მოსამსახურე გოგომ სთქვა: „ფირალები რომ მოვიდნენ, მე მაშვინ სამზარეულოს სახლში დავრჩი. ორი შეიარაღებული კაცი დამადგა თავზე და მითხრეს, აქედგან არ გიექანო და აფერი თქვაო. მე არ დამინახავს, რა ნაირად მოკლეს ბატონი, მარა აი კი ვიცი, რომ ქალ-ბატონი მაშვინ მეორე ოთახში გაჩუმებული იყო“. ნინო ამბობდა: „მე, თუ დამიჯერებთ, მაგ საქმეში აფერი დანაშაული არ მაქ. მართალია, მე სიცოცხლე არ მინდოდა, ხუთი-ექვსი გზობა კი ვიფიქრე ზღვაში დევირჩობ თავს-მეთქი, მარა ველარ გავბედე. ქმარი კი მძულდა სწორედ; მაგას რაიზა გამიმტყუნებს ვინმე: მე ძალითაი გამათხუეს. ასე იყო, მარა მისი სიკვტილი მაინც არ მიფიქრებია. იმის მეტი ჩემმა მტერმა არ იცოცხლა, რამის მეტი მე ვერ ვიცოცხლო, იმდენი მწუხარება, ჯავრი და შიში გამოვიარე, მარა რაც იყო, იმას მაინც არ დავმალავ. ივანე დავლაძეს კი ვიცნობდი გათხოვებამდი, მარა იმასთან აფერი თვისება არ მქონებია და არც რამე შემითლია მისდღემჩი! მართალი, თუ გინდებიენ, აგია და სხვაი თქვენ იცით.“

ნინო დააპატიმრეს. მან გადასწყვიტა ბედს დამორჩილებოდა, გულ-გრილად შეხვედროდა ყოველ გაჭირვებას, მაგრამ ვერ შესძლო. როდესაც ნინოს წინ საპყრობილის კარები გაიღო, მან ცრემლები ვეღარ შეიკავა. ღამე ნინოს ძილი არ მიჰკარებია; საშინელმა მწარე ფიქრებმა გაიტაცეს ის; მოაგონდა ბავშვობა, სკოლა, თავისი ცქრიალა ამხანაგები, რომელთა შორის ბევრნი დღეს ბედნიერნი და კმაყოფილნი იყვნენ; შემდეგ წარმოუდგა თავისი ტანჯული ცხოვრება, გაცრუებული იმედები და ვეღარ გასძლო; „ღმერთო, რეიზა გამაჩინე, თუ ამისთანაი ბედი მელოდა!“ ამოიკვნესა საწყალმა; მას გული ამოუჯდა, იატაკზე დაეცა და მწარედ ქვითინი დაიწყო...

მეორე დილით ნინოს ოთახიდგან რაღაც ახირებული სიცილი მოისმა. საპატიმროს მსახური ბიჭი მივიდა კარებთან. ნინომ დაინახა თუ არა ის, მაშინვე წამოვარდა ზეზე და მიაძახა:

— მომიყვანეთ ცხენი, მომიყვანეთ, რავა რა იქნა ელანძე! ციცას დამიძახეთ მაინც, ციცას! გამიგზანეთ ჩქარა, რავა ქე დამაგვიანდა, ჩემს მტერს დიემართა აი!

— რას ჩივი შენ, რას?—ჩასძახა მსახურმა. ნინომ ხმა არ გასცა. გაკვირვებული მსახური გაიქცა საპატიმროს უფროსთან და მოახსენა:

— ბატონო, იი ქალი რომაა ნაობახში, ქმარის მოკლაზე დაჭირული, იგი ქე გადირია! ჯერ სიცილი დეიწყო ტყულაი და ახლა რაცხას ლაპარიკობს, ვეფერი ვერ მივხთი, რას ჩივა!

უფროსი მოვიდა საპყრობილეში; რაღაც ჰკიხთა ნინოს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ნინო გულ-გაღეღილი, დაფიქრებული დადიოდა ოთახში. მშვენიერი თმა სქლად გადმოსწეწოდა ბროლივით თეთრ მკერდზე. მისი ნაღვლიანი თვალები საკვირველის ელვარებით ანათებდნენ და უფრო მეტს მიმზიდველობას აძლევდნენ მისს, მწუხარებისაგან გამხდარს, სახეს. ნინო ძალიან მოეწონა უფროსს; მან ტუჩები მსუნაგად გააცმაცუნა, მივიდა ქალთან, ლოყაზე ხელი მოუსვა და წარმოსთქვა: „რავა გადირეოდა ამისთანაი ლამაზ...“ მაგრამ ვეღარ

გაათავა სიტყვა; ნინომ უეცრად სილა შემოჰკრა თავისს შეურაცხმყოფელს, რომელიც იმ წამსვე გარეთ გავარდა. საპატიმროს ზედამხედველმა მაშინვე შემდეგი მოხსენება დასწერა: „დღეს საპატიმროში ტუსაღი ქალი, ნინო კ—ძისა უწესოებას ახდენდა: ყველაფერს ამტვრევდა, აბრახუნებდა, უშვერის სიტყვებით ილანძღებოდა. მე შევედი მასთან, რომ დამემშვიდებინა, მაგრამ მან მე, თანამდებობის აღსრულების დროს, შეურაცხება მომაყენა სიტყვით და ხელითაც კი შემეხო“.

ნინო იმ ღამესვე გადიყვანეს ერთს ვიწრო, ბნელსა და ნესტიანს ოთახში. აქ, კედელთან, ორს ქვაზე ფიცარი ეგდო, რომელიც ტახტის მაგიერობას ასრულებდა. დასუსტებული, სულით დატანჯული ნინო მიეგდო ამ ფიცარზე და მწოლარეს ჩქარა ჩაეძინა. ძილში მას მოეჩვენა ერთი საშინელი არსება, რომლის საზიზღარმა შეხედულებამ ნინოს თავ-ზარი დასცა. ამ უცნაურს არსებას ნახევარი ტანი გველისა ჰქონდა, ხოლო მეორე ნაწილი და თავი—კაცისა. ნინო ჰგრძნობს, რომ საზარელი მოჩვენება თან და თან უახლოვდება მას. აი კარებიც გაიღო და ოთახში შემოვიდა ეს შემზარავი მახინჯი; კარებთან გაჩერდა, პირი დააღო და ქალისაკენ ხელი გაიშვირა. ნინოს გაქცევა უნდა; მას ჰსურს დაიყვიროს, შემწეობა ითხოვოს, მაგრამ ენა და ფეხები არ ემორჩილებიან, ვერას ახერხებს, სასოწარკვეთილებას ეძლევა. ამასობაში მოჩვენება კედელზე აბობღდა, იქიდგან ჭერზე გადვიდა, ნინოსაკენ წავიდა და მისს პირდაპირ გაჩერდა. ქალი შიშისაგან თრთის, კანკალებს. მოჩვენებამ უხეიროდ გაიღიმა და სწრაფად ძირს დაეშვა. ნინომ ერთი საზარლად შეჰკივლა და იატაკზე დაეცა...

მეორე დღეს მოსამსახურეებმა ცოცხალ-მკვდარი ნინო იატაკიდან აიღეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

საწყალს ტვინის ანთება მოსვლოდა. ოთხი დღე-ღამე საშინლად იტანჯა ავად-მყოფი. ვერავის ვერ სცნობდა. ხშირად წამოიკივლებდა: „არ ვიცი მე, არა, დამეთხუეთ!“ ბოლოს ნინო საშინლად დასუსტდა, გრძნობა სულმთლად დაჰკარგა. მეხუთე დღეს, დილით ადრე, უკანასკნელად მოავლო მან ოთახს

თავისი უსიცოცხლო, მიმქრალი თვალები, ერთი გაიზმორა და წყნარად სული განუტევა.

„ვაიმე, შვილო, ჩემო კაო ნინო, ჩემი ხელით დაგღუპე მე უბედურმა!“ საცოდავად ბღაოდა მაქსიმე და თმებს იწეწდა.

VIII

ბახვის წყლის პირზედ ამართულია ერთი გორაკი, რომელიც დაბურულის ტყით შემოსილა. შემოდგომაა. არე-მარე ღამის წყვდიადს მოუცავს. ყველაფერი მშვიდობიან მოსვენებას მისცემია. მხოლოდ ბახვის წყლის მოუსვენარი შხუილი და ზოგჯერ ბუს ყრუ ხმა არღვევდნენ ბუნების მდუმარებას. ამ დროს ტყეში, ერთის ხის ძირას, მიწოლილა ორი ნაბდებში გახვეული კაცი. მარჯვენა ხელი ორთავეს თოფებისთვის ჩაუვლიათ. აგერ რაღაც შრიალი მოისმა: მახლობელ წიფელზე ფრინველებმა ფრთხვიალი შექმნეს. ერთი მწოლარეთაგანი ფიცხლავ, დაჭრილ ნადირივით, წამოვარდა ზეზე, თოფი მოიმარჯვა და ბნელ სივრცეს დააცქერდა, საიდგანაც საეჭვო ხმაურობა შემოესმა. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ საიმისო არა იყო-რა, ისევ თავის ნაბდისაკენ მიბრუნდა.

— ალექსავ, ალექსავ! ადექი, ბიჭო, ზეთ! რაფერ დაგეძინება ისეი, რომ კაცმა თავი მოგჭრას ვერ შეიტყობ?—გამოეხმაურა ის მწოლარეს.

— ამის დარდი არ მაქ! თუ ვინმე მომკლავს—უკეთესია, ბარაღმაი გადავრჩები ამ ბელას და იგი იქნება!—მოისმა ნაღვლიანი ხმა მეორე ამხანაგისა, რომელიც ამასთანავე წამოჯდა და ხეს მიეყრდნო.

მკითხველი მიხვდება, რომ ამ ორ ფირალთა შორის ერთი ივანე იყო, მეორე — ალექსი სანდომიძე.

— შენ სახლში უნდა ეგდო, ნაცარს უნდა ქექდე, ფირალობა რა შენი საქმეა! ჯერ ერთი თვეი არაა აგერ და ასეი რომ წახდი, ყაძახო, აწე რაღას იზამ შენ?—განაგრძო ლაპარაკი გულ-მოსულმა ივანემ.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქ შენ! მე არაკაცს არ ვეკიდები ზრუგში! მაინ და მაინც აფერი, ყაძახობაა ღამ-ღამე ძუნძული და თოფის ჩახმახის გამოშლა. მე ბიჭობის გამოსაჩენად არ გავმდგარვარ. ჩემდა ჯერ წკიპურტი არ წუუკარებია კაცს და ვერც წამაკარებს, სანამდი სული მიდგანა! თავს არ დავაჭირვიებ იგენს, ცოცხალი მაინც არ ჩუუვარდები ხელში და კტარს რაც უნდა იგი მიქნას!—წარმოსთქვა ალექსიმ.

— რას ჩურჩუტობ, თუ იცი? ასე რა შეგინახავს შენ? ჯერ არ იცი რამდენი ფული უნდა ფირალს. ფირალად ვიქნები და კაცს აფერს ვაწყენო—არ იქნება. ვითამ რეიზა უნდა შევიბრალო ვინმე, ერთი მითხარი? რა კაი მიქნა მე სხვამ? მე კარგათ მომემყრენ თუ? მარა არაკაცს არ შევარჩენ მე ამას, თუ ივანე დავლაძე ვარ! არავის არ დევინდობ ქვეყანაზე, ვისი ჯინიც კი მაქ! ჯერ სადაა, ბარე ორის დედა ატირდება! მე ვიცი, ბევრი ჩემი მტერი გახარებულია ახლა; იგინი ლხინში და ქეიფში ატარებენ დროს, მარა ყველას წავანკალებ და ჩავაშხამებ, თუ ბიჭი ვარ: გაესჭრი, გავაპობ და ისე გევიარ შუაში!— სჭექდა და ჰქუხდა გაბოროტებული ივანე.

— ახირებული კი იცი, ივანე, ღმერთმანი! სიმართლე ნუ კი გეწყინება! კაცს ღმერთის უნდა ეშინოდეს მაინც! ვინაა დანაშაული შენს საქმეში? შენი ხელით წეიხთინე თავი და ვის რას ემართლები, რომ არ ვიცი?

— ნუ ბჟუტუროზ რაცხას! იგი მე ვიცი, ვინცხაა დანაშაული! მე არაფერს ვემართლებოდი ნიკოია კალაძეს? აფერს ვემართლები სამსონა ტარაძეს და სხვებს კიდო? არაკაცს არა აქ ბრალი? ა? ქვეყანას არ შევარჩენ მე ჩემს გაფუჭებას! ვინც მევინელე, მევინელე და ვინც არა, იგენსაც მალე დუუბნელებ მზეს!—კბილების კრაჭუნით დააბოლოვა ივანემ.

— შენ არა კაცი აღარ გენაღლება ახლა!—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ალექსიმ ათრთოლებულის ხმით, ბრუნდს და მართალს აღარ არჩევ, იმიზა რომ თვითონ არ გამოგიცდია მაი შეწუხება! რას ვერჩი სოფელს, ვინ რა დამიშავა? არაფერი

არ მინდა ქვეყანაზე! სანამდე ცოცხალი ვარ ორ ლუკმა მჭადს ისეიც კი ვიშოვნი, ამიზა აფერ კაცს არ ვაწუხებ!

— დეიკარგე საცხა! გულ-ჩვილობა დამიწყო ახლა აქანაი! ამიზა რაღა გაფირალებდა, თავს შენი ხელითაც კი მეიკლავდი, თუ გინდოდა!

ალექსი მოთმინებიდან გამოვიდა.

— თვითან შენ დააქციე ჩემი ოჯახი, შენ გამაუბედურე მე და ახლა მიჩივი მაგას?—შეჰყვირა მან.—ნუ მათქმიებ ყოლიფერს! ნენაის ცოდვა კას არ გიზამს შენ! რას მოხვიდოდი ჩვენსას იმ ღამეს, რა გინდოდა? ხომ იცოდი, რომ სხვაიც შეიტყობდა მაგას? მარა არაფერი კაცი არ გენაღლება შენ, არც მტერი და არც მოყვარე! იცოდი არ გიღალატებდი და ქე დამღუპე!... მე წკიპურტი არ წამიკარებია კაციზა მის დღემჩი! ოღონ ახლა გამიწყრა აგერ ღმერთი თვარა! მე დღეს კაცის მკვლელი შევიქენი! ღმერთმა ჰკითხოს ვინცხაის ბრალი მაგია! გადამრიეს, ოჯახი ამომიგდეს და ქე დამძლია ეშმაკმა! კაცი რომ განადირდება, მერე რას არ იზამს იგი? მარა მეტი ალარ შემიძლია, არა! მე თავი მომძულდა, არაფერს არ ვეძებ ქვეყანაზე, საცხა ერთი ტყვია რავა ვერ მომკლავს!

ივანე გაბრზადა.

— რა თავს იგდებ შენ, ყაძახო! გაჩუმდი, თვარა..... კისერიც მოგიტეხია, მე იმის დერდი არ მქონდეს,—მრისხანედ შესძახა მან.

ეს ლაპარაკი მოულოდნელმა ხმაურობამ შესწყვიტა: განთიადმა მოაწია, შორიდგან მოისმა სიმინდით დატვირთულ ურმების ჭრიალი და მშვენიერი „ხელხვავი“. ალექსის გული ამოუჯდა. „ვაიმე ჩემო დაღუპულო ოჯახო!“ წაილუღლუღა მან და თვალებზე ცრემლი მოადგა.

უმეტესი ნაწილი გურიისა დიდად შეწუხებული იყო. ავაზაკობა ისევ მძვინვარებდა. თავ-გასულნი ფირალები არავის ალარ ერიდებოდნენ. კაცის-კვლა და ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო. ვინ იცის ამ ავაზაკობის წყალობით რავდენმა უღირსმა კაცმა შეისრულა თავისი საზიზღარი განზრახვა, ვინ მოსთვლის

რამდენ აღმაშფოთებელ ბოროტებას ჩაუვლია სრულიად შეუმჩნევლად, დაუსჯელად!.... ამ სენის მოსასპობად ბევრს ცდილობდნენ; სასოფლო გზებში ღამის დარაჯნი, „სტრაჟები“ და ყაზახები იყვნენ ჩასაფრებულნი. სამაზრო აღმინისტრაციას ხან-და-ხან მოსდიოდა ცნობები: „ფირალები ამა და ამ კაცისას ათევენ ღამესო“, ოზურგეთიდან ხშირად იგზავნებოდნენ ჯარის-კაცთა რაზმები სხვა-და-სხვა სოფლებისაკენ ავაზაკების შესაპყრობად, მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის ახერხებდნენ ხიფათისაგან უვნებლად თავის დახწევას.

დეკემბრის სუსხიანი ღამე იყო. ხან-გრძლივი წვიმების შემდეგ პირველი თოვლი მოდიოდა. ხეები თეთრად შემოსილიყო. თოვლს დედა-მიწაც დაეფარა; მხოლოდ სასოფლო ატალახებული გზა აქა-იქ შავად გამოიყურებოდა: ჯერ კიდევ აქ ვერ მოეკიდებინა ფეხი თოვლს. სოფ. №-ს კარგა ხანია ჩასძინებოდა. ხანდახან, კანტი-კუნტად, ძაღლის ყეფა თუ მოისმოდა. აგერ მამაძაღლმაც იყივლა, განთიადი მოახლოვდა. ამ დროს ხსენებულს სოფელში, ერთი აზნაურის სამზარეულო სახლში, ცეცხლის პირას, ისხდნენ ივანე და ალექსი. ამათ გ-რდა მკრთლად განათებულს სახლში მოსჩანდა თვით მასპინძელიც.

— მასპინძელმა ღამე ჩემთან უნდა გაათიოს, ვერ მოშცილდება. მეც დაიმედებული უნდა ვიყო, ღალატის აღარ უნდა მეფიქრებოდეს!—დაიწყო ივანემ.

— მადლობა დმერთს, პირველად არ ხარ ჩემს ოჯახში!— რავა რაფერ ჩივი, ივანე, თუ ღალატი მდომებოდა, ამდენ ხანს ვერ გიღალატებდი თუ იცი? აგერ წუხანდელი უძინარი ვარ და პაწას წევიძინებ-მეთქი ოდაში, თვარა ისე სულ ერთი არაა საცხა ვიქნები!—წარმოსთქვა მასპინძელმა, რომელსაც თა-ნდათან მოუსვენრობა ეტყობოდა.

— ვეფერ კაცს ვერ გენდობი ახლა, ვერა! ამაღამ აქიდან ვერ გაებანდალები ტყუილაი!—წამოიძახა განრისხებულმა ივანემ.—აფერი სალაპარაკო არ გაქ ახლა აქანაი! ფულს იღებ და ღამეც ისეთი უნდა გამათევიო, რავაც მე მინდა, თვ...

ივანეს რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ დაუსრულებელი სიტყვა პირში შერჩა: ამ დროს აჩქარებული ბაგა-ბუგი მოისმა. ამის გაგონებაზე ივანე თვალის დახამხამებაში მივარდა მასპინძელს და გულში ხანჯალი აძგერა. „ჩემი... ღალატით... გაკეთება თუ გინდოდა... აბა ნახე რავაია ღალატი... შენ მაინც აღარ დაგტიებ ცოცხალს!“... ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროლა გამძვინვარებულმა ივანემ. ალექსი ამ დროს კარს მისდგომოდა და ჯუჯრუტანაში იყურებოდა.

ამასობაში ორმოც და ათი შეიარაღებული კაცი გარს შემოერტყა სახლს. „სახლში ვინც ხართ, დაგვნებდით, გირჩევნიენ, თვარა, რავაც გაქცევას მეინდომებთ, მაშვინათე გაგათავებთ, იცოდეთ! თქვენი წასვლა არ იქნება!“—მოისმა ხმა გარედან.

— თქვენ ვინც შეგიშინებიან, იგი შიაშინეთ კიდო! სანამდი ალექსაი ცოცხალია, თქვენ იმას ვერ იშოვნით!—წამოიძახა მღელვარებით ალექსიმ, ჰკრა კარს წიხლი, გადააქცია და შურდულივით გარეთ გავარდა. სწრაფად მიმოიხედა მან გარშემო, ეტყობოდა თვალით ვიღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ შეემჩნია. „ვაი შენს ტყავს და რაღა დროისაა ახლა!“—მწუხარედ წაიჩურჩულა მან თავისთვის და თოფი მიწას დაახალა. ამ დროს თოფებმა დაიგრიალეს. „ნენავ, საცოდაო ნენავ!“—ამოიკვნესა ალექსიმ და გულ-გახვრეტილი მიწაზე დაეცა.

იმ დროს, როდესაც ალექსი სიკვდილს ებრძოდა, ივანე უკანა კარიდან ფრთხილად გარედ გავიდა და უეცრად გაჰქრა. დღემდის გამორკვეული არ არის, როგორ მოახერხა მან გაქცევა. მართალია, თოფები კი გაისროლეს, მაგრამ ივანე მაინც უვნებლად წავიდა. ამ გარემოებამ სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობდნენ: „სტრაჟებს რომ მიენდომებიენ, რავა წევიდოდა დავლაძე ცოცხალი, მარა იგი განგებაი გაუშვესო“. ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ „იმას იმისთანა წამალი აქ, ტყვია არ მიეკარებაო“. მეორე დღეს ტფილისის გაზეთებში შემდეგი ცნობა იყო ოზურგეთიდან: „გუშინ, დილის სამს საათზე, ს. №-ში მოჰკლეს ფირალი სანდომიძე. დავლაძე მძიმედ დაჭრილია. ადმინისტრაცია ენერგიულად სდევნის მას“.

IX

სოფიოს სიკვდილმა დიდს მწუხარებაში ჩააგდო გიორგი. ის ერთობ ძლიერ მოხუცდა, მოტყდა. სოფიო, როგორც იყო, ოჯახს უძღვებოდა, მეთაურობდა, მაგრამ ეხლა აღარავინ იყო თადარიგის დამჭერი. შვილის უბედურებამ მთლად გაამწარა საწყალი მოხუცი, ვინ იცის, რა საშუალება არ იხმარა, რომ შვილი დაეხსნა როგორმე. უმეტესი ნაწილი მიწა-მამულისა და ოდა ამ საქმეს მოახმარა, ჯერ კიდევ საპყრობილეში იჯდა ივანე, რომ გიორგიმ მთავრობას მიმართა და ითხოვა: „მაგი ერთი შვილი მაჩუქეთ, მოხუცებული კაცი ვარ, მეტი არაფერი გამაჩნია ქვეყანაზე; იგია ჩემი მარჩენალი და მანუგეშებელიო“, მაგრამ ვერას გახდა. პირველად გიორგის არ უშლიდნენ საპყრობილეში შვილის ნახვას, მაგრამ, როდესაც ივანეს დანაშაულობა საბოლოოდ დამტკიცდა, მაშინ გასჭირდა საქმე. მოხუცი ყოველთვის, როცა შვილის სანახავად წასვლას დააპირებდა, გულ-მოდგინედ იკეთებდა ჩოხაზე თავისს ძველს პრაპორჩიკის ეპოლეტებს და ისე მიადგებოდა საპყრობილეს კარებს, „ეგება მომერიდონ და ერთი გზობა მაინც მაჩვენონ ჩემი ივანე ციმბირში გაგზანამდიო“, მაგრამ ამაოდ; ბოლო დროს, ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ: „შენი შვილი „სეკრეტშია“ და იმისი ნახვა არ იქნებაო“. „ღმერთო, დიდება შენს სახელს, რა შეგცოდე იმისთანაი, რომ ასთეი გამამწარე ამ მოხუცებაში? აღარც ცოლის ვარ და აღარც შვილის! სიკვტილი რეიზა გაგიჭირდა მაინც ჩემდა, რომ ამდენ უბედურობას შემასწარი?“ ამბობდა სასოწარკვეთილი გიორგი. იგი დასნეულდა დ ბოლოს ლოგინადაც ჩავარდა. არავინ არ ეკარებოდა მოხუცს; მეზობლებმა შეიძულეს ის: ყველანი წყევლა-კრულვით იხსენებდნენ დავლაძის ოჯახს, რომლის მიზეზითაც მათ ამდენი შეწუხება და მწარე დღეები გამოევლოთ. ავადმყოფს მოვლა აკლდა; თავს ადგა ერთი მოხუცი დედაკაცი, რომელსაც გიორგი ხუთ ფუთ სიმინდს დაჰპირდა თვეში. ორი

თვე იავადმყოფა მოხუცმა და შემდეგ გმრდაიცვალა. მიცვალებულის დასაფლავება მისმა ძმამ, თევდორემ, იკისრა... გავიდა ერთი კვირა. იანვრის საღამო იყო. გარედ მძაფრი ყინვა ჭარს ებრძოდა. ამ დროს, სწორედ იმ სახლიდან, სადაც რამდენისამე დღის წინად გიორგიმ სული დალია, რაღაც გაურკვეველი ხმაურობა და სიმღერის ხმა ისმოდა: ადმინისტრაციის განკარგულებით აქ რამდენიმე ყაზახი იდგა. ბოლოს ხმაურობა შესწყდა. ერთი ყაზახთაგანი თოფით ხელში გარედ გამოვიდა, ეზო დაათვალიერა და იმ სახლისაკენ მიბრუნდა, სადაც ცხენები ეგულებოდა. უეცრად თოფმა დაიგრიალა და უსულო გვამი ყაზახისა მიწაზე დაეცა... მესამე დღეს სამსონ ტარაძეც მოჰკლეს...

ამის შემდეგ ბევრი აღარც ივანეს დასცლია. ბოლოს დროს ის ძალიან ფრთხილად იქცეოდა, იშვიათად თუ ვისმეს ენდობოდა. ჯერ კიდევ ზამთარი მეფობდა. შუა ღამე იქნებოდა. ამ დროს ტყის განაპირას, ერთ ვიწრო, სოფლისკენ მიმავალს, ბილიკზე გამოჩნდა ივანე. სწორედ სანახავად ღირდა ეს ახოვანი, თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი. მშვენიერი კავკავის ნაბადი გვერდზე მოეგდო და ფრთხილად წინ მიდიოდა; მისს მოძრაობაში მედიდურობა და ამპარტავნობა ისახებოდა. აი გაუსწორდა ერთ საყანე ადგილს, რომელსაც გარს ერტყა მაღალი თხრილი, ამასობაში მთვარემ ოდნავ გამოაშუქა. უეცრად თოფების გრიალი მოისმა თხრილიდან. ივანემ ერთი საზარლად დასჭყივლა, სწრაფად გაისროლა თოფი და წინ გაექანა, მაგრამ გაქცევა შეუძლებელი იყო. მაშინ, უკვე მძიმედ დაჭრილი, ერთს მოხერხებულს ალაგს მივარდა და ხეს ამოეფარა. აქ ჩქარა გაჩნდა რამდენიმე ჯარის-კაცი. ასტყდა სროლა. ივანე განწირულებით იბრძოდა და თან შემარყეველის ხმით კიჟინას სცემდა. ოთხი ჯარის-კაცი მოკვდა, ერთიც დაიჭრა. „მოდით აბა პირდაპირ, დედი თქვენის შვილი ხართ... ახლო მოდი, ვინმემ, თუ გულს გერჩის, თუ კაი ბიჭები ხართ... ძვირად დაგიჯენ მე თქვენ ჩემს თავს, ძვირად!...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ხანს ისმოდა ჩახლეჩილი ხმა ყაჩაღისა. ბოლოს ტყვია მარჯვენა ხელში მოჰხვდა, და თოფი ხელიდან გავარდა. ძალ-ღონე ჰლალატობდა, მაგრამ მაინც არა სცხრებოდა. ახლა რევოლვერის ამოღებას ცდილობდა. კვლავ გაისმა თოფების გრიალი და ივანე საუკუნოდ დადუმდა...

⁂

განვლო რამდენმამე თვემ. ქვეყანა მოსვენებას მისცემოდა. ფირალების შიში აღარავის ძილს არ უფრთხობდა. შემთხვევით ნ—ში წასვლა მომიხდა. მაისის მშვენიერი საღამო იყო. ჩამავალი მზის სხივები ქვეყანას უკანასკნელად ეალერსებოდნენ. სადღაც შორს „ელესა"-ს *) გასძახოდნენ. ამ დროს ეკლესიის ზარის მშვიდი ღუღუნიც გაისმა; მწუხრის ლოცვა იწყებოდა. ამასობაში ნ—ს მივუახლოვდი. ის იყო პატარა ბუჩქნარში შევედი, რომელიც ამ სოფელს დასავლეთით აკრავს, უეცრად გულ-საკლავი ქვითინი შემომესმა. მე შევკრთი, ცხენი შევაყენე და დავაყურე. ახლა უფრო გარკვევით მოდიოდა ხმა. გზას გარდვუხვიე, ცხენი დავაბი და გავსწიე იქით, საიდანაც გულის ამღვრევი ხმა მოისმოდა. ფეხ-აკრებით, სულ-განაბული მივდიოდი წინ. ბოლოს შემდეგი სურათი წარმომიდგა: ერთის ხის ძირას, მიწაზე, პირქვე ჩამხობილი ეგდო ფეხ-შიშველა, შავს ძაძში გახვეული დედაბერი და საცოდავად ბღაოდა: „შვილო, ალექსავ, მომენატრე, ერთი მეჩვენე, არაფერი გიჭირს, ნუ მემალები!" მე მიუახლოვდი მოხუცს და დავაცქერდი მისს ჭაღარა, გაწეწილს თმებს.

— დედი, რა იყო, რა დაგმართნია?—გაუბედავად წარმოვსთქვი მე.

მოხუცმა, რომელსაც ვერ გაეგო ჩემი მისვლა, მოიბრუნა ჩემსკენ დაოსებული, მწუხარე სახე და ანთებულის თვალებით დამაშტერდა. ქვებით მოფენილი, ცოტად ამაღლებული

---

*) ელესა—სიმღერაა, რომელსაც ყანის მუშაობის გათავების დროს მღერიან.

ფხვიერი მიწა, რომელზედაც მოხუცი დამხობილიყო, ამტკიცებდა, რომ აქ სამარე იყო ადამიანისა.

— რავა რა იყო, ბატონო, აქანაი ჩემი ალექსაი არის განზუთხული, ჩემი მარჩენალი შვილი, ჩემი!— შემოშბღავლა საცოდავმა დედა-კაცმა და ისე ძლიერად დაახეთქა თავი მიწას, რომ მეგონა ტვინი დაანთხია-მეთქი.

— შვილო, შვილო, ჩემო კოკობ-ულვაშა ალექსავ, ჩემო ნენავ, რეიზა მოგიძულე, რეიზა დამტიე ძაღლის საჭმელად? ამას მპირდებოდი, ნენა, შენი ჭირიმე, ჩემო ძუძუავ?— გაწირულებით მოსთქვამდა საცოდავი მარინე და თან გულ-მკერდს იგლეჯდა. ამ გულ-ჩამთუთქველმა სანახავმა მე სულ ამრია. მინდოდა სანუგეშო რამ მეთქვა, მაგრამ სიტყვა ყელში შემრჩა. შეწუხებული, თვალ-ცრემლიანი ვუყურებდი უბედურს და ვერას ვახერხებდი...

ლალიან

ხევსურული ლექსები

(თქმული ვაჟიკა არაბულისაგან)

I

ატირდა კაი ყმის ცოლი:—აღარ მამივა შინაო.
იცინის ცუდაის ცოლი:—გამაიქცევა წინაო.
გამაქცეულის მასვლასა არ მასვლაი ჰჯობს შინაო.

II

უღელ ხარ მივცემ თოვჩია ჩემს ძმობილს, ჭრელოს ციხელსა.
გავღმართე შვიდ-ღარიანი ოც და შვიდ მოვკალ იმ წელსა.
ერთნი რქან 'ლაშარს წავიღე, რომ გამიჭირდეს, მიშველსა.
სამაიაცა გამართეს, მე გული ქარას მიწევსა;
ბოლოში მიზის მარწყვაი, ხელს მიქნევს; თვალსაც მიცემსა:
—ახლოს მოვ,—მეჩუქჩუქების,—რასღა უსხეოთ, მივსწვეთა.—
ვენაცვლე ლაშარის ჯვარსა, მეც იმ ქალისკენ მიმწევსა;
გულით რომ გულზე დავეკრა, ღმერთს რას დავმადლებ იმთვენსა.

III

კარგი ყმა, მგელი, არწივი არც ერთ არ გაიწურთნება:
მგელი არ მოჰშლის მგლობასა, კაი ყმა—მამაცობასა,
არწივი—არწიობასა, მთის ყურეთ თამაშობასა.
მგელი გაივლის მთაზედა, წამ გაბერტყილი დარჩება,
არწივი დაიხულება, მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის 1) თიკანსა, ხორცი მვალადავ დარჩება.
მაში(ნ) კარგია კაი ყმა, დილა რომ ბინდი დგებოდეს,
იცვემდეს ჯაჭვის პერანგსა, «ომს ვიქამ», ემზადებოდეს;
ცხენი რომ ხრევდეს ლაგამსა, წაღმა უკუღმა ხტებოდეს.

---

1) შუნი—გარეული თხა.

ცეცხლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი მეოთხე

I

უნდა დავუბრუნდეთ წინანდელს ამბავს, სახელდობრ, იმ ღამინდელს ამბავს, როცა სქშეტუსკიმ რაზლოგს გაჰგზავნა ჟენძიანი კუდაკიდან და თან წერილი გაატანა მოხუცებულ კნეინასთან. უამისოდ ვერ გავიგებთ, რა ბედი ეწია რაზლოგს. სქშეტუსკი სწერდა, რომ დიდადა გთხოვთ, რაც შეიძლება მალე წაბრძანდით ლუბნს, თან წაიყვანეთ ელენეც და მიჰმართეთ თავად ირემიას მფარველობასა, რადგან, შესაძლოა, დღეს არა ხვალ უთუოდ ატყდეს ომიო. ჟენძიანი ჩაჯდა იმ ნავში, რომელიც პან გროძიცკიმ გაჰგზავნა თოფის-წამლისათვის და გაუდგა გზას. ნავი ნელ-ნელა მიცურავდა: ძნელია პირ-შელმა სიარული ნავისა. კრემენჩუგს ახლო ნავი შეხვდა ლაშქარს, რომელიც გეტმანს გამოეგზავნა ქშეჩოვსკისა და ბარაბაშის მხედართ-მთავრობით ხმელნიცკის წინააღმდეგ. ჟენძიანმა ინახულა ბარაბაში და უამბო, რომ დიდი განსაცდელი მოელის სეჩს პან სქშეტუსკისაო, ამასთანავე ევედრებოდა მოხუცს პოლკოვნიკს, არ დაივიწყოთ დესპანი და ორიოდე სიტყვა დაჰხარჯოთ იმისთვის ხმელნიცკის წინაშეო.

*) «მოამბე» № IV.

ჩვენი მგზავრები ჩიგირინს განთიადისას მივიდნენ. ქალაქის შესავალ კარებშივე მცველებმა სთხოვეს უფროსსა და ჟენძიანს, პოლკოვნიკთან უნდა წამოხვიდეთ და გამოეცხადოთო.

— ჩვენს პოლკოვნიკთან?—ჰკითხა უფროსმა.

— პან ლობოდასთან. დიდმა გეტმანმა იმას უბრძანა, ვინც სეჩიდან ჩიგირინს მოდიოდეს, ისე არ განუტევოთ, რომ ყოველივე ამბავი არ იწვრილოთო.

ჟენძიანი გულადად მიდიოდა; საფათერაკოს არას არ ელოდა; იცოდა, რომ აქ ჰბატონობს გეტმანიო.

მივიდნენ პან ჟელენსკის სახლში, საცა იდგა პოლკოვნიკი ლობოდაცა. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით პოლკოვნიკი ჩერკასს წასულიყო და თვისი თანამდებობა ჩაებარებინა პოდპოლკოვნიკისათვის. დიდ ხანს იცდიდნენ იქ მისულნი; ბოლოს ძლივს გაიღო კარები და გამოჩნდა პოდპოლკოვნიკი, რომელსაც იმდენს ხან ელოდნენ.

ჟენძიანი შეკრთა იმის დანახვაზედ.

პოდპოლკოვნიკი ბოგუნი იყო.

გეტმანს, მართალია, ჯერ ისევ დიდი ქარი უქროდა ჩიგირინს, მაგრამ, რადგან ლობოდა და ბოგუნი ჯერ ხმელნიცკის არ მიმხრობოდნენ და საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ერთგულნი ვართ რესპუბლიკისაო, გეტმანმა იმათ მიანდო, ყური უგდეთ ჩიგირინსაო.

ბოგუნი მოუჯდა სტოლს და დაუწყო ჩვენების ჩამორთმევა.

უფროსი, რომელსაც პან გროძიცკის წერილი ჰქონდა გატანებული, აძლევდა ჩვენებას თავის მაგიერადაც და ჟენძიანის მაგიერადაც. ახალგაზდა პოდპოლკოვნიკმა გასინჯა წერილი და დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა, რა ამბავია კუდაკში, რას ამბობენო; ცხადი იყო, რომ ძრიელ უნდოდა გაეგო, რად გამოუგზავნია პან გროძისკის ხალხი ნავით დიდს გეტმანთანაო. მაგრამ უფროსმა თვითონაც არა იცოდა-რა, ხოლო წერილი პან გროძიცკის ბეჭდით იყო დაბეჭდილი. ბოგუნმა გაათავა ჩვენების ჩამორთმევა და ქისას გაიკრა ხელი, რომ

ფული მიეცა საჩუქრად მოსულთათვის ლუდის დასალევად და სწორედ ამ დროს გაიღო კარები და პან ზაგლობა კი შემოიჭრა.

— გამიგონე, რა გითხრა, ბოგუნო-და,—დაიწყო ყვირილი ზაგლობამ:—იმ წყეულმა დოპულმა ხომ არ გამოგვიჩინა საუკეთესო „სამ-ნახადი“. ჩავყევ სარდაფში... ვნახოთ, ერთს კუთხეში რაღაცაა მიჩქმალული... რა ვქნა, ვამბობ გულში, თუ თივაა, არც თივაა-მეთქი... ვეკითხები: ეს რა არის-მეთქი?—თივააო. რას მომატყუებდა! შენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია დავიცვალე-მეთქი. თუ თივაა, ეგ თივა შენა სჭამე, რადგან ხარი შენა ხარ-მეთქი და მე კი შენს თაფლს გადავხუხავ-მეთქი. აგერა!—სთქვა ესა და პან ზაგლობამ დიდის ამბით დაანახვა ბოგუნს ბოთლი, მაგრამ უცბად გაჩერდა, შეჰხედა ჟენძიანს და ბოთლი სტოლზედ დასდგა.

— თუნდა ხატზედ დავიფიცავ, რომ ეს სქშეტუსკის პაჟია!—შეჰყვირა ზაგლობამ.

— ვისიო?—შეეკითხა ბოგუნი აჩქარებითა.

— პან სქშეტუსკისა, რომელიც კუდაკს წავიდა და წასვლის წინად ისეთის თაფლით გამიმასპინძლდა აქა... რა თაფლი იყო, რა თაფლი, ის დალოცვილი! ჰჰ, როგორ არის შენი ბატონი? ჰა! ხომ კარგად არის?

— კარგად გახლავთ. მოკითხვა შემოგითვალათ,—სთქვა პასუხად თავ-გზა დაბნეულმა ჟენძიანმა.

— კარგი რამ არის, რაინდია ნამდვილი, რაინდი! მერე შენ ამ ჩიგირინში როგორ-ღა გაჩნდი? კუდაკიდან რად გამოგგზავნეს?

— სქშეტუსკის საქმე აქვს ლუბნში და ამიტომ გამომგზავნა; მაგას გარდა, მეც საქმე არა მქონდა-რა კუდაკში.

ბოგუნმა, რომელიც აქამდე ყურადღებით აკვირდებოდა ჟენძინს, სთქვა:

— მეც ვიცნობ შენს ბატონს, რაზლოგში ვნახე.

ჟენძიანმა თავი დაიქნია და, იმ მიზეზით რომ ვითომ ვერ გავიგონე, რა სთქვიო, ჰკითხა:

— სადა?

— რაზლოგსა.

— კურცეკიჩებთან თუ,—განმარტა ზაგლობამ.

— ვისთანა?—იკითხა კვლავ ჟენძიანმა.

— შენ, ჩემო კარგო, დაყრუებულხარ როგორღაც,—უგულოდა სთქვა ბოგუნმა.

— ძილი მომერია, მგონია.

— მოესწრობი ძილსა. შენმა ბატონმა ლუბნს გამოგგზავნა?

— დიაღ, დიაღ, ლუბნსა!

უთუოდ გულის ვარდი ეგულება იქ,—ჩაურთო სიტყვა ზაგლობამ,—და იმას თუ უთვლის მოკითხვასა.

— რა მოგახსენოთ, იქნება ეგულება და იქნება არც ეგულება,—უპასუხა ჟენძიანმა და თავი დაუკრა ბოგუნსა და პან ზაგლობას.—დიდება მამასა, და ძესა და წმინდასა სულსა!—განაგრძო ჟენძიანმა და დააპირა გამოსვლა ოთახიდან.

— უკუნითი უკუნისამდე! — დაამთავრა ბოგუნმა.—ჯერ მოიცა, პატარავ, ნუ ჩქარობ, რად მიმალავდი და არ მითხარი, თუ სქშეტუსკის მხლებელი იყავი?

— თქვენ არ გიკითხავთ და მეცა ვსთქვი, რად უნდა ვსთქვა-მეთქი! დიდება მამასა და ძე...

— მოიცა-მეთქი, მე შენ გიბძანებ! წერილები გაქვს რამე თანა?

— წერილის მოწერა პან სქშეტუსკის საქმე იყო, ხოლო მე წერილი იმას უნდა მივართვა, ვისთანაც მიწერილია. ახლა კი, ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ.

ბოგუნმა შეიკრა კოპები და შემოჰკრა ტაში-ტაშსა. ორი მცველი შემოვიდა ოთახში.

— გაჩხრიკეთ ეს ბიჭი!—შეჰყვირა ბოგუნმა და ჟენძიანზედ მიუთითა.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ძალ-მომრეობაა!—დაიწყო წრიპინი ჟენძიანმა.—მე შლიახტიჩი ვარ, თუმცა სხვას ვემსახურები, და პასუხს აგებთ ასეთის საქციელისათვის.

— ბოგუნო, დაანებე თავი ამ ყმაწვილს! — დაიწყო პან ზაგლობამ, მაგრამ ერთმა მცველმა უპოვა ჯიბეში ჟენძიანს ორი წერილი და მიართვა პოდპოლკოვნიკს.

ბოგუნმა დაითხოვა მცველები: კითხვა არ იცოდა და გამხელა ამისი ეთაკილებოდა თვისთა ხელქვეითთა წინაშე.

— წაიკითხე, — უბრძანა მან ზაგლობას, — შენ წაიკითხე და მე ამ ვაჟბატონს დავუწყებ ცქერასა.

ზაგლობამ ამოიკიჟა მარცხენა თვალი და დაიწყო კითხვა ადრესისა:

„დიდად პატივ-საცემს ქალბატონს კნეინა კურცევიჩს რაზლოგში".

— მაშ, ქაჯან, შენ ლუბნში მიდიოდი და რაზლოგი კი არ იცოდი, სად არის? — ჰკითხა ბოგუნმა და საშინელის თვალებით დაუწყო ბღვერა ჟენძიანს.

— საცა მიბრძანეს, მეც იქ მივდიოდი. — ტირილით უპასუხა პატარამ.

— გავხსნა თუ არა? შლიახტიჩის საიდუმლო ხუმრობა არ არის, — სთქვა ფიქრში წასულმა ზაგლობამ.

— დიდმა გეტმანმა მომცა ნება ყოველი წერილი დავათვალიერო. გახსენ და წაიკითხე. — ზაგლობამ გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა:

„მოწყალეო ხელმწიფევ etc. გაუწყებთ პატივისცემით, რომ მოველი კუდაკს, საიდანაც, თუ ღმერთი შემეწია, სეჩს ვაპირობ წასვლას ხვალ დილით; ახლა კი გწერთ წერილს, რადგან ძილი არ მეკარება და სულ ის მაწუხებს, რომ ავაზაკმა ბოგუნმა, ან სხვამ ვინმე იმის ბრბოს კაცმა არ შეგაწუხოთ. ხოლო რადგან აქ კრიშტოფ გროძიცკიც ამბობს, რომ ომი, შესაძლოა, დღეს არა ხვალ ატყდეს და მთლად მდაბიო ხალხი აჯანყდესო, ამიტომ გაფიცებთ და გევედრებით, რაც შეიძლება საჩქაროდ წაბრძანდეთ ელენესთან ერთად ლუბნს, თუნდა გზებიც უვარგისი იყოს. გამხადეთ ღირსი და ამისრულეთ ეს თხოვნა, რათა ეჭვში აღარ ვიყო, რომ ვაი თუ დაბირებული ბედნიერება ამცდეს და დაბრუნებისას გამიცრუვდეს ტკბილი

იმედი-მეთქი. ხოლო რაკი ბოგუნს საქმეს არ უთავებთ, ელენეს კი მე დამპირდით და იმასაც ჯერ იმედს არ უკარგავთ, ამიტომ, ვგონებ უკეთესია მიჰმართოთ თავადს, ჩემს მფარველს, რომელიც შეგივრდომებთ და შეგიხიზნებთ. კაცებსაც გამოგიგზავნით თავადი რაზლოგში და თქვენს უვნებლობასაც დაიცვავს. ახლა ღმერთსა ვსთხოვ თქვენს კარგად ყოფნასა და დავშთები etc.. etc.“

— ჰმ! პან ბოგუნო,—სთქვა ზაგლობამ, — რა ამბავია-და! მაშ, თქვენ ორივენი ერთსა და იმავეს ეტრფოდით? მერე რატომ წინად არა მითხარი-რა, თუ აგრე იყო? მაგრამ გული დაიმშვიდე, მეც მაგისთანა საქმე დამემართა ერთხელ...

პან ზაგლობას სიტყვები მახვილივით ჰხვდებოდა ბოგუნს. ბოგუნი იჯდა გაქვავებული, გაფითრებული, თვალებ-დახუჭული და ისე უკრთოდა სახე, თითქო ფილენჯის ქარები დაჰმართნიაო. რაღაც საშინელი ამბავი იყო იმის თავს.

— რა დაგემართა?

ყაზახმა უცნაურის სიმკვეთრით გააქნია ხელი და ხრინწიანის ხმით წარმოსთქვა:

— წაიკითხე... მეორე წერილი.

— მეორე წერილი კნიაჟნა ელენესთან არის.

— წაიკითხე, წაიკითხე!

ზაგლობამ დაიწყო:

„ძვირფასო, სატრფიალო ელენე, დედოფალო და ქალბატონო ჩემის გულისა! რადგან სამსახურის გამო დიდ ხანს დავრჩები აქეთს ქვეყნებში, ამიტომ ვწერ ძალუა-შენსა, რომ დაუყოვნებლივ წახვიდეთ ლუბნს, საცა ბოგუნი სრულიად ვერას დაგაკლებთ, საცა ჩვენი სიყვარული...“

— კმარა!—დაიგრიალა ბოგუნმა, იხტუნა და ერთის გადახტომით ხმალ-ამოღებული აეყუდა წინ ჟენძიანსა.

საწყალმა ყმაწვილმა, შიგ გულში განგმირულმა, დაიკვნესა და უგრძნობლად დაეცა იატაკზედ. ბოგუნს მოუარა საშინელმა მძვინვარებამა: ეცა პან ზაგლობას, წაჰგლიჯა წერილები ხელიდან და ჩაიდო უბეში.

— ამხედრდით ეხლავე!—შესძახა ბოგუნმა თავის ჯარის-კაცებსა.

ყველანი გაიფანტნენ და გაიქცნენ აქეთ-იქითა; პან ზაგლობა მიუახლოვდა ალაყაფის კარებს და დაშტერებით დაუწყო ცქერა ახალგაზდა პოდპოლკოვნიკს.

— სალაშკროდ ემზადები?—ჰკითხა მან.

— სწორედ.

— მერე საით აპირობ წასვლას, ერთი კაცმა გკითხოს?

— ქორწილში.

ზაგლობა უფრო ახლო მივიდა.

— ღმერთი აღარა გაქვს, კაცო! გეტმანმა ქალაქის დაცვა მოგანდო და შენ კი სხვაგან მიდიხარ და ჯარის-კაცნიც თან მიგყავს. ბრძანებას არღვევ. აქ ბრბო მდაბიო ხალხისა მხოლოდ ხერხიანს დროს ელის, რომ დაესხას თავს თავად-აზნაურობას. ჰნახავ თუ გეტმანის რისხვა არ დაგატყდეს თავს!

— ჯანდაბას იმისი თავიცა და ქალაქიცა!

— კაცო, შენ შენს თავს გაუფრთხილდი!

— ჯანაბას ჩემი თავიცა!

ზაგლობა მიხვდა, რომ ყაზახთან ლაპარაკი უსარგებლო საქმე იყო. ბოგუნი ახირდა და, თუნდა თვითონაც დაღუპულიყო და სხვებიც თან მიჰყოლოდნენ, მაინც თავისას აღარ დაიშლიდა.

ზაგლობა მიხვდა, სადაც აპირობდა ბოგუნი წასვლას და პატარა ხანს ფიქრმა წაიღო: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, წაჰყოლოდა თან ბოგუნსა, თუ სახლში დარჩენილიყო. წავყვე, ხუმრობა არ არის, განსაცდელში რაშიმე ჩამაგდებს, ხათაბალას გადამაცვამს თავს... დავრჩე კიდევა და... ბრბო მდაბიო ხალხისა ხომ მართლა სეჩის ამბავს ელის მხოლოდ, ნიშანს უცდის იქიდან ჩეხა-ჟლეტისასა. იქნება არც ელოდეს და არც უცდიდეს რასმე, ეს ათასი ჯარის-კაცი რომ არ ჰყავდეს აქ ბოგუნსა და ასეთი სანაქებო სახელი რომ არა ჰქონდეს გავარდნილი მთელს უკრაინაში. პან ზაგლობას შეეძლო გეტმანის ჯარსა და ბანაკს შეჰფარებოდა, მაგრამ ამის წინააღმდეგაცა ჰქონდა

რამდენიმე საბუთი. ვინ იცის, იქნება მოაგონდეთ რამ იქ ჩემ შესახებ ისეთი, რაც ჩემთვის სასიამოვნო არ არისო... ამას გარდა, ენანებოდა კიდეც ჩიგირინი. ზაგლობა აქ ისე იყო, თითქო უფლის უბეში ჰზისო: არავინ არა კითხულობდა, ვინ იყო, როგორ იყო მისი საქმე. მერე ისე შეეჩვია და შეეტკბო აქაურობას — თვად-აზნაურთაც, საბაზრო მოურავებსაც, ყაზახთა მამასახლისებსაც. მართალია, ახლა მამასახლისნი წასულნი იყვნენ აქეთ-იქით, ხოლო თავად-აზნაურობა თავისთვის იყო მილაგმული თავ-თავიანთ მამულებში, რადგან აჯანყებისა ეშინოდა, მაგრამ მაინც აქ იყო ბოგუნი, ეს სასიამოვნო მოსაუბრე და კარგი ამფსონი სმაში. ბოგუნმა ქეიფის დროს გაიცნო ზაგლობა და მაშინვე დაუმეგობრდა. მას უკან სულ ერთად იყვნენ განუყრელად. ყაზახი ბზესავით აბნევდა ოქროს, შლიახტიჩი სტყუოდა ულმერთოდ და იყვნენ ორივენი სიამოვნებაში.

ახლა, როცა ან უნდა ჩიგირინს დარჩენილიყო და ბრბოსთვის ჩაეგდო ხელში თავისი თავი, ან წასულიყო ბოგუნთან ერთად, პან ზაგლობამ ისევ წასვლა არჩია.

— რადგან აგრეთს განწირულს ყოფაში ხარ, მაშ მეც შენთან წამოვალ, — უთხრა ზაგლობამ ბოგუნს. — იქნება გამოგადგე რამდე გზაში... აი თუნდა თავს დაგიჭერ და სისულელეს არას მოგაქმედებინებ. ისე შევეჩვიეთ ჩვენ ერთმანეთს, თითქო ღილ-კილო ვიყვნეთ; წინად ვერც კი ვგრძნობდი ამასა და ახლა კი...

ბოგუნმა არა სთქვა-რა პასუხად.

ნახევარს საათს უკან ჯარის-კაცნი უკვე დარაზმულ-ამხედრებულნი იყვნენ. ჯერ ბოგუნმა ჰკრა ქუსლი ცხენსა და იმას უკან მიჰყვა პან ზოგლობაცა. გაუდგნენ გზას. ბაზარში შეჯგუფებული ხალხი ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა მიმავალთ და ჩურჩულობდა ერთმანერთ შორის.

ბოგუნი ხმა-გაკმენდილი მიდიოდა; თითქო წყვდიადიაო, ისე ჩამოჰბნელებოდა და ჩამოსტიროდა თავ-პირი. ჯარის-კაცნი არა კითხულობდნენ, სად მივყავართო. საცა უნდოდა, იქ გაჰ-

ყვებოდნენ ბოგუნს, თუნდა ცეცხლსა და ნავთში გადაერეოდნენ.

რაზმი გავიდა დნეპრში და გასწია ლუბნის გზითა. ცხენები მიდიოდნენ იერიშით და საშინელს მტვერს აყენებდნენ გზაზედა. ისეთი სიცხე-პაპანაქება დაიჭირა, რომ კაცს გული შეუღონდებოდა. ბოგუნმა წინ გაუსწრო ყველასა; პან ზაგლობა დაეწია იმ იმედით, რომ იქნება ლაპარაკი დავუწყოვო.

ახალგაზდა ატამანს სახე დამშვიდებული ჰქონდა, თუმცა კი მოჰგრეხოდა აუტანელის ტკივილის მიზეზითა.

— ე რა სიცხეა, ეს ოხერი,—სთქვა პან ზაგლობამ,—ტილოს კიტელი მაცვია და მაინც ლამის დავიხრჩო. ბოგუნო, ჰაი ბოგუნო!

ატამანის ისე დააშტერდა თვისის ტბასავით ღრმა, შავის თვალებითა, თითქო ეძინა და ეს-ეს არის ეხლა გამოეღვიძაო.

— ე მანდ გაფრთხილდი, შვილოსან,—განაგრძო პან ზაგლობამ,—რომ ეგ პოხონდრია სტომაქიდან, საცა მუდამ დაბუდებულია, თავში არ აგივარდეს. არ გაგიჟდე და ღმერთი არ გაგიწყრეს. არ მეგონა, თუ სიყვარული ეგრე შეგბოჭავდა. ალბად მაისში თუ ხარ დაბადებული. მაისი თვეა ცისკრისა, თვეა სიყვარულისა და ვინც მაისშია დაბადებული, ყველანი ძალიან დედათ-მოყვარულნი არიან. გარნა მოგებაში ყოველთვის ის არის, ვინც თავის დროზედ თავს შეიკავებს, ამიტომ გირჩევ დაანებო თავი შურის-ძიებას. საბუთი დიაღაცა გაქვს, უწყრებოდე კურცევიჩებს, მაგრამ რაო, საქალეთი გაწყვეტილა ქვეყანაზედ?

— ის ერთია, ჩემი მტრედი, ერთი ქვეყანაზედა!—წაიბუტბუტა ბოგუნმა უფრო თავის ფიქრების პასუხად, ვიდრე პასუხად ზაგლობას სიტყვებისა.

— თუნდა აგრეც იყოს, რაღაი ის მტრედი სხვას შეჰღუღუნებს, შენ უნდა თავი მოარიდო. მართალს ამბობენ, რომ გული თარხანი კაცივით არის, ჯარის-კაცობს იმ დროშის ქვეშ, რომელიც ესიამოვნება. ესეც ივარაუდე, რომ იმ ქალის

ძარღვებში კეთილშობილთა სისხლი სდგას. კურცევიჩები მთავართა ჩამომავალნი არიან... სხვა სიგელ-გუჯარია!

— ჯანაბას თქვენი სიგელ-გუჯარინიც და თქვენი ეტრატნიც!—წამოიძახა ატამანმა და ღონივრად დაიკრა ხელი ხმლის ვადაზედ.—აი ჩემი გვარიშვილობა! ჩემი უფლებაც ეს არის, ჩემი ეტრატიცა და ჩემი ერთად-ერთი მეგობარიცა! ჰოი, მოღალატენო! ჰოი, წყეულო სისხლო! წინად კარგი ვიყავ, ძმადა და მეგობრად ვითვლებოდი მაშინ, როცა ყირიმს სათარეშოდ დავდიოდი, ოსმალთა ქონება მომქონდა და დავლა-ალაფს მაგათ ვუყოფდი. მაშინ შვილიც ვიყავ, ქალის მოცემაც აღმითქვეს და ახლა რაღაიო? მოვიდა შლიახტიჩი და სახლის შვილს უთხრეს, მეგობარო, შენ აქედან გაეთრიეო... სული ამომართვეს, გული დამიკოდეს... ქალი სხვას უნდა მივცეთ და შენ კი თუნდ დედა-მიწა ბრდღვენი, ყაზახი ხარ, მოთმენას მიეც თავი, მოთმენასაო...

ბოგუნს ხმა აუკანკალდა; ყაზახმა კბილები დააკრაჭუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში ჩაიკრა მუშტი.

ჩამოვარდა წუთი მდუმარებისა. ატამანი ჰფშვინავდა ვეშაპივით. ტკივილი და სიბრაზე ზედ-მიყოლებით სტანჯავდა მოთმენას მიუჩვეველს ყაზახის განადირებულს გულს. ზაგლობა ელოდა იმ დროს, როცა ბოგუნი მოიღლებოდა შფოთვა-ბორგვითა და დამშვიდდებოდა.

— მაშ, რა გწადიან, თუ ეგრეა, შე საწყალო?— როგორ გინდა მოიქცე?

— მე ყაზახი ვარ... ისე უნდა მოვიქცე, როგორც ყაზახს შეჰფერის!

— ჰმ, ვიცი, რასაც ჰნიშნავს ეგა. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. გეტყვი მხოლოდ იმასა, რომ აქ ვისნეველკების სამფლობელოა და ლუბნიც ახლოა. პან სქშეტუსკი სწერდა კნეინას, რომ ლუბნში წადი შენის მაზლის-წულითაო, მაშასადამე, ისინი თავადის მფარველობის ქვეშ არიან, ხოლო თავადს, შენც კარგად იცი, ხუმრობა არ უყვარს...

— ყეენსაც არ უყვარს ხუმრობა, მაგრამ მე მაინც შიგ პირში ვუვარდებოდი.

— რაო ახლა, თავზედ-ხელ-აღებულო, ომი გინდა გამოუცხადო თავადსა, თუ რა არის?

პან ზაგლობა სულ აღელდა ერთიანად.

— ფუ, შენ და შენს თავსა!—რას მოასწავებს ძერე ეგ შენი წადილი? სახრჩობელას ხომ ველარ ასცდები. კურცევიჩებიც ხელს გამოიღებენ.

— რაო მერე?—ან მე უნდა ვიყო, ან ისინი. მე სულს არ დავუჭერდი კურცევიჩებს. ძმებად მიმაჩნდნენ ისინი, მოხუცი კნეინა კიდევ—დედადა... როგორც ძაღლი, ისე შევცქნაოდი თვალებში. მერე როცა ვასილი თათრებმა შეიპყრეს, ვინ წავიდა ყირიმსა, ვინ დაიხსნა ტყვე? მე... ისე ვემსახურებოდი, როგორც ყმა, იმიტომ რომ, მეგონა, იმ ქალის ღირსი შევიქნები-მეთქი. იმათ-კი, სამაგიეროდ, მილალატეს, გამყიდეს, როგორც მონა და საშინელი ხვედრი, საშინელი უბედურება მარგუნეს წილად... გამომდევნეს... სახლიდან გამომაგდეს... ჰო და მეც წავალ, მხოლოდ ჯერ მადლობას გადავუხდი, უაზახურად გადავუხდი მადლობას მასპინძლობისათვის და ისე წავალ... ჩემი გზა მე კარგად ვიცი.

— სადღა წახვალ მერე, თუ კი თავადს ჩხუბს აუტეხავ? ხმელნიცკის ბანაკში თუ?

— ის ქალი რომ ჩემ ხვის მოეცათ, მე თქვენი მეგობარი ვიქმნებოდი, ლიახებისა, თავს დავსდებდი თქვენთვის. ჩემს მეომრებსაც შემოვიკრებდი, სხვებსაც ბევრს მოვიმხრობდი, ხმელნიცკის მივეტევებოდი, ჩემს სისხლსა და ხორცს ვეკვეთებოდი და სულ ცხენის ნალებით დავსრესავდი. მერე ჯილდოს მოვითხოვდი თუ? არა! წავიყვანდი **იმას** და გავფრინდებოდი დნეპრს იქითა, ღვთის გაჩენილ მინდორ-ველად, ყრუ უდაბნოში, საცა მდორედ მიდუდუნებენ მდინარენი... ჩემთვის ესეც საკმაო იქმნებოდა... ახლა კი...

— ახლა კი გადაირიე.

ატამანმა არა უპასუხა-რა, გადაჰკრა მათრახი ცხენსა და წინ წავიდა შურდულივითა; პან ზაგლობა კი ჩავარდა საგონებელში და სულ იმასა ჰფიქრობდა, ეს რა ხათაბალაში გავებიო.

ეჭვი არ იყო, რომ ბოგუნს აზრადა ჰქონდა, დავესხმი თავს კურცევიჩებსა, ვიძიებ შურს და ძალით გამოვიტაცებ ქალსაო. და აი ამისთანა საქმეში უნდა ვუშველო და ხელი შევუწყო ბოგუნს მე, პან ზაგლობამა! უკრაინაში ამისთანა ამბავი ხშირი იყო და არა იშვიათად დაუსჯელად ჩაივლიდა ხოლმე. მართალია, თუ დამნაშავე შლიახტიჩი არ იყო, მაშინ უფრო ძნელად გადივლებდა თავს კაცი ამისთანა დანაშაულს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყაზახის დასჯაც არ იყო ადვილი: სად დაიჭერდა კაცი ყაზახსა? დანაშაულის შემდეგ ყაზახი მირბოდა ყრუ მინდვრებში და იქ იმალებოდა; ხოლო როცა ატყდებოდა ომი, მოვიდოდნენ თათრები, დამნაშავეც გამოჩნდებოდა, მაგრამ მაშინ კანონები სადღა იყო. ბოგუნსაც ასე შეეძლო გაჰქცეოდა პასუხის-გებას და ამიტომ პან ზაგლობასთვის რა ჭკუა იქნებოდა მხარი დაეჭირა ბოგუნისათვის და სანახევროდ თვით ეტვირთნა იმისი დანაშაული. არა, არც დავეხმარებიო, ფიქრობდა გულში ზაგლობა. თუმცა ბოგუნი ჩემი მეგობარია, მაინც მე, პან ზაგლობას, შლიახტიჩს, არ შემეფერება, რომ ყაზახს დავუჭირო მხარიო. პან ზაგლობა ძალიან თავქარიანი იყო, მაგრამ იმის თავ-ქარიანობასაც თავისი ზომა და სამზღვარი ჰქონდა. ჩიგირინის დუქნებში ქეიფი ბოგუნთანა და ყაზახთა სხვა უფროსებთან სულ სხვა საქმეა, მეტადრე როცა ქეიფში ფულს ისინი ჰხარჯავენო; ეხლანდელ არეულ დროში მაგისთანა ხალხთან საქმის დაჭერა სასარგებლოც არისო. პან ზაგლობას ძალიან ენანებოდა თავი, თუმცა არა ერთხელ ჩავარდნილიყო განწირულს ყოფაში. ახლა კი ჰხედავდა, რომ კამეჩივით სულ მღვრიე მორევში იყო ჩავარდნილი. თქმა არ უნდა, რომ, თუ ბოგუნმა გამოიტაცა თავადის პორუჩიკის დანიშნული, თავადი ძალიან განრისხდება და ბოგუნს მეტი ღონე აღარ ექმნება, ხმელნიცკისთან უნდა გაიქცეს, მეამბოხეთ შეუერთდესო. მე კი, მე რა ძალა მადგია, რომ ბოგუნის გულისათვის ავდგე და აჯანყების მომხრეობა გავწიოვო, მით უმეტეს რომ პან ზაგლობას ცეცხლისა და ნავთისა არ ეშინოდა ისე, როგორც თავადისა.

— ფუ, ფუ ჩემს ეშმაკს!—ბუზღუნებდა გულში პან ზაგლობა,—ეშმაკს თვითონ მე ვუგებდი ხოლმე მახესა და ახლა კი თვითონ მე გავები ეშმაკის ბადეში. აი, ჯანაბამდე გზა ჰქონია მაგ ავაზაკთა ატამანსა და მაგის შემქმნელ-მშობელსა თვისის სიყვარულითა და სატრფიალოთი! მაყრიონი თუ გინდათ, ჩვენა ვართ! სწორედ დიდს მხიარულებაში კი ვართ, იმათმა თავის გახეთქამა! ეშმაკსაც წაუღია კურცევიჩების თავიცა, ჰო და ასრე! ვიცი, მერე მევე გავები ხათაბალაში-და! რისთვისა ახლა, რის გულისათვის? მე ვეპირები ცოლის შეროვასა თუ რა არის? დაე, თუნდა ეშმაკმა და ქაჯმა დაიწეროს ჯვარი, ჩემთვის სულ ერთია. წადი ახლა და ამოიყვანე ვირი ტალახიდან! ბოგუნთან ვიყო, ვისნევეცკი ტყავს გამაძრობს; გავექცე ბოგუნს, ყაზახნი შემჭამენ; თვითონაც არ გაუჭირდება და ისე მომიგრეხს კისერს, რომ ხელიც არ გამანძრევინოს. იმაზედ ცუდი აღარა არის-რა, რომ კაცი ტეტიას გადაეკიდება! მე და ჩემმა ღმერთმა, ის მირჩევნიან, ამ ჩემ ცხენად გადავიქცეოდე, ვიდრე ზაგლობა ვიყო. გამაბრიყვა ყაზახმა, კისერზედ გადამიგდო და ეგ არის...

პან ზაგლობა ძლიერა ჰქშინავდა; თან-და-თან უფრო-და-უფრო შავ-ბნელი ფიქრები ეჯარებოდა. სიცხე ხომ ისეთი იყო, რომ სუნთქვა სჭირდა; ცხენი ისე დაიღალა, ამ მძიმე კაცით დატვირთული, რომ ძლივს მიათრევდა ფეხებს. ღმერთო ჩემო, რა კარგია ეხლა, ვიჯდე სადმე ჩეროში და წინ ცივი ლუდი მედგას, ვიდრე ამ გადახრუკულ მინდორზედ ვიხრაკებოდე ამ სიცხე-პაპანაქებაში!

თუმცა ბოგუნს ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, უნდა დათანხმებულიყო და ცოტას ხანს შეესვენებინა ხალხი. ცხენებიცა და ხალხიც ისე დაიღალნენ, რომ აღარ იცოდნენ, რა ექმნათ. ატამანი ამ დროს სულ რაღასაც ეჩურჩულებოდა იასაულებს, ალბად განკარგულებას აძლევდა. ზაგლობას მოესმა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები:

— ელოდეთ თოფის გავარდნას.

— ბატონი ბრძანდებით.

ბოგუნმა უცბად მიჰმართა პირდაპირ ზაგლობას:

— წამოხვალ შენ ჩემთან წინდაწინვე?

— მე?— და პან ზაგლობას ხმას დაეტყო კილო გესლიანის დაცინვისა.—ისე მიყვარხარ, რომ შენის გულისთვის ნახევარი სული ამოვირთვი ამ ცხენზედ ჯანჯღარითა და ნახევარს რალაზედ დავზოგავ? მე და შენ ნევსსა და ძაფსავითა ვართ: სადაც ერთია, იქ მეორეც არის... იმედი მაქვს, ეშმაკებიც კი ისე არ წაგვიყვანენ მე და შენ, თუ არ ერთადა, რაიცა არც სანანურად მექმნება, რადგან, არა მგონია, ჯოჯოხეთში უფრო ცხელოდეს, ვიდრე აქა.

— აბა, მივდივართ, მივდივართ!

— კისერიმც მოგიჩეხიათ!

ორივენი წინ წავიდნენ და ყაზახნი გაჰყვნენ მათ უკან.

ბოგუნი და ზაგლობა ერთად მიდიოდნენ დამხარდამხარე-ბულნი, ხმა-გაკმენდილნი, ზაგლობა სულ ულვაშებს იწიწკნიდა, ეტყობოდა, ჭკუას ატანდა ძალას; ვინ იცის, იქნება იმასა ჰფიქრობდა, რა მოვახერხო, რომ ამ გაჭირვებას თავი დავახწიო როგორმეო. ხან ათასში ერთხელ რალაც გაუგებარს სიტყვებს წამოისროდა ხოლმე, ხან კიდევ აკქერდებოდა ბოგუნსა, რომელსაც ხან საშინელი გამძვინვარება ეტყობოდა სახეზედ, ხან დიდი სევდა-ნაღველი.

„საკვირველიაო,—ფიქრობდა ზაგლობა,—რომ ამისთანა შესახედავად ლამაზმა ვაჟკაცმა ვერ მოინადარა ახალგაზდა ქალის გული! მართალია, ყაზახია, მაგრამ სამაგიეროდ, სახელგანთქმული რაინდია, პოდპოლკოვნიკია და, დღეს არა, ხვალ აზნაურშვილობას მიიღებს. პან სქშეტუსკიც კარგი ვაჟკაცია.. ლამაზიც არის... მაგრამ როგორ მოვა ის ბოგუნთანა! ძალიან კი გაჩეჩავენ ერთმანეთს, თუ პირის-პირ შეიყრებიან!“

— ბოგუნო, კარგად იცნობ პან სქშეტუსკისა?

— არა,—მოკლედ მოუჭრა პასუხი ატამანმა.

— ადვილი არ იქნება შენთვის იმასთან შებრძოლება. მე თვითონა ვნახე, რა ნაირ გაისროლა იმან კარებში ჩაპლინსკი. ერთის სიტყვით, გოლიათია და ის არის.

ბოგუნმა არა უპასუხა-რა და კვლავ დუმილი ჩამოვარდა, რომელსაც ჟამითი-ჟამად არღვევდა პან ზაგლობას წამოძახილი: „დიაღ, დიაღ, მეტი გზა არსად არის!“ გავიდა რამდენიმე საათი. მზემ გადიხარა დასავლეთისაკენ, ჩიგირინის მხარესა; აღმოსავლეთიდან გრილმა ნიავმა დაუბერა. პან ზაგლობამ ქუდი მოიხადა, გაოფლიანებულ შუბლზედ მოისვა ხელი და ერთხელ კიდევ გაიმეორა:

— დიაღ, დიაღ, მეტი გზა არსად არის!

ბოგუნი შეთრთოლდა, თითქო ეს არის ეხლა გამოელვიძაო.

— რა სთქვი?

— მე ვსთქვი, რომ მალე დაღამდება-მეთქი. ჯერ კიდევ შორს არის?

ერთს საათს უკან სულ დაბნელდა, მაგრამ ამ დროს ჩვენი მგზავრნი უკვე ტყიანს ხეობაში შევიდნენ. აგერ სინათლეც გამოჩნდა სადღაც შორსა.

— ეს რაზლოგია!—დაიძახა უცებ ბოგუნმა.

— მართლა? ბრრ! დაიწყო ბაბანი ზაგლობამ,—რა ცივა ამ ხეობაში.

ბოგუნმა შეაყენა ცხენი.

— ნწ, ნწ!

ზაგლობამ შეჰხედა ბოგუნსა. ატამანის თვალები ისე ელვარებდა, თითქო ორი ნაკვერცხალი ციმციმებსო.

გაიარა რამდენმამე წუთმა. ბოლოს, მოისმა შორიდან ფრუტუნი ცხენებისა; ბოგუნის ყაზახნი იყვნენ ისინი: ხევი გამოევლოთ და აუჩქარებლად მოდიოდნენ წინა.

იასაული მოუახლოვდა ბოგუნს; ატამანმა რაღაცა უჩურჩულა ყურში. ყაზახნი კვლავ შეჩერდნენ.

— გავსწიოთ!—უთხრა ბოგუნმა პან ზაგლობას.

გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი და მგზავრთა თვალ-წინ ცხადად გამოჩნდა შენობანი. კარმიდამოზედ ჩამი-ჩუმი არ იყო; ძაღლები არ იყეფებოდნენ. დიდი, ოქროსფერი მთვარე დაჰნათოდა გარემოს და აპკყვრიალებდა იქაურობას. ბაღიდან

მოდიოდა სურნელება აყვავებულ ალუბლისა და ვაშლისა: ყველგან სიჩუმე იყო, მდუმარება, დამშვიდებული მდუმარება... კაცს ეგონებოდა, აგერ საცაა ფანტურის ხმა მომესმის შვენიერ კნიაჟნას ფანჯრებ ქვემოდაო.

ზოგიერთის ფანჯრიდან ჯერ ისევ სინათლე გამოდიოდა.

ორი ცხენოსანი მიუახლოვდა ალაყაფის კარებს.

— ვინ არის მანდა?—მოისმა ხმა დარაჯისა.

— ვერ მიცანი, მაქსიმე?

— თქვენა ბრძანოებით? მადლობა ღმერთსა!

— უკუნითი უკუნისამდე! გააღე კარი. როგორა ხართ?

— მადლობა უფალსა, მშვიდობით გახლავართ. დიდი ხანია რაზლოგში აღარა ბრძანებულხართ. ალაყაფის კარების ანჯამებმა დაიჭრიალა, ასაკეცი ბოგირი ძირს ჩამოეშვა და ბოგუნი და პან ზაგლობა შევიდნენ ეზოში.

— გამიგონე, მაქსიმე, ნუ დაჰკეტავ ჯერ კარებსა და ნუ აჰკეცავ ბოგირსაცა. ცოტას ხნითა ვარ აქ მოსული.

— რა ამბავია განა?

— არა მცალიან, საქმეები მაქვს... ცხენები ემაგ ბოძზედ მიაბი.

II

კურცევიჩები ვახშმად ისხდნენ იმ გრძელ დერეფანში, რომელშიაც ყოველგვარი იარაღი ეკიდა კედლებზედ. ბოგუნისა და პან ზაგლობას დანახვაზედ კნეინას მოუსვენრობა შეეტყო: ეტყობოდა, რომ სტუმრები არ ესიამოვნა. ახალგაზდა თავადთა შორის მხოლოდ ორნი იყვნენ სახლში: სვიმონი და ნიკოლოზი.

— ოჰ, ბოგუნო!—მიეგება კნეინა.—რაზედ გარჯილხარ?

— მოვედი, რომ სალამი მოგცეთ და თავი დაგიკრათ, დედავ. თქვენ კი არ გიამათ, მგონია, ჩემი მოსვლა.

— სიამოვნებით კი მიამა, მხოლოდ გამიკვირდა შენი მოსვლა. ისე შემომესმა, რომ ვითომ შენ ჩიგირინში იყავ შენის პოლკითა. ეგ ვიღაა, თქვენთან ერთად რომ გვაწვია უფალმა?

— ეს პან ზაგლობა გახლავთ, შლიახტიჩი, ჩემი მეგობარი.

— დიდად სასიამოვნოა.

— დიდად სასიამოვნოა,—განიმეორეს ახალგაზდა თავადიშვილებმა.

— პანი!—სთქვა პასუხად შლიახტიჩმა,—მართალია, უდროვოდ მოსული სტუმარი ჭირზედ უარესიაო. მაგრამ ისიც მართალია, რომ ვისაც სასუფეველი უნდა, მოვალეა მგზავრს ბინა მისცეს, მშიერი გააძღოს, მწყურვალს წყალი ასვას...

— დაბძანდით, დაბძანდით, მიირთვით და შეექეცით. მადლობელნი ვართ, რომ გვესტუმრეთ. ჰა, ბოგუნო, არ მოგეღლოდი სწორედ. ალბად, საქმე რამ გექნება ჩემთან?

— იქნება საქმეცა მქონდეს,—წყნარადა სთქვა ატამანმა.

— რა საქმე?—ჰკითხა კნეინამ მოუსვენროპითა.

— მოვა დრო და მაშინ მოვილაპარაკოთ. ჯერ დავისვენებთ პატარას. ჩიგირინიდან მოვდივართ დაუსვენებლივ.

— მაშ, ძალიან საჩქარო საქმე გქონია?

— ან კი სხვაგან სად უნდა მიმეჩქარებოდეს, თუ არ თქვენსა! კნიაჟნა ხომ კარგად გახლავთ?

— კარგად არის,—გულ-ცივად უპასუხა კნეინამ.

— მინდოდა დამენახა თვალით, დავმტკბარიყავ იმის ცქერით.

— ელენეს სძინავს.

— ძალიან ვსწუხვარ. მე აქ დიდ ხანს ვერ დავრჩები.

— სად მიეჩქარები?

— ომი დაიწყო, დედი! დრო არა მაქვს. ვინ იცის, იქნება აიღოს გეტმანმა და გამიძახოს სალაშქროდ: იმიერ ჭორომელების ჩეხა კი ვერაფერი სასიამოვნო საქმეა. ერთხელ არ წავსულვარ იმათთან ერთად და ორჯელ ოსმალთა ქონების წამოსატაცებლად,—მართალს არ ვამბობ, თავადნო? ვინ იცის, რამდენჯერ ზღვა-ზღვა გვივლია, პურ-მარილი გაგვიზიარებია ერთმა-

ნეთისათვის, ერთად გვისვამს და გვიქეიფნია, ახლა კი მტრად გადავკიდებივართ.

კნეინამ დაკვირვებით შეჰხედა ბოგუნსა. ფიქრად გაუელვა იმ აზრმა, რომ იქნება ბოგუნი აჯანყებულთ მიემხრო და მოვიდა ახლო, რომ ჩემი შვილებიც გადიბიროსო.

— რასა ჰფიქრობ, როგორ გინდა მოიქცე?—ჰკითხა კნეინამ.

— მე? რა უნდა ვიფიქრო? მეცოდებიან ჩემნი სისხლნი და ხორცნი, მაგრამ რა ვქნა, მაინც უნდა ვეომო.

— ჩვენც უნდა ვეომოთ,—სთქვა სვიმონმა...

— ხმელნიცკი მოღალატეა!—დაუმატა ნიკოლოზმა.

— გაწყდნენ ყველა მოღალატენი!.. დიაღ, ყველა მოსალოდნელია ამ წუთი-სოფელში; დღეს ძმაა კაცი, ხვალ—იუდა. ვეღარავის ვეღარა ჰნდობიხარ.

— კეთილს ხალხს შეგიძლიან მიენდო მხოლოდ.

— მართალია, კეთილს ხალხს თუ ენდობა კაცი. ამიტომაც გენდობით კიდეც თქვენ და მიყვარხართ კიდეცა... თქვენ კეთილნი ხართ, მოღალატენი არა ბრძანდებით... ალბად, ატამანის ხმას სხვანაირი კილო ჰქონდა; რადგან ამ სიტყვების თქმის შემდეგ საშინელი დუმილი ჩამოვარდა. პან ზაგლობა თავის ცალის თვალით კნეინას უყურებდა, ხოლო ის ბოგუნს არ აშორებდა თვალებსა.

ბოგუნმა განაგრძო:

— ომი ხუმრობა საქმე არ არის და ამიტომ მომინდა თქვენი ნახვა ომში წასვლამდე. ვინ იცის, ცოცხალი-და დავბრუნდები თუ არა, თქვენ კი დაგენანებოდით, მიგლოვდით... მართალი არ არის?

— ღმერთმა დაგიფაროს! ბავშობიდანვე ჩვენს ხელში ხარ გაზრდილი. შენ ჯვარი გწერია.

— თქვენ თავადნი ბრძანდებით, შლიახტიჩები, მაგრამ მაინც არ გეჯავრებოდათ ჩემისთანა ყაზახი; თქვენ შემივრდომეთ, თქვენის ნათესავის მოთხოვებას დამპირდით... იცოდით კიდეც, რომ

უიმისოდ ჩემისთანა ყაზახისათვის სიცოცხლე ჩალად არ ეღირებოდა... და თქვენც შემიცოდევით, შემიწყალევით.

— ეგ რა სათქმელი და სალაპარაკოა,—აჩქარებითა სთქვა კნეინამა.

— არა, დედი, სათქმელიც არის და სალაპარაკოცა. აი მე ვსთხოვე ამ შლიახტიჩს, რომ მიშველოს და მოსპოს, თუ რამ განსხვავებაა მე და თქვენ შორის. პან ზაგლობა დასთანხმდა და, ომი გათავდება თუ არა, წავალთ ბატონ დიდ გეტმანთან და შევეცდებით ამ საქმეს; იქნება ღმერთმა ინებოს და აზნაურშვილობა მიბოძონ მეც ისე, როგორც ჭმეჩოვსკის უწყალობეს.

— ღმერთი იყოს შენი შემწე,—სთქვა კნეინამ.

— გული გტკივათ თქვენ ჩემთვის. ვხედავ ამას და ამიტომ მადლობელი ვარ თქვენი. მაგრამ ლაშკრად წასვლამდე მინდოდა მაინც გამეგონა, რომ თქვენს სიტყვას შეასრულებთ. აზნაურშვილის მოცემული სიტყვა კვამლი არ არის და თქვენ ხომ შლიახტიჩები ხართ, თავადიშვილნი ბრძანდებით.

ბოგუნი ლაპარაკობდა დინჯად, ღალადების ხმაზედ, მაგრამ ამავე დროს იმის ლაპარაკს ეტყობოდა კილო რაღაც მუქარისა, რომელიც აიძულებდა ადამიანს შეესრულებინა ყოველივე, რასაც კი მოითხოვდა მოლაპარაკე. მოხუცი კნეინა სდუმდა და ჩუმად გადაჰხედავდა ხოლმე თავის შვილებს. გავიდა რამდენიმე წუთი ასეთის სამძიმო დუმილისა. მკვარი, რომელიც ანათებდა ტალანს, გაჰქრა, ოთახში დაბნელდა.

— ნიკოლოზ, გაასწორე მკვარი, — უბრძანა კნეინამ შვილს.

ახალგაზდა თავადმა სხვა მკვარი გაამაგრა სამ-კაპიან რკინის ჯოხში.

— აბა, თანხმა ბრძანდებით? მაძლევთ სიტყვას?—არ იშლიდა თავისას ბოგუნი.

— ელენეს უნდა დავეკითხოთ.

— იმან თავის მაგიერადა სთქვას, თქვენ თქვენს მაგიერად მითხარით. მაძლევთ პიროპას?

— გაძლევთ!—ერთად წარმოსთქვეს კნეინამა და მისმა შვილებმა.

ბოგუნი წამოდგა, გამოიჭიმა, მიჰმართა ზაგლობას და ხმამაღლა სთქვა.

— პან ზაგლობა! შენც ითხოვე ის ქალი; იქნება შენც დაგპირდნენ.

— შენ მთვრალი ხომ არა ხარ?!—შეჰყვირა კნეინამ.

ბოგუნმა პასუხის მაგიერ ამოიღო ჯიბიდან წერილი სქმეტუსკისა და გადუგდო პან ზაგლობას.

— წაიკითხე!

ჩამოვარდა მდუმარება და ზაგლობამ დაიწყო კითხვა.

როცა კითხვა გაათავა, ბოგუნმა გულ-ხელი დაიკრიფა.

— ვის აძლევთ ელენეს?

— ბოგუნო!

ატამანის ხმა გველის სისინს მოაგონებდა კაცსა.

— მოღალატენო, საზიზღარნო, გამცემელნო!..

კურცევიჩები ეცნენ მაშინვე კედლებს და სტაცეს ხელი იარაღს.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!—შეჰყვირა ზაგლობამ.

მაგრამ ვიდრე მან ესა სთქვა, ბოგუნმა იძრო დამბაჩა და გაისროლა.

— იესო!—დაიძახა თავადმა სვიმონმა, გადადგა წინ ფეხი, დატორტმანდა და მძიმედ დაეცა ძირს.

— ხალხო, გვიშველეთ!—განწირულებით დაიღრიალა კნეინამ.

მაგრამ ამ დროს ეზოსა და ბაღში ატყდა თოფის სროლა, კარები და ფანჯრები შეამტვრიეს და ათი და ოცი შეიარაღებული ყაზახი შემოვარდა დერეფანში.

— სიკვდილი ამათ!—გაისმა ხმა განადირებულის ხალხისა.

ეზოში ვიღამაც დაჰკრა საგანგაშო ზარი. სანადირო ფრინველთ, რომელნიც დერეფანში იყვნენ, გაელვიძათ და შეჰქნეს ფთხრიალი; ყიჟინი და საშინელი ვაი-ვაგლახი მოჰყვა იმ მდუმარებას, რომელიც მანამდე იყო მიყრუებულს სახლში.

მოხუცი კნეინა ქვითინით მიჰვარდა სვიმონის გვამს, რომელიც ოდნავ-ღა ჰფეთქავდა, მაგრამ ორმა ჯარის კაცმა წაავლო ხელი თმაში და გაათრია იქით. ნიკოლოზი მიჰკროდა დერეფნის კუთხეს და ლომივით იგერებდა თავ-დასხმულ მტერთ.

— მომეცათ!—დაიძახა ბოგუნმა.—მომეცათ მანდედან!— გაიმეორა მან გრგვინვით. ყაზახებმა უკან დაიწიეს. იმათ ეგონათ, რომ ატამანს უნდა ცოცხალი გადაარჩინოს ახალგაზდა თავადიო, მაგრამ ამის მაგიერ, ბოგუნი თვით ეკვეთა ხმალამოღებული.

დაიწყო საშინელი ბრძოლა ორისა ხმალ-და-ხმალ. კნეინა, რომელიც თმებით ეჭირათ თავიანთის რკინის ხელებით ჯარის-კაცებს, ცეცხლ-მოკიდებულის თვალებათ უცქეროდა ამ ბუმბერაზობას. ახალგაზდა თავადი, როგორც გრიგალი, ისე მიეტია ყაზახს, რომელმაც ნელ-ნელა დაიწია უკან და შუა-დერეფანში გამოიყვანა თავისი მოპირისპირე. უცბად ბოგუნი ჩაქუქდა, აიცილა მოქნევა ხმლისა და, თუ აქამდე საგერს ბრძოლაში იყო, ახლა სატევი ომი დაიწყო.

ყაზახნი სულ-განაბულნი იყვნენ, ხმლები ძირს დაელოთ, სულ თრთოდნენ და ისე შეჰყურებდნენ მებრძოლთ, აბა, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებსო.

ამ საშინელს სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ ღრმა ქშინვა მებრძოლთა, კრაჭუნი კბილებისა და მკვეთრი ხმა ხმლის ხმალზედ შემოკვრისა.

ერთ ხანად კაცს ეგონებოდა, რომ ახალ-გაზდა თავადი სჯობნის ღონითა და ხერხით ატამანსაო, რომელმაც კვლავ უკან-უკან დაიწყო დახევა; სახე გაუწითლდა დაღლილობითა. ნიკოლოზმა თან-და-თან უფრო მეტის ძლიერებით დაიწყო ცემა და შემოქნევა ხმლისა. იატაკს ავარდა მტვერი და ოდნავ შემოერტყა გარშემო მებრძოლთ, მაგრამ ყაზახებმა მაინც დაინახეს სისხლი, რომელიც წითლად ჩამოსდიოდა ლოყაზედ ატამანსა.

ბოგუნი უცბად გახტა განზედ და თავადის ხმალი ეცა ცარიელ ჰაერს; ნიკოლოზი წატორტმანდა, წინ წაიხარა და

ისეთის ძალით დასცა ამ დროს ხმალი ყაზახმა, რომ თავადი მაშინვე დაეცა, თითქო მუხლები მოჰკვეთესო.

ყაზახთ მორთეს ყვირილი სიხარულითა, ხოლო კნეინას აღმოხდა გულიდან საშინელი კივილი. ბრძოლა გათავდა. ყაზახნი ეცნენ კედლებსა, ჰგლეჯდნენ იქიდან იარაღს და სთელავდნენ ფეხ-ქვეშ თავადთა და იმ თავიანთ ამხანაგთა გვამებსა, რომელნიც დაჰხოცა ნიკოლოზმა. ბოგუნი აღარაფერში აღარ ერეოდა. იდგა იმ კარებში, საიდანაც ელენეს ოთახში შეიძლებოდა გასვლა და ძლივს ითქვამდა სულს, ისე იყო მოქანცული. ორგან იყო თავში დაკოდილი. იქვე ახლო რამდენსამე ყაზახს გაკავებული ეჭირათ კნეინა, რომელიც გამწარებული იწევდა თავის დახოცილ შვილებისკენა.

ყიჟინი და ჟღავი-ჟღუვი თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა დერეფანში. ყაზახნი მოათრევდნენ თოკებით შეკრულ მხლებლებს კურცევიჩებისას და უწყალოდ ჰხოცავდნენ. იატაკი სულ სისხლით მორიალდა და გაივსო დახოცილთა გვამებით. უცბად გაიღო ყურთამდე ის კარები, რომელშიაც ბოგუნი ჩამდგარიყო. ატამანმა მიიხედა უკან. კარებში გამოჩნდა უსინათლო ვასილი და მასთან ერთად ელენე თეთრის ტანისამოსითა, გაფითრებული, შიშისაგან თვალებ-გაშტერებული, ნახევრად ბაგე-განპობილი.

ვასილის ჯვარი ეჭირა მაღლა ამართულს ხელში. ამ საერთო არეულობაში, გაცივებულ და ძირს გართხმულ გვამთა შორის, ამ სისხლში, რომელიც მორიალებული იყო იატაკზედ, მაღალის ტანის ვასილი ჰაღარა შერთულის თმებითა და, თვალების მაგიერ, შავის ფოსოებით, რაღაც საშინელი რამ სანახავი იყო. კაცს ეგონებოდა, მიცვალებული წამომდგარა საფლავიდან და მოსულა აქ, რომ დასაჯოს დანაშაულიო.

დერეფანში დუმილი ჩამოვარდა. განცვიფრებულნი ყაზახნი შიშით უკან უკან იწევდნენ. მდუმარებას არღვევდა მხოლოდ სუსტი, მიხრწნილი ხმა თავადისა.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა და ყოვლად-წმინდისა ქალწულისათა! ხალხნო, მოსულნო შო-

რის ქვეყნებიდან, კეთილი ამბავი მოიტანეთ? სამღვთო წერილში ნათქვამია: „კურთხეულ არს კაცი, რომელიცა ჰქადაგებს სიტყვასა მღვთისასა“. თქვენა, კეთილნი მახარობელნი ხართ?

გარშემო საშინელი დუმილი იყო მხოლოდ. ვასილიმ გადასწერა ჯვარი ჯერ ერთს მხარეს, მერე მეორეს და განაგრძო:

— ვაი თქვენდა, ძმანო, თუ ომი კერძო სარგებლობისათვის დაიწყეთ. მსჯავრ-დადებულნი იქმნებით საუკუნოდ!... ილოცეთ, შეგვიწყალოსმცა ჩვენ ღმერთმა. ვაი თქვენდა, ვაი ჩემდა!

კვნესა მიხრწნილის და განწირულის კაცისა აღმოხდა გულიდან თავადს.

— უფალო შეგვიწყალენ!—წაიჩურჩულეს ყაზახებმა, რომელნიც უნებურად შეიპყრო რაღაც მათთვის გაუგებარმა შიშმა.

— უცბად მოისმა საშინელი, გულის-გამგმირი კივილი კნეინასი:

— ვასილი, ვასილი!

იმის ხმას დაეტყო გამოუთქმელი, საზარელი განწირულება. ახლა აღარც კი სცდილობდა გაჰშვებოდა ხელიდან იმათ, რომელნიც იჭერდნენ.

თავადი შეშფოთდა, მიატრიალა ჯვარი იქითკენ, საიდგანაც მოესმა კივილი და სთქვა:

— წაწყმედილო სულო, რომელიც შემოგვკვნესი შველას დედა-მიწის წიაღიდან, ვაი შენდა!

— უფალო შეგვიწყალენ!—განიმეორეს ყაზახებმა.

— ჩემთან მოდით, ჩემთან!—ძლივს წამოიკნავლა ბოგუნმა და დატორტმანდა.

ყაზახნი მისცვინდნენ და შეიმაგრეს თავიანთი უფროსი.

— ბატონო! დაჭრილი ბძანდები?

— დაჭრილი ვარ, მაგრამ ეგ არაფერი! სისხლისაგან დავიცალე. გამიგონეთ, რას გეუბნებით: გაუფრთხილდით ამ ყმაწვილს ქალს, როგორც თქვენს თვალის-ჩინსა.... სახლს გარშემო შემოერტყით, არავინ გაუშვათ გარედ... კნიაჟნა....

ველარ დაათავა თავისი სათქმელი, ტუჩები გაუფითრდა, თვალები აემღვრა.

— გაიყვანეთ ოთახში ატამანი! — დაიძახა პან ზაგლობამ, თომელიც მოულოდნელად გაჩნდა საიდგანღაც სწორედ მაშინ, როცა ბოგუნმა უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა. — არა უშავსრა, არა, — იმეორებდა ზაგლობა და თან უსინჯავდა ჭრილობას ხელითა. — ხვალ კარგად იქნება. მე თვითონ მოვუვლი. პურის გული და აბლაბუდა უნდა დავადოთ მხოლოდ. თქვენ გამეცალეთ აქედან, ვაჟკაცნო... წადით და თუნდ სოფლის გოგოებში გაატარეთ დრო; ახლა საჭირონი აღარა ხართ; მხოლოდ ორნი დარჩით და ოთახში გაიყვანეთ ატამანი. აბა, აიყვანეთ. აი აგრე. გასწით, რაღასა დგეხართ? სახლსაც ყური უგდეთ; მერე მე ვიცი თვითონ.

ორმა ყაზახმა ციმციმ გაიტანეს ბოგუნი მეორე ოთახში, ხოლო დანარჩენები გავიდნენ გარედ.

ზაგლობა მიუახლოვდა ელენეს, თავის ცალის თვალით დაუწყო რიღასიც ნიშნება და ჩუმად წასჩურჩულა:

— მე პან სკშეტუშსკის მეგობარი ვარ, ნუ შეგეშინდებათ. ეგ თქვენი წინასწარმეტყველი დააძინეთ მხოლოდ და მელოდეთ.

ზაგლობა შევიდა მეორე ოთახში, საცა, ოსმალურს რბილს ტახტზედ იწვა ბოგუნი და დაუყონებლივ გაჰგზავნა ორივე ყაზახი პურისა და აბლაბუდის მოსატანად. როცა ეს მისი სურვილი შეასრულეს, პან ზაგლობამ დიდის მოხერხებით შეუხვია ჭრილობანი თვისსა მეგობარსა. იმ დროს ყოველს შლიახტიჩს უსათუოდა ჰქონდა ამისთანა სადოსტაქარო ცოდნა.

— უთხარით ყაზახებს, — უბრძანა მან ესაულებს, — რომ ხვალ ატამანი სრულიად კარგად იქნება; ნურას იწუხებენ. ვსთქვათ, კარგად კი აყოფინეს, მაგრამ არა უშავს-რა, ხვალ ქორწილიც იქნება ამისი, თუმცა უხუცესოდ კი. თუ მარანია ამ სახლში და სასმელი რამ იპოვება შიგ, შეგიძლიანთ სვათ. აჰა, ეს ჭრილობანიც შევუხვიეთ; ახლა კი წადით; ატამანს მოსვენება ეჭირვება.

ესაულებმა კარებისკენ გასწიეს.

— მთლად კი არ გააშროთ სასმელი მარანში,—მიაძახა კიდევ პან ზაგლობამ მიმავალთა. მოუჯდა თავით ატამანსა და ყურადღებით დაუწყო ცქერა.

— ჰმ, ნუ გეშინიან, ეშმაკები არ წაგაპანწიალებენ ამისთანა ჭრილობის მიზეზით, თუმცა კარგა კი მოგხვდა. ამ ორს დღეს ვერც ხელს გაანძრევ და ვერც ფეხსა,—ბუტბუტებდა თავისთვის ზაგლობა და დასცქეროდა ყაზახის გაფითრებულს სახესა და დახუჭულს თვალებსა.—ხმალმა არ ისურვა წყენა ჯალათისა, იმიტომ რომ შენ მაინც მისი წერა ხარ და ვერც ვერსად წაუხვალ. როცა ჩამოგახრჩობენ, მოვა ეშმაკი და სათამაშოდ გაგაკეთებს თვისის შვილებისათვის: შეჰხედეთ და, რა ლამაზია! არა, ქაჯან, კარგად კი სვამ, მაგრამ ეგ არის, ჩემთან ვეღარ დაჰლევ ამას იქით. სხვა ამფსონები მოსძებნე ახლა, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ შენთან ერთად თავს ვესხმოდე შლიახტიჩების სახლებსა.

ბოგუნმა ოდნავ დაიკვნესა.

— ოჰ, იკვნესე, ზოგი ხვალა ჰნახე კვნესა და ოხვრაი. მაშ, დამაცადე, შეურჯულო, კნიაჟნა მოგესურვა განა? ჰმ, გემო კი გქონია, ქალიშვილი კალმით ნახატია, მაგრამ ვიდრე შენ იმას ხელს ახლებდე, დაე ჯერ უმალ ჩემს ჰკუას ეშმაკები დაეპატრონონ. უმალ ტაშზედ ბალანი ამომივა. პან ზაგლობას მოესმა ჟღავი-ჟღუვი და ყაყანი; ამ გარემოებამ შეაწყვეტინა ფიქრი და ზრახვანი.

— ეჰე, ეტყობა მარნისათვის მიუგნიათ. კარგი, არ დაგიშლით დათრობასა და ძილს, მე კი აქ ვიფხიზლებ თქვენ მაგიერად, თუმცა არ ვიცი, სასიამოვნო იქნება თუ არა ხვალ თქვენთვის ჩემი მღვიძარება.

პან ზაგლობა წამოდგა და წავიდა, რომ დარწმუნებულიყო, მართლა მიაგნეს თუ არა ყაზახებმა თავადის მარანსა. დერეფანი საშინელი სანახავი იყო. შუაში ეყარნენ გაცივებულნი გვამნი სვიმონისა და ნიკოლოზისა, ხოლო კუთხეში ეგდო კნეინა იმ სახით, რა სახითაც გაეჭყლიტათ ის სა-

ცოდავი ყაზახის მუხლებსა. მკვარის სინათლე ოდნავ ანათებდა ოთახს; მისი მკრთალი შუქი ჰკრთოდა სისხლის გუბეებში. პან ზაგლობა მივიდა კნეინასთან და ხელი დაადო იმის სახეს; ჰნახა, რომ სულ გაცივებულიყო და საჩქაროდ გავიდა გარედ. ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა. ეზოში ყაზახნი უკვე ქეიფობდნენ. ცეცხლებიც ენთოთ და მათს სინათლეზედ პან ზაგლობამ დაინახა თაფლის ბოჩკები, ღვინისა და არაყის ჭურჭელი, რომელიც სულ მიენტვრ-მოენტვრიათ და ისე ესვათ. ეხლაც ისე იღებდნენ იქიდან სასმელს, თითქო ჰა არისო და სვამდნენ უღმერთოდ. ზოგნი, რომელთაც კარგა მოჰკიდებოდათ უკვე სასმელი, დასდევდნენ თავადიშვილთა მოახლეებს, ზოგნი რაღაცნაირის გამძვინვარებით სცეკვამდნენ ჩაჯდომილანი, დანარჩენნი კიდევ შესცქეროდნენ მოცეკვართა და ჩახრინწიანებულის ხმით გასძახოდნენ სიმღერას. იმათს ღრიალს ბანს აძლევდა ყეფა ქოფაკთა, ჭიხვინი ცხენთა და ბღავილი ხართა, რომელთაც იქვე ჰხოცავდნენ საჭმელად. მოშორებით მოსჩანდნენ რაზლოგის გლეხ-კაცნი: შესმენოდათ ხმა თოფის სროლისა და მრავლად მოგროვილიყვნენ, ვნახოთ რა ამბავიაო. ისინი სრულიადაც თავს არ იცხელებდნენ თავადთა დასაცველად; კურცევიჩები ყველას ეჯავრებოდათ სოფელში. ქეიფი და ღრიანცელი უფრო და უფრო ძლიერდებოდა თან-და-თან; ყაზახნი ახლა ბოჭკიდან კი არ იღებდნენ სასმელს ჭურჭლით, პირდაპირ შიგა ჰყოფდნენ თავს და ეწაფებოდნენ ხარებივით; ბევრნი ძლივს-ღა იდგნენ ფეხზედ და ტორტმანით დაფრატუნებდნენ. პან ზაგლობა გამოვიდა სულ გარედ, კიბის ბაქანზედ, ყურადღებით მოავლო თვალი მთელს ამ სცენას და მერე მაღლა აიღო თავი, ცას შეჰხედა.

—ამინდი კარგია, თუმცა კი ბნელა,—წაიჩურჩულა მან.—როცა მთვარე ჩავა, ისე დაბნელდება, როგორც უკუნეთი.

ჩავიდა ძირს და დინჯად მიუახლოვდა მოქეიფეთა.

— ყოჩაღთ, ვაჟკაცნო!—შესძახა პან ზაგლობამ.—ემაგრე უნდა სწორედ, რა დასანანია სხვისა დოვლათი. სულელი იქ-

ნება ისა, ვინც არ დაითვრება ატამანის სადღეგრძელოდ. აბა, მიიტანეთ იერიში ბოჩკებზედ! ურა!

— ურა!—დაიღრიალეს მხიარულად ყაზახებმა.

ზაგლობამ აქეთ-იქით მიიხედა.

— ჰაი, თქვე წუწკებო, თქვე ურჯულონო, ჩამოსაღრჩობნო თქვენა!—აენთო უცბად ზაგლობა.—თქვენა სვამთ, თითქო დაღლილი ცხენები იყოთ და იმათ კი, ვინც სახლსა ჰყარაულობს, არაფერს ასმევთ? გასწით ახლავე იქა! გამოსცვალეთ ამ საათში დარაჯნი!

ოციოდე მთვრალი ყაზახი გაეშურნენ მაშინადვე და გამოსცვალეს მოდარაჯე ამხანაგნი, რომელთაც ჯერ არა დაელიათ-რა. მალე ისინიც მოვიდნენ, რასაკვირველია, დიდის სიჩქარითა და შემოერტყნენ ბოჩკებს.

— აჰა, აიღეთ და სვით!—უთხრა ზაგლობამ და დაანახვა სასმელების ბოჩკები.

— გმადლობთ, პანე!

— ერთს საათს უკან უთუოდ თქვენი ადგილი დაიჭირეთ ისევ სადარაჯოდ.

— ბატონი ბრძანდებით,—უპასუხა ყველას მაგიერ ესაულმა.

ყაზახებს სრულიად არ ეჩოთირათ, რომ მბრძანებლობა ახლა პან ზაგლობამ იკისრა ბოგუნს შემდეგ. ამისთანა ამბავი იშვიათად არ მოხდარა და ყაზახნი ყოველთვის კმაყოფილნი რჩებოდნენ ხოლმე, იმიტომ რომ შლიახტიჩი ნებას აძლევდა, როგორც უნდოდათ, ისე მოქცეულიყვნენ.

დარაჯნი გულ-მოდგინედ შეუდგნენ სმას, ხოლო პან ზაგლობამ გლეხ-კაცებს დაუწყო მუსაიფი.

— შორს არის აქედან ლუბნი?—ჰკითხა მან.

— ოჰ, შორს არის, პანე!—უპასუხა ერთმა მოხუცმა გლეხკაცმა.

— დილამდე ვერ მივა კაცი?

— ოჰ, ვერა, პანე!

— შუადღემდე?

— შუადღემდე შეიძლება.

— საით უნდა წავიდეს კაცი?

— პირდაპირ გზა არის.

— არის კი გზა?

— გახლავთ. თავადმა ერიომამ ბრძანა, გზა იყოსო.

პან ზაგლობა განგებ ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, რომ ყვირილსა და ხმაურობაში იმისი სიტყვები გაეგონათ ჯარის-კაცებს.

— მოიტათ, ამათაც დაალევინეთ არაყი,—უბრძანა მან გლეხ-კაცებისა,—მაგრამ ჯერ თაფლი დამალევინეთ მე... ცივა...

ერთმა ყაზახმა ამოიღო ბოჩკიდან თუნუქის პინათი თაფლი და მიართვა პან ზაგლობას.

შლიახტიჩმა წაავლო ფრთხილად ორივე ხელი, არ დამექცესო, დაეწაფა და დაიწყო სმა აუჩქარებლად, უსუნთქებლივ.

სვა და სვა ისე, რომ ყაზახთაც კი უკვირდათ. „დაინახე?—წასჩურჩულა ერთმა მეორეს.—ერთი უყურე და მაგ წყეულს ლიახს!“

ამ დროს პან ზაგლობამ თავი უკან-უკან გადიწია, ბოლოს მოიშორა აწითლებულ პირიდან პინა, მოიწმინდა ულვაშები, შეათამაშა წარბები და სთქვა ვითომ თავისთვის:

— ჰმ, ურიგო არ არის; ძველია, პირდაპირ ეტყობა, რომ ძველია. თქვენისთანა ტეტიებმა არ უნდა სვან ამისთანა; თქვენთვის ბურახი და ხრაკიანი არაყიც კარგი იქმნებოდა. ძალიან მაგარი თაფლია, ძალიან. ვგრძნობ, რომ ახლა უკეთა ვარ.

მართლაც, პან ზაგლობა ახლა უკეთ შეიქნა; მისმა გონებამ გამოიფხიზლა და დაიწყო მუშაობა. ცხადი იყო, რომ მისი სისხლი, რომელსაც თაფლი შეერია, გადაიქცა იმ კეთილშობილ ნაკადულად, რომელიც, იმის სიტყვისამებრვე, ღონესა და ვაჟკაცობასა ჰმატებს ადამიანის ჯანს.

ხელით ანიშნა ყაზახებს, რომ შეგიძლიანთ სვათ კიდევაო, გაიარა ეზოში, დაათვალიერა ყურადღებით ყოველივე კუთხე და ყურე, გადიარა ასაკეც ბოგირზედ და მესერ-მესერ

დაიწყო სიარული, რათა დარწმუნებულიყო, ფრთხილად იცავს თუ არა დარაჯთა დასი სახლსაო.

პირველ ყაზახს ეძინა, მეორესაც, მესამესაც და მეოთხესაც აგრედვე. ჯერ გზამ გასტანჯა საკმაოდ და ახლა მთვრალებიც იყვნენ ამასთანავე.

— ფეხებით რომ ათრიო, მაინც ველარას გაიგებენ,—სთქვა პან ზაგლობამ და დაბრუნდა უკან. აგერ საშინელი დერეფანიცა, აი ბოგუნის ოთახიცა. რაკი ჰნახა, რომ ატამანი მკვდარივით არისო, შლიახტიჩმა ჩუმად გააღო მეორე კარი და შევიდა ელენეს ოთახში.

უსინათლო თავადი ვასილი დაჩოქილი იყო და ხმა-მაღლა ლოცულობდა ყოვლად-წმინდა ღვთის მშობლის ხატის წინაშე. იმის ახლო იდგა ელენე, რომელმაც, დაინახა თუ არა ზაგლობა, მოუსვენრობითა და შიშით სავსემ შეჰხედა შესულსა. ზაგლობამ თითი მიიდო ტუჩებზედ.

— კნიაჟნა,—ჩუმადა სთქვა შლიახტიჩმა,—მე მეგობარი ვარ პან სქშეტუსკისა.

— დამიხსენით!—შესძახა ელენემ.

— მეც მაგიტომ მოვედი აქა. მენდეთ და იმედი გქონდეთ ჩემი.

— რას მირჩევთ, რა მოვიქმედო?

— უნდა გავიქცეთ, ვიდრე ის ბოროტი უგრძნობლადა წევს ტახტზედ.

— რა მოვახერხო? არა მესმის-რა.

— ჩაიცვით კაცის ტანისამოსი და, დავაკაკუნო თუ არა კარები, გამოდით.

ელენემ ყოყმანი დაიწყო და გონება დაფანტვით შეჰყურებდა პან ზაგლობას.

— შემიძლიან განა გენდოთ თქვენა?

— რა დაგრჩენიათ მერე მაგაზედ უკეთესი?

— დაიფიცეთ, რომ არ მიღალატებთ.

— თქვენ სულ გონება დაგეპნათ. მაინც, თუ გნებავთ, დავიფიცავ: ვფიცავ ღმერთსა და წმინდა ჯვარსა. აქ დაღუპვაა თქვენი და გაქცევაა მხოლოდ ერთად-ერთი ხსნა.

— მართალია, მართალი.

— მაშ, ჩაიცვით კაცური ტანისამოსი და მელოდეთ.

— ვასილი?

— ვინ ვასილი?

— ჩემი გიჟი ბიძაშვილი.

— დაღუპვა თქვენ გელით და არა მაგას,—უპასუხა პან ზაგლობამ.—ვასილი თუ გიჟია, მაშ მაგათთვის ეგ წმინდანია. მე შევამჩნიე, რომ თქვენი ბიძაშვილი წინასწარმეტყველად მიიჩნიეს იმათ.

— მაინც ბოგუნისათვისაც მაგას არა დაუშავებია-რა.

— ეგ უნდა დავტოვოთ, თორემ ყველანი დავიღუპებით... პან სქმეტუსკიც დაიღუპება ჩვენთან ერთად. მაშ, აჩქარდით, კნიაჟნა და ნუღარას დააყოვნებთ.

სთქვა ესა პან ზაგლობამ, გამოვიდა ოთახიდან და პირდაპირ ბოგუნთან შევიდა.

ატამანი გაფითრებული და მისუსტებული იწვა, მაგრამ ახლა კი თვალები გახელილი ჰქონდა.

— უკეთა ხარ?—ჰკითხა ზაგლობამ.

ბოგუნს რაღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო.

— ლაპარაკი არ შეგიძლიან განა?

ბოგუნმა ანიშნა, არაო. სახეზედ ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა. მოძრაობისაგან ჭრილობას პირი ექნა.

— არც ყვირილი შეგიძლიან?

ბოგუნმა მხოლოდ თვალებით ანიშნა, არ შემიძლიანო.

— არც განძრევა?

კვლავ იგივე ნიშანი.

— მით უკეთესი, თუ არც ლაპარაკი შეგიძლიან, არც მოძრაობა; არც ყვირილი: მე და კნიაჟნა კი, ვიდრე შენ მორჩები, ლუბნს წავალთ. თუ მე შენ ის ვერ მოგტაცე, ეს ულვაშები ნუღარა მსხმია. როგორ, შე ღორო, შენა! შენ გგო-

ნია, რომ შენთან ყოფნამ თავი არ მომაბეზრა? იქნება გგონია, შენისთანა ტეტიას დავუწყებ მე კიდევ ამფსონობას!? სულელი! ხომ არ გეგონა, რომ შენის ღვინისა და პატიჟობის გულისათვის ხელს შევუწყობდი შენს დანაშაულსა და მოგეშველებოდი სამიჯნურო საქმეებში! ვერ მოგართვეს-მეთქი, გეუბნები მე შენა.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა პან ზაგლობა, მით ატამანი თვალებს უფრო და უფრო ახელდა. ეძინა თუ ცხადად ესმოდა ყოველივე... იქნება პან ზაგლობა ხუმრობდა?

პან ზაგლობა მაინც თავისას განაგრძობდა.

— რას აჭყეტავ მაგ თვალებს, თითქო კატა შესცქნავის ჩიტსაო? შენ გგონია, რასაც ვამბობ, ვერ შევასრულებ? ხომ არ მიბრძანებ, სალამი მოვახსენო თავადს ლუბნში? ხომ არ გინდა ვსთხოვო, რომ თავისი ექიმბაში გამოგიგზავნოს?

ატამანის გაფითრებულ სახეს საშინელი მეტყველება დაეტყო. ბოგუნი მიხვდა, რომ ზაგლობა მართალს ამბობსო; თვალები აენთო განწირულებითა და გულის-თქმითა, სახე აუჭარხლდა. საშინლად დაატანა თავს ძალა, წამოიწია და მის გულიდან აღმოხდა ხმა:

— ეი, ჩემთან, ყაზახ...

ბოგუნმა ველარ დაათავა თავისი სათქმელი, იმიტომ რომ პან ზაგლობამ ელვასავით სწრაფად გადააცვა თავს ჯუბა და პირქვე დაამხო საწოლზედ.

— ნუ ჰყვირი, მეგობარო, ყვირილი გაწყენს,—ჩუმად დაიწყო მან ლაპარაკი,—ხვალ დილით, შესაძლოა თავი აგტკივდეს, ხოლო მე, როგორც შენს ძველს მეგობარს, არ მესიამოვნება ეგ ამბავი. ასე სჯობიან, ასე, თბილადაც იქნები, ძილითაც კარგად დაიძინებ და არც ყელი გაგიცივდება. ხოლო რომ ეგ თოფრაკი არ მოიხსნა, ხელებსაც შეგიკრავ... სულ მეგობრობისათვის, რასაკვირველია, რომ მერე მადლობით მომიგონებდე ხოლმე.

ხელები გაუკრა ყაზახს ქამრითა, მერე თავისი ქამარი მოიშველია და იმითი ფეხები შეუკრა ახლა. ატამანი იწვა გაუნძრევლად, გულ-შემოყრილი.

— ავადმყოფისთვის მოუსვენრობა არ ივარგებს,—არ იშლიდა მაინც თავისას პან ზაგლობა. მოუსვენრობისაგან ცუდი ფიქრები აუტყდება ავადმყოფს კაცს და შესაძლოა ცხელება დაემართოს. ახლა კი მშვიდობით იყავ! შემეძლო, ხანჯალი დამეცა შენთვის, რაიცა, ვსთქვათ, უფრო კარგი კი იქნებოდა. მაგრამ შლიახტიჩს არ ეკადრება უიარაღო კაცის მოკვლა. იქნება, შენ თვითონ ამოგხდეს სული. მაშ, ნახვამდის! ვინ იცის, შესაძლოა შევხვდეთ როდისმე ერთმანეთს, გარნა თუ მე თვითონ ვინდომო შენთან შეხვედრა, დაე ტყავი გამაძრონ და წისქვილზედ დასაფქვავს წუწკს ცხენს გაუკეთონ იმისი იარაღი.

პან ზაგლობა გამოვიდა დერეფანში, გააქრო სანათი და დააკაკუნა ვასილის ოთახის კარები.

თვალ-ტანადი ყმაწვილი გამოჩნდა კარებში.

— თქვენა ხართ, პანნა?—ჰკითხა ზაგლობამ.

— მე ვარ.

— მაშ, წავიდეთ, აბა... ცხენებამდე კი მივიდეთ, თორემ... მაგრამ ყველანი სულ მთვრალები კი არიან, უენოდ მთვრალები და ღამე ბნელია. ვიდრე ისინი გაიღვიძებენ და გამოფხიზლდებიან, ჩვენ უკვე კარგა შორს ვიქნებით. ფრთხილად გამოიარეთ, აქ კნეინას გვამია.

— ღმერთო, ღმერთო!—ჩურჩულებდა და გულის ტკივილით ამბობდა ელენე.

III

ორი ცხენოსანი ფრთხილად მიდიოდნენ ტყით-შემოსილ ხეობაში, რომელიც იქვე რაზლოგს ახლო იყო. ღამე ბნელი იყო, მთვარე სულ ჩავიდა და ცაც შავის ღრუბლებით შეიმოსა; ხევში ისე ბნელოდა, რომ ორ-სამ ნაბიჯზე არა სჩანდა-რა;

ცხენები წამ-და-უწამ ფორხილობდნენ, რადგან მიწაში ჩარჩენილ ჯირკებს წაჰკრავდნენ ხოლმე მალ-მალ ფეხს. მაგრამ აგერ გათავდა ხეივანი და მერე დაიწყო მინდორი, რომელსაც ოდნავ ანათებდა შუქი ჩასულის მთვარისა, ერთმა ცხენოსანმა წაიჩურჩულა:

— ჰკარით ქუსლი ცხენსა!

ცხენები გააჭენეს და ისე გაჰქანდნენ, როგორც ისარნი. ბნელი მინდორი თითქო უკან გარბოდა. განმარტოებულნი მუხანი, რომელნიც აქა-იქ იდგნენ გზის ნაპირებად, ისე მოსჩანდნენ, თითქო ღამის ლანდნი და მოჩვენებანი არიანო. კარგა ხანს აჭენეს ასე ცხენები, იმ დრომდე, ვიდრე არ დაიღალნენ და ხვითქში არ გაცურდნენ. მაშინ კი ნება-უნებურად უკლეს ცხენებმა სირბილს.

— მეტი ღონე არ არის,—სთქვა სქელმა მხედარმა,— უნდა შევასვენოთ ცხენები.

აღმოსავლეთის კიდური ცისა ოდნავ მოიცვა ვარდის ფერმა ნისლმა. სიბნელეში ნელ-ნელა გამოჩნდა სურათი სხვა-და-სხვა საგნისა: ხეთა, ბუჩქთა, ნარ-ეკალასი, გორხანებისა; ახლა შეიძლებოდა ცხენოსანთა სახის გარჩევაცა. ეს ცხენოსნები იყვნენ ზაგლობა და ელენე.

— მეტი ღონე არ არის, უნდა შევასვენოთ ცხენები,— განიმეორა პან ზაგლობამ:—გუშინ დაუსვენებლივ იარეს ჩიგირინიდან რაზლოგამდე. დიდ ხანს ვერ შესძლებენ ამდენს სიარულს; ვშიშობ, გზაში არ დაგვიცვინდნენ. როგორა ხართ, პანნა?

პან ზაგლობამ შეჰხედა სახეზედ თავის თანა-მგზავრს, პასუხს აღარ მოუცადა და დაიძახა:

— ნება მიბოძეთ, ამ დღის სინათლეზედ გაგსინჯოთ. ჰოოო! ეგ ტანისამოსი თქვენის ბიძაშვილისაა? უნდა გამოვტყდე, რომ მშვენიერს ყმაწვილს დაჰმგზავსებიხარ. ჩემს სიცოცხლეში არა მყოლია თქვენისთანა პაჟი, მაგრამ თქვენს თავსაც მალე პან სქშეტუშსკი წამართმევს. ეგ რაღაა?... ღვთის გული-

სათვის აიკეცეთ თმა, თორემ არავინ არ დაიჯერებს, რომ ქალი არა ხართ.

ცხენის ჭენების გამო ელენეს ნაწნავები დაჰშლოდა და გაწეწილი სქელი თმა შემოჰხვეოდა მის მხრებსა და ბეჭებს.

— სად მივდივართ?—ჰკითხა ქალმა და თან ცდილობდა თმები ქუდ-ქვეშ შეემალა.

— საცა გზა წაგვიყვანს.

— მაშ, ლუბნს არ მივდივართ?

ელენეს ხმას ოდნავ დაეტყო კილო მოუსვენრობისა და უნდობლობისა.

— აი რა მოგახსენოთ, კნიაჟნა, მე ჩემი ჭკუა მაქვს და, მენდეთ, ყოველივე კარგად მოვისაზრე. ხოლო ჩემი მოსაზრებანი ამ ბრძნულ საძირკველზედ დავამყარე: ნუ ილტვი იქით, საითკენაც მდევარი გამოგეკიდება: თუ ეხლა მოგვდევენ, უთუოდ ლუბნის გზისაკენ გაემართებოდა მდევარი, იმიტომ რომ გუშინ ხმა-მაღლა დავუწყე გამოკითხვა ხალხს, ლუბნის გზა საით არის-მეთქი; ბოგუნსაც უთხარი, როცა გამოვემშვიდობე, რომ ლუბნს მივდივართ-მეთქი. Ergo, მივდივართ ეხლა ჩერკასსა. თუ გამოგვეკიდებიან, მალე არ გამოგვეკიდებიან, იმ დრომდე არ გამოგვეკიდებიან, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ ლუბნის გზაზედ არა სჩანს იმათი კვალიო. ამას კი ბარე ორს დღეს მოუნდებიან. ჩვენ კი მანამდე ჩერკასში ამოვყოფთ თავს, საცა სდგანან პოლონელთა სადროშონი პან პივნიცკისა და რუდომინებისა. ხოლო კორსუნშია დაბანაკებული მთელი მხედრობა გეტმანთა. მიხვდით ახლა, კნიაჟნა?

— მივხვდი და ვიდრე პირში სული მედგმის, თქვენი მადლობელი ვიქნები. არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, როგორ გაჩნდით რაზლოგში. მაგრამ ვგონებ თვით ღმერთმა გამოგგზავნათ ჩემდა მხსნელად, რადგან უმალ ყელს გამოვიჭრიდი, ვიდრე იმ კაცის მკვლელს მივეცემოდი ხელში.

— ის ბოროტია და, ამას გარდა, ისე გიცქერის, თითქო თვალით ჟნდა შესჭამოსო.

— რა დავუშავე, რაზედა მდევნის? დიდი ხანია ვიცნობ და დიდი ხანიცაა ჭირივით მეჯავრება. იმის შეხედვაზე სხვა გრძნობა არა მებადება-რა, შიშის მეტი. ნუ თუ ჩემს მეტი აღარავინ არის ქვეყანაზედ, რომ ეგრე შევუყვარდი, ჩემის გულისთვის ეგოდენი სისხლი დაჰღვარა, ჩემი ბიძაშვილები ამოჰხოცა? რა წყალში გადავარდე? სად დავიმალო? ნუ გაგიკვირდებათ ჩემი ლაპარაკი... ღმერთსა ვფიცავ, ისე უბედური ვარ, რომ სიკვდილი მირჩევნიან...

ელენეს სახე აენთო; ლოყებზედ ორი პატარა ცრემლი ჩამოუგორდა გულ-მოსულობით და ზიზღის გამო.

— არ აგიხირდები,—სთქვა პან ზაგლობამ;—რომ ვითომ თქვენს სახლს დიდი უბედურება არ დასტეხოდეს თავს, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ცოტაოდნად თქვენი ნათესავებიც დამნაშავენი არიან. არ უნდა დაჰპირებოდნენ ყაზახს თქვენს თავსა, ხოლო რაკი დაჰპირდნენ, მერე უარი აღარ უნდა ეთქვათ. როცა ყოველივე ესე მოჰხდა, ისეთმა გამძვინვარებამ მოუარა, რომ ველარავითარმა ჩემმა ლაპარაკმა ველარ დაამშვიდა მისი გული. მეცოდებიან თქვენი ბიძაშვილები, მეტადრე ის უწყალო. ჯერ სულ ბავშვი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ თავის დროზედ სახელოვანი რაინდი დადგებოდა.

ელენემ ქვითინი დაიწყო.

— ცრემლები არ შეჰშვენის თქვენს ტანისამოსს. მოიწმინდეთ და სთქვით: ღვთის ნებაა-თქო! ღმერთი დასჯის კაცის მკვლელსაც, რომელმაც მაგოდენი სისხლი დააქცია და თქვენი თავი კი, ერთად ერთი საგანი თვისის ტრფიალისა და ძებნისა, დაჰკარგა.

პან ზაგლობა გაჩუმდა პატარა ხანსა.

— მაჩვენებდა კი ჩემს სეირს, ღმერთო ჩემო, თუ ჩამიგდებდა ხელში! მგონი ცოცხალს გამაძრობდა ტყავს. თქვენ ჯერ არ იცით, კნიაჟნა, რომ უკვე გალატში შევიმოსე ოსმალთაგან მოწამებრივი გვირგვინი. ესეც სრულიად საკმარისია ჩემთვის, სხვა წამება აღარ მინდა და ამიტომ მივდივარ ჩერკასსა და არა ლუბნს. დიაღაც, კარგი იქმნებოდა, თავადთან

დავმალულიყავით, მაგრამ რომ დაგვწეოდნენ? ვერ გაიგონეთ, როცა ცხენები ავუშვი, ბოგუნის პაჟმა გაიღვიძა? ერთიც ვნახოთ, დაჰკრა განგაში? ერთს წუთს ყველანი დაემზადებოდნენ და დაგვიჭერდნენ უეჭველად, იმიტომ რომ შეუძლიანთ სულ უკეთესი დასვენებული ცხენები აირჩიონ თავადებისა, მე კი დრო არა მქონდა ცხენები ამომერჩია. ოჰ, დიდი ძაღლია ეგ ბოგუნი, გეფიცებით! ისე გავუმწარე ახლა იმას სული, რომ ის მირჩევნია თვით ქაჯს შეეყაროს და იმას კი არა.

— ღმერთმა დაგვიფაროს იმის ტყვეობისაგან.

— თვითონვე დაჰლუპა თავისი-თავი, რადგანაც ჩიგირინს თავი დაანება და გეტმანთა ბრძანება უგულებელ-ჰყო; ამას გარდა ჩხუბი აუტეხა რუსეთის მოურავს. იმის მეტი აღარა დარჩენია-რა ახლა, რომ ხმელნიცკისთან გაიქცეს, მაგრამ აქაც შეიძლება ვარაუდი ჩაეფუშოს: ხმელნიცკი ამ ჟამად, შესაძლოა, დამარცხებულიც კია. კრემენჩუგს იქით შეჰხვედრია ჟენძიანი ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის მხედრობას; იმათ გარდა კიდევ ხმელეთით მიდიან გუსარნი პან სტეფანე პოტოცკისა.

— მაშ, ჟენძიანმა მოიტანა წერილი კუდაკიდან?—იკითხა ჩიტივით შეფრთხიალებულმა ელენემ.

— დიაღ, წერილები პან სქშეტუსკის მოწერილი იყო თქვენთან და კნეინასთან, მაგრამ ბოგუნმა წაართვა, წაიკითხა, გაიგო ყოველივე, მძიმედ დასჭრა ჟენძიანი და გამოექანა კურცევიჩებთან, შური უნდა ვიძიოთ.

— ოჰ, საწყალი ბიჭი! ისიც დაიტანჯა ჩემის გულისათვის!

— იმისთვის ნუ იწუხებთ. გადარჩება ჭრილობას.

— როდის მოჰხდა ყოველივე ეგა?

— გუშინ დილით. ბოგუნისთვის კაცის მოკვლა ისევეა, რაც ზოგიერთისთვის ერთი ჯამი ღვინის დალევა. მაგრამ ისე კი ღრიალებდა და გრგვინავდა იმ წერილებს შემდეგ, რომ მთელს ჩიგირინს დგანდგარი გაჰქონდა.

მუსაიფი შესწყდა პატარა ხანს. ახლა სულ გათენებული იყო. განთიადის ნათელმა წითლად და ყვითლად შეჰღება მა-

ნამდე მთლად მიძინებული მინდორი. ჰაერი წმინდა იყო და გრილი; ცხენები მხნედ ფრუტუნებდნენ და აქნევდნენ კისრებს.

— აბა, გავაჭენოთ ცხენები. კარგად დაისვენეს და დროს კი ვერ დავკარგავთ,—სთქვა პან ზაგლობამ.

ჰკრეს კვლავ ქუსლი ცხენებსა და კარგა ხანს ასე ჭენებით მიდიოდნენ; უცბად იმათ პირდაპირ გამოჩნდა რალაც შავი წერტილი, რომელიც საოცარის სისწრაფით უახლოვდებოდა მგზავრებს.

— რა უნდა იყოს ნეტავ ეგა?—სთქვა პან ზაგლობამ.— შევაჩეროთ ცხენები. მხედარია.

მართლაც, ვიღაც მხედარი მოჰქროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. განაბულიყო ცხენზედ, წახრილიყო ცხენის ფაფრისაკენ და უჟაპუნებდა მათრახს ცხენსა.

— რას მოჰქრის აგრე გაჩქარებული ეგ მავნე სული, ეგა? მერე რანაირ მოჰქრის!—წაილაპარაკა პან ზაგლობამ და ამოიღო ბუდიდან დამბაჩები, მზად ვიყო მაინც ყოველ შემთხვევისათვისაო.

მხედარი ახლა ოც და ათს ნაბიჯზედ-ღა იყო.

— გაჩერდი!—დაიგრიალა პან ზაგლობამ და დაუმიზნა დამბაჩა.—ვინა ხარ?

მხედარმა შეაყენა ცხენი და მაღლა აიღო თავი.

— პან ზაგლობა!

— პლესნევსკი, ჩიგირინის უფროსის მსახური? აქ რა გინდა, სად მიხვალ?

— პან ზაგლობა! დაბრუნდით უკან, მე მომყევით, საშინელი უბედურებაა! რისხვა ღვთისა, მსჯავრი უფლისა!

— სთქვი, რა მოხდა, რა იყო?

— ჩიგირინი იმიერ ჭორომელებმა დაიჭირეს. გლეხ-კაცნი ჰქლეტავენ შლიახტას. ღვთის წყრომაა!

— უფალო, შეგვიწყალენ! რას ამბობ?—ხმელნიცკი?

— პან პოტოცკი დამარცხდა, პან ჩარნეცკი ტყვედ არის შეპყრობილი. თათრები ყაზახებთან ერთად მოდიან. ტულაიბეი...

— ბარაბაში მერე? ქშეჩოვსკი-ღა?

— ბარაბაში მოჰკლეს, ქშეჩოვსკი ხმელნიცკის მხარეზედ გადავიდა. კრივანოსმა ჯერ ისევ გუშინ გაილაშქრა გეტმანთა წინააღმდეგ, ხმელნიცკიმ კიდევ დღეს დილით. საშინელი ძალა აქვთ. ქვეყანა ცეცხლშია, გლეხ-კაცნი აჯანყდნენ ყველგან, სისხლი კოკის-პირულად იღვრება. გაიქეცით!

პან ზაგლობამ თვალები დააჭყიტა, პირი დააღო და ისეთს საგონებელში ჩავარდა, რომ ხმა ვეღარ ამოიღო.

— გაიქეცით!—განიმეორა პლესნევსკიმ.

— იესო, მარიამ!—დაიკვნესა პან ზაგლობამ.

— იესო, მარიამ!—წაიჩურჩულა ელენემ.

— გაიქეცით, დრო აღარ არის.

— საით, სად?

— ლუბნსა.

— შენ იქ მიდიხარ?

— იქა. თავადთან.

— აი, ჯანდაბას შენი თავი და ტანი! მიაძახა პან ზაგლობამ.—გეტმანები სადღა არიან?

— კორსუნს ახლოსა სდგანან. მაგრამ კრივანოსი, უთუოდ, იმათ ებრძვის ახლა.

— კრივანოსია, თუ პრიამონოსი, სულ ერთია, ეშმაკმა წაიღოს. მაშ, იქითაც წასვლა ამაოა?

— ვითომც ლომს ჩავარდნიხართ პირში, პირდაპირ დაღუპვა იქნება.

— შენ ვილამ გამოგგზავნა ლუბნსა? შენმა ბატონმა?

— ბატონი მოკვდა, ხოლო მე ნათლია-ჩემმა, იმიერ-ჭორომელმა გადამარჩინა სიკვდილსა და მიშველა გამოვქცეულიყავ. ლუბნში ჩემთავად მივრბივარ, იმიტომ რომ არ ვიცი, საით წავიდე.

— რაზლოგს გვერდი აუხვიე. იქ ბოგუნია. იმასაც უნდა აჯანყებულთა მხარეზედ გადავიდეს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩიგირინში ლაპარაკობენ, რომ დღეს არა, ხვალ მთელს იმიერ ჭორომეთში აჯანყდებიან გლეხ-კაცნიო.

— შეიძლება, შეიძლება! გასწი, მაშ, შენს გზაზედ, ხოლო მე ჩემის თავისათვის ვიზრუნებ.

პლესნევსკიმ გადაჰკრა მათრახი ცხენს და გაჰქუსლა.

— რაზღოგს კი შორს მოუარე!—დაუძახა პან ზაგლობამ. თუ შეგხვდეს ბოგუნი, არ უთხრა, რომ მე მნახე. გეყურება?

— მესმის,—უპასუხა პლენსევსკიმ.—ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!—და მალე მიიმალა.

— ჰერიგიდიჰაა... — გაჰიანურებითა სთქვა პან ზაგლობამ—ესეც შენი ეშმაკები და ქაჯები! ათასი ჯანაბა და დოზანა გამომივლია და ამისთანა კი ჯერ არა გადამხედია-რა. წინ ხმელნიცკია, უკან ბოგუნი... ახუ ასეა, მაშ გროშად არ მიღირს არც ჩემი წინა კალთა, არც უკანა და არც სულ ჩემი თავი. სისულელე მომივიდა, რომ ლუბნს არ წავედით, მაგრამ ახლა გვიანღაა წუწუნი. ფუი, ეშმაკო, ფუი! მთლად ჩემი ტვინი იმისთვის-ღა ვარგა, რომ ნაღებს წაუსვას კაცმა გასაპოხად. რა ვუყო, რა ქვას ვახალო თავი? მთელს რესპუბლიკაში ვგონებ კუთხე აღარ არის ისეთი, საცა კაცს შეეძლოს თვისის სიკვდილით მოჰკვდეს. მე კი, სწორე მოგახსენოთ, ამისთანა საქმეში არავის დახმარება არ მინდოდა.

— პან ზაგლობა!—სთქვა ელენემ,—ჩემი ბიძაშვილები, იური და თევდორე ეხლა ზოლოტონოშას არიან. იქნება იმათ შეიძლონ და რაიმე შემწეობა მოგვცენ.

— ზოლოტონოშას? მოითმინეთ... ჩიგირინში გავიცანი პან უნეჟიცკი, რომელსაც ზოლოტონოშას ახლო ოხრი მამული აქვს. რა ვქნათ? როცა სხვა გზა არ არის, ამ გზას დავადგეთ. საჭიროა მხოლოდ უგზო-უკვლოდ ვიაროთ. მინდორ-მინდორ და ტყე-ტყე სიარული უფრო ნაკლებ საშიშია. ერთის კვირით მაინც თუ მოვახერხეთ შევაფაროთ თავი და დავიმალოთ სადმე... ამ ხნის განმავლობაში გეტმანები გაუთავებენ საქმეს ხმელნიცკის და უკრაინაში კვლავ მშვიდობიანობა დამყარდება.

— დავიჯერო ღმერთმა იმიტომ გადაგვარჩინა ბოგუნისაგან, რომ ხსნა ველარსად ვიპოვოთ? იმედი გქონდეთ.

— მომითმინეთ პატარა კიდევ. რაღაც ახალს ძალ-ღონესა ვგრძნობ. ბევრ-გვარ ყოფაში ვყოფილვარ. როდისმე, როცა მოცლით ვიქნები, გიამბობთ, რა ცეცხლში ვიყავ გალატსა და, მაშინ მიხვდებით, რომ ბევრჯელ გავბმულვარ მახეში და ძალიანაც გავბმულვარ, მაგრამ მაინც მომიხერხებია თავის დახწევა, თუმცა, როგორც ჰხედავთ, მაგისთანა ამბის გამო წვერი შემექნა ჭაღარა. ჩვენ მაინც გზას უნდა გადუხვიოთ. აბა, გადადით გზას იქით, ეგრე, აი. ცხენზე ისე ჰზიხართ, თითქო ნამდვილი ყაზახი იყოთ. ბალახი მაღალია, კაცი თვალს ვერ მოგვკრავს.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ მინდორ-მინდორ, ბალახი უფრო მაღლდებოდა. ცხენები ძლივს არღვევდნენ წელამდე ბალახს და მალე სულ ოფლში გაცურდნენ.

— თუ გვინდა, რომ უფრო დიდხანს გვემსახურონ ცხენები,—სთქვა ზაგლობამ,—უნდა ჩამოვხდეთ და იარაღი მოვხსნათ. დაე პატარა ხანს დაისვენოს. ეგონებ, აქედან შორს აღარ უნდა იყოს კალამლიკი. იქ კარგია. ლელიანებზე უკეთესი აღარა არის-რა: ჩავიმალებით შიგა და ვგონებ თვით ეშმაკმა და ქაჯმაც ველარ გვიპოვნოს. საქმე ის არის, რომ გზა-კვალი არ აგვერიოს მხოლოდ.

ზაგლობა ჩამოხდა ცხენიდან, უშველა ელენესაც ჩამოხდარიყო და დაიწყო ხურჯინიდან ამოლაგება ყოველ-გვარის სანოვაგესი, რომელიც რაზლოგიდან წამოეღო წინ-დახედულს აზნაურშვილს.

— პატარას უნდა შევნაყრდეთ, თორემ გზა დიდი გვაქვს. აუთქვით რამე, კნიაჟნა, წმ. რაფაელსა, რომ იქნება მშვიდობით მივიდეთ ბინაზედ. ზოლოტონოშაში ციხე მაინც არის პატარა; იქნება მეციხოვნებიცა სდგანან შიგა. პლესნევსკიმა სთქვა, რომ გამოლმა მხარშიც აჯანყებას აპირობს ხალხიო. ჰმ! დაუჯერებელი არა არის-რა, აქ ყველას სული სცივა ამბოხებისათვის: გამოლმა-მხარს კი განაგებს ხელი თავადისა, ხოლო თა-

ვადის ხელი კარგა მძიმეა. ბოგუნს მაგარი ზურგი აქვს, მაგრამ თუ ეს მძიმე ხელი დაეშვა ზედ, ცუდად მოჰკუნტავს... აბა, შეექეცით.

პან ზაგლობამ ამოიღო ხორცის ნაჭერი და მიაწოდა ელენეს, მერე პურის პატარა ნაჭერიც წინ დაუდო.

— მიირთვით, კნიაჟნა. როცა მუცელი ცარიელია, თავში ეშმაკები ფერხულს აბამენ. ჩვენს თავშიც ეშმაკებმა ფერხული დააბეს უზმოზედ, როცა ლუბნისკენ არ წავედით. მაგრამ რაღა დროს ეს ლაპარაკია! უნდა ვიფიქროთ, რომ თავადი ეხლა დნეპრ-გაღმა გაემართებოდა გეტმანთა საშველად. საშინელს დროს შევესწარით, რადგან ძმა-ძმის მკვლელი ომი ყოველ ომზე საშიშია. კუთხე აღარსად არის, რომ მშვიდობიანს კაცს შეეძლოს თავი შეაფაროს. ბევრად მერჩივნა სასულიერო უწყებაში მემსახურნა, იმიტომ რომ მშვიდობის მოყვარული ვარ და მომთმენო, მაგრამ ბედმა სხვაფრივ განაგო საქმე... ღმერთო ჩემო! ვიქნებოდი ეხლა ჩემთვის კრაკოვის საკრებულო ტაძრის მღვდელი და მოვყვებოდი ლამაზად წირვის გალობას... მერე ხმა, უნდა მოგახსენოთ, ძალიან კარგი მაქვს. მაგრამ ვაი ჩემდა! ყმაწვილობიდანვე გაიტაცა ჩემი გონება გარდამავალმა სილამაზემ. ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, რა ლამაზი ვიყავი! ხშირად მომხდარა, რომ დაავლებ, ვსთქვათ, თვალს ამა თუ იმ ყმაწვილს ქალს, გადიგრეხავ ასე ულვაშს... და გათავდა. ერთი ოცის წლით ყმაწვილი უნდა ვიყო, ჰნახავდა მაშინ პან სქშეტუსკი თავის სეირსა!.. არ მიკვირს, რომ ყმაწვილნი კაცნი მზად არიან თქვენის გულისათვის ერთმანერთს ყელები გამოჰლადრონ. პან სქშეტუსკი... ოჰ, ისიც ძალიან თავზედ-ხელაღებულია. მახსოვს ერთხელ ჩაპლინსკის რომ ეცა. მართალია, თქვენს საქმროს, ცოტათ არ იყოს, თავში ღვინო უბრწყინავდა, მაგრამ მაინც, სწვდა თუ არა ქეჩოში, უკაცრავად კი ნუ ვიქნები თქვენთანა და, ისე მიანარცხა კარებსა, რომ ძვლებმა სულ ჰაჰი-ჰუჰი დაუწყო. მოხუცი ზაცვილიხოვსკი დიდის პატივისცემით იხსენიებს ხოლმე, ამბობს, რომ სახელოვანი რაინდია, თავადს-მოურავს ძალიან უყვარსო; მეც კი დავრწმუნდი

შემდეგ, რომ ყოველივე ესე მართალია... ოჰ, რანაირ სიცხეს იჭერს! თუმცა თქვენთან ყოფნა და ასე მუსაიფი დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, მაგრამ რას არ გავიღებდი მაინც, რომ ეხლა ზოლოტონაში გავჩნდებოდეთ უცბად. ახლა კი ვხედავ, რომ დღისით ბალახებში უნდა ვიმალოთ თავი და ღამ-ღამობით ვიაროთ. ეს მაწუხებს მხოლოდ, აიტანთ თუ არა ყოველ ამ გაჭირვებას?

— მე კარგადა ვარ და ყოველისავე გაჭირვების ატანა შემიძლიან. თუ გინდათ, ეხლავე მზადა ვარ, გზას გავუდგეთ.

— რაინდის სულია დამკვიდრებული თქვენს აგებულებაში. ცხენებმა დაისვენეს და ყოველ შემთხვევისათვის შევკაზმავ. მანამდე ვერ მოვისვენებ, ვიდრე კალამლიკის ლელიანებს არ დავინახავ... უნდა გამოგიტყდეთ, საშინლად მეძინება. გუშინდელი ღამე თეთრის თვალით გავათენეთ ჩიგირინში; დღისით კიდევ ეშმაკი და ქაჯი რაზლოგისკენ მიმაფრენდა და ახლა იქიდან მომაფრენს. ისე მეძინება, რომ ლაპარაკის ხალისიც კი აღარა მაქვს, და თუმცა ფილოსოფოსნი ამტკიცებენ, რომ ენა იმიტომ მისცა კაცს ღმერთმა, თვისი აზრები გამოსთქვასო,—ჩემი ენა მაინც მოიღალა. წინდაწინვე გთხოვთ პატიებას, თუ ძილმა თავი წამართვა.

პან ზაგლობა ტყუილად ამტყუნებდა თავისს ენასა, იმიტომ რომ უთენიავე დაიწყო ფქვა, ხოლო ძილით კი მართლა ეძინებოდა. შეჯდა თუ არა ცხენზედ, მაშინვე თავის ქინდვრას მოჰყვა და მალე დაეძინა კიდეცა. ელენე ძალა-უნებურად გაიტაცა იმ აზრებმა, რომელიც ჯარივით ესეოდა მის გონებას. აქამდე ერთს სანახაობას მეორე მოსდევდა ისეთის სისწრაფით, რომ ყმაწვილმა ქალმა ვერ შეიძლო ანგარიში გაეწია ყოველისავე იმისი, რაც თავს გადაჰხდა. თავს-დასხმა სახლზედ, საშინელი სცენები კაცის-კვლისა, მოუსვენრობა და გულის-ჩქროლა, მოულოდნელი შემწეობა და გამოქცევა,—ყოველივე ესე ერთ განურკვეველ, ბუნდოვან სურათად უდგა თვალ-წინ. მერე იმდენი რამ მოულოდნელი ამბავი ერთად! ვინ არის ეს კაცი, მისი დამხსნელი? მართალია, ამ კაცმა სთქვა, რა გვარისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, მაგრამ გვარის თქმა სრულიადაც არ არკვევდა მიზეზებს იმის საქციელისას. საიდან გაჩნდა რაზლოგში? ამბობს, რომ ბოგუნთ ან ერთად მოვედიო; მაშ, ცხადია, მისი ამხანაგია, მისი მეგობარია, ხოლო თუ ასეა, რაღად გადამარჩინა და როგორ ჰკისრულობს ყაზახის საშინელს შურის-ძიებას, რად აგდებს თავს საშინელს განსაცდელში? მხოლოდ ის მიხვდებოდა, რა კაციც იყო ზაგლობა, ვინც იცოდა მისი მოუსვენარი ხასიათი და კეთილი გული, ხოლო ელენემ გაიცნო ეს კაცი სულ ექვსის საათის წინად. და აი სწორედ ეს კაცი, რომელსაც ღოთი-მაწაწალას სახე აქვს, მხსნელია ახლა ჩემიო! სამის დღის წინად რომ შემხვედროდა, უსიამოვნებისა და ზიზღის მეტს არას მაგრძნობინებდა მისი დანახვა. ახლა კი ისე შევყურებ, როგორც ჩემს მფარველ ანგელოზს და მივრბივარ მასთან ერთად... სად? ზოლოტონოშას, ან იქნება კიდევ სხვაგან სადმე, მეც არ ვიცი რიგიანად... ღმერთო, ღმერთო! ჯერ ისევ გუშინ დავწექ დასაძინებლად საკუთარ მშვიდობიანს ჭერ ქვეშ და ახლა კი მინდორში ვარ, ცხენზე ვზივარ, ვაჟკაცის ტანისამოსით... უსახლ-კაროდ, უსავანოდ. მდევნის საშინელი მტერი, რომელსაც უნდა რომ მიყვარდეს; თვალ-წინ მეხატება ყოვლადი საშინელება ერის აჯანყებისა, ძმა-ძმის მკვლელის ომისა, ყოველივე განსაცდელი... და ერთად-ერთი ჩემი იმედი და ნუგეში ეს კაციაო... არა, არის კიდევ ისეთი რამ, რაც კაცის მკვლელთა და ავაზაკთა უმაღლესია, რაც მაღლა სდგას ომსა, ცეცხლსა და ძალ-მომრეობაზედ...

— მაშ, მიხსენ და დამიფარე, შენ, დიდებულო და მოწყალეო! მიხსენ მე, საცოდავი, ყველასაგნ დატოვებული!

დიაღ, ღმერთი მოწყალეა. მან დაიფარა სასწაულებრივ საშინელის უბედურებისაგან. განსაცდელი იქნება ასცდა კიდეც, გარნა იქნება ხსნაც შორს აღარ იყოს. ვინ იცის, სად არის ის, რჩეული მისის გულისა? იქნება დაბრუნდა სეჩიდან, იქნება აქ არის, ამ მინდორში. ხომ დამიწყებს ძებნას, მიპოვის და მერე... ოჰ, მერე მწუხარებასა და ცრემლს შესცვლის სიხარული,

გულის ჩქროლასა და მოუსვენრობას—მტკიცე რწმენა მომავალის ბედნიერებისა....

ყმაწვილის ქალის გაურყვნელს გულს მიეფინა რაღაც წყნარი სიხარული, გარშემო მინდორიც ხმაურობდა საალერსოდ, სასალმოდა, ნელი ნიავიც გარს ევლებოდა თვისის აყვავებულ ბალახთა ტკბილის სურნელოვანებით. არც ისე ყველასაგან მიტოვებული ვარ: აგერ ჩემ გვერდით ჩემი კეთილი მფარველი, ხოლო შორს მეორეა, ძვირფასი, საყვარელი, რომელსაც ვახსოვარ, რომელიც არ დამტოვებს, მოვა, მომიალერსებს... ხოლო ის მეორე სახელ-განთქმული რაინდია, მორჭმული და ძლიერ უფრო ძლიერი, ვიდრე ისინი, ვინც მე მდევნის...

მინდორს საამურად გაჰქონდა შრიალი; ყვავილნი ჰფენდნენ გარშემო თვისს ტკბილს სურნელებას, ყოველი მცენარე პატივის-ცემით იხრიდა მის წინაშე თავს, თითქო უნდათ გაამხნეონ ქალიო. ამას ეჩურჩულებოდნენ: ნუ სტირ, ქალაიავ, ლამაზო და მშვენიერო, ჩვენც არა გვყავს მცველნი და მფარველნი, მაგრამ აგერ ვიზრდებით და ვყვავით. ხმა მინდვრისა გულსა სწვდებოდა ახალგაზდა ქალს და თან-და-თან უფრო ამშვიდებდა მის მღელვარებას. სურათნი სიკვდილისა, ბრძოლისა და მდევარისა ნელ-ნელა ჰქრებოდა, ჰხუნდებოდა. ქალი თან-და-თან რაღაც ტკბილს მიბინარებას ეძლეოდა, თვალები უნებურად ეხუჭებოდა, ცხენის ფეხის თანაბარი ხმა ნანასავით ესმოდა.

ელენეს დასთვლიმა, ჩაეძინა.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

არა, არ ვსტირი...

არა, არ ვსტირი—ტრემლები
სულით მდაბალთა წესია—
არ ვსტირი, თუმცა მწარე სვედრს
სახემოდ დაუკვესია.

ჭედს არ მოვუდრეკ შავ-ბედსა!
რაკი მტრად შეშომესია,
მებრძოლოს, რადგან სახემოდ
მახვილი გაულესია.

არც კილხენ, გული სალხენად
არა მაქვს აძგერებული:
შუა გადმიტყდა ჩანგური
სატრფოსთვის აყღერებული.

მტერმა მომტაცა კეკლუცი,
მორცხვი და მოკრძალებული,
გულით წრფელი და სულით კი
ზეცამდე ამაღლებული.

იმედმა ზურგი მიჩვენა,
შვებამ დამატრიალა,
ტრემლ-სიასხლის ყანგმა შესწუვიტა
სიმთა ხმა ნაზად წკრიალა.

ცამ მხარი მაისცა ჩემს მტერსა,
საზარლად დაიგრიალა,

მესი გასტუქრცნა სასტიკი,
ქვეყანა შეაწრიალა.

კერპი დამიმსხო, ემბლემა
ქვესკნელში ჩამითრიალა,
სმალი მიჩვენა კლდისა,
ღრუბლებში გაასრიალა;

ზღვა აღელვა, ხმელეთი
გენიად აბრიალა,
მაგრამ გერ დამტყა სულითა,
უოფაც მან გაუტიალა...

არა, არ გსტირი—ტრემლები
სულით დაცემულთ წესია—
კსდუმ, მაგრამ ზოგჯერ დუმილი
მოთქმაზედ უარესია.

განდეგილი

30 ქრისტეშ. 1894 წ.

გ ა ნ თ ი ა დ ი

მოთხრობა ეკისა

VI*)

დედაბერი მოკრა არა-ჩვეულებრივი დედაკაცი იყო. ათის წლის წინად დაქვრივდა და ქმრისაგან დიდძალი ქონება დარჩა. შვილები ოთხი ჰყავდა: სამი ვაჟი და ერთიც ქალი. მისი ქმარი რუშჩუკში ერთ უმდიდრეს ვაჭრად ითვლებოდა, ამიტომ არამც თუ მოქალაქენი პატივსა სცემდნენ, მთავრობაც კარგის თვალით უყურებდა. უკანასკნელ წლებში ჩორბაჯად ირჩევდნენ ყოველთვის, და ისიც, როგორც პატივცემულსა და სამართლიანს კაცს შეეფერებოდა, ისე ასრულებდა ამ თანამდებობას. ოსმალოებს საიმედოდ მიაჩნდათ და სრულებით არა სწყინდათ, რომ შვილებს სამზღვარ-გარედა ჰზრდიდა. ამისთანა მდიდარს კაცს ეს ეპატივებოდა, მით უფრო, რომ თვით ოსმალებიცა ჰგზავნიდნენ ხოლმე სასწავლებლად თავიანს ახალგაზდა მუსლემინებს გიაურებთან საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაშიც კია. მოკრის ქმარმა, ერთისა თუ ორის წლის წინად სიკვდილამდე, სამზღვარ-გარედ თავისი უმცროსი შვილი გაჰგზავნა; სულ უფროსი კი სწავლას უკვე ათავებდა, საკომერციო სკოლაში. აქედან რომ დაბრუნდებოდა, მამის ადგილი უნდა დაეჭირა. მაგრამ, ქმრის უდროოდ სიკვდილისა გამო, საქმეს მოკრამ მოჰკიდა ხელი და იმ გვარადვე მიჰყავდა, როგორც თვით ქმარს თვის, სიცოცხლეში. ყოველსავე მთავრობის საწინააღმდეგოს ერიდებოდა, სიცოცხლის ერთად-ერთ სატრფიალო საგნად ფული გაიხა-

*) «მოამბე» № IV.

და. წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ფულის მოგებაში საოცარს უნარს იჩენდა, ასე რომ მოკლე ხანში იმნაირივე პატივსაცემი შეიქმნა, როგორც მისი განსვენებული ქმარი იყო. ყველა იმას გაიძახოდა, მოკრა ძალიან ჭკვიანიაო. და მართლაც, მოკრა თავისს საქმეს ჩინებულად უძღვებოდა: მე ვიცი ლაპარაკს ვერ შეიძლებდა და ვისიმე შეეშინდებოდა! გამბედავი იყო, თამამი და თვით ხონთქრის წინაშეც კი არ შეჰკრთებოდა. ამ გვარად, ორი წელიწადი უცდიდა უფროსის შვილის დაბრუნებას.

— მადლობა ღმერთს, რო მოხვედი,—უთხრა მოკრამ, როცა შვილს მიესალმა.—როგორც ჭკუაში დაგიჯდეს, ისე აწარმოვე საქმე: გაჰყიდე, როგორც გინდა და რაც გინდა, მხოლოდ საქმე ჭკვიანად კი წაიყვანე, უმცროსი ძმები ანგარიშს რომ მოგთხოვენ, არ შერცხვე.

— დედილო,—უპასუხა ახალგაზდა კაცმა,—ჯერ არ მინდა ვაჭრობას ხელი მოვკიდო.

— რათაო?—ჰკითხა დედამ.

— სხვა საქმე მაქვს... და ხომ იცი, ორ კურდღელს რომ კაცი გამოუდგება, ერთსაც ვერ დაიჭერს.

— ეგ კი მართალია; ორს კურდღელს ნურც შენ გამოუდგები.—უპასუხა დედამ. და არც უკითხავს, შვილი რა საქმეს უნდა შესდგომოდა. ახალგაზდა კაცი დასავლეთ-ევროპის ცხოვრებას შეეთვისა; დედას ხშირად მოუყვებოდა ხოლმე ეროვნულ დამოუკიდებლობის ამბავს, უხსნიდა შევიწროებულთა და შემავიწროებელთა შორის ბრძოლის საჭიროებას, და ბევრს სხვა რასმე, რომლისაც დედას არა ეყურებოდა-რა და არც უნდოდა, გაეგო-რამ.

— რაში მეკითხება ის, რაც არ შეეხება არც ქონსა, არც საპონს, არც ერბოს, არც მურაბას! საქონლის ფასი და მაზანდა ხომ მაზედ არ არის დამოკიდებული, მაშასადამე, მე არ შემეხება...

მისი შვილი მხოლოდ რამდენსამე დღეს დარჩა სახლში. მოკრამ უთხრა—ფაშასთან წავიდეთ, გაიცანიო.

— შენი ამბავი მკითხა,—ეუბნებოდა დედა,—და შენი გაცნობა სწადიან... ისიც მოიფრანგებს, შენსავით.

— მე რომ მკითხო,—უპასუხა შვილმა,—ფაშა მხოლოდ ჩემის სამშობლოის სულთამხუთავია, სხვა არაფერი.

მოკრას არც ეს ესმოდა. მართალია, ოსმალოებისა ეშინოდა; ამბობდა, მათთან კაცი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყვესო, იცოდა, რომ ძალა მათს ხელში იყო. დარწმუნებული იყო, ყოველივე ესე ღვთის ნებით არის დაწყობილი და სხვაფრივ შეუძლებელიც არისო, ამიტომ შეეჩვია, შეეთვისა ყველაფერს და, რაც უნდა გასაჭირში ჩავარდნილიყო, თავისის გამოცდილებით ფონს ადვილად გადიოდა. სულ მუდამ ხუმრობდა, მოხელეებს ქრთამით აჩუმებდა, და იმათაც ძალიან შეიყვარეს. ასეთს დედაკაცს ვერას გზით ვერ გაეგო, რატომ უფრთხოდა მისი შვილი ოსმალებს? ვერ მიმხვდარიყო, რად აგროვებდა შვილი სახლში ბოლგარელ ახალგაზდობას და რა აზრით ელაპარაკებოდა შვეიცარიასა, ჰოლანდიასა, ისპანიასა, იტალიასა და სხვა-და-სხვა ქვეყნებსა და საგნებზედ, რომელთაც ვაჭრობასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდათ. შვილის მიერ ნაამბობ „ზღაპრებისა“ ზოგირამ დაიხსომა, მაგრამ ის კი ვერ გაიგო, როგორ შეიძლებოდა მათი გამოყენება ცხოვრებაში.

ერთხელ შვილმა ორასი დიუკატი *) სთხოვა.

— რად გინდა?—ჰკითხა დედამ.

— რევოლვერების სასყიდლად,—უპასუხა ახალგაზდა კაცმა.

— ალბად, იაფად შეგხვდა?

მოკრა დარწმუნებული იყო, შვილი რევოლვერებს გასასყიდად ჰყიდულობსო. ორას დიუკატად ოც და ათისა, ორმოცის რევოლვერის ყიდვა შეიძლებოდა,—ამდენი რევოლვერი მაშ რად ენდომება, თუ არ გასაყიდადო? დედამ ფული მისცა და საქონელს მიღებას უცდიდა; ამასობაში შვილი სამგზავროდ მოემზადა.

*) დიუკატი ჩვენებურს ორსა და ათს შაურს უდრის.

— სად მიდიხარ?

— რუმინიაში.

— დიდის ხნით?

— არა, ცოტას ხნით... მარტო მე არ დავბრუნდები,— დაუმატა შვილმა.

— მაშ ვინ მოგყვება თან? იქმნება, გულის ვარდი გეგულება იქ?—დაეკითხა მოკრა იმ დედობრივის სიყვარულითა, რომელშიაც უფრო შვილი-შვილების ლოლიაობის სურვილი იხატება ხოლმე.

— ახლა მაგისთანებისთვის ფიქრის დრო არა მაქვს,—უპასუხა ახალგაზდა კაცმა.

სანამ მოკრა შვილს ელოდებოდა, ბოლგარეთში ხმები გავრცელდა, რომ რუმინიის სამზღვრებიდან შემოსეულ მეამბოხეთა მღელვარება მოახდინესო. ამ ხმებმა მოკრა, ცოტა არ იყოს, დააფიქრა; მაგრამ მხოლოდ იმიტომა სწუხდა, რომ მისი შვილი იმ მხარეში იყო, საიდანაც ეს საბედისწერო ამჯანყებლები გამოტყვრნენ. ამ გარემოებას შემთხვევას აბრალებდა; მაინც ძალიან ეშინოდა და ყოველსავე ამბავს გაფაციცებით კითხულობდა.

კარგად იცოდა, მთავრობას მართალი ამბავი ექმნება ხელთაო, და პირველივე მოხერხებული შემთხვევა დაიხვია ხელზედ და კონაკში წავიდა. რაღაც საქმეც გამოუჩნდა ტამოჟნისა, რომელსაც ფაშის დაუხმარებლად ვერ გაარიგებდა. მოკრა მაშინადვე მიიღეს. დედაბერმა მოახსენა ფაშას ყოველივე, რაც საქმე ჰქონდა, და თან სულ იმასა ჰფიქრობდა, როგორ გამოვსტყუო უფრო ოსტატურად რაიმე ამბავი ჩემის შვილისაო. ამ დროს თვითონ ფაშა დაეკითხა:

— ახალი რა იცი?

— ახალი შენ უფრო გეცოდინება, ეფენდიმ.—ფაშამ გაიღიმა და უპასუხა:

— შენც ჩემისთანა ყურები გასხია.

მოკრამ თავი გააქნია და უთხრა:

— მე ყურები ახვეული მაქვს და შენ კი არა. ამიტომ მხოლოდ ის მესმის, რასაც ხმა-მაღლა ლაპარაკობენ.

— მაგალითად, რა?

— მაგალითად, ისა, რომ შენ, ეფენდიმ, მაქარსავით ტკბილი ხარ.

— კიდევ რა?

— კიდევ, ამბობენ, ვილაც ავაზაკები გაჩენილანო.

— არა, ავაზაკები არა,—შენიშნა ფაშამ.

— თუ არ ავაზაკები, მაშ ვინ არიან?

— მეამბოხენი, ჯანუმ.

— ეს რა ხალხია?

— შენ თვითონ გაიგებ კარგად, თუ იმათ შორის შენი შვილიც მოჰყვა.

— ჩემი შვილი? ჩემ შვილს იმათთან რა უნდა?

— სად არის?—ჰკითხა ფაშამ.

— თესქერა (პასპორტი) აიღო და დუნაის იქით წავიდა.

— რისთვის?

— სავაჭროდ, ან, შეიძლება, საცოლოს საძებრადაც.

„საცოლო“ განგებ ახსენა, რომ ლაპარაკი ხუმრობაში ჩაეტარებინა, გული კი რაღაც უბედურებას შეჰკვნესოდა.

— რაო? შენმა შვილმა უნდა იყიდოს რამე და ან გასაყიდად წაიღოს რამე?—ჰკითხა ფაშამ.

— ქონის მაზანდა უნდა შეეტყო.—მოკრამ „ქონი“ ახსენა, გულში კი რევოლვერები ჰქონდა; ამ წუთას ბევრი რამ გაიგო, რაც წინად არ ესმოდა.

— თუ მართლა ქონისათვის წავიდა, ეგ ძალიან კარგია.

— და თუ ქალისათვის?

— ეგ კიდევ უკეთესი; იმედი მაქვს, ქორწილში მეც დამპატიჟებ. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს დიდის სიამოვნებით დავლევ.

— მე-კი, ეფენდიმ, იმ ღვინოს, რომელსაც შენ შემოგთავაზებ, წყალის სახელით მოვიხსენიებ.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს: შენ მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ შემაქცევინე ზურგი,—მაჰმადი ვერ დამინახავს—ღვინოსა ვსვამ თუ წყალსა?.. კარგი და, შვილს როდის მოელი უკანვე?

— შეიძლება, დღესაც მოვიდეს, ან ხვალ მაინცა.

— როცა დაბრუნდეს, უთხარი, მნახოს: საქმე მაქვს იმასთან.

მოკრა კონაკიდან გამოვიდა. დარდმა მოიცვა მთელი მისი არსება, და უკან დაბრუნებულმა რამდენსამე მაღაზიაში შეიარა,—ეგებ გავიგო რამეო. უთხრეს, რუშჩუკიდან ჯარი და ზაფთიები გაუგზავნიათო. ამ ჩვენის ქალაქიდან კიდევ რამდენიმე ახალგაზდა კაცი გაპარულანო, და მშობლები სასოწარკვეთილებაში არიან თურმე. გაპარულების სახელი და გვარიც უთხრეს და ჰკითხეს: „შენი შვილი?“ მერე ერთი დედა-კაცი შეჰხვდა—იმისი შვილიც გაპარულიყო. მოკრა რომ დაინახა, მიჰვარდა და ხმამაღლა დაუწყო საყვედური:

— თუ ჩემი შვილი არ დაბრუნდა, ღმერთს შევევედრები, ყველაფერი შენს შვილს მოჰკითხოს...

მოკრა თანდათან რწმუნდებოდა,—ჩემი შვილი, ალბად, შეთქმულებში გარეულაო. ჯერ თავის თავს წყეველა დაუწყო,—რად გავუშვი შვილიო. მაგრამ მერე იფიქრა: „როგორ შემეძლო არ გამეშვა?“ ამ ფიქრმა სულ სხვა აზრზედ დააყენა და თავის თავსა ჰკითხა:

— იმ სულელმა, იმან, ორასის მაგივრად, რატომ ორი ათასი დუკატი არ გამომართვა რევოლვერებისათვის?!

მოკრას, როგორც გამოცდილს ვაჭარს, სწამდა ფულის ძლიერება. მაშინათვე აართვა ალღო საქმესა და ივარაუდა, რომ ბევრის ფულის დაბანდებით უფრო სასურველი შედეგი მოჰყვებოდაო. მეორეს მხრით, ისიც იფიქრა, ჩემი შვილი სამზღვარ-გარედ ტყუილად ხომ არა სწავლობდა, ალბად, კარგად გამოიანგარიშა, რამდენიც დასჭირდებოდაო... რისთვის? მისი გონება ამ საკითხის პასუხს ეძებდა, და ზოგი იჭვით, ზოგიც წინასწარგრძნობით, იკვლევდა გზას მის ასახსნელად. მოაგონდა შვილის ნაამბობი „ზღაპრები“,—მისთვის ეს ზღაპრები ამ

ცოტას ხნის წინედ გაუგებარი იყო; მოკრამ რაღაც ახალი, უცნობი-რამ იგრძნო; მის გულში თავის-თავად გაცოცხლდა ის გრძნობანი, რომელნიც დაეხშო და დაეთრგუნა ხუთის საუკუნის განმავლობაში მის თანამემამულეთა შორის ოსმალთა ხიშტებსა. რაღაც ზნეობრივის „ატავიზმის“ ძალით მისმა სულმა წინაპართა სულის სახე მიიღო, იმ წინაპართა, რომელთა სახელები ისტორიისათვის უცნობი იყო. პირველში თავისი მდგომარეობა თვითონაც არ ესმოდა. ეს ხანში-შესული დედაკაცი იმ სულიერს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რა მდგომარეობაშიაც იყო აგრედვე ახალგაზდა ნიკოლაც. როგორც ნიკოლამ, ისე ამანაც პირველში უბედურების მიზეზი არ იცოდა. ბოლგარეთს თავისუფლების ნიავმა დაჰქროლა და ამ ნიავის გავლენით არამც თუ ახალგაზდებს განუმტკიცდათ ხასიათი, ხანში-შესულთაც სხვანაირი მისწრაფება და სურვილი დაებადათ.

ახალი ამბები წამ-და-უწუმ მოდიოდა და მთელს ბოლგარეთს შიშის ზარსა სცემდა. მოკრა ყველაფერს გულის-კანკალით ადევნებდა თვალყურს. სამწუხაროსთან ერთად სანუგეშო ამბებიც ვრცელდებოდა. მაგალითად, ამბობდნენ, დუნაის გაყოლებაზე, რუშჩუკს ქვემოდ და ვიდდინოსა და რუშჩუკს შუა, ბოლგარეთის ნაპირად შეთქმულნი გავიდნენ,—ყველა სამ-სამის რევოლვერით იყო შეიარაღებულიო. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იმ დროს ბოლგარეთში რევოლვერი დიდს პატივში იყო. შეთქმულთა რიცხვი ოცი-ათასამდე ადიოდა, მაშასადამე, რევოლვერებიც ბევრი უნდა ჰქონოდათ. ერთს ხანს ეს ამბავი იმედით უვსებდა ყოველ ბოლგარელს გულსა. მაგრამ ჩქარა სამწუხარო ამბად უნდა შეცვლილიყო. გულსაკლავი ხმები ხშირად მოდიოდა, ამასთან, დანამდვილებით ამბობდნენ—ბედმა გვიმტყუნაო; ბოლოს, შეთქმულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ზაფთიებიც დაბრუნდნენ და თან ორ-ორი, სამ-სამი, ერთმანეთზე გადაბმული, გასისხლიანებული ტყვეები მოჰყავდათ. ხალხი წინ უხვდებოდა. ქალაქის კარებიდან დაწყებული საპატიმრომდე ყველა ქუჩები სავსებით სავსე იყო დაღონებულ, ენა-

ჩავარდნილ ხალხითა; მხოლოდ ხანდისხან დედებს აღმოხდებოდათ ხოლმე უნებური კვნესა, როცა გასისხლიანებულს ტყვეებში თავიანთს შვილებს იცნობდნენ ხოლმე. ზაფთიების პირველს რაზმს ტყვეები მოჰყავდა,—მეორეს—მოჭრილი თავები მოჰქონდა. გმირების თავები თმით ეჭირათ ხელში; ასწევდნენ მაღლა და იძახოდნენ:

— შეჰხედეთ, ვისია!

მოკრაც ხალხში ერია, გული მოუთმენლად უცემდა; ვერას გზით ვერ წარმოედგინა, რომ მისი შვილიც ტყვეთა და მოკლულთა შორის რეულიყო. ვერ წარმოედგინა, ახალგაზდა, ნაზი ყმაწვილ-კაცი, როგორიც მისი შვილი იყო, სხვებთან ერთად, ხუნდებ-გაყრილი, სატუსაღოში წაეყვანათ. არა, მოკრასათვის ეს წარმოუდგენელი იყო; მისის ფიქრით, თვით ბოლგარეთიც ვერ მოსთხოვდა მისს შვილს ასეთს მწარე მსხვერპლს.

„ბოლგარეთი“—ეს ახალი აზრი მოუვიდა მოკრას ფიქრად, როცა გაბაწრული, გვემული, გასისხლიანებული ტყვენი დაინახა... მოკვეთილი და ტანს-მოშორებული, გაფითრებული თავები, რომელიც ზაფთიებს ხელში ეჭირათ ხოლმე, მტკიცედ ჰნერგავდა ამ ახალს ცნებას მოკრას გულში. ამ ცოცხალს, ჯერ უნახავ სურათს მოკრა ხარბად უყურებდა, ტუჩები უცახცახებდა, თვალები ცეცხლივით ენთებოდა.

ზაფთიები თითო-თითო მოდიოდნენ. აი, კიდევ გამოჩნდა ერთიც, ხელში თავი უჭირავს და ხალხს უჩვენებს: „იცნობთ?“ ასწევს, დაუშვებს, ისევ ასწევს თმით და მიდის წინ. დაუპირდაპირდა კიდეც მოკრას. ოსმალომ ვერ მოასწრო ერთხელ კიდევ ეთქვა, აბა იცანითო, რომ დედამ ერთბაშად წამოიძახა:

— ჩემი შვილი!

მოკრამ დაიკივლა, თავში ხელი წაივლო და გაშეშდა. ისე იდგა, კაცი იტყოდა—ლოცულობსო, მისი ტუჩები კი ჩურჩულებდა:

— ბოლგარეთი... ბოლგარეთი... ბოლგარეთი...

— იცნობ?—ჰკითხა ზაფთიამ და ასწია თავს თმითა.

— ვიცნობ,—დამშვიდებით უპასუხა მოკრამ:—მომეცი!

— კონაკში წადი და შენს ჯილდოს იქ მიიღებ.

მოკრა ხალხში მიიმალა.

— ახალგაზდა კაცებს ის აქეზებდა!—ჩურჩულებდნენ მოკრას გარეშემო:—ტყუილა-უბრალოდ დაიღუპა თვითონაც თავი და სხვაც დაჰღუპა.

— არა, ტყუილად არ დაღუპულა!—უპასუხა მოკრამ და ხალხი შუაზედ გააპო.

რამდენსამე საათს უკან მოკრას სახლს წინ ატირებული დედები შეიჯგუფნენ: ზოგის შვილები დაეხოცათ, სხვებისა—სატუსაღოში ჩაესვათ. უნდოდათ თავიანთი დარდი და მწუხარება ტირილით გაექარვებინათ: აგინებდნენ მოკრას და ღმერთს ევედრებოდნენ,—მოკრა, მიზეზი ჩვენის უბედურებისა, ღირსეულად დასაჯეო.

— სულ შენი ბრალია!—ჰყვიროდნენ დედაკაცნი;—შენმა აღზრდილმა შვილმა გააბრიყვა, წაიყვანა და დაჰღუპა ჩვენი შვილები.

მოკრა გარედ გამოვიდა და დამშვიდებითა ჰკითხა:

— განა ის კი ცოცხალია?

— არა, მაგრამ იმან გააბრიყვა, ის უყრიდა თავს ყველას, ის აგონებდა.

— იმას კი არავინ ჩააგონა?

— გვითხარ, გვითხარ, ვინ იყო?—მოუთმენლად ეკითხებოდნენ დედაკაცნი, და მზად იყვნენ შუა გაეგლიჯათ მათის უბედურების მიზეზი.

— ის, ვინც ჩემი შვილი მოიხმო და ეგ საქმე ჩააგონა,—სთქვა მოკრამა,—აი, იქაა!..—და სალოკი თითი ცისაკენ აიშვირა.

ღაღადების კილომ, რომლითაც მოკრამ ეს სიტყვები წარმოსთქვა, იმოქმედა მაყურებლებზე. ქალებმა მოკრას წყევლას თავი დაანებეს, მოაგონდათ, რომ მოკრაც ჩვენზე ნაკლებ არ იტანჯებაო. თავიანთის უბედურების მიზეზი განგებას დააბრალეს და ტირილით სახლებში დაბრუნდნენ.

როცა მარტო იყო და არავინ უყურებდა, მოკრაცა სტიროდა და ლოცულობდა. მეორე დღეს კონაკიში წავიდა. ადიუტანტები ძრიელ გაჰკვირდდნენ, მოკრა რომ დაინახეს. ჯერ იმიტომ რომ—მოვიდაო, და მეორეც იმიტომ, რომ სახეზე მწუხარება არ ეტყობაო. ერთმა ადიუტანტმა ჰკითხა:

— რისთვის მოსულხარ?

— ფაშას ნახვა მინდა, ჯანემ,—უპასუხა მოკრამ.

— განა არ იცი, რაც უბედურება დაგატყდა თავსა?

— შენზედა და ფაშაზედ ადრე გავიგე.

— არ ვიცი, ახლა ფაშა სალაპარაკოდ მიგიღებს თუ არა.

— თუ არ იცი, წადი და ჰკითხე.

ადიუტანტი წავიდა და საჩქაროზე მობრუნდა,—მოკრას გამოუცხადა,—მათი ალმატებულება გთხოვთ—მობრძანდიო.

მაშინდელი ფაშა ერთი იმ მოხელეთაგანი იყო, რომელნიც, ახალის ცივილიზაციის გავლენით, უიმისოდაც ჩვეულებრივს თავაზიანობას ქცევაში, უფრო ჰშაქრავდნენ და ატკბობდნენ. თავის დღეში გული არ მოუვიდოდა. ტკბილის ღიმილით იღებდა სტუმრებსა და მთხოვნელებს, ამნაირისავე ღიმილით აწერდა ხელს სასიკვდილო განჩინებას, და, მაშინაც ასე დაიწყებდა ღიმილს, როცა მარგილზედ ჩამოცმას ან სხვა გვარს წამებას მიუსაჯავდა დამნაშავეს. მოკრას ალერსიანად მიესალმა. ტახტზე გვერდით მოისვა და, ოსმალეთის ჩვეულებისამებრ, მოიკითხა.

— ნე გარ, ნე ალ, (რა არი და რა არა)?

ამაზე უპასუხებენ ხოლმე: „თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, ბატონო“ (სენ ბილირ, ეფენდიმ).—მოკრამაც ჩვეულებრივ უპასუხა, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ მოსწრებული პასუხი მოუვიდა.

— ხომ ჰხედავ, სამხლვარ-გარეთის სწავლამ შენს შვილს რაც დაჰმართა!

— ყისმათია (ბედი), ფაშა ეფენდიმ!.. ალბად, შუბლზე ასე ეწერა.

— რა თქმა უნდა... მაგრამ მაინც საქმე მანდამდე არ მივიდოდა, რუშჩუკში რომ მჯდარიყო და არხეინად ევაჭრნა... რა თქვენი საქმეა საფრანგეთი, შვეიცარია!

— ყისმათია, ფაშა ეფენდიმ,—განიმეორა მოკრამ.

— ჰმმ...—წარმოსთქვა ფაშამ; პირდაპირ მაჰმადის სარწმუნოების წინააღმდეგ ველარა გააწყო-რა..

— ჩემის შვილის ქორწილში ველარ მიგიწვიე...—სთქვა მოკრამ.

— ვსწუხვარ... მე კი იმ ღვინის სასმელად ვემზადებოდი, რომელიც, შენის სიტყვით, წყლად უნდა გადაქცეულიყო...

— სულ მუდამ მზადა ვარ ამ გვარი ცვლილება მოვახდინო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ... ახლა მეც მინდოდა თქვენის დაპირებით ჩემი თავი დამეიმედებინა,—აქ ამიტომ გეახელით.

— ეეე?—ჰკითხა ფაშამ.

— ნება მიბოძე, ფაშა...

— შენის შვილის თავი წაიღო?

— არა, ვიცი, რომ სხვებთან ერთად ისიც ხალხის საჩვენებლად იქმნება ქუჩაში გატანილი. ალბად, ასე უნდა!

— საჩვენებლად კი არა,—გაუსწორა ფაშამ,—შესაშინებლად.

— ზოგისათვის შესაშინებლად და ზოგისათვის—საჩვენებლად. საქმე ეგ არ არის. რაკი ერთხელ ჩემს შვილზე სიტყვა ჩამოვარდა, ნება მომეცი, ფაშა, პირი დავბანო და თმა დავვარცხნო.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, გული უღონდებოდა და, თუმცა დამშვიდებულის სახით წარმოსთქვა, გულში კი ცეცხლი ეკიდებოდა.

— თუ ამის ნებას მომცემ, ფაშა ეფენდიმ, მადლობას გეტყვი... მაგრამ შენთან ამისათვის არ მოვსულვარ. სატუსაღოში ყოველ დღე მინდა ვიარო და ამის ნება უნდა დამრთოთ.

ფაშას ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

— სატუსაღოში რაღა უნდა გააკეთო?

— მაგას არც კი მკითხავდი, ფაშა ეფენდიმ, რომ გაგეგონა, გუშინ დედაკაცები რა რიგ მწყევლიდნენ.

— რადა გწყევლიდნენ?—თანაგრძნობითა ჰკითხა ფაშამ.

— იმათი შვილები ჩემმა შვილმა გააბრიყვა... მინდოდა, ტანსაცმელი და საჭმელ-სასმელი მიმეტანა იმ ახალგაზდა კაცებისთვის, რომლებიც ხიფათში ჩემის შვილის მეოხებით ჩაცვივდნენ... მინდოდა, ცოტათი მაინც ნუგეში მეცა საცოდავ დედებისათვის.

ამ სახით ნათქვამი თხოვნა იმდენადვე სამართლიანი იყო, რამდენად—ჭკვიანური. მაგრამ ფაშამ პასუხი მაშინვე არ გასცა, ცოტა ხანს დაფიქრდა და უთხრა:

— შვილს გინდა თავი დაჰბანო და დავარცხნო... აა?—თავი ოდნავ დააკანტურა,—რა გაეწყობა, ნებას გაძლევ.

ტაში დაჰკრა და შემოსულ ადიუტანტს შესაფერი დარიგება მისცა, მერე მოკრას მიჰმართა და უთხრა:—გაჰყევი და, სადაც საჭიროა, იქ წაგიყვანს.

ადიუტანტმა ჯერ ჟანდარმების კონაკის ქვედა სართულში შეიყვანა, საცა ჟანდარმების სადგომი იყო, და მოჩრიგ ზაფთიას რამდენიმე სიტყვა უთხრა. ზაფთიამ მოკრას კედლისკენ მიუთითა, სადაც ხუთის კაცის მოჭრილი თაეი ეგდო. მოკრა კედელთან მივიდა; დაათვალიერა თავები, გულ-ხელი დაიკრიბა და ცდილობდა თავი შეემაგრებინა, ცრემლები არ მოჰრეოდა.

— ჰაა, იცოდე, ღრიალს არ მოჰყვე!—გააფრთხილა მოკრა მოჩრიგმა ზაფთიამ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჯანუმ,—უპასუხა დედაბერმა.—ჩემს ტირილს არ გაგაგონებ. მხოლოდ პირსახოცი და წყალი მომეცი.

პირსახოცი და წყალი მაშინვე მიუტანეს: ესეები ოსმალებს ყოველთვის ხელთა აქვთ. მოკრამ დალილებულ თავების წინ დაიჩოქა; ყველას სახეზე სისხლის წინწკლები მიხმობოდა, მტვერსა და სისხლში ამოგანგლული თმა ზედ მისწებებოდა და კისრის ძვლები თეთრად უჩანდათ. გადაღადრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანყრატოს გარშემო გაფითრებული ხორცი შემოჰკროდა, ხერხემლის მოთეთრო ძვალს თავი გამოეყო; კბილები დაკრეჭილები ჰქონდათ; ზოგს ქუთუთოები ღია დარჩენოდა, ზოგს დახუჭული ჰქონდა. მკვდართა სახის-მეტყველება მით უფრო საზარო იყო, რომ თავები უკვე გაცივებულ გვამებისთვის მოეშორებინათ. ეტყობოდა, ამ ძალდატანებას ყველას სახეზედ დრტვინვის ნიშნები დაეტოვებინა, სახის ყველა ნაქვთზე განუსაზღვრელი ტანჯვა აღებეჭდა.

მოკრამ დაიჩოქა, გამწკრივებულ თავებს თვალი გადაავლო და შვილის თავს დასწვდა, მაგრამ შეჩერდა; მხოლოდ მწარედ ამოიოხრა და სხვა თავს დაუწყო ბანა. დაჰბანა, პირსახოცით შეამშრალა, დაჰვარცხნა და ახლა მეორე თავის ბანას შეუდგა; შემდეგ მესამის ბანა დაიწყო, მერე მეოთხისა და ბოლოს შვილის თავი-ღა დარჩა დასაბანი.

— შვილო... ჩემო შვილიკო... — ჩურჩულებდა მოკრა. გულს მოწოლილი მწუხარება ისე გაუძლიერდა, რომ საბრალო დედაკაცი თავს ძლივს იჭერდა; გულიდან წამდაუწუმ კვნესა ამოხდებოდა ხოლმე, თუმცა ყოველის ღონით სცდილობდა შეემაგრებინა თავი; ხელები უკანკალებდა, მაგრამ დაიმორჩილა და დაუბანა ლოყები, შუბლი, ტუჩები, ყურები, კისერი, მერე ჯერ თხელის სავარცხლით და ბოლოს—სქელით გადუვარცხნა თმა, სცხო სურნელება და მანამდე ჰვარცხნა, სანამ ბაშჩაუშმა არ დაუყვირა:

— გეყოფა, დრო არის, მოკრა!

მოკრა განზე გადგა და დაინახა, რომ ბაშ-ჩაუშს ხუთი გამწვეტებული ანძა შემოეტანა, ხუთი ზაფთია კარზე დამდგარა; დაინახა ისიც, რომ ყველა მათგანი, ბაშჩაუშისაგან ანძაზე წამოცმულ თავს მიიღებდა თუ არა, მაშინვე იქაურობას სცილდებოდა. უბედური დედაკაცი ყველა ამას ისე უყურებდა, ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია. მხოლოდ წარბები შეიჭმუხნა, კბილები დაჭრიჭა და მუშტები მოჰკუმშა; ყველაფერს რომ მოკრჩნენ, სატუსაღოდან გამოვიდა. ჯარის-კაცნი, მოხელენი, მოსამსახურენი, მოქალაქენი გარედ იდგნენ და ანძებზე ჩამო-

ცმულ თავების ყურებაში იყვნენ. ზაფთიები, რომელთაც ეს თავებიანი ანძები ეჭირათ, დიდ ხანს არ ალოდინეს. ანიშნეს და ზაფთიებს ქვეითა ჯარის რაზმი მიუახლოვდა. გაისმა ბრძანება, და ზაფთიები, რაზმს შუა მიქცეულები, ანძებით ხელში, ეზოდან გავიდნენ. წინ ოხრი მედოლე მიდიოდა და მაშინათვე დოლი დაუკრეს; ლიტანიით გაიარეს ერთ-ერთი ქუჩა ქალაქის კარამდე.

ოსმალების ჯარს უკან მოკრაც დაედევნა, ბავშვებთან ერთად; ბავშვების რიცხვი თან-და-თან მატულობდა, ასე რომ ქალაქის კარებთან მთელ გროვად გადაიქცა, წინ მიხტოდნენ და ჰყვიროდნენ:

— გიაურლიარ!.. გიაურლიარ!..

გამვლელ-გამომვლელნი გაჩერდნენ. ოსმალები იფურთხებოდნენ, ქრისტეანები კი პირჯვარს იწერდნენ. კარებთან, სადაც დარაჯი იდგა, ერთმა ზაფთიამ ანძა მიწაში ჩაარჭო, და პროცესია ისევ ქალაქში დაბრუნდა, საითგანაც ახლა სხვა კარებისაკენ გაემართა.

ამ გვარად თავები ხუთჯერ შემოატარეს ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში. მოკრა სამჯერ მიჰყვა პროცესიას, რადგან მხოლოდ მესამეს შემდეგ დაარჩეს ის ლატანი, რომელზედაც მისის შვილის თავი იყო ჩამოცმული. დაიჩოქა, გულზე ხელები დაიკრიბა, შეხედა შვილის თავს და ჩურჩულით მოჰყვა ლაპარაკსა:

— ჩემო შვილო... შვილო... შვილო...

მერე ადგა; ერთი კიდევ შეჰხედა, თავს ხელ-ახლა ძალა დაატანა და განშორდა. პირდაპირ სატუსაღოში წავიდა. სატუსაღოს ზედამხედველი, თუნდა სანაქებო ფიზიონომისტიც ყოფილიყო, მაინც ვერ გამოიცნობდა—ამ დედაკაცს რაოდენი ტანჯვა გამოევლო იმ დღეს; ფიქრადაც არ მოუვიდოდა, მწუხარე იყო თუ არა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, ხმა—დინჯი და ჩვეულებრივი. მოკრამ თავისი გვარი უთხრა.

— მოკრა!—უპასუხა ზედამხედველმა:—ვიცი, ვიცი. ფაშამ შენს შესახებ ხაბერი (ცნობა) გამოგვიგზავნა.

— ტუსაღების ნახვის ნება მომცა, არა?

— ჰო, მოგცა... მაგრამ არც სულ ისე სავსებით, რომ...

— ფიქრი ნუ გაქვს, ჯანუმ,—გულკეთილობით უთხრა მოკრამ.—ფაშას ნება-რთვა იმიტომ კი არა ვსთხოვე, შენ გაწყენინო.

— თუ კი გულში ეგა გქონდა, ფაშასთან რაღას მიდიოდი?

— არ მინდოდა, ხათაბალაში გამეხვიე.

— კარგი, კარგი.—ზედამხედველმა გაიღიმა და ჰკითხა:

— ვინა გყავს აქა—შვილი, ძმა? ვისთვის მოსულხარ?

— ჩემთვის ყველა ძვირფასია. ვერა ჰხედავ, მოხუცებული ვარ... ხომ იცი, მოხუცებულებს სხვისი შვილებიც თვის შვილებსავით უყვარსთ.

— მართალია, მაგრამ შენი შვილი რომ ყოფილიყო, კიდევ ავიღებ-დავიღებდით, ვიტყოდით რასმე,—სთქვა ზედამხედველმა ისეთის კილოთი, რომ გაუგებარი აღარა დარჩა-რა მოკრასა.

— ბატონი ხარ, მოვილაპარაკოთ,—უპასუხა მოკრამ და მიხვდა, რომ თუ ფულს გაიღებდა, სატუსაღოდან ერთ-ერთის გამოხსნა შეიძლებოდა.

— მაშ წავიდეთ,—უთხრა ზედამხედველმა და ზეზედ წამოდგა.

— ცოტა მომითმინე,—სთხოვა მოკრამ და ხელები გაუწოდა.—წაეალ და საჭმელს რასმე მოვიტან: მშივრებთან ხელცარიელი როგორ მივიდე!

— რომ მოდიოდი, რატომ მაშინვე არ წამოიღე?

— სხვა საქმეები მქონდა.

— მაშ წადი და ჩქარა კი დაბრუნდი.

ნახევარ საათიც არ გასულა, მოკრა დაბრუნდა დიდის კალათით ხელში, და მაშინადვე შეუშვეს სატუსაღოში. ოსმალების ძველებური სატუსაღოები საშინელება იყო. სინესტე, დახშული ჰაერი, უსუფთაობა და სხვა ამისთანა სიკეთე არა აკლდა-რა. თივა და ჩალაც კი არ ეყარა იატაკზე. კედლები

ქვისა ჰქონდა და მერე—ისეთი სქელი, რომ იქიდან გაპარვას გული ვერავინ გაიბედავდა; ჰაერი რკინის ჯოხებ-ჩასმულ, მეტად მაღლა-გაკეთებულ, პატარა სარკმელებიდან შედიოდა. ზედამხედველმა მოკრა დაბლა წაიყვანა, გააღო კარები და ოთხივენი ახალგაზდა ყმაწვილებ შუა გაჩნდნენ; ზოგი დაჭრილი იყო, ზოგს არა უშავდა-რა. მოკრას ყველამ გაუცებით შეჰხედა, ზოგიერთებმა კიდევაც იცნეს. დედაბერი მიესალმა.

— ახია თქვენზედა!—დაუმატა მოკრამ,—აი თქვენი ბოლგარეთის სამეფო...

— ხა... ხა... ხა...—ხითხითებდა ზედამხედველი.

— მოწყალე ფაშამ,—განაგრძო დედაბერმა,—თქვენთან საჭმლის მოტანის ნება მომცა,—და, ამის თქმაზე, კალათიდან პურის, ყველის, ხორცის, ხილის და ბოთლების ამოლაგება დაიწყო.

— ეს ვინ გამოჰგზავნა?—ჰკითხა ერთმა ტუსაღმა.

— რაში გეკითხება, ვინც გამოჰგზავნა? შენა სჭამე და ღმერთს მადლობა შესწირე!

დამშეულმა პატიმრებმა ხარბად დაიწყეს ჭამა. კალათის ძირას თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ასანთი და რამოდენიმე ხელი საცვალიც აღმოჩნდა.

VII

მოკრამ ზედამხედველის თანადასწრებით პატიმრებს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა. ვისაც მშობლები რუშჩუკში ჰყავდათ, თუ რამ დასაბარებელი ჰქონდათ, თავისიანებს მოკრას პირით შეუთვალეს. მოტანილი საჭმელი სწორედ მისწრება იყო პატიმართათვის; თკითონ მოკრას იქ ყოფნაც ძალიან სასარგებლო შეიქმნა, რადგან მთელი დრო, რაც ის სატუსაღოში იყო, ღია დაგდებულ კარებიდან სუფთა ჰაერი შედიოდა. ალბად, ამ მიზეზისა გამო, მოკრა წამოსვლას არ ეჩქარებოდა და უნდოდა ცოტა მეტხანს დარჩენილიყო, მაგრამ ზედამხედველმა საჭიროდ დაინახა შეენიშნა:

— ახლა კი გეყოფათ.

— ბატონი ხარ,—უპასუხა დედაბერმა.

გამოთხოვებისას მოკრამ ზედამხედველს საჩუქრად ერთი დუკატი მისცა.

— მეორედ უფრო მეტს ხანს შეგიძლია დარჩე,—უთხრა მოკრას გულუხვობით გახარებულმა ზედამხედველმა;—გეტყობა, იცი, ვისი რიგი რა არის.

მეორედ ზედამხედველმა მოკრას არამცთუ ნება მისცა მეტხანს დარჩენისა, სატუსაღოდან თვითონაც გამოვიდა და ტუსაღებთან მარტო დასტოვა. მოკრაც დაეშურა სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს ორიოდე წუთი.

— მითხარით,—დაიწყო დედაბერმა,—თქვენში ნამდვილად რომელი უნდა ჩამოაღრჩონ?

— მე,—უპასუხა ერთმა ყმაწვილმა კაცმა,—თუ ვინმე ჩამოაღრჩეს, საღრჩობელა მე არ ამცდება.

— ჩემი შვილი რომ ოსმალოებს ხელში ცოცხალი ჩაჰვარდნოდათ, ჩამოაღრჩობდნენ?

— ჰაი, ჰაი, რო ჩამოაღრჩობდნენ.

— ახლა, გესმით, დამარიგეთ, როგორ მოვიქცე?... ისე მელაპარაკეთ, ვითომც ჩემი შვილები ხართ. მე მინდა საქსოვი დავამზადო იმ ფეიქრებისათვის, რომლებიც თქვენს შემდეგ მოვლენ.

— მოვლენ კია ახალი ფეიქრები?...—შეჰნიშნა ერთმა სასოწარკვეთილმა.

— ნუ თუ გგონია, ჩვენით გათავდება ყველაფერი?—უპასუხა დედაბერმა.—ერთი დაფიქრდი, თქვენ საიდან გამოჩნდით?

სულით-დაცემული გაჩუმდა; მისმა ამხანაგებმა თავიანთს საქმეებზე დაიწყეს ლაპარაკი, ნაღვლიანად იგონებდნენ საფრთხეში ჩაცვივნის ამბავს. მოკრას თავიანთს მოქმედებას უხსნიდნენ, აძლევდნენ დარიგებას, უჩვენებდნენ საშუალებას. გამოჩნდებოდა თუ არა ზედამხედველი, ლაპარაკის კილო მაშინვე შეიცვლებოდა ხოლმე. მეორე დღეს ხელახლა გააბამდნენ მოლაპარაკებას. ამ ამბავმა მანამდე გასტანა, სანამ სასამართლომ მა-

თი საქმე არ გაარჩია. მოკრამ იმდენი იმეცადინა, რომ სასამართლოს განჩინება, შედარებით, ძლიერ სასტიკი არ იყო. მოკრამ, როგორც ოსტატმა დედაკაცმა, იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ოსმალოებთან. ხოლო რადგან ამ შემთხვევაში თავი განსაკუთრებით გამოიდო, სასამართლომ არცერთს არ გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. იმ ახალგაზდა კაცს, სახრჩობელას რომ მოელოდა, საუკუნო საპატიმრო მიუსაჯეს, მაგრამ იმის წინადღით, როცა დანიშნულს ალაგას უნდა წაეყვანათ, რაღაც მანქანებით, სატუსაღოდან გაჰქრა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მის გაქცევაში უეჭველად გარეშე ხელიც ურევიაო. ცხადი იყო, რომ ზედამხედველმა მოკრასაგან ამისათვის დიდი ქრთამი აიღო. სანამ ტყვეს დაეძებდნენ, ის არხეინად იჯდა მოკრას სახლში, და მერე, მოკრასვე დახმარებით, სამზღვარ-გარედ გაიქცა, დუნაიას მეორე მხარეს.

ამ დღიდან მოყოლებული მოკრას საზრუნავი—იდუმალი მუშაობა-ღა იყო. შეთქმულების მოთავე გამოისყიდა, რომ არ შეწყვეტილიყო საქმე, რომლისათვისაც მისი შვილი დაიღუპა, და მისის მეოხებით საქმე არამცთუ განგრძობილ იქმნა, გავრცელდა კიდეც. ახალგაზდა კაცებს ამხნევებდა, სამოქმედოდ აქეზებდა; მისი სახლი კიდევ შეთქმულების საკრებულოდ გადაიქცა. ამასთანავე, არც ცხადსა და არც იდუმალ პოლიციას ერთი-ბეწვა იჭვიც კი არა ჰქონდა.

მოკრას სახლი ამ საქმისათვის ზედგამოჭრილი იყო. ეს სახლი იმ კლდის ახლო იდგა, სადაც ნიკოლა ოცნებობდა,—დუნაის აყოლება მიმავალ ბაღის ქვის ზღუდესა და კლდეს შუა მხოლოდ ვიწრო ადგილი-ღა რჩებოდა; აქ გავლა მეტად საშიშო იყო, რადგან ფრიალო კლდის ძირას დაფხავებული ქვები მოსჩანდა. ამ ქვების შემდეგ დუნაიას ნაპირი ცოტა ეაკდებოდა, და მხოლოდ ზედ მდინარესთან ისევ ფრიალო კლდე იყო. ამ ადგილას ბილიკის ჰაჰანებაც არა სჩანდა. ამ გვარად, მოკრას ბაღი დუნაის მიუვალ ნაპირზე იყო მიკრული. იმ ბაღის მოწყობილობა სხვა ადგილობრივ ბაღების მოწყობილობისაგან არაფრით განირჩევოდა. შიგ იყო ხეხილიც, კვლებიც, ლენჯყო-

ებიც, ტალავრებიც, იდუმალი სამალავებიც, იდუმალი გასაქცევი ხვრელებიც, სადაც შეიძლებოდა ადამიანი ოსმალოების ზვერას დაჰმალოდა, ერთის სიტყვით, შიგ იყო ყველაფერი, რასაც სხვა ბაღებშიაც ჰნახავდა კაცი. განსხვავებული აქ მხოლოდ ჭა იყო, წყლის ამოსაღებ მანქანით და ჯაჭვზე დაკიდულ ორის სათილით,—როცა ერთი მაღლა ადიოდა, მეორე ძირს იწეოდა. ამ სულ უბრალო და ბოლგარეთში ძალიან გავრცელებულ მექანიზმოს არავისი გაკვირვება არ შეეძლო და არცარავის აკვირვებდა. მართალია, ჭა საჭირო სრულებით არ იყო, რადგან სახლს გვერდით მეორე, ქვით ამოშენებული, ჭა ჰქონდა, რომლიდანაც მეზობლები მშვენიერს წყალს იღებდნენ. მაგრამ მაინც ეს ჭაც არავის ეუცხოვებოდა,—მეტადრე ოსმალებს, რომელთა აზრით წყალი, რაც უნდა ჭარბად იყოს, თავის დღეში მეტი არ იქმნებაო. ასეთის შეხედულების წყალობით, ყველგან, სადაც კი ოსმალონი ბატონებად ყოფილან, მშვენიერი ჭები უკეთებიათ. ეს არის და ეს,—მხოლოდ ამისთვის თუ მოიხსენიებენ ოსმალოებს ლოცვა-კურთხევით...

ამგვარად, მოკრას ბაღში ჭა ჰქონდა, და მით იყო ეს ბაღი სხვა ბაღებში გამორჩეული. სახლი კი სხვა ბოლგარულ სახლებიდან არაფრით განირჩეოდა. შიგნიდან ლაბირინთსა ჰგვანდა, საიდუმლო გასასვლელებით, დაფარულ კიბეებით, და სამალავ-გასავალებით, რომლებსაც ახლა უფრო ჩვეულების გავლენით აკეთებდნენ, ვიდრე საჭიროებისა გამო, რადგან ის დრო წავიდა, როცა ოსმალოები იმისთანა ქალაქებში, როგორც რუშჩუკი იყო, მამრობითის სქესის ბავშვებს და ახალგაზდა ქალებს იჭერდნენ, რომ პირველნი იანიჩარებად გაეხადნათ, ხოლო მეორენი ჰარამხანებში გაეგზავნათ. უკანასკნელ დროს შემოღებული რეფორმები როგორც პირველთ, ისე მეორეთ მფარველობას უწევდა, მაგრამ მკვიდრთა ძვალ-რბილში გამჯდარი უნდობლობა და შიში მაინც ვერ მოისპო. და სახლებს ისევ წინანდებურად აშენებდნენ, წინანდებურადვე საიდუმლო სამალავებს აკეთებდნენ ბაღებსა და ბაღებს შორის, რომელთა

შემწეობით ერთის სახლიდან მეორეში გასვლა ადვილად შეიძლებოდა.

იმ უბანში, სადაც მოკრას სახლი იდგა, ძველთაგანვე გაგონილი ჰქონდათ, მოკრას ბაღში ყველაზე საიმედო თავსაფარი არისო. ამბობდნენ, ვითომც ერთხელ იქ მთელის კვირის განმავლობაში იმალებოდნენ ყველა დედაკაცები ბავშვებითურთ და გასათხოვარი ქალები, და ოსმალებმა, თუმცა ყველა სახლები და ბაღები გაჩხრიკეს, მაინც მათს კვალს ვერ მიაგნესო. მაგრამ მას აქედ დიდი ხანი იყო გასული. ახლა არავინ იცოდა—ეს გასაქცევი ადგილი სად იყო და სად არა,—მარტო მოკრა თუ მიაგნებდა, და ისე კი ბაღში ვერაფრით შეატყობდით მისს არსებობას. ერთად-ერთი განსხვავება ამ ბაღისა სხვა ბაღებისაგან, როგორცა ვსთქვით, ჭა იყო, მაგრამ ჭაზე ვის რა ეთქმოდა! ჭაში წყალი იყო, მოხრჩა და გათავდა! ცოტა რაღაც სხვაც იყო წყალს გარდა. საქმე ეს იყო, რომ ჭის ერთ კედელში გამოქვაბული ადგილი იყო, რომელსაც ერთი სათიალი გვერდით უვლიდა ხოლმე. ზევიდან ამ გამოქვაბულის დანახვა შეუძლებელი იყო; იქიდან იწყებოდა ჰორიზონტალურად ხვრელი და კლდეზე გადიოდა. ამ ხვრელის გასავალს დუნაის მხრიდან წვეტიანი კლდე ჰფარავდა, რომელიც თავდაღმართის შუა ალაგამდე უწევდა. ხვრელის სიგრძე დაახლოვებით ას ორმოც-და ათ მეტრამდე იქმნებოდა; ორსავე მხარეზე ორის განიერ დარბაზის შესავალი იყო, ძველებურ აკლდამების მსგავსი. მთელი ეს მიწისქვეშეთი, უეჭველია, დიდის ხნის გაკეთებული, ძველებურს აკლდამებს მით უფრო მოაგონებდა მნახავს, რომ მისი დარბაზები და დერეფანი ქვის თაღებით იყო შეკრული და ქვისავე სვეტები ჰქონდა. ბოლგარეთში ამის მსგავსი ძველებური შენობანი ხშირად არის. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც ეს გალერეია, არც დარბაზები ოსმალთა ბატონობის დროს არ იყო ბოლგარებისაგან ნაშენები, თუმცა ისინიც აკეთებდნენ მიწის ქვეშ გასასვლელებს არამცთუ ქალაქებში, ზოგიერთ

სოფლებშიაც კი. ბოლგარელნი იძულებულნი იყვნენ ყოველივე ღონე ეღონათ, ყოველნაირი საშუალება მოეგონათ, რომ ათასნაირი უსამართლობა თავიდან აეცილებინათ, დაეხწიათ თავი ოსმალთა შევიწროებისათვის, რომელნიც განადგურებას და დედამიწის პირიდან აღგვას უქადიდნენ. არსებობისათვის ბრძოლაში არამცთუ ცხოველი, მცენარეც კი თავის დასაცველად სხვა-და-სხვა ხერხს ეძებს, და ბუნება ზოგს ერთნაირის ღირსებით ამკობს, ზოგს კიდევ—სხვანაირის ღირსებით, ასე რომ სუსტებს შეუძლიანთ მძლავრებს გაუმკლავდნენ და კრიჭაში ჩაუდგნენ. ამ შემთხვევაში მოკრას სამსახური გაუწია მზამზარეულმა შენობამ, რომლითაც ერთს დროს ადგილობრივნი მცხოვრებნი სარგებლობდნენ, და რომლის გამოყენებისათვის არავინ ჰფიქრობდა. პირველად თვით მოკრამაც არ იცოდა, ეს ხერელი რაში გამოადგებოდა. ჯერ უნდოდა შიგ გამოსყიდული ტყვე ჩაესვა, მაგრამ ეს საჭიროდ არ დაინახა. ტყვე რამდენსამე დღეს მის სახლში არხეინად იჯდა, მერე ტანისამოსი და სახე გამოიცვალა, მოკრამ სხვის სახელზე ბილეთი უშოვნა, და უხიფათოდ, გზაში არავის უცვნია ისე, ამოჰყო თავი რუმინიაში. პირველად მან გააცნო მოკრას აგიტატორნი, რომელნიც უნაყოფოდ ჩაშლილ აჯანყებამდე, როდესაც დედაბრის შვილი მოჰკვდა, დაწყებულ საქმეს მხნედ აგრძელებდნენ. ახლა მხოლოდ წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვას მიჰყვეს ხელი. მოკრამ აღკრძალულ წიგნების გამოპარება იკისრა, და ეს საქმე ძალიანაც ეადვილებოდა, რადგან, როგორც ვაჭარს, ბუქარესტში ხშირად ჰქონდა საქმე. საქონელთან ერთად „აღკრძალულიც“ მოსდიოდა, რომელიც სტანკოს მიჰქონდა ხოლმე. მაგრამ დედაბერს მარტო ეს არ აკმაყოფილებდა. სულ იმასა ოცნებობდა, რასაც ოცნებობდა მისი უფროსი ვაჟი და იმისი დაღუპული ამხანაგები. აჯანყება, რომელსაც ასეთი სამწუხარო ბოლო მოჰყვა, არამცთუ სამართლიან საქმედ მიაჩნდა, არამედ აუცილებელი საქმეც ეგონა და არამცთუ აუცილებელი, ადვილად შესასრულებელიცა.

მოკრას შესაძლოდ მიაჩნდა მთელის ბოლგარეთის აჯანყება ოსმალთ ბატონობის წინააღმდეგ და დამხობა ამ ბატონობისა; ამიტომ ადვილად ითმენდა ყველაფერს: დიდის მსხვერპლის გაწირვა აუცილებლად საჭიროაო. ამ თავისს აზრს ტუსაღებს უზიარებდა; იგივე აზრი განუზიარა იმას, რომელიც სატუსაღოდან გამოისყიდა.

— წიგნების წერასა და ბეჭდვას მაგრე რიგად ნუ გამოუდგებით, ეცადეთ, რევოლვერები ბლომად იყიდოთ.

— მარტო რევოლვერებით ფონს ვერ გავალთ,—უთხრა ახალგაზდა კაცმა.

— ხანჯლებიც იყიდეთ.

— ხანჯლებიცა გვქონდა.

— მაშ რაღა გაკლდათ? შეიძლება, უთოფოდ იყავით?

— უფრო კაცები გვაკლდა.

— ალბად, თავდარიგის მიცემა ვერავინ შესძლო.

— საქმეც ეგ არის, და!

მოკრა დაფიქრდა და უპასუხა:

— მართალი ხარ, მართალი. საჭიროა მცოდნე და ნასწავლი ხალხი. ჩემი უფროსი ვაჟი, ახლა რომ მომიკლეს, ვაჭრობასა სწავლობდა, და აი პეტრე კი ფილოსოფიასა სწავლობს. ნეტავ, ოსმალების გასარეკად თუ გამოადგება ფილოსოფია?

პეტრე მოკრასი მეორე ვაჟი იყო, გერმანიის ერთ-ერთს უნივერსიტეტში სწავლობდა. დედაბერმა სულ არა იცოდა-რა უნივერსიტეტის სწავლისა. არც გამოქცეული ტყვე იყო მეცნიერებაში დახელოვნებული და ამიტომ უპასუხა:

— არ ვიცი, შეიძლება, გამოადგეს.

— მაშ შენ წახვალ და ჩემ მაგივრად ეტყვი: ისეთი რამე ისწავლოს, რომ ოსმალოების გაძევებისთვის გამოადგეს. ჰო, შვილო, მოციქული იყავ!—ეუბნებოდა მოკრა გამოქცეულ ტყვეს. მისცა საგზაო ფული და თავისს ქალს კიდევ წერილი დააწერინა.

ამას შემდეგ მოკრამ მეორე შვილს დაუწყო ლოდინი; მანამდე კი მხოლოდ აღკრძალულ წიგნებს იღებდა კვირაში ორჯელ. მათ წასაღებად სტანკო დადიოდა. რუშჩუკში ძე-ხორციელმა არა იცოდა-რა ამ საქმისა. ჩუმი, უწყინარი, ღარიბი მასწავლებელი პირველ-დაწყებითის სკოლისა, წვრილ-შვილის პატრონი სტანკო საეჭვოს არა-რას წარმოადგენდა, და ადგილობრივ მთავრობას ხომ აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ სტანკო ამისთანა საქმის მომქმედი იყო. ოსმალონი მეორედ მოსვლას უფრო დაიჯერებდნენ და სტანკოს კი საშიშ კაცად არ ჩასთვლიდნენ. ერთის მხრით კი, ღვთის წინაშე, მართალნი იყვნენ: სტანკო საკუთარ თაოსნობით კი არ ჰმოქმედობდა,— მოკრას ერთგული და მორჩილი იარაღი იყო; მაგრამ სამკითხველოში აღკრძალულ გამოცემათა შეპარების გარდა, სხვა რამის უნარი არა ჰქონდა.

— კარგს იზამდი, შენ თვითონ აუხსნიდე, რაც ამ წიგნებში სწერია,—არიგებდა მოკრა.

სტანკო მხოლოდ მხრებს შეიშმუშნიდა ხოლმე.

— შენ ხომ ნასწავლი ხარ, ჰმასწავლებლობ კიდეცა?

— მართალია, მაგრამ ბავშვებს ვასწავლი, ბებრებს კი არა

— ბებერიც ხომ იგივე ბავშვია?

— არა, იგივე არ არის: მოხუცს ყურს ვერ აუწევ, როცა შენს ნათქვამს ვერ გიგებს.

მოკრამ ასეთ საბუთის წინააღმდეგ ველარა გააწყო-რა. განთავისუფლებულ ტყვესაგან ამბებს ელოდდა, მაგრამ მან აღკრძალულ წიგნების გადაგზავნის საქმე დააწყო, მოკრას კიდევ აცნობა, ბუქარესტიდან მიედივარო, და მერე მისი კვალიც გაჰქრა. მიდიოდა დღეები, კვირები, თვეები, და მისი ამბავი მაინც არა ისმოდა-რა. დედაბერს ძალიან უნდოდა შეეტყო— რა იქნა ის ყმაწვილიო, და განსაკუთრებით შვილის ამბის გაგებას იყო დანატრებული. პეტრე დედას წერილებს უგზავნიდა, მაგრამ მხოლოდ თავის კარგა-მყოფობის ამბავსა სწერდა ან თხოულობდა, ფული გამომიგზავნეო, ხან კიდევ ეგზამენების

ამბავს იწერებოდა. ამ წერილებს, ჩვეულებრივ, სტანკო უკითხავდა და, რაც რამ გაუგებარი სიტყვები შეხვდებოდა, უხსნიდა, მაგრამ ბევრს თვითონაც ვერ იგებდა ხოლმე და იმდენად პირდაპირი და გულ-წრფელი იყო, რომ ასეთ შემთხვევაში დაურიდებლად ამბობდა:

— არ ვიცი, მოკრა, მეც არ მესმის, ეს რასა ნიშნავს: რაღაც მეტად ბრძნული რამეა.

სულ უმცროს შვილის, ცხრამეტის წლის ყმაწვილის, დრაგანის, წერილები უფრო გასაგები იყო ხოლმე მოკრასთვის. დრაგანიც სამზღვარ-გარედა სწავლობდა. ძმის ისეთის საშინელის სიკვდილის შემდეგ, დრაგანი სახლში დაბრუნდა, მაგრამ დედა არ მოეშვა, და ისევ სამზღვარ-გარედ გაისტუმრა სასწავლებელში. ისიც წავიდა კი, მაგრამ სწავლაზე როგორღაც გული აიყარა. ამის მიზეზი ალბად უფროსის ძმის სიკვდილი იყო, რამაც იმაზედ დიდად იმოქმედა. გულჩვილი იყო, სწრაფი, მოუთმენელი, რუშჩუკში სულ ცოტა ხანს დარჩა, და ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც დედამაც კი არ იცოდა, რა მოეხერხებინა მისათვის. ყოველწამ ხიფათი მოელოდდა, ოსმალოს ვისაც კი დაინახავდა, მზად იყო, ყელში სწვდომოდა. დედა დაეშურა სამზღვარ-გარედ ჩქარა გაესტუმრებინა; იმედი ჰქონდა,—სწავლაში გულს გადააყოლებს და დამშვიდდებაო. დრაგანი თუმცა ცდილობდა ფრთხილად დაეჭირა თავი და საშიში არაფერი მოეწერა, მაგრამ გული ვერ უთმენდა და გადაკვრით მაინც მოიწერებოდა ხოლმე ხან რასა და ხან რასა. ეს სიტყვა-გადაკვრით მონაწერი სტანკოსათვისაც გასაგები იყო და მოკრასაც ძალიან ახარებდა.

— ვენაცვალე ჩემს დრაგანს,—ამბობდა მოკრა,—ღმერთმა დიდი დღე მისცეს! როცა წამოიზრდება, იმედი მაქვს, ოსმალოებს შესაფერს პასუხს გასცემს.

მხოლოდ ერთი-რამ აღონებდა:—დრაგანს ერთს ალაგას ფეხის მოკიდება როგორღაც არ ეხერხებოდა. ჯერ იყო და ოდესაში წავიდა და იქ უნდოდა სწავლა, მაგრამ მალე ვენაში

გადავიდა, იქიდან—ჟენევში, ჟენევიდან—პარიჟში, და ბოლოს ბელგრადში გასწია,—**სამხედრო სასწავლებელში** უნდა შევიდეო. ეს ორი უკანასკნელი სიტყვა ხაზგასმული იყო მისს წერილში. სტანკომ რომ ამოიკითხა, წამოიძახა:

— არც ასეთი გაუფრთხილებლობა გაგონილა!

— რა იყო?—ჰკითხა მოკრამ.

— რა-და სამხედრო სასწავლებელს ახსენებს!

— რატომ არ უნდა ახსენოს?

— ოსმალოებს რო ჩავარდნოდათ ეს წერილი ხელში?

— მერე რა იქმნებოდა?

— ბელგრადში სამხედრო სკოლაში იმას ასწავლიან, ყმაწვილებმა ოსმალოებთან როგორ იბრძოლონ, რომ ჩვენს სამშობლოდან გარეკონ, ისე, როგორც სერბებმა გარეკეს.

— დრაგანსაც შეუძლია ისწავლოს?—ჰკითხა აღტაცებით დედაბერმა.

— თუ სამხედრო სასწავლებელში შევიდა, ალბად სწავლობს, და ისწავლის თუ არა.... რა მოგახსენო, ვნახოთ.

— კი ისწავლის!.. ისწავლის ჩემი გვრიტი, ჩემი ნუგეში, ჩემი შვილიკო! ყოჩაღი ბიჭი დადგება.

ამ ამბავმა მოკრა ძალიან გაახარა. სულ უმცროსის შვილის ხასიათი ყველაზე მეტად მოსწონდა, სულ იმაზე ამოსდიოდა მზე და მთვარე: ჩემს შვილს დიდის საქმეების გაკეთება ხვდება წილადაო. დარწმუნებული იყო, რომ დრაგანმა რაღაც არა-ჩვეულებრივი საქმე უნდა მოიმოქმედოსო და წინდაწინვე თავი მოსწონდა იმისის გმირულის საქციელითა.

— უეჭველია, ჩემს შვილზე ლექსებსაც გამოსთქვამენ და სიმღერებში შეამკობენ,—ოცნებობდა მოკრა.

ამ სასიხარულო ამბების შემდეგ სტანკომ თვისის მარცხის ამბავი უამბო:

— მახეში გავები.

— როგორ?—ჰკითხა დედაბერმა.

— დამინახეს, სამკითხველოში „აღკრძალული“ რომ შემქონდა.

— ვაიმე!—წამოიძახა მოკრამ.—ხომ დავიღუპენით!

— ვინ იცის, ბოლო რა იქმნება.

სტანკომ ყველაფერი უამბო და ორივენი თათბირს შეუშეუდგნენ. ბოლოს გადასწყვიტეს, თუ როგორ მოჰქცეოდა სტანკო ნიკოლასა და სტოიანს. ჩუმმა მასწავლებელმა ისიც უთხრა, ჰაჯი ქრისტოს ბაღში კრება გვქონდაო.

მოკრას სტოიანის ამბავი ცოტაოდენი წინადვე გაეგონა.

— ააა!—წამოიძახა დედაბერმა:—ვიცი, კრივენელ მექანჯის შვილია. გამიგონია, მამა მისი ბოლგარელი არ არის, მაგრამ მაინც კაი კაცია, შეძლებულიც არის. სტოიანი ბუქარესტში სწავლობდა; ჰაჯი ქრისტოს, მგონია, სიძედ უნდა მოიკიდოს.

— ნეტავ გაჩვენათ, ჰაჯი ქრისტოს რა ლამაზი ქალი ჰყოლია!

— ვიცი, ლამაზია,—დაეთანხმა დედაბერი,—ხანდისხან ჩემს ანკასთანაც დადის ხოლმე. მეორე ვილაა?

— სახელად ნიკოლას ეძახიან, ვილაც ღარიბი კაცია, ფრანგ დერციკთან შეგირდათა დგა, აი იმასთან—ბაზარში რომ დუქანი აქვს.

— აქაურია?

— მგონი, არა. მაგრამ იმისავით წიგნების მუყაითად მკითხველი ჯერ არავინ მინახავს.

— რა წიგნებსა ჰკითხულობს?

— რასაც კი სამკითხველოში დაინახავს, წაუკითხავს არ დასტოვებს. წლისა თუ წლი-ნახევრის წინად, აქ რომ პირველად მოვიდა, მახსოვს, არაფერი იცოდა, ახლა კი იმდენი ისწავლა, კაცს ეამება. ბოლგარეთზე რომ დაიწყებს ლაპარაკს, თითქოს წიგნი უჭირავს ხელში და შიგა კითხულობსო, ისე სხაპა-სხუპითა და წყალივით მიდის.

— შენ ისა სთქვი, საიმედო კაცი დადგებაო?

— რა ვიცი, ეს კია, რომ მუყაითი ბიჭია, ცუდი არა გამიგონია-რა.

მოკრას თხოვნით სტანკომ დაწვრილებით ასწერა ნიკოლას გარეგნობა, ისიცა სთქვა, რა აცვია და ან როგორი ქუდი ხურავსო. ამ აწერილობის წყალობით, მოკრამ ნიკოლა ინიშნა, როცა ეს უკანასკნელი ილენკასთან ლაპარაკის შემდეგ კლდის ნაპირას იჯდა.

— იცი რა გითხრა,—უთხრა შემდეგ მოკრამ, როცა სტანკო შეხვდა,—ის ყმაწვილი კაცი ვიცანი. მომეწონა. შენ კი მოგწონს?

— მომწონს. დანიშნულს დროზე ყოველთვის მოდის წიგნებისათვის, ატარებს სამკითხველოში, და, თუ იმას დავუჯერებთ, მზად არის სამშობლოსათვის ცეცხლში ჩავარდეს... უნდა გითხრა, მეტად მუყაითი ყმაწვილია.

ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენიმე დღემ გაიარა და პეტრესგან წერილი მოვიდა; სხვათა შორის, აი რა ეწერა: „მეტს არასა გწერთ, რადგან დრაგანი მანდ, რუშჩუკში, მალე მივა და ყველაფერს ის გეტყვისთ“. ამ ამბავმა მოკრა გააოცა.

— სამხედრო სკოლას რად ანებებს თავს? განა სამს თვეში სკოლის გათავება შეიძლება?

— შეიძლება,—უპასუხა სტანკომ,—მხოლოდ გათავება კი არა,—თავის დანებება... მაგრამ დრაგანი მხოლოდ დროებით მოდის და მერე ისევ წავა.

— აქეთ-იქით სიარულში ბევრ ფულსა ჰხარჯავს ჩემი შვილი,—შენიშნა დედაბერმა.—მაგრამ, ალბად, საჭიროა. ერთი ეს მითხარ, ბელგრადიდან რითი უნდა წამოვიდეს?

— გერმანიის გემით.

— სხვა გზა არ არის?

— არის, მხოლოდ გერმანიის გემი ყველაზე მოხერხებული და იაფია.

ავსტრიის გემების მოსვლის დრო რუშჩუკში ყველამ იცოდა.

— ლოდინს დავუწყებ,—სთქვა მოკრამ და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:—დრაგანის მოსვლის გამო მინდა ნიკოლა ჩემთან ვიყოლიო.

— დერციკთანა სწავლობს,—უპასუხა სტანკომ.

— რა ვუყოთ, ყმად ხომ არ დასდგომია?

— არა, ყმად კი არ დასდგომია, მაგრამ, შეიძლება, მაგ ხელობით ლუკმა-პურის შოვნა უნდოდეს.

— შიშილით არც ჩემთან მოკვდება, ცოტ-ცოტად ვაჭრობასაც შაეჩვევა. ჰკითხე, ეგებ თანხმა გახდეს და ჩემთან დადგეს. როცა დრაგანი მოვა, მინდა იმისთანა ახალგაზდა კაცი გვყავდეს სახლში, რომ ჩემს სიტყვასაც იგონებდეს და საიმედოც იყოს... მგონი, ნიკოლა გამომადგეს.

— მეცა მგონია,—უპასუხა სტანკომ.—შაბათსა ვნახავ და მოველაპარაკები.

თქმა და ქმნა ერთი იყო. სტანკო ნიკოლას მოელაპარაკა. და კვირას კიდევ ნიკოლა მოკრასას მივიდა. ძალიან მალე მორიგდნენ.

— თანახმა ხარ, დერციკს თავი დაანებო?

— დერციკთან მარტო იმისთვის დავდექი, რომ პურის ფული მქონოდა.

— ნაკლებს არც მე მოგცემ... მხოლოდ ერთგულად მემსახურე.

— ჩემის ერთგულებისა კი იმედი გქონდეს.

მოკრამ თავისი პირობა უთხრა; ნიკოლაც მაშინვე დასთანხმდა. არც აღკრძალულ წიგნებზედ, არც სხვა რამეზე, რასაც კი მოკრას პატრიოტულ განზრახულებასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, ხმა-კრინტი არ დაუძრავთ. დედაბერს უნდოდა, ჯერ კარგად გაეცნო ნიკოლა. მხოლოდ ის უთხრა—ბელგრადიდან შვილს მოველიო.

— ბელგრადიდან?—ჰკითხა ახალგაზდა კაცმა:—იქ რას აკეთებს?

— სამხედრო სასწავლებელში სწავლობს.

— რომ ოსმალებთან კარგად იბრძოლოს?

— სსს... ჩუმად, მაგაზე კი ხმა არ ამოიღო, უიმისოდაც მეშინიან, რამე ხათაბალაში არ გაებას. იცი,—დაუმატა მოკრამ:—ერთი შვილი უკვე მომიკლეს.

ნიკოლამ არაფერი არა სთქვა. მხოლოდ დიდის სიბრალულითა და გულ-მტკივნეულობით შეჰხედა.

მეორე დღეს ნიკოლამ თავისი ახალი თანამდებობა ჩაიბარა. ეძლეოდა საჭმელ-სასმელი, ბინა და ცოტაოდენი თვიური ჯამაგირი, დაჰპირდნენ, ჯამაგირს თავის დროზე მოგიმატებთო. ამ გვარად, ნიკოლა იმ გზას დაადგა, რომელზედაც მიხვედრილი ადამიანი, როგორიც ისიც იყო, ქონებას იძენს და ოდესმე ყველასაგან კარგად მიღებული და პატივცემულია. დიდებასა და პატივს ნიკოლაც შეიძენდა, მხოლოდ სხვა საქმეებისათვის ზურგი უნდა შეექცია. ნიკოლამ კი გადასწყვიტა, სხვა საქმეებს ზურგს ვერ შევაქცევო. პირველად თითქო მუყაითობდა და ერთის კვირის განმავლობაში სამკითხველოში არ გაუვლია. „აღკრძალულს“ სტოიანს აძლევდა. მაგრამ ამგვარი ცხოვრება მალე მოჰბეზრდა და ეს ამბავი მოკრასაც უთხრა.

— სამკითხველოში რაღა გინდა?—ჰკითხა დედაბერმა.—იქ სიარული ხომ პურს ვერ გაჰმევს?

— მართალია, პურს ვერ მაჰმევს... მაგრამ იქ წიგნის კითხვა შეიძლება. მეცა ვკითხულობ, ვსწავლობ. ვიგებ, სხვები რასა ფიქრობენ.

— რო დადიოდი, რა ისწავლე?

— აი რა ვისწავლე: შენი შვილი რისთვის მოჰკვდა და მისის სისხლის დაღვრა რად არ იყო ამაო.

ნიკოლა ამ უკანასკნელ სიტყვებს რომ ამბობდა, მოკრას გულში რაღამაც უკბინა, მწარედ ამოიოხრა და უთხრა:

— კარგი, იარე ყოველ დღე შუადღისას და თითო საათს დარჩი. კვირაობით კი მთელს დღეს იქ იყავი, თუ გინდა.

ნიკოლამ სამკითხველოში სიარული დაიწყო და ისეთი დღე არ იქნებოდა, ჰაჯი ქრისტოს სახლის პირდაპირ არ გაევლო. რაღაც ძალა იზიდავდა იქითკენ. ყოველთვის, როცა სამკითხველოში მიდიოდა, ამ სახლის წინ ერთს წამს გაჩერდებოდა, გულდადებით აათვალიერებდა სახლს და ისევ გზას დაადგებოდა; აქეთობაზედაც ასევე იქცეოდა.

მოკრა გემთ-სანაპიროდ დადიოდა, შვილის დასახვედრად, მაგრამ ვერ იქმნა, იმის ნახვას ვერ ეღირსა. ბოლოს ის ფიქრი დაიწყო—ეგებ არც კი მოვიდესო. შეიძლება, ჭიამ გადუარა გულზედაო; შეიძლება, სწავლას თავი ვერ დაანებაო? თუ თვითონ არ მოდის, წერილს მაინც გამომიგზავნიდაო, და მალე მიიღო კიდეც. დრაგანი იწერებოდა, ძალიან მალე მოვალო, გემთ-სანაპიროდ არავინ დამხვდეს, რადგან მოვალ, მაგრამ მე არაო,—უმატებდა.

— რას ჰნიშნავს: „მოვალ, მაგრამ მე არა?—ჰკითხა დედაბერმა სტანკოს.

— რასა-და, ეტყობა, სხვა ტანისამოსითა და სხვისის სახელით უნდა მოვიდეს.

— ასეთი სისულელე იმისაგან გასაკვირველი არ იქმნება,—შენიშნა მოკრამა.

— სამხედრო სკოლებში მოსწავლე ბოლგარები ოსმალოებს ჭირივითა სძულთ,—ჩაილაპარაკა სტანკომ.

მოკრას გულმა შეჰკვნესა. „ღმერთო, მტრის გულისად ნუ გამხდი!“—ინატრა გულში.

გემთ-სანაპიროდ სიარულს თავი დაანება. მაგრამ როცა გემის მოსვლის დრო მოახლოვდებოდა, სანაპიროზე ნიკოლას გაიყოლებდა და ისეთს ადგილას დადგებოდა, საიდანაც ნავთ-სადგურის ნახვა ადვილად შეეძლო. ნიკოლა თან იმიტომ დაჰყავდა, რომ, თუ ვინიცობაა დრაგანს ბარგის წამღები კაცი დასჭირებოდა, მაშინათვე მიეშველებინა. პირველის დღის ლოდინმა ფუჭად ჩაუარათ. მგზავრები, ჩვეულებრივ, გემიდან გადმოელაგებოდნენ, გაუვლიდნენ ჟანდარმებს და ტამოჟნაში შედიოდნენ;

იქ ბარგსა და პასპორტებს გაუშინჯავდნენ, და მერე თავისუფალნი იყვნენ. დრაგანი იმათში არ ერია. მეორე გემის მოსვლაზედაც არ გამოჩნდა. მოკრა გულდასმით აცქერდებოდა ყველას, რომ ეგებ თავისი შვილი ეცნო. მგზავრებმა ნელ-ნელა აუარეს რიგზე მდგომ ჟანდარმებს, და ამათაც ყველანი გაატარეს. ერთბაშად ჟანდარმები ერთ პალტო-ჩაცმულს და ცილინდრიანს მგზავრს შემოეხვივნენ. მგზავრი განზე გახტა და ამ დროს ცილინდრი დაუვარდა. ერთმა ჟანდარმმა პალტოს კალთაში წაავლო ხელი; უცნობმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ესროლა ჟანდარმს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქალაქისაკენ მოჰკურცხლა. ჟანდარმმა მაშინათვე ჩაიკეცა, მაგრამ მის მაგივრად სხვები გამოუდგნენ დასაჭერად. შეიქმნა ერთი სირბილი, ჩოჩქოლი და სრიალა. უცნობი მობრუნდებოდა და იმას ესროდა, ვინც დაეწეოდა და დასაჭერად ხელს წაატანდა. ჟანდარმები თოფებს ესროდნენ. ბრძოლა ძალიან მალე გათავდა. მგზავრი დამარცხდა, მთლად დაჭრილი მიწაზე დაეცა, ჟანდარმები ზედ შესდგნენ და თოფის კონდახები დაუშინეს; მერე წაათრიეს. ეს ამბავი რამდენსამე წუთში მოხდა. მოკრა ერთს ალაგას გაჰქვავდა, სულთქმა შეუგუბდა. მგზავრი წვერ-ულვაშიანი იყო, და სათვალეები ჰქონდა გაკეთებული; გარეგნობით დრაგანს არა ჰგავდა, მაგრამ დედაბერს როგორღაც გულმა უგრძნო, ეგ დრაგანი უნდა იყოსო.

ნიკოლამ ბრძოლა დაინახა თუ არა, შურდულივით თავქვე დაეშვა. თვითონაც არ იცოდა, რისთვის მირბოდა. მაგრამ როცა ბრძოლის ადგილას მიიჭრა, მისი დახმარება არავის ესაჭიროებოდა. მგზავრები გემში სხდებოდნენ და დუნაის ქვემოდ, ბრაილსა და გალაცში, მიდიოდნენ; ნაპირას კი ცოტაოდენი ხალხი იდგა და ჩუმად ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ხალხის ერთმა გროვამ იქ მოიყარა თავი, სადაც უცნობი დაეცა. ამ ადგილას მიწას სისხლის წინწკლები ეტყობოდა. ნიკოლა მიუახლოვდა, დააცქერდა სისხლის წვეთებს და თან ლაპარაკს ყური დაუგდო.

— ალბად, შეთქმულია ვინმე,—არწმუნებდა ვიღაცა,— ბრძოლის დროს განგებ გაკეთებული წვერი ჩამოჰვარდა.

— წვერი?—ჰკითხა მეორემ.

— ჩემის თვალითა ვნახე, როცა თავში თოფის კონდახებითა სცემდნენ, წვერი სახეს მოშორდა.

— მერე, რა იქნა ის წვერი?

— ზაფთიებმა წაიღეს.

— ჰხედავ!!—ჰკვირობდნენ მაყურებლები და თავებს აქნევდნენ.

— ექვსჯერ გაისროლა.

— არა... ხუთჯერ,—გაიძახოდა ვიღაცა.

ამ საგანზე დავა დაიწყეს, მაგრამ ჩქარა მოელო ბოლო, რადგან ვიღამაც სხვა საგანზედ ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ცალის ხელით რევოლვერს ისროდა და მეორე ხელით რაღაც ქაღალდებს პირში იდებდა და ჰყლაპავდა.

— ე... ე... ე...—ჰკვირვობდნენ მომუსაიფენი.

ნიკოლა მეორე ჯგუფთან მივიდა და ყური დაუგდო,— ეგებ უცნობის სახელი ახსენოს ვინმეო; მაგრამ გამბედავ მგზავრის გვარი არავინ იცოდა. ნიკოლამ გემის წასვლას დაუცადა და მერე მოკრასთან დაბრუნდა. მოკრა ისევ იმ ალაგას იყო გაჩერებული.

— ამბავი?—ჰკითხა მოკრამ ნიკოლას.

— მინდოდა იმის ვინაობა გამეგო,—უთხრა ახალგაზდა კაცმა.

— მაშ ვერ გაიგე, ვინ იყო?

— ამბობენ, შეთქმული არისო.

— ჩემი დრაგანი!—წარმოსთქვა დედაბერმა და მწარედ ამოიოხრა.

— არა!—უპასუხა ნიკოლამ.

— მე რას მასწავლი! მაშინვე ვიცან.

— მაშ... ასე...—ბუტბუტებდა ნიკოლა.

მოკრამ ხელი გაიქნია და სთქვა:—ახლა კი ოსმალოებს ხელიდან ვეღარ წავართმევ... დეე...—მწარედ ამოიოხრა,—ისიც დაიღუპოს!

— მერე ასე უნაყოფოდ?—წამოიძახა ნიკოლამ.

— არა, უნაყოფოდ არა,—ჩამოართვა დედაბერმა.—სისულელე მოიქმედა, მაგრამ ღმერთი ამ გვარ სისულელეს გვაპატიებს ხოლმე.

თ. სახოკია

(შემდეგი იქნება)

მთიულეთი 1804 წელსა

ისტორიული ამბავი

III*)

კოვალენსკის მოშორების შემდეგ, რომელმაც ასე ულმობელად შეჰბღალა რუსეთის ახლად-დამკვიდრებულ მთავრობის სახელი, მთავარ-მართებელმა თ. ციციშვილმა საქართველოს გამგებელად და საქართველოს უმაღლესის მთავრობის უფროსად დაჰნიშნა განდევნილ კოვალენსკის ღვიძლი ძმა. სამწუხაროდ, ვერც ახალი გამგებელი გამოდგა შესაფერი მოღვაწე, პატიოსანი და რიგიანი მოხელე. ძმის წახედვით ამანაც მოქრთამეობას მიჰყო ხელი და ძმის მაგალითმა სრულიად არ დააშლევინა უკანონო მოქმედება. თ. ციციშვილმა ამის გამო ეს ახალი გამგებელიც მალე დაითხოვა სამსახურიდან.

მაშინდელ მოუსვენარ და შფოთიან დროს, როცა რუსთა მთავრობა ჯერ საფუძვლიანად არ იყო დამკვიდრებული, ხალხი ზღვასავით ჰღელავდა და ვერ გადაეწყვიტა, შეეურიგდე ახალს წესსა და რიგსა, თუ თავი გამოვიდო მეფობისთვისაო; იმ შფოთიანსა და აღელვებულს დროს, როდესაც მრავალი შინაური და გარეული მტერი ემუქრებოდა რუსთა მთავრობას, სამოქალაქო საქმეთა გამგებელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარ-მართებელი ვერ იცლიდა სამოქალაქო საქმეთათვის, მუდამ დღე იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, როგორ მოვიშორო სამზღვარზე მომდგარი მტერიო და როგორ განვდევნო

*) «მოამბე» № III

ქართლ-კახეთიდან ლეკებიო. დაღესტნიდან შემოსეულ მძარცველების ალაგმვა დიდ მხნეობასა, სიფრთხილესა და გამჭრიახობასა თხოულობდა. საქართველო ისე ძლიერ იყო შერყეული პოლიტიკურად, რომ წინააღმდეგობას ველარ უწევდა ლეკობას. ერი დაიქსაქსა, გაბოცდა და, ვიდრე გონებას მოვიდოდა, ლეკები თავისუფლად დაჰნავარდობდნენ და არბევდნენ ცხვრებივით გზა-დაბნეულ ქართველებს. თავისუფლად და უშიშრად დათარეშობდნენ თავზე-ხელაღებული ლეკები საგურამოს ჰალებში, წალკაზე და ახალციხეში ხომ მკვიდრი ბინა გაიმართეს, რადგან აქ ახალციხის ფაშები შემწეობასა და მფარველობას უწევდნენ და დახმარებას არ აკლებდნენ, როგორც ტყვია-წამლით, აგრედვე სურსათითა და ნუზლ-სანოვაგით. ლეკების ბრბო მოულოდნელად შემოერეოდა ქართლს, მოედებოდა საჯავახოდან დაწყებული საციციანომდე, გზა-გზა იკლებდა ხოვლეს, ქარელს, აწიოკებდა სხვა უფრო პატარა სოფლებს, იტაცებდა ტყვეთა და ასე გასინჯეთ, უბრალო ქვაბების წაღებასაც კი არ უკადრისობდნენ. ვიდრე შიშისაგან თავზარ-დაცემული ქვეყანა მდევარს თავს მოუყრიდა, ლეკების გუნდი უკვე ბორჯომის ხეობაში ამოჰყოფდა თავს და იქიდან აწყურის გზით ახალციხეს მიაშურებდა, სადაც სიხარულითა და დიდის მასპინძლობით ეგებებოდნენ ახალციხის ფაშები. მთავარ-მართებელსაც მეტი რა ჯანი ჰქონდა, საშიშ ადგილებში ჯარები უნდა ჩაეყენებინა ლეკების გაბედულ თარეშობის ასალაგმავად. ცხინვალსა, გორსა, სურამსა, მუხრანსა და წალკას თითო ბატალიონი იყო დაბანაკებული, აგრედვე სოფლებად—ზოგან როტა, ზოგან ასი კაცი ყაზახთა მხედრობისა იდგა და დავალებული ჰქონდათ, თვალ-ყური ადევნეთ ლეკებსაო. როგორც ჯარებს, აგრედვე მკვიდრ ხალხს ილაჯი ჰქონდათ გაწყვეტილი ამ რიცხვმცირე, მაგრამ მეტად-მოუსვენარ, გალაღებულ მტრისაგან.

რა გაბედულებასაც იჩენდნენ ლეკები, ამას ცხადად ჰმოწმობს შემდეგი შემთხვევა. ეს მცირე ეპიზოდი ნათლად ასურათებს მაშინდელ აწეწ-დაწეწვას და შინაურ საპოლიტიკო მოუძლურებას. თ. ციციშვილმა რომ განჯისაკენ გაილაშქრა, კაპი-

ტან-ისპრავნიკს ენოხინს უბრძანა, გზა გააკეთე წალკიდან გორამდეო. ენოხინმა წაასხა 108 ქართველი მუშა და თან გაიყოლია 9 ყაზახი რუსი და თერთმეტი ეგერი. გზის კეთება მშვიდობით დაასრულეს და შინისკენ არხეინად დაბრუნდნენ. ოცი ვერსი რომ გამოიარეს წალკიდან, თავს დაესხა ლეკების ბრბო, არა ნაკლებ 600—800 კაცისა. რა თქმა უნდა, ნიჩაბ-ბარებით შეიარაღებული ქართველობა წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ლეკებს, რომელთაც ზოგი გასწყვიტეს და ზოგიც დაატყვევეს.

სიკვდილს გადარჩა მხოლოდ თვით ენოხინი და ექვსი ყაზახი, რადგანაც მარდი ცხენები ჰყავდათ და თავს უშველეს. გულ-გახეთქილი ენოხინი ჩამოიჭრა გორში და ყოველივე უამბო პოლიციის უფროსს ცეხანოვსკის. ენოხინმა და მისმა მხლებლებმა ცხენები კინაღამ დაჰხოცეს ჭენებითა. სამს საათს გაევლოთ სამოც და ათი ვერსი. ცეხანოვსკიმ უმალ მდევარი დაადევნა ლეკების ბრბოს, მაგრამ ვიდრე მდევარი ლეკებს იპოვნიდა, იმათ კიდეც აიკლეს ხოვლე და ქარელისკენ გასწიეს. ქარელს იყო დაბანაკებული კაპიტანი სევერენი 44 ჯარის-კაცით. სევერინი მაინც არ შეუშინდა ლეკებს და 44 კაცით მხნედ შეუტია მოსეულ ბრბოს. იმ წამსვე ლეკები გარს შემოერტყნენ გულად მეომრებს და სევერინი ლუკმა-ლუკმა აჰკუწეს. სევერინმა მხოლოდ ამ ანდერძის დატოვება-ღა მოასწრო. პორუჩიკ როგულსკის დაუძახა: „გახსოვდეს, რომ რუსნი თავის დღეში ცოცხალნი მტერს არ ჩაუვარდებიან ხელშიო“. ახალგაზდა როგულსკი, გამხნევებული თვისის უფროსის მაგალითით, იერიშით მივიდა მტერზე, მაგრამ ესეც მალე გამოასალმეს ლეკებმა წუთი-სოფელსა. მხოლოდ თავის უნკროს ძმას დაუძახა: „სევერინის სიტყვები არ დაივიწყოო“. ტყვიამ ეს ახალგაზდა აფიცერიც მალე გაჰგმირა; უაფიცროდ დარჩენილი ჯარის-კაცნი იბრძოდნენ კიდევ, მაგრამ მალე ყველანი ამოწყვიტეს ლეკებმა. გორიდან წამოსულმა მდევარმა ლეკები განდევნა და ბრძოლის ველზედ მხოლოდ ოთხი მძიმედ დაკოდილი და ცოცხალმკვდარი მეომარი-ღა ჰნახა, რომელთაც ეს საკვირველი ამბავი უამბეს. სევერინის რაზმის უწყალოდ ამოჟლეტა მოხ-

და 12 თიბათვეს 1803 წელსა. ლეკები დატვირთული ნადავლით და ტყვეებითა ახალციხისკენ წავიდნენ. უკან დაედევნა ქართლში დაბანაკებული ჯარების უფროსი გენერალი თ. ორბელიანი და იძულებულ-ჰყო ახალციხის ფაშა, მოეცა 600 ლეკი. ამათ იარაღი აჰყარეს, გარს ხიშტიანი ჯარის-კაცნი შემოარტყეს და ისე სამარცხვინოდ ჩამოატარეს ქართლზე, გადაიყვანეს ალაზანს იქით და დაღესტნისკენ უყვეს პირი [1]).

ლეკს ასე თუ ისე პასუხს მისცემდა რუსეთის მხედრობა, რომ ამავე დროს საქართველოს სამზღვრებზე სპარსეთი არ აზვავებულიყო. სპარსეთს მხარს აძლევდნენ ეხლანდელი ბაქოსა, ერევნისა და განჯის გუბერნიებში გაბატონებული ყეენები. განსაკუთრებით ჰშფოთავდა სპარსეთი. ამ ქვეყნის მფლობელს ლახვარივითა ჰხვდებოდა რუსის მხედრობის დამკვიდრება საქართველოში. შაჰი კარგადა ჰხედავდა და ჰგრძნობდა, რომ რუსეთი ჯერ საქართველოს მოიდნობს და მერე რიგი თვით სპარსეთზედ მოდგებაო. ამისათვის ირანის მფლობელი არავითარ ღონესა და ხერხს არა ჰზოგავდა, ოღონდ კი გაეძევებინა როგორმე საქართველოდან გიაური რუსები, გადაერეკა კავკასიის ქედს იქით და მათი სინსილა გაეწყვიტა ამიერ კავკასიასა და საქართველოში.

გულ-ხელდაკრეფილნი არც საქართველოს ტახტის მაძიებელნი ბატონიშვილნი ისხდნენ. მუქარა მუქარაზე მოდიოდა იმერეთს, დაღესტანს და სპარსეთს გადახვეწილ ბატონიშვილებისაგან, ხშირად ჯარებსაც ჰმხედართ-მთავრობდნენ და ისე მოდიოდნენ საქართველოსაკენ. თ. ციციშვილის მოუსვენარ ყოფას სხვა გარემოებაც აძლიერებდა. ბატონიშვილების ერთგულნი ყმანი, თავადნი და აზნაურნი, არ ისვენებდნენ თვით საქართველოში, იგებდნენ აქაურ ამბებს და მალვით ატყობინებდნენ ყველაფერს თავიანთ ბატონებს. სპარსეთიდან კიდევ მოჰქონდათ ბაბა-ხანის ფირმანები, რომ საქართველოს გასათავისუფლებლად ამხედრდა დიდებული შაჰი და მცირე ხანს

[1]) იხ. Потто—Кавк. война, т. I, вып. 3, стр. 345—347.

შემდეგ გაჰრეკავს რუსეთსაო და სხვა; ავრცელებდნენ ხალხში ამ ხმებსა და შფოთსა და მღელვარებას აძლიერებდნენ. ამ საშინელ დროს დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, ხვალინდელი დღე რას მოიტანდა, სპარსეთი გაბატონდებოდა, თუ რუსეთი, ლეკები გალეწდნენ საქართველოს, თუ ახალციხის ფაშა გაიმარჯვებდა. ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ყველა თოფსა და ხმალში ჯდებოდა, ჰშფოთავდა, ჰბორგავდა; ზოგი რუსეთს ემხრობოდა, ზოგი სპარსეთს ნატრულობდა და ზოგიც კიდევ საქართველოს განთავისუფლებას შესთხოვდა ღმერთს ორთავესაგან და გაჰრბოდა ბატონიშვილებთან, რომელთაც ასე ცხადად, აშკარად, განსაკუთრებით ალექსანდრემ, აღმართეს დროშა თავისუფლებისა. ძნელი გამოსაცნობი აღარ არის, რომ ამისთანა დრო და ჟამს წესიერების მაგიერ ჰმეფობდა უწესოება, უსამართლობა და უკანონობა.

მთავარ-მართებელს არც პეტერბურგიდან აძლევდენ მოსვენებას. გამხნევების მაგიერ, მაშინდელი მინისტრები, და თვით ხელმწიფე იმპერატორიც, განუწყვეტლივ სწერდნენ თ. ციციშვილს, ეცადე და როგორმე მოახერხე, რომ საქართველოს შემოსავალმა იმატოს, რომ მანდაურივე შემოსავლით იფარებოდეს მართვა-გამგეობისა და ჯარისთვის საჭირო ხარჯიო. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთის ხაზინის მდგომარეობა მეტის-მეტად სამწუხარო იყო და, რასაკვირველია, უხვად ვერ გაიმეტებდნენ ფულსა ახლად-შეძენილ ქვეყნის მოსავლელად და საპატრონოდ. წესსა და რიგში აგრე მალე ვერც საქართველოს შემოსავალი ჩავარდებოდა, მით უმეტეს, რომ ყველა მოხელე, დიდი და პატარა, თავის საკუთარ ჯიბის გასქელებისათვის უფრო ჰზრუნავდა, ვიდრე სახელმწიფოსათვის. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აქედან მუდმივი თხოვნა იგზავნებოდა პეტერბურგს, ფული მოგვაშველეთო. იქიდან კიდევ მოწერილობა და ბძანება მოდიოდა, ხაზინაში ფული არ არის და იოლად წადით მანდაურის შემოსავლითაო.

ამდენი სავალალო და სადავიდარაბო საქმე დაატყდა თავს მთავარ-მართებელს და სადღა მოიცლიდა, რომ სამოქალაქო საქ-

მეთათვის გული დაედო, ყური ეგდო, რიგზე და წესზე მოეყვანა და ბოროტ-მოქმედება მოხელეთა იქვე დასაწყისში აღმოეფხვრა. ამისათვის სამოქალაქო საქმეთა სრული გამგებელი გახდა სხვა-და-სხვა გაიძვერა, უნიჭო და უსვინიდისო მოხელე, რომელნიც ისე ატრიალებდნენ საქმეს, როგორც მათი საკუთარი ინტერესი მოითხოვდა. სამი-ოთხის წლის განმავლობაში ხუთი გამგებელი გამოიცვალა საქართველომ და არც ერთი არ გამოდგა პატიოსანი. ძმათა კოვალენსკებმა, თ. ვოლკონსკიმ, ტარასოვმა და ლიტვინოვმა წარუხოცველი სახელი დასტოვეს საქართველოში. თ. ციციშვილმა ზოგი მათგანი სამართალში მისცა და ზოგიც გაჰრეკა სამსახურიდან, როგორც უნიჭონი და რუსეთის სახელის გამტეხელნი.

ერთის მაგალითის მოყვანა სრულიად საკმარისია, რომ საესებით გავითვალისწინოთ, თუ რანაირად იქცეოდნენ მართვა-გამგეობის უმაღლესნი წარმომადგენელნი. მთავრობამ ბატონიშვილებს ჩამოართვა მამულები, სოფლები, ქარვასლები, ქარხნები, სამღებროები და ვენახ-ბაღები. ყოველივე ესე იჯარით გაიცემოდა ხოლმე წესისაებრ, რომ შემოსავალი უფრო მეტი ჰქონოდა ხაზინას. რაც ქალაქში საუკეთესო ბაღები იყო, იმ წესით შეძენილი, ტარასოვმა სულ თვითონ აიღო იჯარით, ზოგი ცოლის სახელობაზე და ზოგიც თავის მორჩილ წვრილმან მოხელეებს დაურიგა, იმ იმედით, რასაკვირველია, რომ შემდეგში მევე ვისარგებლებ, ხოლო ხაზინას სულ მცირე შემოსავალს მივსცემო: რა გვექმნა, იჯარით გაცემის დროს, ამა და ამაზედ მეტი არავინ შემოგვაძლიაო. ასე რომ, ფორმალურად, საქმე გაჩალხული იყო. თ. ციციშვილმა სულ ცეცხლი აფრქვია, როცა შეიტყო ტარასოვის ასეთი საძაგელი საქციელი და პირდაპირ ხელმწიფეს მისწერა, რომ ამგვარი მოქმედება მაღალ-ხარისხოვან მოხელესი ხალხს გაჰრყვნის, გულს აუცრუებს მართლ-მსაჯულებაზედ და ხაზინას ხომ აუარებელს ზარალს მისცემს, რადგან ვერც ერთი მოქალაქე ვაჭრობას ვერ

გაჰბედავს, რაკი შეიტყობს, რომ ვაჭრობაში ჩავარდნილი ბაღის აღება თვით უფროსის ცოლსა სურსო.[2])

ასეთები იყვნენ თ. პავლე დიმიტრის ძის თანაშემწენი! დახმარების ძაგიერ, ხელს უცარავდნენ მართვა-გამგეობაში და რაცა კი თავისუფალ დროს შოულობდა მთავარ-მართებელი, თვისის თანაშემწეების წახდენილ საქმის გასწორებას უნდებოდა. საკვირველიც იმიტომაა თავად ციციშვილის მოღვაწეობა, რომ ერთსა და იმავე დროს რისხვითა და მუქარით სავსე ბარათებსა სწერდა საქართველოს მოსამზღვრე ყეენებსა და შინაურ საქმეებსაც ასე თუ ისე უძღვებოდა და ხშირად დაწვრილებით აძლევდა დარიგებას ადგილობრივ მოხელეებს. ტფილისის კამენდანტი, პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი მთავარ-მართებელმა სამართალში მისცა, რადგან მეტის-მეტად ურიგოდ იქცეოდა და უზომო ქრთამებს იღებდა[3]). რომ მის მოადგილეს, მაორს თ. სააკაძესაც ჩერნოვის ბედი არ დაჰმართებოდა, თ. ციციშვილი ინსტრუქციას უწერს და აფრთხილებს, როგორ უნდა მოეპყრას ხალხსა. უპირველეს ყოვლისა, არიგებს მთავარ-მართებელი მაიორს სააკაძეს, უნდა დაიცვა და დაიფარო მკვიდრნი ჯარის-კაცთა და ქალაქში მყოფ რუსთა შეწუხებისაგანაო. სწორედ საჭიროც იყო ასეთი დარიგება ტფილისის კომენდანტისათვის. ვინ მოსთვლის და ვინ აღნუსხავს, რამდენს უკანონობას და ბოროტებას ჩაიდენდნენ მაშინდელ შფოთითა და მღელვარებით საკსე დროს ჯარის-კაცნი, მხოლოდ თითო კვირაობითა და თვეობით დაბანაკებულნი ტფილისში დასასვენებლად?! მუდმივმა ველ-მინდვრად ყოფნამ, მუდმივმა განუწყვეტელმა ლაშკრობამ და ომმა მტრებთან და მერე როგორ მტრებთან, სულ თათარ-ლეკებთან, რომელთაც რუსის ჯარის-კაცმა საკუთარი სახელი მოუძებნა, სახელი ბასურმანისა, გააბოროტა და გააგოროზა, როგორც აფიცრები, აგრედვე მდაბიო ჯარის-კიცნი. ასე გაბოროტებულნი ხშირად ჯავრსა ჰყრილობდენ

---

[2]) იხ. Акты, т. II, გვ. 57—58.

[3]) ibidem, გვ. 87.

მშვიდობიან მკვიდრზედ. იმდროინდელი მხედრობა მაინცა და მაინც დიდ განსხვავებას ვერა ჰხედავდა ამ მკვიდრსა და შემოსეულ მტერს შორის; იმისათვის ერთიცა და მეორეც „ბასურმანი“ იყო. ეს კარგად იცოდა მთავარ-მართებელმა და სწორედ ამისათვის უბრძანებს თ. სააკაძეს, აქაური მკვიდრი და მშვიდობიანი ბინადარი დაიფარე ჯარის-კაცისაგანაო. ნაკლებად საყურადღებო არც მეორე მუხლია დარიგებისა. მთავარ-მართებელი უბრძანებს კომენდანტს: დაყვავებით, თავაზიანობითა და სიტკბოებით მოისმინე მკვიდრის ყოველი საჩივარი, ნუ დასტუქსავ მომჩივანსა, სამართლიანად გაარჩიე საქმე და მხოლოდ მაშინ დასდე მსჯავრიო. ასეთი დარიგება, ანუ ბრძანება ეხლანდელ დროშიც არ არის მეტი, ხოლო მაშინდელისათვის აუცილებელი საჭიროება იყო. შემდეგ თ. ციციშვილი განაგრძობს: თვალ-ყური ადევნე ქალაქის სისუფთავეს, ქუჩები ნაგვითაა სავსე, სასტიკად დასაჯე, ვინც კი ქუჩაში სარეცხის წყალს გადმოღვრისო; ნებას ნუ მისცემ, რომ საკლავი თვით ქალაქში იხოცებოდეს, რადგან ჰაერი იწამლება სისხლითა და განავალით. უსათუოდ საჭიროა, საკლავი იკვლებოდეს ქალაქ გარედ და ხორცი, სუფთა ტილოთი გადაფარებული, შემოჰქონდეთ ყასბებსაო. აგრედვე უბრძანე, რომ სადაბლო ქარხნები გადიტანონ სადმე ქალაქის განაპირას, რადგან ადამიანს იმათ ახლო ვერ გაუძლია, ისეთი საშინელი სუნი სდგას გარშემოვო. მთვრალი ჯარის-კაცები ათას უწესოებას ჰკადრულობდნენ აბანოებში; ამიტომ თ. ციციშვილი სასტიკად უბრძანებს თ. სააკაძეს, ნებას ნუ მისცემ უდრო-უდროოდ იხეტიალონ აბანოებში, დაუნიშნე კვირაში ერთი დღე და, როცა საბანებლად გაისტუმრებ ჯარის-კაცებს, უსათუოდ ერთი საიმედო უნტერ-ოფიცერი გააყოლე ხოლმეო. დასასრულ, მთავარ-მართებელი უბრძანებს კომენდანტს, ურჩიე მოქალაქეთ, მალე ააშენონ ჯარის-კაცთათვის ყაზარმები, რადგან ჯერ ერთი, უამისობა ხომ არ იქნება, და მეორეც, ჯარების სახლებში დაყენებით მრავალი

უწესოება იბადება და ეს მკვიდრისათვის აუტანელი ბეგარა რაც შეიძლება მალე უნდა მოისპოსო.[4])

მოხელეთა სიავკაცე რამდენადმე შეკავებულ-დალაგებულ იქმნა სასტიკ მთავარ-მართებელის შიშით. მოიჩივანს და დაზარალებულს შეეძლო პირდაპირ მთავარ-მართებელთან მისულიყო, ეჩივლა და სამართალი მიეღო. სულ სხვა ყოფაში იყო ამ მხრივ მაშინდელი სოფელი. როგორც მუდამ, სოფელი მაშინაც უნუგეშოდ იყო დატოვებული. იქ თავისუფლად ჰდანავარდობდნენ და ჰპარპაშობდნენ წვრილ-ფეხი მოხელენი. სამართალი და ადმინისტრაცია ნეტარხსენებულ კაპიტან-ისპრავნიკების და მდივან-ბეგების ხელში იყო. სწორედ ძნელად დასაჯერებელ ამბებს ამოიკითხავს ადამიანი საარხეოგრაფიო აქტებში. კაპიტან-ისპრავნიკების უკანონო საქციელთა აღწუსხვით აჭრელებულია პირველი ტომები ამ ძვირფასის წიგნისა. ამ მხრივ ნამდვილ დაუშრეტელ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ეს წიგნი საქართველოს ისტორიისათვის. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს აქტების მეორე ტომი შესახებ ერთის კაპიტან-ისპრავნიკის მოქმედებისა: 1804 წელს, 27 მარტს ოსებმა მიართვეს საჩივარი თ. სოლომონ ერისთავს, რომ ს. ჟამურს ამოვიდა ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი, გაბაწრა ოსები და აჭამა ძაღლებისათვის გაჩორკნილ გომში სალაფავიო. სალაფავი ამ ნაირად მოამზადა კაპიტან-ისპრავნიკმა: შიგ ჩაასხა შრატი, მერმე ჩაჰყარა დაკუწული კატები*) და ყოველივე ესე ადამიანის ფეინით შეაზავაო. ამას არ დაგვაჯერაო, სჩივიან ოსები, რვა სახლი გადაგვიწვა, სადაც დაგველუპა 300 კოდი ქერიო. თუ ჩვენი საჩივარი არა გჯერა, ემუდარებიან ჟამურელები თ. სოლომონ ერისთავს, გამოჰგზავნე ერთი კეთილ-საიმედო და სანდო

---

[4]) ibidbm, გვ. 25—26.

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ოსებს კატა წმინდა ცხოველი ჰგონიათ, და, ალბად, მოხერხებულმა ადმინისტრატორმა, რათა უმწვერვალესად შეელახა ოსების ადამიანობა და კაცობა, სალაფავში კატები ჩაჰყარა და არა სხვა ოთხფეხი.

კაცი და დაავალე, გამოიძიოს ყოველივე დაწვრილებით და სიმართლე მოგახსენოსო.[5])

კაპიტან-ისპრავნიკებზე ნაკლებად სახელი არ გაითქვეს ბოროტ-მოქმედებითა და მოქრთამეობით წვრილმანმა მოხელეებმა. ჭირი და ჟამი ისე ვერ დააზარალებდა ერს, როგორც ეს უზნეო, გაუწურთვნელ-განუვითარებელნი და ლოთნი გადამწერელნი აზარალებდნენ და სჩაგრავდნენ ხალხსა. მომჩივანს მოხელეთა ენა არ ესმოდა და ამისათვის ყურ-მოჭრილი ყმად უნდა გადაქცეულიყო, რაკი მათს ხელში ჩავარდებოდა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ წვრილმანი მოხელენი მეტის-მეტად უზნეო და ხასიათ-გაფუჭებულნი იყვნენ, განათლებას მოკლებულნი და უვიცნი სამსახურისა. რიგიანი მოხელე არ ეტანებოდა მაშინდელ საქართველოს. ან კი რომელი პატიოსანი და მცოდნე მოხელე დასტოვებდა სამშობლოს, ნათესავთა და სამსახურის საძებნელად გადმოიხვეწებოდა შორეულს საქართველოში, საიდანაც შეიძლებოდა ცოცხალი ვეღარც კი დაბრუნებულიყო. მხოლოდ უვარგისი და გამოუსადეგარი სამშობლოში, ლოთი და წყალ-წაღებული კისრულობდა საქართველოში სამსახურსა, გატაცებული მარტო ერთის აზრით, რომ გზის ფულს ბლომად მივიღებ და შემდეგ თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩებაო. [6])

---

[5]) Акт. II, გვ. 305. აქვეა აღნუსხული, რამდენი პური, ქერი, თივა, ღვინო, ჭათამი, ერბო და ფული წაართვეს უფასოდ, რასაკვირველია, კაპიტანის მიერ გაგზავნილმა მდივანბეგმა და ყაზახებმა და რამდენი მუშა და ურემი გაიყვანეს სამუშაოდ.

[6]) 1803 წელს შემოდგომაზე მასწავლებლად ახლად დაარსებულ სკოლაში დაინიშნა სტეფანე გულიაევი. ერთი წელიწადიც ვერ დაჰყო სასწავლებელში ბ-მა გულიაევმა, ისე უვარგისი აღმოჩნდა, და თ. ციციშვილი იძულებული იყო დაეთხოვა, აი რა სიტყვებით იხსენიებს მთავარ-მართებელი სტეფანე გულიაევს: „съ прискобіемъ долженъ донесть В. С. (графу Заводовскому, министру народ. пр.), что изъ числа присланныхъ учителей вышняго класса Гуляевъ не обѣщаетъ успѣховъ, не имѣя дара заставить учениковъ уважать себя. Къ тому же рѣчь имъ говоренная можетъ свидѣтельствовать предъ в. с. о новости. вводимой имъ въ краснорѣчіе пословицами и обидными изрѣченями для новоприобрѣтенной земли“. Акты, II, стр. 199.

ზემოდაც მოვიხსენიეთ და ეხლაც გავიმეორებთ, რომ მისვლა-მოსვლა მაშინდელის საქართველოს სამხედრო გზით მეტის-მეტად იყო გაძნელებული. ადამიანი წერილს რომ გაჰგზავნიდა საქართველოდან პეტერბურგს, დარწმუნებული არ იყო, მიაღწევს წერილი დანიშნულ ალაგს, ან მომივა პასუხი, თუ არაო. აი როგორ გადაჰქონდათ თ. ციციშვილის დროს, და შემდეგაც კარგა ხანს, წერილები და ფოსტა. ქალაქ მოზდოკიდან კვირაში ერთხელ მოდიოდა ფოსტა ტფილისისკენ. ფოსტას თან მოსდევდა ხან ერთი როტა ჯარისა და ხან მთელი ბატალიონი ზარბაზნით. ასეთს მგზავრობას „ოკაზიას“ ეძახდნენ მაშინ და მოზდოკში კვირაობით მომწყვდეული მგზავრები ოკაზიას გამოჰყვებოდნენ ხოლმე, რადგან უამისოდ ცოცხალნი ვერ მოახწევდნენ საქართველოში; გზაში ან გაძარცვავდენ, ან ტყვედ წაიყვანდნენ სხვა-და-სხვა მთის ხალხნი, ან შესაძლო იყო წუთი-სოფლისათვისაც გამოესალმებინათ. ჯარის მფარველობითვე მიდიოდნენ მგზავრნი ტფილისიდან რუსეთს. რადგან მუდმივი წოწიალი ჯარის-კაცთა და თრევა ზარბაზნებისა გაფუჭებულის გზით საშინლად ჰლალავდა და ჰქანცავდა ჯარის-კაცებსა, მთავრობა ზოგჯერ ფოსტას ორ-სამს კვირას არა ჰგზავნიდა, მაშასადამე, მგზავრებიც იძულებულნი იყვნენ მთელი თვე ეცადნათ ოკაზიისათვის. ასე რომ პეტერბურგიდან წამოსული ბარათი, ან ოფიციალური ქაღალდი თვე-ნახევარსაც და ორ თვესაც უნდებოდა ტფილისამდე მოღწევას. ამდენივე თვე აქედან პეტერბურგამდე და ამ სახით სამი-ოთხი თვე გაივლიდა, ვიდრე ადამიანი პასუხს მიიღებდა სატახტო ქალაქიდან, ან ადგილობრივი მთავრობა განკარგულებას მიიღებდა იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა დროსა და შემთხვევაში როგორ მოქცეულიყო. ზამთრობით ხომ გზა ხშირად იკვრებოდა, მგზავრი ავაზაკებისა და თოვლის ოსების წყალობით სიცოცხლეს ესალმებოდა[7]). ასეთი საშიში და საძნელო იყო მგზავრობა მაშინდელ დროს და, აბა, რომელი რიგიანი მოხელე დაანებებდა თავს თავისს სამშობლოს, რომელი პატიოსანი მოღვაწე მოს-

[7]) იხ. Акт. II, 58—50.

წყდებოდა თავისს ქვეყანას, აიღებდა თავსა და გამოსწევდა საქართველოსაკენ, სადაც მრავალი განსაცდელი მოელოდა, ხშირად სიკვდილიც! ეხლანდელი ჩვენი სამშობლო რუსებს სამოთხედ მიაჩნიათ და მაშინ კი სულ სხვა აზრისანი იყვნენ. თვით ევროპულად განათლებული ლიტვინოვი, თავმჯდომარე იმ კომისიისა, რომელმაც განასამართლა მთიელნი მეამბოხენი, წყევლითა და კრულვით იხსენიებს სამეგრელოსა და ქართლსა და ემუდარება თ. ციციშვილს, ბოლო მოუღე ჩემს აქ ყოფნას და ნება მიბოძე სამშობლოში დავბრუნდეო. ლიტვინოვს მარტო გზის ფულად 3,000 მანეთი ებოძა, 100 მ. თვეში საჭმელ-საჭმელისა და წინანდელ სამსახურის ჯამაგირი და მაინც უკმაყოფილო იყო ბედისა[8]) და მაშ რა გაჭირვებასა და შეწუხებაში ჩავარდებოდნენ წვრილმანი მოხელენი, ადვილი წარმოსადგენია. ამისათვის მაშინდელ საქართველოს რიგიანი მოხელე არ მოეტანებოდა, თუ არ წყალ-წაღებული, რომელთათვის სულ ერთი იყო, სადაც უნდა გაეგზავნათ, ოღონდ კუჭის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ და, თუ გარემოება ხელს შეუწყობდა, ჯიბეც გაესქელებინათ.

თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი კარგად ჰხედავდა, რა დიდი ზარალი მოჰქონდათ ამგვარ მოხელეთა, რა საშინელის სისწრაფით უტეხავდნენ სახელსა და ესტიბარს რუსეთის მთავრობას. მათმა ენით გამოუთქმელმა უვარგისობამ ხალხს შეაძულა რუსობა და აქაურნი მტრად გადაჰკიდა რუსეთსაო, ამბობდა ხშირად მთავარ-მართებელი. მართლაც, ქართველები ასე ფიქრობდნენ: ალბად მთელი რუსობა ისეთივეა, როგორნიც არიან აქ გამოგზავნილნიო და, აბა, ამათგან რა სიკე-

---

[8]) ibidem, 35, 37. აქ მოვიყვანთ ლიტვინოვის წერილის ერთს ალაგს, სადაც დამწერი თავს აბრალებს თ. ციციშვილს და ეხვეწება, სამშობლოში დამითხოვეო. „Cependant j'espère que la triste vie que l'on y mène et tous les Désagréments inséparables du séjour et des affaires que l'on traite ici, vous inspireront assez de pitiè pour moi, pour mettre un terme à un sejour ici et en Géorgie; j'ose vous demander, mon prince, de le fixer aus eptembre prochain et obtenir par vos bontés la permission de retourner par la Crimée que je n'ai pas encore vûe.“ ibid. გვ. 485.

თეს უნდა მოელოდეს ჩვენი ქვეყანაო. მეორე ტომი აქტებისა სავსეა თ. ციციშვილის ჩივილითა და წუწუნით, რომ მოხელენი არ მივარგანო. მინისტრებს ემუდარებოდა, რიგიანი მოხელენი გამომიგზავნეთ, თორემ ყოველი ჩემი განკარგულება აუსრულებელი რჩება, ან ისე ასრულებენ, რომ აუსრულებლობა ემჯობინებოდაო. ხალხი კი ჰფიქრობს, რომ რუსებს სამართლიანად განსჯა და განხილვა საქმისა არ შეუძლიანთო.[9]) თვით ხელმწიფე იმპერატორსა სწერს თ. ციციშვილი ერთს თავისს უქვეშევრდომლესს მოხსენებაში, რომ „პატიოსანი და მუყაითი მშრომელი-მოხელენი სანთლით საძებნელნი არიანო".[10]) შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფს კოჩუბეის, თითქმის, საყვედურით ახრჩობს, თუ კი ირკუტსკში გამწესებულ მოხელეთ წინდაწინვე ორს ჩინს აძლევთ, საქართველოში გამწესებულთათვის უფრო უპრიანია მაგგვარი დაჯილდოვება და წათამამებაო. მართალია, საქართველო ისე შორს არ არის, როგორც ირკუტსკის გუბერნია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსის მოხელენი აქაურ ჰავას ძნელად იტანენ, სასმელ-საჭმელს ჯერ ვერ შესჩვევიან და ძვირობაც არის აქ, ასე რომ, ძალიან შორი-შორს არის შედარება საქართველოსა და ირკუტსკს შორისო. მთავრობამ შეისმინა თ. ციციშვილის ვედრება და უბრძანა მცირე რუსეთის გენერალ-გუბერნატორს და სლაბოდო-უკრაინის გუბერნატორს, გაუგზავნეთ საქართველოს მთავარ-მართებელს საკანცელიარიო წესის რიგიანი მცო-

---

[9]) რაკი თვით რუსეთის ძლიერმა და ერთგულმა მხედართ-მთავარმა ასე სასტიკად მოიხსენია მაშინდელი მოხელეობა, ვიღას უნდა გაუკვირდეს პლატონ იოსელიანის მამის, ეგნატე მოძღვარის სიტყვები: «ბატონის ასულო, მოახსენებს მამა ეგნატე ბატონიშვილს თეკლეს, მესმის ყოველივე და ვიტყვი მოკლედ გოდებითსაცა ჩემსა სიტყვასა: «არვინ ველოდით რუსისაგან ამას, რასაცა თქვენ მიბრძანებთ; ახლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა; უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი, აზიურთა და ძველთა ჩვენთა სჯულის-დებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ». იხ ცხოვრება მეფის გიორგის XIII-სა. გვ. 249—250.

[10]) იხ. Акты, II, გვ. 25, 27, 29, 31, 36, 37, 44, 47, 54, 57 და სხვა.

დნე მოხელენიო. ამ საკანცელიარიო წესების რიგიან მცოდნე მოხელეთ წინდაწინვე მიეცით ჯამაგირის ერთი მესამედი, გზის ფული და აგრედვე ერთი ჩინიცაო. მეორესაც მაშინვე მიიღებენ, თუ საქართველოში ოთხს წელიწადს დაჰყოფენო, იმას გარდა, რაც კანონით ჯილდო ერგებათო.[11])

მინისტრთა საბჭომ საჭიროდ არ დაინახა საქართველოში გამოეგზავნა უნივერსიტეტში კურს-დამთავრებულნი მოხელენი. პირველ ხანში უნივერსიტეტ-დასრულებულნი სარგებლობას ვერ მოიტანენ და იმათ კანცელიარისტები აჯობებენო. მინისტრების აზრით, რადგან საქართველოში საქმის წარმოება რუსულად იყო, ამისათვის წვრილმანი, გაუნათლებელნი, მაგრამ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში გავარჯიშებულნი უფრო საჭირონი არიან, რომ ახალი საქმე მართვა-გამგეობისა წესსა და რიგში ჩააყენონო. ამის გამო საქართველოს მრავლად მოაწყდა წვრილმანი მოხელეობა. თ. ციციშვილი განვითარებულს მოხელეებს თხოულობდა, რომ მისი განკარგულება აღესრულებინათ მაინც, თუ თვითონ ახალს ვერას მოიგონებდნენ, და მაგიერ გადამწერლებს უგზავნიდნენ. მთავარ-მართებელი, გულმოსული მათის უნიჭობით და უგვანო საქციელით, მოქრთამეობითა და გარყვნილის ცხოვრებით, განსაკუთრებით პროვინციაში, ზიზღით იხსენიებს ოფიციალურ ქაღალდებში ამგვარს ცივილიზატორებს [12]).

---

[11]) Ак. П, გვ. 47.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსმნიოთ, რომ ეხლა ჩინს ის მნიშვნელობა აღარა აქვს, რაც ძველად. ბატონ-ყმობის დროს, პირველი ჩინი, ეხლა სასაცილოდ გამხდარი კოლლეჟსკი რეგისტრატორობა, კაცს პირადად ააზნაურშვილებდა და ანთავისუფლებდა, როგორც გარდასახადისაგან, ისე გაროზგვისაგანაც. ეს იყო მიზეზი, რომ კოლლეჟსკი რეგისტრატორობისთვის თავპირს იმტვრევდა წვრილ-ფეხი მოხელეობა.

[12]) „Чиновники изъ приказныхъ.“ ასე ეძახდა მათ მთავარ-მართებელი. ალბად ზემოდ მოხსენებულმა განკარგულებამ ათქმევინა მთავარ-მართებელს შემდეგი მწარე სიტყვები: „Не могу безъ стесненій сердца донести В. С. (графу Кочубею), что генеральный недостатокъ въ чиновникахъ и даже по штату положенныхъ лишаетъ меня способовъ отправлять служеніе мое по долгу званя моего, ибо, невозможно равнодушно смотрѣть на то, что прожекты Высочайше апробованные и въ исполненіе коихъ настоитъ необходимость, остаются по два года безъ исполненія.“ Акты, П, გვ. 57.

უმთავრესი და უძლიერესი მიზეზი ქართველების უკმაყოფილებისა ის იყო, რომ ხალხი სამართალს ვერა ჰპოულობდა. ახალის წესისა და რიგისა არავინ არა იცოდა-რა და ამის გამო დიდი თუ პატარა, ბრალიანი და უბრალო, განურჩეველად წოდებისა, დრტვინავდა და სწუხდა. მეფობის დროს სამართლის პოვნა ძალიან ადვილი იყო და თან ამასთან მეტის-მეტად მცირე დრო უნდებოდა დავისა და დარაბის გათავებას. დაჩაგრული თავისს საჩივარს მოახსენებდა სიტყვიერად მდივანს, მდივანბეგს, ან თვით მეფეს და უმალ გაირჩეოდა საქმე, გადასწყდებოდა და უბრალო ქაღალდზე დაიწერებოდა ყოველივე: საქმის ვითარება, მოწმეთა ჩვენება, განაჩენი და ბრძანება, რომ ამა და ამ მოხელემ აღასრულოს ესა და ეს გადაწყვეტილებაო. მიჩვეულნი ასეთ ჩქარს, მარტივს და სამშობლო ენაზე წარმოებულ სამართალს, ქართველები პირველს ხანში განცვიფრდნენ, როცა დაინახეს დაუსრულებელი სამართალი რუსისა. უბრალო საქმე, თუნდ მამლის მოპარვისა, თვეობით არა თავდებოდა; დაბარება, ჩვენების ჩამორთმევა, მოწმეთა კითხვა, ერთის სიტყვით, ათასი თრევა და ვაი-ვაგლახი უნდა აეტანა უბრალო საჩივრის დამწყებსა. უცხო ენაზე წარმოება სამართლისა ხომ სულ ერთიანად ჰრევდა და სწეწავდა საქმეს. ამ უცნაურად საქმის წარმოებაში მომჩივანიც და მოპასუხეც იბნეოდნენ, ხშირად ველარც კი არჩევდნენ ხოლმე, ვინ დაიწყო საქმე, მომჩივანი ვინაა და მოპასუხე ვინაო. ეს სრულიად საკვირველი არ არის. მოსამართლემ ქართული არ იცოდა, ქართული გვარები ეხამუშებოდა, ჯერ ყური არა ჰქონდა შეჩვეული და ისე უცნაურად და გადამახინჯებით ჩასწერდა მოხელე, „პრიკაზებში“ განსწავლული, რომ ადვილი მისახვედრი არ იყო, მართლა ორი სამის წლის წარმოების შემდეგ, გაგეგო, ვინ მომჩივანია, და ვინ მაპასუხე. აი ამის გამო სწერდა თავადი ციციშვილი პეტერბურგსა: „მოსამართლეს მომჩივანისა არა გაეგებარა და მომჩივანს კიდევ მოსამართლისა და ორთავენი კი უკმაყოფილონი არიანო.“ [18].)

[18]) Ак. II, გვ. 46.

მოთმინებიდან გამოსულმა ქართველობამ საყვედურით დაარჩო მთავარ-მართებელი, არავითარს საქმეს ბოლო არ ეღება, რისთვის აჭიანურებენ საქმეს მოსამართლენი, არ გვესმისო და თუ არაფრის თავი არა აქვთ, შენ თვითონ გაგვასამართლეო. სწორედ დიდ გაჭირვებაში იყო ხოლმე მთავარ-მართებელი ამ აუარებელ საჩივრებისაგან, როცა კი ლაშქრობიდან დაბრუნდებოდა ტფილისში. [14]).

ყველაზე საოცარი და უცნაური ახალს რუსის სამართალში ესრედ-წოდებული ფორმალური სამართალი იყო, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ „судъ по формѣ.“ ფორმალური სამართალი თ. ციციშვილის მისვლამდე კოვალენსკიმ შემოიღო და ასე სწარმოებდა: მომჩივანი, ანუ მისი ვექილი, მოვალე იყო მოსამართლეს წინაშე მთელი არზა ზეპირად წაეკითხა რუსულად. თუ ერთი ასოც არის შეეშლებოდა და წაიბორძიკებდა, მომჩივანი დაჰკარგავდა უფლებას ეწარმოებინა სამართალში საქმე. მაშინდელმა ქართველობამ რუსული არ იცოდა და კიდეც რომ სცოდნოდათ თითო-ოროლას, ასეთის სუსტის ცოდნით ფონს ვერ გავიდოდნენ, რადგან არზის ზეპირად წაკითხვა უნაკლულოდ და შეუშლელად მოუხერხებელი იქმნებოდა და ამგვარად ამ დაუჯერებელ სამართლის მეფობის დროს ვერც ერთი ქართველი, ცამდის მართალიც რომ ყოფილიყო, საქმეს ვერ მოიგებდა.

თ. ციციშვილმა მალე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ უწესოებას და ხელმწიფე იმპერატორსა სთხოვა სრულიად მოსპობა ამ უვარგისისა და დროსა და ვითარების შეუფერებელ სამართლის წარმოების წესებისა. ფორმალური სამართალი თვით რუსეთშიაც უვარგისი და ხალხის დამღუპველიაო, სწერდა

---

[14]) ერთს თავის მოხსენებაში სწერს მთავარ-მართებელი, რომ მოსალოდნელი იყო ქართველებს გაეხარდებოდათ და ესიამოვნებოდათ წესითა და რიგით წარმოებული სამართალი, მაგრამ ეს არ მოხერხდაო. შემდეგ ამ საყურადღებო აზრს წარმოსთქვამს: სასურველია, რომ ქართველები მალე შევაჩვიოთ რუსის კანონებსაო; ხოლო თუ გვინდა ადვილად მოვახერხოთ ესა, საჭიროა, თვით კანონი მოიხაროს და მოიგრხოს ზნე-ჩვეულების მიხედვითაო. (Законы долженствуютъ изгибаться по нравамъ). Ак. П, გვ. 46.

მთავარ-მართებელი და ადვილად წარმოსადგენია, რამდენად მავნებელი და საზარალო უნდა იყოს ქართველებისათვის. აქ რუსული არავინ იცის და მხოლოდ იმისთვის უნდა წააგოს ხშირად საქმე ქართველმა, რომ რუსული ენა არ იცის და ფორმალურის წესებისა არა გაეგება-რაო. მერე ფორმით არზის დაწერას თვითონ ხომ ვერ მოახერხებს, რუსის ადვოკატმა უნდა შეუდგინოს ამგვარი არზა და ვინ ჩამოსთვლის ამის გამო რამდენი ბოროტება მოხდება. ამისათვის თ. ციციშვილი სთხოვდა ხელმწიფეს, კეთილ ინებეთ და მოსპეთ სრულიად საქართველოში კავალენსკის მიერ შემოღებული ფორმალური სამართალი, მიეცით ნება ქართველებს მიართვას მოსამართლეს არზა მიუხედავად ფორმისა, ქართულადაო. ამასთანავე მოსპობილ უნდა იქმნას გერბის გადასახადიცა რადგან შემოსავალი მაგდენი არა არის-რა და ხალხს კი დიდად ავიწროებსო. ხელმწიფემ შეიწყნარა მთავარ-მართებელის თხოვნა და ნება დაჰრთო ქართველებს, მიუხედავად ფორმისა, მიერთმიათ არზები მოსამართლეებისათვის ქართულად. ამ საგანის შესახებ სენატის ბრძანება აღნიშნულია 1805 წლის 13 მაისის თარიღით [15].)

ამ სახით, გონიერმა განკარგულებამ საშინლად დაიგვიანა და სწორედ მაშინ მოვიდა საქართველოში, როცა ამბოხება მთაში, ქსნისა, არაგვისა და ლიახვის ხეობაში უკვე ჩაქრობილ-ჩანელებული იყო.

ზემოდ მოხსენებულმა მიზეზებმა მწარე ნაყოფი მოიტანა. ერთგულება ქართველებისა რუსეთისადმი შესამჩნევად შეირყა და საერთო უკმაყოფილება ნელ-ნელა ვრცელდებოდა. მაშინდელ შფოთიან დროს მცირე შემთხვევა იყო საკმარისი, რომ აღელვება დაბადებულიყო და ამდენ ვაი-ვაგლახს, უეჭველია, დიდი განხეთქილება უნდა გამოეწვია და კიდეც გამოიწვია. რამდენადაც წინად ქართველებს სურდათ რუსების დამკვიდრება საქართველოში, იმდენად ეხლა ხმა-მაღლა გაიძახოდნენ:

[15]) Ак. II, გვ 45—47; 52—53.

როგორც მოსულან, ისევ ისე წაბძანდნენო. ახალის მთავრობის შეცდომა მრავალი და დაუსრულებელი იყო და საიმედო ნიშნებსაც კი ვერა ჰხედავდნენ; იმედიც კი აღარა ჰქონდათ, რომ როდისმე მოეღებოდა ყოველსავე ამას ბოლო. პირველმა გამგებლებმა ისეთივე მართვა-გამგეობა დაამყარეს საქართველოში, როგორც თვით რუსეთის შიდა გუბერნიებში ჰმოქმედობდა. კნორრინგი და კოვალენსკი იმდენად უნიჭონი აღმოჩნდნენ, რომ მცირეოდნად ვერ შეს[illegible]ვალეს და ვერ შეუფერეს წესნი მართვა-გამგეობისა ქართველთა ზნესა, ჩვეულებასა, ხასიათსა და ისტორიულ ტრადიციებს. ქართველი, მიჩვეული, ავი იყო თუ კარგი, მსწრაფლ სამართალს, საპრიკაზო ფორმების მსხვერპლად გაჰხადეს, გააბეს საშინელს ქსელში და სრულიად გონება დაუბნიეს. ასე გასინჯეთ, ისიც კი ვერ მოისაზრეს კნორრინგმა და კოვალენსკიმ, რომ ახლად დამორჩილებულმა ერმა რუსული არ იცის, ორსა და სამს თვეს ამ ენას ვერ შეისწავლის და, მაშასადამე, საჭირო იყო სასამართლო წარმოების ენა მაინც შეეცვალათ. გაბატონებული საქართველოში უსულო და უგულო ძველი საპრიკაზო „судъ по формѣ“, მასხარად აგდებული და დაწუნებული თვით სამშობლოში, სადაც იგი აღმოცენდა ბიზანტიურის ფორმალიზმის წყალობით, გულს უმღვრევდა ცოცხალის ხასიათის ერსა. ქვეყანას გული აუცრუვდა და ნდობა და მოწიწება დაჰკარგა საზოგადოდ სამართლის წინაშე. ასეთი დამღუპველი გავლენა ჰქონდა ამ ნეტარხსენებულს ფორმალურს სამართალს [16]).

მძიმე ტვირთად დააწვა საკმარისად გაბეგრილს ხალხს სამხედრო გარდასახადი, ესრედ-წოდებული „военный постой“,

---

[16]) პირველად საქართველოში დაარსებულს უმაღლეს მართვა-გამგეობას დაერქვა „Верховное Грузинское Правительство“ რომელიც შესდგებოდა ოთხის ექსპედიციისაგან. თ. ციციშვილის დროს ორი ექსპედიცია, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა, ერთად შეერთდა და სახელად დაერქვა „Экспедиція суда и расправы.“ საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მაშინდელი შტატები მოხელეთა და რაოდენობა იმისი, თუ ვინ რა ჯამაგირს იღებდა. ექსპედიციის გამგებელს, ანუ უფროსს, წელიწადში ეძლეოდა 1,350 მ.; ოთხი თანაშემწე, ანუ სოვეტნიკი, ორი რუსი და ორი ქართველი, თითოს ჯამაგირი 750 მ., ორი

ადგილობრივი მკვიდრი მოვალე იყო რამდენიმე ჯარის-კაცი მიეღო დასაბინავებლად თავისს სახლში, როცა რომელსამე ქალაქში ან სოფლად დაბანაკდებოდა სალაშკროდ წასასვლელი რაზმი. მისვლა-მოსვლა ჯარებისა, მათი მოძრაობა მუდმივ და განუწყვეტელ ომიანობის დროს ხშირი იყო. ადვილად მისახვედრია, რა აუტანელი და გამაბეზრებელ-გამაბოროტებელი იქნებოდა ეს არა-სასიამოვნო ბეგარა. ქონების გატაცებას, დარბევას, ძარცვა-გლეჯას ვინღა სჩიოდა, ყველა ამას მკვიდრი ჩირის ფასად არ ჩააგდებდა იმ შეურაცხებასთანა და თავის მოჭრასთან, რაც იმას თავს ატყდებოდა მისის ცოლ-შვილის გაბიაბრუებითა, არამც თუ უბრალო ჯარის-კაცებისაგან, არამედ თვით აფიცრებისაგანაც კი. შეზარხოშებულნი მეომარნი კალიასავით მოედებოდნენ სოფლის დედა-კაცებს და ძნელად თუ ვინმე გადურჩებოდათ ნამუს-აუხდელი ვნება-აშლილ გმირებს. დიდი განსხვავებაა ეხლანდელს და მაშინდელს ჯარის-კაცთა შორის. მაშინ ჯარის-კაცი მსახურებდა ოციდან ოც და ათ წლამდე და ხშირად მთელს თავისს სიცოცხლეს ჯარის კაცობაში ატარებდა, ვიდრე ჯანი შესწევდა. ასეთი მეომარი, მოკლებული ოჯახის ალერსს, დანატრულებული ცოლ-შვილიანობას, ძნელად იგრძნობდა, რა პატივისცემა ეკადრება დედაკაცს, ძნელად თუ დაინდობდა ქალის ნამუსს, როცა კი დრო და გარემოება ხელს შეუწყობდა. ამას გარდა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში ურთიერთობა ქალი-

---

მდივანი თითოს 450 მ.; ორი თარჯიმანი—თითოს 250 მ. საყურადღებოა აგრედვე წვრილმან მოხელეთა თანამდებობის სახელ-წოდებანი.

	ჯამაგირი თითოს				ჯამაგირი თითოს.		
პროტოკოლისტი	—	1	— 200 მ.	პოდკანცელიარისტი	—	5	— 90 —
თანაშემწე	—	1	— 120 —	კოპიისტი	—	5	— 70 —
არხივარიუსი	—	1	— 150 —	ქართველი თავადი ან აზნაური	—	2	— 150 —
პოვიტჩიკი (უდრის ეხლანდელ სასამართ. ბოქაულს)	—	3	— 180 —	ვახმისტრი	—	1	— 60 —
თანაშემწე	—	3	— 120 —	მოსამსახურე	—	1	— 50 —

თითო ექსპედიციას: Экспедиція суда и расправы, Казенная и Исполнительная, მაგდენი მოხელეები ჰყავდა. ვერ მივხვდით, ქართველი თავადი ან აზნაური რა მოხელეობა იყო, ალბად ეხლანდელ „присяжный свидѣтель“-ს თუ უდრიან, ნატარიუსებთან რომ არიან. Акты, II, გვ. 47—48. Бутковъ, II, გვ. 495—499.

სა და კაცისა, განსაკუთრებით მდაბიო წოდებაში, მეტად მარტივია და გაარშიყება სხვისის ცოლისა სრულიადაც არ მიაჩნიათ მომაკვდინებელ ცოდვად. სულ სხვა თვალით უყურებს ამ საგანს ქართველი კაცი და მის ცოლშვილთან სუბუქი, თავდაუჭრელი ლაპარაკი და არშიყობა, რასაც სტუმარნი მეომარნი გათამაშებას ეძახდნენ და ხუმრობად მიაჩნდათ, მასპინძელს ბოლმასა ჰგვრიდა. ბევრჯელ სისხლი დაღვრილა ჯარის-კაცის მიერ ჩადენილ უზრდელობისა და უწესოების გამო და ერთი უბედურება და ალიაქოთი გამოუწვევია როგორც სამხედრო ბანკში, აგრედვე ახლო-მახლო სოფლებში, სადაც გულ-მოსულნი მკვიდრნი შეიარაღებულან თავიანთ მეზობლის ოჯახის ნამუსის დასაცველად.

ერთს ტაფაში იწვოდა, როგორც ბარი, ისე მთაც, მაგრამ იქ, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, საქმე უფრო იმიტომ გამწვავდა, რომ მთიელებს ვალად დაედოთ სამხედრო გზის გაწმენდა-გასუფთავება თოვლისგან და აგრედვე შეკეთება ამ გზისა. ეს მოვალეობა მით იყო უფრო შემაწუხებელი, რომ მთიელნი მეტის-მეტად ღარიბნი იყვნენ და საშინლად უძნელდებოდათ ამ მოვალეობის შესრულება.

საქართველოს ადმინისრაციის უწესოება და მოხელეთა ბოროტ-მოქმედება ისე თვალ საჩინო შეიქმნა, რომ აქაურ უკანონობის ხმამ თვით პეტერბურგამდე მიაღწია. ალექსანდრე პირველმა საჭიროდ დაინახა ჯერ ჩავის საიდუმლო კომიტეტში განეხილა საქმე და მხოლოდ შემდეგ გადაეცა სახელმწიფო საბჭოსათვის. [17]) იმპერატორს პირველად არა ჰსურდა საქართველოს შეერთება რუსეთთან, ვერ მოვუვლით ამ სიშორედან საქართველოსაო. ასეთისავე აზრისა იყო მისი საიდუმლო კომიტეტი: აუტკივარი თავი რაზედ ავიტკივოთო; იმდროს რუსეთს დიდი საქმე უჩნდებოდა ევროპაში და ახალის მოვალეობის ტვირთად აღება სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგი იქ-

[17]) იხ. Богдановичъ—Исторія царствованія Императора Александра I, т. I, 1819 г., С.П.Б. Извлеченія изъ „засѣданій неофиціальнаго комитета". Замѣтки пр. п. А. Строганова. გვ. 63.

ნებაო. ნამდვილს მფარველობას ქართველებს ვერ გავუწევთ და შეიძლება უფრო დიდს განსაცდელში ჩავაგდოთო. დიაღ, ასე ჰფიქრობდა პირველად იმპერატორი ალექსანდრე I და მისი მეგობრები: გრაფი სტროგანოვი, ნოვოსილცევი, ჩარტორიისკი და კოჩუბეი, მაგრამ შეიძლება აზრი შეიცვალეს, რაკი საქართველოს შეერთების საქმე განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადაეცა. საბჭომ ის აზრი წარმოსთქვა, რომ აქამდის ცოტ-ცოტათი ვეხმარებოდით საქართველოს მეფეებს, ნამდვილი დახმარება ვერ გავუწიეთ, მტერი გავაბრაზეთ ჩვენის მფარველობით და ლამის დავღუპოთ უდანაშაულო ქვეყანა, რომელიც სამართლიანად მოელოდა დახმარებას, რაკი საქვეყნოდ ვპირდებოდით ასეთს დახმარებასა და ეხლა კი სრულიად ხელს ვიღებთ საცოდავ ქვეყნის მფარველობაზე და სპარსოსმალთ უნდა ჩავუგდოთ ჩვენი ერთ-მორწმუნე ერიო. სახელმწიფო საბჭოს. ამ მოსაზრებამ დასძლია ალექსანდრე პირველი და მისი მეგობრები და სამუდამოდ გადასწყდა საქართველოს ბედი. ამისათვის, რაკი იმპერატორმა შეიერთა საქართველო და დიდს წყალობას დაჰპირდა ქვეყანას 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით,[18]) მეტი ღონე აღარ იყო, ნამდვილი მფარველობა უნდა გაეწია საქართველოსთვის და როგორმე აღმოეფხვრა ის საშინელი ბოროტ-მოქმედებანი, რომელთაც აქ ფეხი მოიკიდეს კნორრინგისა და კოვალენსკის წყალობით. თავ. ციციშვილის დანიშვნით საქართველოს მთავარმართებლად ბევრი უკანონობა მოისპო, მაგრამ სრულიად აღმოფხვრა ფესვებგამდგარ უკანონობისა საშინლად გაძნელდა და ამისათვის ალექსანდრე პირველმა განიზრახა აღედგინა საქართველოში მეფო-

[18]) ეს საყურადღებო მანიფესტი დაბეჭდილია ბევრგან: Полн. Собр. Св. Зак., т. XXVI, გვ. 782, № 20007; აქ მოხსენებულია სრული ტიტული რუსეთის მეფეთა; Акты, т. I, გვ. 432—433; აქვეა დაბეჭდილი რესკრიპტი გენერალ-ლეიტენანტის კნორრინგის სახელობაზე.; Закавк. Д—на, გვ. 28—30; ცხოვრება მეფე გიორგი XIII, პ. იოსელიანისა, გვ. 287—294. ქართული თარგმანიც არის აქ მოყვანილი, მაგრამ მეტის-მეტად ძნელი გასაგებია; Матеріалы П. Гр. Буткова, ч. II, გვ. 485—488. ბუტკოვი ჰმოწმობს, რომ ეს მანიფესტი დაუწერია თავადს პლატონ ალექსანდრეს ძეს ზუბოვს და Постановленіе внутренняго въ Грузіи управленія თვით ბუტკოვს. იხ. Матеріалы, Ш, გვ. 442—443.

ბა, ამოერჩია რომელიმე ბატონიშვილი ბაგრატიონთა გვარისა და იმისთვის მიენდო მართვა-გამგეობა. წინად სწორედ ასრე იყო განზრახული: საქართველოში მეფე უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშე. ასეთივე აზრი წარუდგინა ხელმწიფეს თავადმა ციციშვილმა შესახებ იმერეთისა და სამეგრელოსი. ამ აზრმა ისე მკვიდრად მოიკიდა ფეხი პეტერბურგის უმაღლეს უწყებათა შორის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფმა კოჩუბეიმ საიდუმლოდ მოსწერა თ. ციციშვილს, 8 მკათათვეს 1804 წელსა: „იმპერატორსა სურს შეიტყოს თქვენი აზრი, არ შეიძლება ქართლშიაც ისეთი მართვა-გამგეობა შემოვიღოთ, როგორიც განზრახულია იმერეთსა და სამეგრელოში, ესე იგი, სამეფო არსებობდეს, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ სამეფონიო. და თუ ამ აზრის განხორციელება შესაძლებელიაო, ამბობს კოჩუბეი, მაშინ დაასახელეთ ერთ-ერთი ბაგრატიონი, რომელსაც ღირსეულად იცნობთ საქართველოს მეფობისაო.[19]) სამწუხაროდ, აქტებიდან არა სჩანს, რა პასუხი მისცა მთავარ-მართებელმა კოჩუბეის, ან მისცა რამ პასუხი თუ არა. შეიძლება, შეუთვალა ესა თუ ის პასუხი, მაგრამ საჭიროდ არ დაინახეს დაებეჭდათ აქტებში. რედაქტორი აქტებისა ბ-ნი ბერჟე წინა სიტყვაობაში ამბობს, რომ მრავალი საყურადღებო დოკუმენტები პეტერბურგს გაიგზავნა და აქ ვერ იბეჭდებაო. შეიძლება სხვა საყურადღებო დოკუმენტებ შორის თ. ციციშვილის პასუხიც მოჰყვა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მთავარ-მართებელი მინისტრის დავალებას ამ საყურადღებო საგნის შესახებ აუსრულებლად ვერ დასტოვებდა და აუცილებლად პასუხს რასმე მისწერდა.

ს. ფრონელი

[19]) იხ. Ак. II. გვ. 51 და წინასიტყვაობა პირველის ტომისა.

სახალხო პოეზია

და

მისი საკედამოგიო, საესთეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა

VII*)

წინა წერილებში, შეძლებისა დაგვარად გამოვარკვიეთ ის საგანიც, რომ ისტორიკოსისათვის და, საზოგადოდ, მეცნიერისათვის, მწერლობას გარდა, დიდი მასალა ყოფილა სახალხო სიტყვიერებაში; რომ ისტორიკოსს ბევრი რამ საკითხის პასუხის პოვნა შესძლებია, ამ სიტყვიერებაში; მაშასადამე, ბევრი ქრონიკის ნაკლიც შეივსება, რადგან, როგორც აღმოჩნდა, მწერლობას, კაცობრიობის წარსულს ისტორიას, ენას, ძველს ხელოვნებას, ოჯახის და საზოგადოების შენობას სახალხო სიტყვიერებასთან, სახალხო გონებრივ ნაწარმოებთან დიდი კავშირი ჰქონია. რასაც მეცნიერი ვერ შეიტყობს არქეოლოგიით, ლინგვისტიკა—ფილოლოგიითა და სხვა წყაროებით, ხშირად გამოარკვევს და ნაკლს შეავსებს სახალხო პოეზიის წყალობით.

მაგრამ ამას შემდეგაც ექმნება ადგილი ერთს საკითხს, რომელმაც, შეიძლება, შეარყიოს მთელი ეს ჩვენი გამოკვლევა. ეს საკითხი არა ერთხელ აღძრულა შედარებით მითოლოგიაში და მეცნიერნი ხშირად ორ დასად გაუყვია, ისეთს ორ დასად, რომელიც სრულიად სხვა-და-სხვა, ერთმანეთის საწი-

*) «მოამბე» № IV.

ნააღმდეგო შეხედულებას დასდგომია. საქმე იმაშია, რომ სახალხო სიტყვიერება მეცნიერს, უეჭველია, ბევრს ახალს მასალას აძლევს, ბევრს რასმე ეუბნება და ძალიან ვრცლადაც, მაგრამ შეიძლება თვით ეს მასალა საისტორიო მასალას არ წარმოადგენს, ესე იგი შეიძლება, ესე ყოველივე ფანტაზია იყოს და ისტორიული მნიშვნელობა არასოდეს არა ჰქონდეს! ბევრი რამ არის ზღაპრებში, მითებში. ისტორიაზე უფრო ვრცლად მოგვითხრობს ესა თუ ის მითი ვიღაც გმირების ამბავს, დევებისა და გველების ომს, მაგრამ შეიძლება ამას ენდოს კაცი? შეიძლება, ამ თქმულებამ საისტორიო მასალობა გასწიოს?

ზოგიერთნი ასეთს მნიშვნელობას სახალხო სიტყვიერებისას უარ-ჰყოფენ, ზოგნი კი, თუმცა სრულებით არ უარ-ჰყოფენ, ამცირებენ მაინცა. მაგალითებრ, სამოციან წლებში ბ-ნმა სტასოვმა დაჰბეჭდა თხზულება „О происхожденіи русскихъ былинъ“[1]), სადაც გმირულის ეპოსის და მთელის მითოლოგიის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ ნაწარმოებს საისტორიო მასალის მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს, რადგან სრულებით არ მოგვაგონებს ნამდვილს ცხოვრებასაო. სტასოვის წინააღმდეგ გაილაშქრა რუსეთის მკვლევართა მთელმა დასმა, რომელთა ავტორიტეტი წინდაწინვე ამბობდა ცხადად, რომ ასეთს აზრს სტასოვისას ბოლო ჩქარა მოეღებოდა. სტასოვის წინააღმდეგ იდგა თვით ცხოვრება, ისტორია, სახალხო სიტყვიერების ისტორიასთანა და ლინგვისტიკასთან შედარება. ამისათვის საუკეთესო წარმომადგენელნი რუსეთის საისტორიო მეცნიერებისა უსათუოდ უნდა შედავებოდნენ სტასოვს. ასეც მოხდა. სხვათა შორის სტასოვის წინააღმდეგ ამხედრდა შესანიშნავი აკადემიკოსი ბუსლაევი, რომელმაც ზემოხსენებული აზრი სტასოვისა სრულიად უარ-ჰყო. რაც ბუსლაევმა და სხვებმა დააკლეს ამ აზრს, ის შეუსრულა ღირსეულად როზოვმა, თავის მშვენიერს გამოკვლევაში იმავე სათაურით. ამათ ამ სა-

[1]) იხ. Вѣстникъ Европы—1868 г. кн. 1. 2. 3. 4. 6. и 7.

გნის შესახებ ის აზრი გამოსთქვეს, რომ სახალხო თქმულება, მაგალითებრ, ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეზედ, თუმცა მის სრულ ბიოგრაფიად არ ჩაითვლება, მაგრამ საზოგადოდ წარმოგვიდგენს კი სურათს მისის ცხოვრებისასა, ღირსებისა და ნაკლულევანებისასა, მაშინდელ დრო-ჟამისას, საზოგადოების მდგომარეობისასა და სხვ. [2]).

მეორე მკვლევარმა, პროფესორმა ორესტ მილლერმა, დაჰბეჭდა ვრცელი გამოკვლევა რუსულის ეპოსისა სათაურით: „Илья Муромецъ“. ამ გმირ-რაინდის, ილია მურომელის ცხოვრებაში, თუმცა ყოველივე ფანტაზიის ნაყოფად არ დასახა, მაინც საზოგადოდ ცოტაოდენი ისტორიული ელემენტი ჰპოვა შიგ. მაგ. თქმულებაში დასურათებულია გმირი სვიატოგორი, რომელიც მიწას ვერ უზიდავს და მთაზე დაწოლილა. პროფესორ მილლერის აზრით, აქ კოსმიურ ელემენტის მეტი თითქმის არა არის-რა. გმირი მთაზე მწოლარე არის სქელი შავი ღრუბელი, მთაზე ჩამოწოლილი, ქუხილი, კოსმიური, ფიზიკური მოვლენა და არა ისტორია. აკადემიკოსი ბუსლაევი პროფესორს მილლერს სრულიად არ ეთანხმება. ბუსლაევის აზრით, ასეთნი თქმულებანი ჭეშმარიტისა და პირუთნეველ მკვლევარის ხელში ბევრად უფრო მეტს ისტორიულს ელემენტს გადაგვიშლის თვალ-წინ, ვიდრე მილერმა დაგვანახვაო. მკლევარისთვის ამ შემთხვევაში სრულიად საჭირო არ არის ცაში წასვლა ღრუბლებთან. თვით ხალხის წარსულს ისტორიაში იპოვის ნასკვის გამოსახსნელს მოვლენას. წარსული რუსეთისა გვარწმუნებს, რომ ეს მოვლენა ამ წარსულის ისტორიაშია ჩაწნული და ჩაქსოვილი. ახალი გმირები, უმცროსნი მცირე რაინდნი არიან შვილნი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მემკვიდრენი ძველის გმირებისა, წინანდელ ბუმბერაზებისა; მაშასადამე, მათი ცხოვრებაც შეეხება ხალხის ახალ დრო-ჟამის ცხოვრებას და არა იმ ბუმბერაზების ეპოქას. ამ ახალ გმირების ცხოვრება-მოღვაწეობაში ნამდვილი ისტორიაა უმეტეს ნაწილად ჩაქსოვილი. მხოლოდ ეს ისტორია შეფე-

[2]) Розовъ—О происхожд. русск. былинъ. 123.

რილია პოეზიით. მაგრამ მოაცილეთ ეს ფერ-უმარილი, მოჰხსენით ეს პირსაფარი და თვალწინ წარმოგიდგებათ ჭეშმარიტი, ცოცხალი სურათი იმ ცხოვრებისა.[3]).

რომ ეს ასრეა, მეცნიერი მკვლევარი უფრო მაშინ დარწმუნდება, როცა სახალხო ნაწარმოებსა და ცხოვრებას შეაფარდებს, შეადარებს ერთმანერთს. ამ შემთხვევაში მეცნიერს შეუძლიან ჰპოვოს ისეთივე კანონი, როგორიც არის ცნობილი და აღსაარებული და დაყენებული ისტორიულ მსვლელობისათვის. „კანონი საზოგადოების მუდმივის ზრდისა, — ამბობს პროფესსორი კირპიჩნიკოვი, — კანონი მისის შეუწყვეტელის ცვალებადობისა არის კანონი კერძოდ ერთა რწმუნებათა ისტორიისათვისაც. რაც უნდა ახალი დრო, ახალი მომენტი ავიღოთ, მაინც უთუოდ აღმოჩნდება, რომ ამ მოკლე დროის განმავლობაშიც მოხდარა ცვლილებანი, მაგრამ ეს კანონი პროგრესისა საზოგადო, კონსერვატიულ მხარეს ქვევით არ მიდის; ძველ-რწმუნებათა შორის ერთიც არ იკარგება ისე, რომ თვისი კვალი არ დასტოვოს, ასე რომ ყოველი შემდეგი კანონი ფეხს იკიდებს და მკვიდრდება წინა მომენტებზე. ახალი სარელოგიო, გარედან შემოტანილი, შეხედულება ეთვისება ძველს; იცვლება ფორმით და შინაარსით მხოლოდ ძველის მომენტის გავლენით. ძალა-დატანებით და სხვა ღონისძიებით შესაძლოა დათრგუნო, შეჰხუთო ძველი (ელემენტი), მაგრამ მხოლოდ მოკლეს ხნით, დროებით; წარსული, ძველი ისევ აღსდგება, შეუერთდება ახალს და შეიხორცებს რა ამასაც, იმ რიგით და იმავე ძალითვე გაცოცხლდება, რა ძალითაც მოახრჩვეს, შეხუთეს, გააქრეს“[4]). ამისათვის, ამ პროფესსორის აზრით, ხალხში მუდამ ყოფილა და იქნება კიდეც ორნაირი, ორმაგი, ტყუპი რწმუნება, ძველი და ახალი ერთად. მაშასადამე, აკადემიკოსი პუსლაევი სამართლიანად ამბობს, რომ სამშობლოს ამა თუ იმ კუთხისა და მხრის სხვა-და-სხვა თვისებას მეცნიერება მხოლოდ მაშინ შეიგნებს ჭეშმარიტის სინამდვილით, როდესაც შეჰკრებს ადგილობრივს

[3]) Буслаевъ—Нар. поэзія. (Р. бог. эпосъ). 283.
[4]) Кирпичниковъ—Св. Георгій и Егорій Храбрый, стр. 124.

ხალხურს პოეზიას[5]). „ზღაპრები, განაგრძობს მეორე, ბუსლაევზედ არა ნაკლებ შესანიშნავი აკადემიკოსი ვესელოვსკი,— ზღაპრები, ჩვენს დროში ჩაწერილი, წარმოგვიდგენს ბევრად უფრო შეურყეველს და ნამდვილს მასალას ხალხის შემოქმედობის დასახასიათებლად, ვიდრე ამგვარნივე ნაშთნი ძველის დროისა, ისე, როგორც ცოცხალის სიტყვის საფონეტიკო მოწმობა უფრო საყურადღებოა, ვიდრე სათეორიო მოსაზრებანი გამქრალის ენის საფონეტიკო პროცესსებისა[6]).

მართლაც, რას ვპოვებთ ჩვენ ისტორიკოსისათვის საყურადღებოს, თუ გინდ, ზღაპრებსა და მითებში? ხშირად ხალხი მოგვითხრობს ამა თუ იმ გმირის მოგზაურობის ამბავს და ამისათვის ჰსვამს ხომალდსა და ან ნავში; ამოგზაურებს მუდამ ზღვით, მდინარით, ნავით, მოგვითხრობს ზღვის პირატების ამბავს, ამბავს ომისა და ხომალდის დაღუპვისას; ერთის სიტყვით, მუდამ წყალი აკერია ენაზე. რას ჰნიშნავს ეს საყურადღებო მოვლენა? ნუ თუ ეს შემთხვევა და მარტო ფანტაზია არის? არა, ათასჯერ არა. თუ ხალხს ეს წყალი, ზღვა, ნავი, ხომალდი, პირატები ასე ღრმად ჩაჰბეჭდია გულსა და ხსოვნაში, საგულისხმოა, რომ იგი ოდესმე დიდ ხანს ყოფილა დაახლოვებული ზღვას, წყალს, რომ პირატებთან თვითონა ჰქონია საქმე, ხომალდიც მუდამ თვალ-წინ ჰქონია, ზღვითაც ხშირად უმგზავრნია შორეულს ქვეყნებში სავაჭროდ და სხვა. ამისათვის ისტორიკოსი ამ ხალხის აკვანს აღარ დაუწყებს ძებნას მთებსა და უდაბნოებში. რუსულს ეპოსში მუდა „ладя“-ზე და „Дунай“-ზე არის ლაპარაკი, აქედან ადვილი მისახვედრია, რომ პირველად ეს ხალხი დამკვიდრებულა მდინარის ნაპირებად. ამას გარდა ეპოსში დასურათებულნი გმირნი იხსენიებენ ხშირად ერთგვარს ერთისა და იმავე ქვეყნის ერთგვარს მცენარეებს; მაგალითებრ: „იაგუნდის ხეს“, „ალვის ხეს“, „ფორთოხალს“ და სხვა თბილის ქვეყნების მცენარეებს. მაშასადამე, ამ

[5]) Буслаевъ—Нар. Поэзія. Дух. стихи. 441.

[6]) იხ. Жур. Мин. Нар. Просвѣщенія 1882 г. Сентябрь, ч. 223. „Новые журналы изъ народной словесности и миѳологіи.“

ხეებთან ჰქონია მუდამ საქმე. ან ეპოსში მოხსენებულია თბილის ქვეყნისავე ცხოველები და ან იშვიათად, ან სულ არ არის მოხსენებული ცივის ქვეყნის ცხოველი და მცენარე; მაშასადამე, ხალხი ამისთანა ნაწარმოებით გვიხატავს მთელს გეოგრაფიას, გვაცნობებს ადგილის მდებარეობას, ფაუნას, ფლორას, ეაჭრობას და სხვას. მოხსენებულია აგრედვე ესა თუ ის ტანსაცმელი, იარაღი და სხვა; ეს გარემოებაც მიგვახვედრებს აგრედვე, როდის და სად უნდა ეძებოთ ამა თუ იმ ხალხის ბინა, მისი მონათესავე ხალხი, ენა და სხვა. ყველა ამ მოსაზრებით სახალხო ნაწარმოები ყოფილა, თვისის შინაგანი ხასიათითაც, შინაგანის თვისებითაც, ძვირფასი ისტორიული მასალა. იგი ხშირად ნამდვილს ისტორიასაც მოგვითხრობს და, მაშასადამე, მთლად ფანტაზიად არ უნდა ჩაითვალოს.

თუ ეს ასეა, საზოგადოდ, მაშ, რამდენად უფრო მეტად საყურადღებო უნდა იყოს ჩვენებური, კავკასიური სახალხო ნაწარმოები და ან რამდენად უფრო საჭირო უნდა იყოს ჩვენთვის მისი შესწავლა, დაფასება? ვგონებ, არ უნდა მიიქციოს სახალხო ნაწარმოებმა დღეს იმოდენად ყურადღება მეცნიერისა, რამოდენადაც კავკასიაში. ჯერ იმიტომ რომ ადგილ-მდებარეობაა კავკასიისა საყურადღებო და მერე იმიტომ, რომ ამ მდებარეობას დადი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის; ამას გარდა კავკასიის წარსული ისტორია და ბედ-იღბალი, აგრედვე მდგომარეობა მეცნიერებისა კავკასიაში ისეთია, ბოლოს თვით ხასიათი, თვისება კავკასიურ სახალხო ნაწარმოებისა ისეთია, რომ ამ საგანს დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

მეცნიერებს ეს მნიშვნელობა კავკასიისა პირველად არ ესმოდათ და არც მოელოდნენ, თუ კავკასიის შესწავლა ახალს რასმე ეტყოდა კაცობრიობას. მაგრამ თითო-ოროლა მკვლევარი ამ შესანიშნავის ქვეყნისა და ადგილებისა ჩნდებოდა იმ თავითვე და ისინი, ასე თუ ისე, სხვებსაც უღვიძებდნენ ხალისს ამ ქვეყნისა და ადგილების უფრო ვრცლად გამოკვლევისასა. და, აი, დღეს ყველა დარწმუნებულია რომ კავკასიის შესწავ-

ლის დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის და რომ მისი შესწავლა ფრიად საჭიროც არის.

ჯერ ისევ მე-XVIII საუკუნის დამლევს, შესანიშნავი ლინგვისტი ადელუნგი ამბობდა თავისს თხზულებაში: Mytridates oder allgemeine Sprachenkunde" („მიტრიდატი ანუ საყოველთაო ენათა ცოდნა"): ერნი, როგორც მათთა ენათა შენობა და ლექსიკონი გვიმტკიცებს, პირველად აზიიდან წამოსულან და იქიდან მოჰფენიან ევროპას. ყველაზე უწინარეს შუა აზიიდან იბერნი აიყარნენ და გაჩნდნენ ევროპის სამზღვარზედაო; ამიტომ, ადელუნგის სიტყვით, აზია უნდა ჩაითვალოს აკვნად, როგორც კაკობრიობისა აგრედვე გონებრივის სინათლისაო. თითქმის იმავე დროს ამასვე ამბობდა ლინგვისტ-მითოლოგოსი ფრიდრიხ შლეგელი, თავისს თხზულებაში: „ენა და სიბრძნე ინდუსებისა". ამავე აზრისა იყვნენ: ლინკი, კლპაროტი, პოტტი, გენი, ვამბერი, ვოცელი, პიქტე, კიპერტი და სხვანი. მაგრამ ჩვენთვის უფრო საჭიროა ის, თუ რა გზით წამოვიდოდა შუა-აზიიდან ხალხი და ან სახელდობრ რომელ ადგილიდან. ამის პასუხად, ეს ლინგვისტები, ყველანი თითქმის იმას ამბობენ ერთხმად, რომ კაკობრიობის აკვანი იყო კავკასიაო (ლინკი[7]), ან მახლო-მახლო ადგილები, როგორც, მაგალითებრ, კასპის ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი, ან ადგილი მტკვარსა და არარატს შუა (პოტტი[8]), კლაპროტი, შლეგელი) და როდესაც ეს ერნი დაიძრნენ, გზად გამოიარეს კავკასიაზე, რომელსაც შესამჩნევად დაეტყო და დააჩნდა კვალი მათის დიდი ხნის ცხოვრებითა და ასპარეზობით ამ ქვეყანაშიო. თუმცა ბევრმა ვერ გაჰბედა იმ აზრის წარმოთქმა, რომ თავდაპირველადვე კავკასია იყო აკვანი ინდო-გერმანელებისაო, იმისი კი მაინც ბევრია თანახმა, რომ კავკასია იყო ჰიშკარი, რომელშიაც მთელის ევროპის ერთა გამოიარეოსო. მაშასადამე, დიდად საყურადღებოა იმის გამოკვლევა, თუ რა დამოკიდებულება აქვს მაშინდელ

[7]) Die Urwelt und das Altertum erläutert dureh die Naturkunde. Berl. 1821—3. აგრედვე დიუპეირონი, ჰერდერი, და სხვებიც ამას ამბობდნენ.

[8]) Indogermanischer Sprachstamm. 1840.

კავკასიის კულტურას ევროპის კულტურასთან. თუ ეს ერნი კავკასიაში იყვნენ დიდს ხანს, რაღა თქმა უნდა, რომ თავისი კულტურა უნდა შეექმნათ და წასვლის დროს კვალი დაეტოვებინათ კავკასიაში. ამ მოსაზრებას, მართლაც, ბევრი მეცნიერი დაეთანხმა. „კავკასია არის, ადელუნგის სიტყვით, სამშობლო დღეს ჩვენგან დამკვიდრებულის საუკეთესო წარმატებისა და განვითარებისაო“. „სინათლე მოდის აღმოსავლეთიდან“, ამბობს პოტტი; „რა არის ევროპა, თუ არა თავის-თავად უნაყოფო შტო, რომელზედაც ყოველივე აღმოსავლეთური უნდა ამყნო და მით გააკეთილშობილო იგი შტო?“ ჰკითხულობს ფილოსოფოსი შელლინგი, რომელიც საზოგადოდ მთელს აღმოსავლეთს ჰგულისხმობდა ამ სიტყვების თქმის დროს. კერძოდ საყურადღებოა აზრი ვოცელისა, რომელიც გამოსთქვა მან თხზულებაში: „მნიშვნელობა ქვისა და ბრინჯაოს ძველ ნაშთების სლავიანების ძველის ისტორიისათვის“. ვოლცელის აზრით, სლავიანები მოვიდნენ ევროპაში კავკასიით[9]). სლავიანების საკუთარი კულტურა ვოცელს არა სწამს საიმისოდ, წინააღმდეგ კრებისა (Einleitung in die Slawische Litteratur geschichte) და თანახმად გენისა, რომლის სიტყვითაც, სლავიანებს აზიიდან გამოსვლის შემდეგაც დიდ ხანს არ ჰქონიათ ხელოვნება, მდგარან ბინით ქოხმახებში და ხეირიანს სახლების აშენება არა სცოდნიათ[10]).

რაცა სთქვეს ლინგვისტებმა კავკასიის კულტურასა და მის დამოკიდებულებაზე ევროპიულსა და კერძოდ სლავიანურს კულტურასთან, ამას დაემატა ახალი საარქეოლოგიო ფაქტებიც, მას აქეთ, რაც კავკასიის შესწავლას შეუდგნენ არქეოლოგებიც. კავკასიის საარქეოლოგიო კვლევა იწყეს მე-50-თე წლებში. ფილიმონოვის შემდეგ, დიდი ღვაწლი დასდო კავკასიის არქეოლოგიას ბ-ნმა ბაიერნმა, რომლის სხვა-და-სხვა ად-

---

[9]) შეადარე Пров. Собѣс. 1879 № 8—12. Некрасовъ—Мѣсто первон. обособл. славянъ; ამავე აზრისა იყო შაფარიკი („Слав. древности“), რუჟიჩიჩი, ჩაიჩი, სასკი და სხვ.

[10]) იხ. Шрадеръ—Сравн. языкозн. 1886. СПБ. Гл. I—IV.

გილს მოგზაურობასა და კვლევას მოჰყვა თან რამდენიმე თხზულება (Contribution à l' archeologie du Caucase. Lyon 1882; Bemerkungen und Ansichten uber den Kaukasus und seine vorhistorische Verhaltnisse ჟურნალში: Vehandlungen der Antropologish Gesellschaft zu Berlin 1882), შანტრმა (La necropole de Koban en Osetie (Caucase) a vec 9 planches ჟურნალში: Materiaux pour l'histoire primitive de l'homme 1882). ვირხოვმა და ზოგიერთმა სხვამაც. ამას მოჰყვა შესანიშნავ სამთავროს სასაფლაოს გამოკვლევა და ბაიერნისაგან იმ აზრის გამოთქმა, (ჟურნალში: Mitheilungen der Viener Antropologischen Gesellschaft), რომ ქართველები კაცის მჭამლები იყვნენ წინადაო. ამ აზრის წინააღმდეგ ამხედრდა მუხი.[11]) კავკასიის კულტურაზე ბევრი კეთილი და ოპტიმისტური აზრიც გამოითქვა რამდენისამე არქეოლოგის მიერ. ჯერ კიდევ Diohle-მ გამოიკვლია რუსეთის ხელოვნება და ამ გამოკვლევაში წარმოსთქვა აზრი, რომ კავკასიის ძველი კულტურა რუსეთისაზე მაღლა სდგასო. ბერტრანმა კიდევ კავკასიას უწოდა ევროპის კულტურის „კერა", აკვანი[12]).

ამ ბოლო ხანებშიაც ეს აზრი ერთხმად მიიღეს უვაროვმა (Археологія Россіи. Каменный вѣкъ.1883), ფილიმონოვმა, ბაიერნმა, ვ. მილლერმა[13]), ვირხოვმა (Das Gräben feld von Koban im handen der Oseten im Kaukasus. Berlin. 1883) და ზოგიერთმა სხვებმაც[14]). მაშასადამე, ლინგვისტებს და არქეოლოგებსაც თუ ყველას არა, მრავალს მაინც სწამთ, რომ კავკასია, როგორც კულტურული ქვეყანა და ძველთა ერთა საასპარეზო ადგილი, ან როგორც გზა, აზიიდან ევროპაში სავალი, მეტად შესანიშნავი, საყურადღებო და გამოკვლევა-შესწავლის ღირსია; რომ მისი შესწავლა მეცნიერებს დაჰგვიანებიათ და ახლა

---

[11]) ამაზე ვრცლად იხილე პროფესორი ანუჩინის სტატია: Доисторическая орхеологія Кавказа. Жур. М. Н. Пр. 1884 г. ч. 231.

[12]) Жур. М. Н. Пр. 1882, ч. 219. Найковъ—„V арх. съѣздъ въ Тифлисѣ".

[13]) იხ. Матеріалы для археол. Кавказа, вып. I. стр. 90...

[14]) Проф. Анучинъ—Доист. археол. Кавказа. 1884. ч.231. ср. Матеріалы для арх. Кавказа. Вып. I. стр. 99, 110.

მაინც დროა შეუდგნენ მის ყოველ მხრივ გამოკვლევასაო. აი ასეთი საგანი გამოარკვია მეხუთე საარქეოლოგიო კრებამ ტფილისში 1881 წელს, აქ იყვნენ წარმომადგენელნი ყველა მეცნიერებისა და აგრედვე კერძოდ კავკასიის ლინგვისტიკისა (ზაგურსკი), არქეოლოგიისა (უვაროვი, მილლერი, ბაქრაძე, გ. წერეთელი და სხვ.), ეტნოგრაფიისა და მითოლოგიისა (მილლერი, ემინი და სხვ). ყველამ თავისი საკითხი წამოაყენა, კრებამ მათი განხილვა თავის მოვალეობად დაჰსახა და ამ რიგად სხვა-და-სხვა მეცნიერება ერთმანერთს დაუახლოვა და ერთმანერთზედ გადააბა. მაგრამ თვით ეს მეცნიერებანი (არქეოლოგია, ლინგვისტიკა, მითოლოგია და ეტნოგრაფია) რამდენად საჭირონი არიან ერთმანეთისათვის? რომ არქეოლოგია და ლინგვისტიკა უეტნოგრაფიოდ და, საზოგადოდ, სახალხო სიტყვების შეუსწავლელად კავკასიაში ვერას გახდებოდა, ამას ჰგრძნობდნენ, როგორც თვითეული კერძო წევრი კრებისა და სპეციალისტი, ისე მთელი კრება. ლ. ზაგურსკიმ, მაგალითად, გამოუცხადა კრებას მადლობა, რადგან ლინგვისტიკაც არ დავივიწყე. დაიწყო განმარტება ქართულის ენის თვისებათა და შემდეგ ასე განაგრძო: „ყველაზედ უფრო გავრცელებული აზრი ის არის, რომ მთიულ ქართველთა თუშ-ფშავ-ხევსურთა ენას უფრო ეტყობა კვალი ძველის ქართულის ენისა, ვიდრე იმ ქართველთა ენას, რომელნიც ბარად სცხოვრობენო. ამ საგნის განსამარტებლად უკეთესი ღონისძიება იქმნებოდა ფილოლოგიური გარჩევა ბ-ნ უმიკაშვილის მიერ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში შეკრებილ ლექსებისა, ანდაზებისა და ზღაპრებისა“[16]. „დიდად საჭიროდ მიმაჩნია,—სთქვა იმავე კრებაზე მეორე მეცნიერმა ემინმა,—რომ შეუდგნენ შეკრებას სომხურ ზღაპართა, რწმუნებათა, კოსმოგონიურ თქმულებათა და ყოველგვარ სახალხო ლეგენდებისასაო. მაშინ სომხებს აღმოუჩნდებათ აუარებელი და ხელ-უხლებელი მასალა ნაყოფიერის კვლევისა და ძიებისათვისაო. მეტი ინტერესი ექმნებათ იმ თქმულებათა, რომელნიც მოთხ-

[15]) V. арх. съѣздъ. Протоколы предвор. комит. Москва. 1882, стр. 107.

რობილნი არიან ძველს ენაზედ, იმ ენაზედ, რომელიც უფრო ახლო სდგას ძველს სომხურთან. მაგრამ ეს თქმულებანი საინტერესო იქნებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩასწერენ უცვლელად იმ სახით, როგორც ხალხშია დაცული და არავითარს საკუთარს მოსაზრებას არ ჩაურთავენ შიგ ჩამწერნი"[16]). მაგალითებრ, კავკასიის ერთა შორის დაცულია ისეთი ჩვეულებანი რომელნიც, აღმოსავლეთის „მაგიას" მოგვაგონებენ. ვინ იცის, იქნება შესაძლო იყოს, სხვა-და-სხვა ჩვეულებათა შემწეობით, დავამტკიცოთ, რომ ქალდეველების „მაგიას" ჰქონდა გავლენა კავკასიის ერთა გონებაზედაც. პროფესსორის ემინის აზრით, ამ საგნის გამოსარკვევად სომხებს და კავკასიის სხვა ერთაც აღმოუჩნდებათ საკმაო მასალა. აქ შეხვდებით „მილოცვას", „გადალოცვას", „შელოცვას", რაღაც ბუტბუტს ამ შელოცვის დროს, რაღაც საიდუმლო ფორმულებს და საკაბალისტიკო ნიშნებს. ამ შელოცვებითა და ფორმულებით არჩენენ სხვა-და-სხვა სნეულებასა. მაგალითებრ, სომხები ამ საშუალებას უფრო ხშირად ჰხმარობენ ცივების წინააღმდეგ. შეიძლება ეს შელოცვა ისევ ის არის, რასაც ქალდეველები მიჰმართავდნენ ხოლმე „ნამტარისა" და „იდნის" წინააღმდეგ? შეხვდებით აქვე თვალის ლოცვას, თილისმებს, რომლებიც მოგვაგონებენ ებრაელების ფილაქტერიებს; იხსენიებიან ვიღაც ჯადოსნები, რომლებიც ინდოეთის ჯადოსნებს მოგვაგონებენ და სხ. მოხსენებულნი არიან აგრედვე მრავლად კუდიანები, ობურები და სხვანი. „ყოველივე, რაც კი მოპოვებულ იქმნებოდა კავკასიის მკვიდრთა შორის ამის შესახებ, გადიქცეოდა ლინგვისტიკისათვის თითქმის სიტყვის ცოცხალ ნიმუშად და, საზოგადოდ, ძვირფასი მასალა შეიქმნებოდა ძველ თურანულ ენის გამოსარკვევად".

მაგრამ კავკასიის სახალხო პოეზიას კიდევ აქვს ისეთი თვისებაც, რომელიც უფრო მეტს ფასსა სდებს. ეს თვისება ის არის, რომ კავკასიის ცხოვრება და კულტურა დინჯად მსვლელობდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ეს უაღრესი თვისება ის არის, რომ კავ-

[16]) ibid. 144—145 стр.

კასიის ერნი უმეტეს ნაწილად ძველის მიმდევარნი არიან, კონსერვატორნი უმეტეს ნაწილად, ძველის იდეალების მოყვარე, მამა-პაპათა ზნე-ჩვეულების დამცველნი. მაგალითებრ, „სომეხნიო—ამბობს ემინი,—როგორც ყველამ იცის, არიან შესანიშნავნი მით, რომ ზედ დაჰკანკალებით ძ მოწიწებით უფრთხილდებიან ყოველსავე მას, რაც ძველს დროს მოაგონებთ. სომეხთ-გლეხი დღესაც ისე სცხოვრობს, როგორც მისნი მამა-პაპანი სცხოვრობდნენ და ამასთანავე არ ჰკარგავს და ინახავს იმ უუძველესს გარდმოცემათა კვალს, რომელნიც გაჩდნენ, დაიბადნენ მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში. [17]) ესვე უნდა ითქვას ქართველებზედაც. ვსევოლოდ მილლერის აზრით, რადგან კავკასიის კულტურა ასე დინჯად მსვლელობდა, მსვლელობდა საუკუნოობით და არა წლობით, ამიტომ გასაკვირველიც არ უნდა იყოს, თუ აქ დღევანდელს ჩაწერილს თქმულებაში შეჰხვდებით კვალს ისეთის შეხედულებისასა და ცხოვრებისას, რომლის ამბავსა და აღწერას ვკითხულობთ ჰეროდოტეს თხზულებაში სკვითების და სარმატების შესახებ; მერე ყოველივე ესე ერთად ზარბაზნებთანა და დამბაჩებთან (ესე იგი ახალის დროის ნიშნებთან ერთად). [18]) მაგალითებრ, რასაც ოსების თქმულებათა გმირი სოსიკო ეუბნება და ემუდარება ნასტების გმირ-ქალებს (ქურქის შეკერვას), ისვე ასო-ასო აქვს მოთხრობილი ჰეროდოტეს.ნარტები თავს იქებენ, ამდენი და ამდენი თავი მომიჭრიაო (ე. ი. ამდენი კაცი მომიკლავსო). თუ ლხინში, ქეიფის დროს აღმოჩნდა, რომ რომელსამეს არავისათვის თავი არ მოუჭრია, ლაჩრად დაჰსახავენ ყველანი და ჭურჭლიდან ღვინის მოსმის ნებასაც არ მისცემენ.ამასვე ვკითხულობთ ჰეროდოტეს ისტორიაშიც.„ოსებისა და საზოგადოდ კავკასიის მკითხავები,—ამბობს იგივე პროფესსორი,—დღესაც იმ სახით მკითხაობენ, როგორც ჰეროდოტეს შეუმჩნევია და აუწერია ამისთანა ჩვეულება სკვითებში, თუმცა მას აქეთ ორი ათასი წელია გასული. ასეთი ჩვეუ-

---

[17]) ibid. 147.

[18]) Осет. этюды. I. IV, 64.

ლებაა მკითხაობის დროს ჩხირების ხმარება, სარტყელზე შელოცვა, „მკვდართა სხდომა“*), ცხენის კურთხევა“ და სხვ.[19]).

მეორეს მხრით, ამ თქმულებათა მნიშვნელობა სჩანს იქიდან, რომ ყოველივე აქ მოგვაგონებს იმ სხვა-და-სხვა კულტურულ გავლენას, რომელსაც გვაუწყებს ასე თუ ისე ისტორია; ეს მნიშვნელობაც ისევ კავკასიურ ცხოვრების ზემოალნიშნულ ვითარებიდან მომდინარეობს და უფრო მეტი ფასი უნდა დაედოს, თუ არ დავივიწყებთ იმ ადგილის მდებარეობასაც, რომელზედაც ამ ეპოსში მოხსენებულნი გმირნი იღვწიან. მაგალითებრ, მილლერის დაკვირვებით, ოსების ნარტები არა ჩერდებიან დღევანდელ ყაბარდოს სამზღვართა შორის. ამ სამზღვართ გარეშეც გადიან მდინარე ტონისკენ (Донъ) და იდილისკენ (იდილია, ედილია, ვოლგა). ეხლანდელი ოსები რუსეთის დავაკებიდან არიან მთებში ყაბარდოელებისაგან შემწყვდეულნი, მას აქეთ ამ მთებს აღარ შორდებიან. ნარტები კი ვერა სძლებენ სულ ამ მთებში ყოფნითა, გადიან ოსეთს გარედაც, ჩადიან ბარად, „კასაჟის“ მინდვრებზე, ესე იგი ყაბარდოში, რომელიც, როგორც ვსთქვით, არის ოსების ძველი სამშობლო. მაშასადამე, ნარტების თქმულებაში შორის დღემდე დაცულა ხსოვნა ძველის სამშობლოსი და ამნაირად ჰმოწმობს ისტორიას, უდგია გვერდით! თქმულებაში დაცულია ყველა გეოგრაფიული სამზღვარი![20])

ის ხალხნი, რომელნიც შეჩერდნენ ამ ვეებერთელა დავაკებაზედ, ამ ეთნოგრაფიულ სივრცეზე, იყვნენ დიდის ხნით და ხშირად დაკავშირებულნი სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთთან და უსათუოდ უნდა დასტყობოდა სახალხო ნაწარმოებს კვალი მათის საურთიერთო გავლენისა, როგორც ეს დაეტყო ენას და ცხოვრებას[21]). ეს იმიტომ, რომ ისტორიული კავშირი რუსეთსა

*) შეადრე ფშავ-ხევსურების «სულთა კრება», «ივერია» 1887 წ. № 209. ნ. ურბნელის წყარილები; აგრედვე ჩვენშიც ყველგან ხშირია ჩვეულება: სარტყელზე შელოცვა, ჩხირებზე მკითხაობა და სხვ.

[19]) Миллеръ—О. Э. I. IV, 73.

[20]) В. Миллеръ—Черты старины въ сказаніяхъ и бытѣ осетинъ (М. Н. Пр. 1882. ч. 222. Августъ).

[21]) Великорусскія былины. 1885. Варшава. 33.

და კავკასიას შორის არ შეწყვეტილა მე-VI საუკუნედან დაწყებული დღემდის, როგორც ამას მოგვითხრობენ ისტორიული დოკუმენტები რუსებისა და კავკასიის ხალხებისა. დონის ყაზახობა, იმავე მკვლევარის სიტყვით, იყო, ბოლოს, ამ კავკასიურ მოტივების შემომღები რუსულს ცხოვრებაში. და მართლაც, ამასვე კიდევ უკედ ამტკიცებს კავკასიური და რუსული სახალხო პოეზია. Loci communi რუსების თქმულებათა—„шелки шемахинскіе," „сѣдла черкасскія," „черкесы пятигорскіе" და სხვ. აიხსნება რუსეთსა და კავკასიას შორის ცხოველის კავშირით[22]). რუსების სვიატოგორი, ილია მურომელი, დობრინია და სხვა გმირები, პროფესორის მილლერის სიტყვით, რომელმაც ამ საგანს უძღვნა მთელი გამოკვლევა—ჰგვანან კავკასიის ამირანს, როსტომს, ზურაბს, მუქარას, სოსრიკოს, ბათრაზმს და სხვა ნარტებს და ემეგენებს[23]).

ასეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც სჩანს, კავკასიურს თქმულებათა კავკასიისა და ჩრდილოეთის ტომთა საისტორიო კავშირის გარკვევასა და შესწავლის საქმეში. ახლა დავაკვირდეთ იმას, თუ რამდენად აკავშირებენ ეს თქმულებანი ერთმანერთ შორის კსვკასიასა და აზიას, აღმოსავლეთის ამა თუ იმ ტომსა და ნათესავს.

ამ საგანს პატივცემულმა პროფესორმა ვ. მილლერმა უძღვნა ვრცელი წერილი („Отголоски иранскихъ сказаній на Кавказѣ"[24]); მივცემთ თავს ნებას და მოვიყვანთ ამ წერილის უმთავრესს აზრებს. მეხუთე საუკუნის მწერალი მოსე ქორენელი უჩივის თავისს ბატონს სააკ ბაგრატუნს, რომ იძულებულ-მყო ჩამეწერა ის სპარსული ამბები, რომელიც ისე გავრცელებულია კავკასიაში, რომ ჩემს სმენას შეურაცხ-ჰყოფს, რადგან ყოველ დღე მესმისო. პროფესორის აზრით, ვინც სპარსეთის და კავკასიის წარსული ისტორია იცის, არ გაუკვირდება, რომ ირანული საეპოსო

[22]) ibidem.

[23]) იხ. В. Миллеръ—Экскурсы въ область р. нар. эпоса. 1892. Москва. Приложенія. Кавказско-русскія параллели.

[24]) იხ. Экскурсы. Приложенія.

თქმულებანი ასე მოსდებია კავკასიას. უკანასკნელ ექვსის საუკუნის განმავლობაში ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს შემდეგაც რამდენსამე საუკუნეს ისეთი დაახლოვება არსებობდა ამ ორს ქვეყანას შორის პოლიტიკურად და რელიგიურად, რომ არც კი შეიძლებოდა, აღმოსავლეთის კულტურას კვალი არ დაეჩნია კავკასიის ტომთა ცხოვრებაში. საქართველო, კერძოდ, და ზოგი სხვა ტომიცა კავკასიისა ერთს დროს ხარჯს აძლევდნენ სპარსეთს; ზოგიერთი კუთხე ამ ქვეყნისა სპარსეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა. საპოლიტიკო კავშირთან დიდი რელიგიური კავშირიც არსებობდა მათ შორის; ასე რომ სომხეთში იყვნენ ცნობილი სპარსელების ღმერთები: არამაზდა, ანახიტა, მიხრ და სხვ.; საქართველოში არმაზი და სხვ. ამისათვის ამ ორის ერის მწერლობას რომ გადავავლოთ თვალი, აღმოვაჩენთ სპარსულ მწერლობის საკვირველს გავლენას; ენებში მრავალი სპარსული სიტყვა დამკვიდრებულა; ამას გარდა ამ ერთა ნაწერებში სპარსეთიდან შემოსულა ფრაზები, ფორმა, გემოვნება და სხვ. თუ ასე ძლიერი იყო ეს გავლენა საზოგადოდ, მაშ შეუძლებელია, ამ გავლენას არ დაეტოვებინა კვალი სახალხო რწმუნებასა და ჩვეულებაშიაც".[25]) ამისათვის მოწმობა მოსე ქორენელისა ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ სახალხო სიტყვიერებაც ნათლად გვიხატავს კავკასიაში იმ ისტორიულს გავლენას, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი. თქმულებანი როსტომსა, ზურაბსა, ბეჟანსა და სხვებზე, არა თუ პირდაპირ სპარსეთიდან არის წამოღებული, არამედ იმასაც გვიმტკიცებენ ცხადად, რომ ეს ორი ეპოსი ადგილობრივი და მოსული ისე შეხორცებია ერთმანეთს, რომ ძნელი გამოსარკვევია, რა ეკუთვნის კავკასიის ხალხს და რა არის ნასესხები. „ამისათვის აღვნიშნავთ,— განაგრძობს პროფესსორი,—იმ ინტერესს, რომელიც ექმნება შემდეგში სალიტერატურო გავლენათა ისტორიისათვის სისტემატიურს ამ საგნის შესახებს გამოკვლევას სპეციალისტ იურისტებისა და არმენისტებისაგან. ასეთის გავლენის დასამტკიცებლად უნდა, მაგალითებით, დამტკიცდეს, რომ გავლენა ყოფილა პირველად სახალხო სიტყვიერებაზედ და ამასთანავე აღი-

[25]) ibid.

ნიშნოს დროც, რომლის განმავლობაშიც იყო ასეთი გავლენა ირანისა კავკასიაზე“.[26]) „მხოლოდ ასეთი წინასწარის გამოკვლევით შეიძლება აგოს კაცმა პასუხი იმ საგნების შესახებ, რომლის ასახსნელად ჯერ ჩვენ არავითარი მასალა არა გვაქვს, სახელდობრ: კავკასიურს ამა თუ იმ თქმულებას ირანის გმირების შესახებ ეტყობა კვალი ხელოვნურის ლიტერატურისა, თუ ზეპირ-სიტყვიერებისა, რომელიც შემოტანილი იყო ირანიდან; თუ, დასასრულ, ეს ორი კვალი შეერთებულა ამ თქმულებაში“?[27]) აი, ჩვენის აზრით, ის საკითხი, რომლის ახსნა, ჩვენის ეპოსის შემწეობით, მოუღებს ბოლოს იმ უთავბოლო და დაუსრულებელს კამათს, მაგალითებრ, „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ, რომელიც ტყვილად ყურს გვიყრუებს და ჭეშმარიტებას კი ვერ არკვევს. თუ ჩვენის ეპოსის გამოკვლევა აღმოაჩენს, რომ ის სიუჟეტი, რომელიც შოთა რუსთაველს განუმარტავს, თავის გენიოსურს ნაწარმოებში, უუძველესის დროიდან შემოუტანია კავკასიაში აქ გავრცელებულს (მოსე ქორენელის მოწმობით) ირანულს ეპოსს და ერთის მხრით შეუხორცებია, შეუდუღებია ადგილობრივის ეპოსისათვის და მეორეს მხრით კი თვით ირანში დაკარგულა ეს თქმულება, დაჰვიწყებია იქაურს ხალხს, რის მაგალითსაც (ესე იგი თქმულების ერთს ქვეყანაში დავიწყებას და მეორეში გავრცელებას) ცხადად გვიჩვენებს ჩვენ შედარებითი მითოლოგია[28]),— ამ შემთხვევაში არა თუ მოეღება ბოლო ზემოხსენებულს უნაყოფო კამათს, არამედ, ამას გარდა, ცხადად დამტკიცდება ისიც, რომ შოთა რუსთაველს კიდევ უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე აქამდე ჰქონდა, რადგან ამით დამტკიცდება, რომ რუსთაველს სიუჟეტი არა თუ არ უსესხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან, ეროვნულ ეპოსიდან (რადგან ასეთი შეხორცებული ახალ ნიადაგს ეპოსი უნდა აქაურად, საკუთარ, ნაციონალურ ეპოსად ჩაითვალოს) ამოუღია;

[26]) იხ. Экскурсы. Прилож. 41 стр.
[27]) ibid.
[28]) ibid. 69.

რომ შეუგნია, როგორც ჰომიროსს და ფირდუსის, ასეთის სახალხო სიუჟეტის ფასი და შეუქმნია სრულიად თავისუფლად ის მარგალიტი, რომელიც ასე ძლიერ ატოკებს იმ ერისა, და იმ საზოგადოების გულს, რომლის თქმულებიდანაც ამოუღია იგი პოეტს!.. ამ შემთხვევაში რუსთაველს დაერქმევა მხოლოდ ერთი სახელი: „ხალხური, ნაციონალური გენიოს“, იმავე უფლებით, რომლითაც ასეთი სახელი ეწოდა ჰომიროსს და ფირდუსის ნაციონალურის ეპოსის შემუშავებისათვის და სამშობლო ერის ნაციონალურ შემეცნების გაღვიძებისა და აღზრდა-გაძლიერებისათვის. მაშინ საჭირო აღარ იქნება გაქცევა აღარც „ბარამიანთან“, აღარც ვისრამიანთან, აღარც მეჯნუნ და ლეილასთან. უუძველესის დროიდან ისტორიულ გავლენის და გეოგრაფიულის სიახლოვის შემწეობით ირანული ეპოსი ამა და ამ სიუჟეტისა ადგილიდან დაიძრა, მის პატრონს რამდენისამე ხნის შემდეგ დაავიწყდა; ეს სიუჟეტი გადმოვიდა მეორე, ახალს ნიადაგზე და ისე შეეხორცა, ისე შეუდუღდა აქაურს ეპოსს, ხალხის შემეცნებას, რომ შემდეგში ამ უკანასკნელმა დაივიწყა ისიც, თუ საიდან იყო მოსული უუძველეს დროში ის თქმულება და მხოლოდ გენიოსი პოეტი ჰგრძნობდა ამას და ხანდისხან წამოსცდებოდა ხოლმე, რაშიაც იყო საქმე.[29]) ასეთი მაგალითები რომ არის ისტორიაში და აქ ჩვენ მიერ გამოთქმული აზრიც რომ ფანტაზია არ არის, მტკიცდება ავტორიტეტის სიტყვითაც: „ხშირად მითი, ახალს ქვეყანაში შეტანილი,—აბრობს ტეილორი, ისე ეთვისება ამ ქვეყანასა, რომ ძნელი გამოსაცნობია, დიდი ხანია, თუ არა, რაც იგი იქ შეუქმნიათ; თუ დიდი ხანია, მაშინ ამ მითს აქვს დიდი მნიშვნელობა ისტორიისათვის. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თქმულება, ვისმესგან შეტანილი შორეულს მხარეში, შეიძლება, ისე გავრცელდეს და შეეხორცოს იმ ადგილის გარემოება-ვითარებასა, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგი მიღებულ იქმნას იმ ქვეყნის თქმულებად, მიღებულ იქმნას ხშირად იმავე ხალხისაგანაც კი, რომელმაც თავის

---

[29]) Тейлоръ—Доист. бытъ нар. и начало цивил. гл. XII, стр. 453—454.

სამშობლოდან წინად იმ უცხო მხარეში შეიტანა, იმის მსგავსად, როგორც ერთმა კაცმა დილას დავარდნილი ცხენი გაჰყიდა და ნასადილევს ისევ ის ცხენი იყიდა, რადგან ახლა მიკერებული ჰქონდა დიდის მოხერხებით ახალი კუდი და ფაფარი. ეჭვი არ არის, რომ ამ საშუალებითა და გზით შეტანას მითებისას ერთის ადგილიდან მეორეში ჰქონდა ადგილი ქვეყანაზე უუძველესის დროიდან. ამისთანა ამბავი არის ერთი იმ პროცესთაგანი, რომელთაც ასე განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ ეტნოლოგიისათვის უძველესის ისტორიის აღსადგენად“[30])... ამისათვის, თუმცა პროფესსორის პატკანოვის აზრი ქართულ ქრონიკის შესახებ[31]) საზოგადოდ სრულებით შემცდარია, მაგრამ, მეორეს მხრით, იგი ჭეშმარიტებას ღალადებს, როდესაც ქართულს და სომხურს[32]) მემატიანეებს უჩივის, ხალხურს თქმულებას სდევნიდნენ, იმის მაგიერ, რომ შეეკრიბათ ეს თქმულებანი და, სადაც ისტორიული დოკუმენტი არ ჰქონდათ ხელში, თავიანთი მოსაზრება იმ თქმულებაზე დაემყარებინათ, რადგან მხოლოდ ამ თქმულებათა შემწეობით შეიძლება იმის გამორკვევა, რის შესახებაც ისტორია არას გვეუბნებაო.

დასასრულ, გადავავლოთ თვალი იმას, თუ რამდენად შესანიშნავი და საჭიროა ქართული თქმულებანი და ჩვეულებანი იურიდიულის მხრით. რომ ჩვენს სიტყვას მეტი ფასი მივცეთ და არც არავინ დავტოვოთ ეჭვ-ქვეშა, მოვიყვანთ გარეშე, მაგრამ პატივსაცემ კაცის აზრს ამ საგანზე.

„მე ჩამოვეშვი დაღისტნის მაღლობიდან კასპიის ზღვისკენ, როგორც მოსე სინაის მთიდან, იეგოვასთან ბაასის შემდეგაო,

---

[30]) «ეს ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, «ვნახე და ლექსად გადავსთქვი»....

მხოლოდ პროფანებს შეუძლიანთ თქმა, რომ ამ «ამბავის (ხალხურისა) ნახვა და გალექსვა» ვითომ ხელოვნურის ნაწარმოების თარგმანს ჰნიშნავდეს.

[31]) Тейлоръ—Доист. бытъ нар. и начало цивил.

[32]) იხ. Жур. М. Н. Пр. 1883. Декабрь. Ванскія надписи и знач. ихъ для исторіи передней Азіи.

ამბობს პატივცემული ტურისტი და ბელლეტრისტი ევგენი მარკოვი[33]), ჩამოვეშვი გულ-გახსნილი, გასულდგმულებული, თითქოს მეც შევსდგი ფეხი იმ წმიდა-წმიდათაში, რომელიც ასე მიუწდომელია უბრალო სიკვდილის შვილისათვის და ხელთუქმნელ ფიცრებზე წავიკითხე ღვთიური მცნება,—რომელიც გვეუბნება: „ბუნება ვარ და ბუნებაშივე განვისვენებ“... „შეისწავლეთ,—განაგრძობს იგივე ტურისტი,—ეს პირადის ანგარიშის გასწორება ხანჯლითა და ტყვიით და დარწმუნდებით, რომ ეს არის ვრცელი, რთული და გაჩარხული სისტემა იურიდიულის ცნება-შეხედულებათა, თავისებურ ჩვეულებათა... შეიგნებთ, რომ ეს არის საყოველთაო სჯული, ყველასათვის სავალდებულო...“ აქ თქვენ შეხვდებით იმავე ავტორის სიტყვით, ყოველგვარს გადაწყვეტილებას შესახებ დამნაშავისა, სისხლის ზღვევისა, შერიგებისა, საზოგადოებიდან გაძევებისა (ყანლი) „ცოდვის მოკიდებისა“, დაფიცებისა, ფულით შესყიდვისა (ალიმე, დიატ, როგორც, მაგალითებრ, კიურში მამაკაცის მოკვლისთვის უნდა გადიხადოს მკვლელმა 250, დედა-კაცისათვის—125; ტაბასარანში 600—300მ.) და სხვა. „აქედან სჩანს, ვგონებ, რომ სისხლის ზღვევა კავკასიელ მთიულისა სრულებითაც არ არის ტყის კაცის მხოლოდ ვნებათა ღელვა. არამედ იგი არის საუკუნოებისგან შემუშავებული სრული სისტემა მართლ-მსაჯულებისა და წესიერებისა“... ეს სისტემა „განსაზღვრულია, პატიოსნურია, გულ-ახსნილობის ხასიათი აქვს, არის კარგი თვისის სულგრძელობითა და ზნეობრივის ამაყობით“... „რაც უნდა იყოს, ტურისტის სიტყვით, იგი მაინც სჯობია ჩვენს (ევროპელების) სულიერს სიზანტეს, უწესოებას, როდესაც ირევიან ერთი მეორეში და ყირაზე დგებიან ყოველგვარნი ცნობანი კაცურის ზნეობის შესახებ, როდესაც კაცის გულში შრება თვით ნიჭი გრძნობიერებისა, ასე რომ კაცი ველარ ჰგრძნობს ლანძღვას, წყრომას, შურის ძიებას და მის მაგიერ შეურაცხყოფილი გულ-

[33]) ibid; ср Жур. М. Н. Пр. 1873.

[34]) Журналъ—„Новь“. 1886; кн. 22-ая.

დამშვიდებით იწმენდს შეფუთხებულს თვალებს და პირუტყვულად ითმენს გაუპატიურებას ცოლისას, დისას, ქალისას"... „ეს არ არის მათის მხრით არც თვით-მნებელობა, არც სისხლის სმა... აქ არის მთელი სიცოცხლე კაცისა, ნათესაობა, გულის ძგერა; ზნეობრივ ვალს აქვს მსხვერპლად ყოველივე მირთმეული"... „აქ არის მთიულების მთელი სიმბოლო სარწმუნოებისა, მთიული მორალი, შინაური და საზოგადო ზნეობრივი ვალი, რომელსაც მთიელი აღიარებს საკვირველის მამაცობით და შეურყეველის სიმტკიცით... აქ არის ურიცხვი მაგალითი ტიპიურის გმირობისა, არა შემთხვევით მიბოჭილ-მობოჭილი, არამედ იმ ცხადის განზრახვით შექმნილი, რომ გამოიჩინოს კაცმა სრული მხნეობა, რომელიც გმირისათვის საჭიროა, როგორც სახარების იგავში საუკუნო სასჯელზეა დამყარებული ყველა ნაყოფი ქრისტიანობრივის სიყვარულისა: „წყურვილის სმევა," „სნეულის მიხედვა," „საპყრობილეში მყოფის ნუგეშინისცემა"... „ხალხისაგან მოწონებული რომელიმე ძველი ჩვეულება, როგორც ჭეშმარიტება, სცოცხლობს და ჰმოქმედობს მთელის საუკუნოებით, რომ დასჯაბნოს ყველა კერძო ინტერესები და კაცის სისუსტე... აქ (მთიულეთში) კაცი ისე სცხოვრობს, როგორც შეეფერება ვაჟკაცს და სინდისით არ ვაჭრობს.[35])

„რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ," —ვიტყვით ჩვენც კაპიტან ერსკინის სიტყვით,— „რომ თვით ევროპელებმაც კი ისწავლონ პატიოსნება და ზრდილობა იმ ერთაგან, რომელთაც ისე უცქერიან დღესაც, როგორც სისხლის მსმელებს და მოურჯულებელ ველურებს"[36]). ეს ითქმის საზოგადოდ კავკასიის ადათებზედ და კერძოდ ქართველებზედ და ნუთუ ამისთანა მარგალიტების არსება არ უნდა იცოდეს კაცმა? ნუთუ მათი გამოქვეყნება, შესწავლა და გამოკვლევა არ არის საჭირო ჩვენთვის? ნუთუ დღესაც არ უნდა გავიღვიძოთ ქართველებმა

[35]) Новь. 1886. 22 кн.

[36]) Гербертъ Спенсеръ—Осн. соціологіи VI, 74.

და არ უნდა გავაცნოთ ჩვენი თავი ყველას? ნუ თუ ეს ჩვენი იურიდიული სისტემა, ჩვენს გულზე გამოჭრილი, ჩვენს სულიერს ორგანიზმთან ერთად შეზრდილი, არ უნდა ვაჩვენოთ სხვებს, რომ ყოველი ნაბიჯი მათს მოქმედებაში აღარ იყოს ჩვენგან სრულებით მიუწდომელი და ძნელად შესასრულებელი?! დიაღ, დროა ვიცნათ ჩვენი თავი და სხვებსაც გავაცნოთ, რომ იმათაც გაგვიცნონ და დაგვაფასონ ღირსეულად...

მ. კელ—მე

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

(ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის გამო: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება".)

«მოამბის» მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ნ. ყიფიანის წერილი: «დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება». რადგანაც ამ წერილის ავტორი არის დიმიტრი ყიფიანის შვილი, ამიტომ ბევრი საინტერესო რამ არის სხვებულს წერილში ამ გამოჩენილ და განიქმულ კაცის ცხოვრების შესახებ იმდროს, როცა ეს მოღვაწე ჯერ საზოგადო ასპარეზზედ არ გამოსულიყო და რის ღირსებისა, რასაკვირველია, გარეშე კაცისთვის ძნელი იყო. გარნა ამ წერილში ზოგიერთი შეცდომილებაც არის, რის გასწორება, ჩემის აზრით, საჭირო მიმაჩნია. ეს შეცდომილება მოსულია ავტორს დ. ყიფიანის იმ დროინდელ მოღვაწეობის შესახებ, როდესაც ტოტა-ოდენად წინ-წაწევის ნიშნები, სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა ჯ სხვა ამისთანა კეთილი სურვილი ადიძრა ჩვენს საზოგადოებაში. ამიტომ, გგონებ, საჭირო გვიღირდეთ, რომ იყო ნამდვილად საქმე: ვინ იცის, იქნება ჩვენის ქვეყნის ისტორიკოსმა რომელისმე გამოიყენოს ეს მაშინდელ გარემოებათა დანამდვილებული ცოდნა.

ცხადია, რომ შეცდომილება ავტორს განზრახვით არ მოუვიდოდა. მაგრამ ის უნდა იყოს, რომ როგორც მახსოვს, იმ ხანად იგი ტფილისში არა სცხოვრობდა. იქ, სადაც ავტორი მოგვითხრობს გაკვრით გლეხთა განთავისუფლების ამბავს საქართველოში, იხსენიებს, სხვათა შორის, რომ კომიტეტი იქმნა ამორჩეული თავად-აზნაურთაგან გლეხთა განთავისუფლების პროექტის შესადგენად და რომ იმ კომეტეტში, სხვათა შორის, ვითომც მეც ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავი წევრად. საჭიროდ მიმაჩნია გავასწორო ეს შეცდომილება და მოვახსენო ავტორს, რომ მე, არამც თუ ამ კომიტეტის წევრად არა ვყოფილვარ, არამედ საქართველოს გლეხების განთავისუფლების საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

მეორე ალაგას ავტორი იხსენიებს, რომ ბანკის წესდების შესადგენად გაემგზავრა დიმ. ყიფიანი პეტერბურგს და მიჰმართა გამოჩენილს რუსეთის ფინანსისტს იური ჟუკოვსკის, რომელმაც შეადგინა პროექტი წესდებისა და ის პროექტი მოიტანა იქიდან დიმიტრიმაო. აქ ცოტა რამ უნდა დავუმატოთ.

როდესაც დიმ. ყიფიანმა დააპირა ეუწყებინა ჩვენის საზოგადოებისათვის ჟუკოვსკის პროექტი, მოიწვია კრება ტფილისის კლუბის დარბაზში. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ კრებას. მთავარსამმართველოს უფროსი (Начальникъ главнаго управленія) ბარონი ა. პ. ნიკოლაიც კი იყო ამ კრებაზედ და დიდის ყურადღებით ისმენდა, როდესაც დ. ყიფიანი კითხულობდა განმარტებას წერილს ბანკის დაარსების თაობაზედ.

განმარტების წერილის წაკითხვის შემდეგ, საზოგადოებამ, დ. ყიფიანის წინადადებით, კომიტეტი აირჩია; კომიტეტში მოჰყვნენ წევრებად, როგორც მახსოვს, ხუთ-ხუთი კაცი თვითეულ მაზრიდან. ამ კომიტეტს უნდა გაესინჯა ჟუკოვსკის შედგენილი პროექტი ბანკისა და ისე შეეცვალა, როგორც უფრო საჭირო იქმნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის. ამ კომიტეტში ამორჩეულთა შორის მეც მოვყევი, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობისა. ალბად, ბ-ნ ნ. ყიფიანს ან ეს გარემოება დაავიწყდა ან და ეს კომიტეტი მიიჩნია იმ კომიტეტად, რომელიც იქმნა არჩეული გლეხთა განთავისუფლების პროექტის შესადგენად.

დიმ. ყიფიანი ბანკის კომიტეტის თავჯდომარეც იყო, მდივანიც, მომხსენებელიც (ДОКЛАДЧИКЪ). კომიტეტის წევრნი იკრიბებოდნენ დ. ყიფიანის სახლში.

ავტორი თავის წერილში ამბობს: «სხვათა შორის უნდა ყოფილიყო ბანკის საფუძვლად გაუყიდველობა ანუ, უკეთ ვსთქვათ, პატრონთათვის წაურთმევლობა დაგირავებულ მამულებისა და სხვ.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასაც უნდა დავუმატოთ ის მთავარი აზრი, რომელიც ზევით გაკვრით მოვიხსენიეთ. პროექტში ის წესიც იყო, რომ ჩვენს ბანკს უნდა მიეღო თვისთა წევრთაგან გასაყიდად მათი ნაწარმოები, ესე იგი პური, ქერი, სიმინდი, ხილი, ღვინო, ხე-ტყე, შეშა და სხვ. როგორც მახსოვს, ბანკს თავის წევრთათვის, ვინც კი თავიანთ ნაწარმოებს გამოჰგზავნიდა ბანკში გასასყიდად, უნდა წინდაწინ მიეცა რამდენიმე ნაწილი ფასისა, რომ მებატონეს ხელი მოენაცვლა, თვისი საჭიროება დაეკმაყოფილებინა და ცოტაოდნადაც არის ორ-ფეხა წურბელებს გადარჩენოდა...

კომიტეტის წევრთა უმეტესობამ ეს ყუჩკოვსკის აზრი ძალიან მოიწონა და დიდის კმაყოფილებით დასთანხმდა, რომ ბანკის წესდების პროექტს ჩაერთოდა. ზოგიერთს კი ამ აზრის აღსრულება შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა. იმათი აზრი ის იყო, რომ ეგ ბანკის საქმე არ არისო; ბანკს არ შეუძლიან გაუძღვეს მაგისთანა საქმესაო: პური, ქერი, სიმინდი და სხვ. ამისთანა ხორაგს თაგვი შესჭამსო; ხილი დალპებაო; ღვინო დაჭანგდება და დამმარდებაო; ბოლოს ის გამოვა, რომ ბანკი იზარალებსო და თვითონ მამულის პატრონები დაიღუპებიანო.

დიმიტრი ყიფიანი ძალიან მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩვენის ბანკის წესდებაში უნდა ყოფილიყო ჩართული ზემოხსენებული დედა აზრი. კომიტეტის კრებაზედ ძალიან გულ-მხურვალედ ქსარჩლებოდა დიმიტრი ამ აზრსა.

კომიტეტმაც პროექტი შეადგინა ამ მთავარის აზრითა. დიმ. ყიფიანი ამ პროექტით გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ იქ ეს პროექტი არ დაამტკიცეს იმ საბუთით, რომ წესდებაში შეკავშირებულია ორგვარი საქმე: ხან-გრძლივისა და ხან-მოკლე სესხის გაცემა საბანკირო ოპერაციებთან არის დაკავშირებულიო (соединеніе долгосрочнаго и краткосрочнаго кредита съ банкирскими операціями); მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ თითონ მთავრობამ გვიჩვენა იმისი მაგალითი, თუ რაოდენად შესაძლებელი და შესაკავშირებელი ყოფილა თითქმის ყოველივე ის, რაც იმ პროექტში იყო მოხსენებული.

იმ ხანებში, ესე იგი 1870 წ., განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II დააპირა საქართველოში მობრძანება. თუმცა დიმ. ყი-

ფიანი ექვსი წლიწადი გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად იყო და თავად-აზნაურობამ კარგად დაინახა, რამდენი სიკეთე დასთესა იმან ჩვენს საზოგადოებაში, რა წესი და რიგი დაამყარა, მაგრამ მაინც იმის ადრინდელნი წინააღმდეგნი ვერ შეურიგდნენ იმ აზრსა, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ყოფილიყო დ. ყიფიანი, აბაშიძეების ნააზნაურშვილევიო. ამათ ავიწყდებოდათ ის, რომ ადრეც და ბოლოს დროსაც ჩვენ წინამძღვრებად იყვნენ თითქმის საქართველოს პირველის გვარის-შვილები, მაგრამ გაკეთებითა და გარიგებით კი არა გაგვიკეთ-გაგვირიგეს-რა...

ხშირად ასმენდნენ დ. ყიფიანს, რომ, რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი უნდა მობრძანდეს საქართველოში, ამიტომ საჭირო არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი საქართველოს განთქმულ გვარისა იყოსო, იქნება ხელმწიფემ მოწყალება რამ მოიღოს ჩვენთვისაო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში, დაიწყო თავად-აზნაურთა კრება მარშლების ამოსარჩევად, დ. ყიფიანს თუმცა უმეტესი ნაწილი კრებისა სთხოვდა, კიდევ დარჩით მარშლადაო, მაგრამ მან უარი სთქვა და ვერაფრით ვეღარ შევარყიეთ იმისი გადაწყვეტილობა.

დიმიტრი ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოწყალებას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინიცობაა ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არა ყოფილიყავი მარშლად, იქნება ასე არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნება მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისი, თუ ვინიცობაა ხელმწიფემ არავითარის მოწყალების მოცემა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო.

თუმცა დიმ. ყიფიანის შემდეგ თავად-აზნაურობამ გენერალ-ადიუტანტი, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი ამოირჩია და 1871 წ. განსვენებული ალექსანდრე II საქართველოში მობრძანდა, მაგრამ ყველამა ვნახეთ, რაც უნარი გამოიჩინა ახალმა წინამძღვარმა და რა მოწყალებაც მიიღო საქართველოს თავად-აზნაურობამ...

შემდეგ ნ. ყიფიანი თავის წერილში ამბობს: «დიმიტრი ყიფიანის მარშლობის დროს დაიბადა აზრი ერთის საზოგადოების შედგენისა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოებისა. დიმიტრი ყიფიანს გარდა ამ საზოგადოების დამაარსებელნი, როგორც მახსოვს, იყვნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, კახტანგ თუმანიშვილი, მისელ ყიფიანი»*).

ეს დიდი შეცდომა გახლავთ. აი ეს საზოგადოება როგორ დაარსდა: ჯერ ისევ ადრე, ესე იგი 1870 წლებში, შეიყარენით რამდენიმე ახალგაზდა კაცი (ზოგი ქალებიც ერიენენ), რომლებსაც უოველ თვეს შემოჰქონდათ კასისაში თითო მანეთი (ზოგს მეტიც). ამნაირად მოგროვილის თუმით დაუაარსეთ სკოლა ს. ხოვლეს, გორის მაზრაში, სადაც თ-დნი ჯავახიშვილნი სცხოვრობენ. სკოლა იყო კნ. მარიამ, თ-დ გიორგი ჯავახიშვილის მეუღლის სახელობაზე დაარსებული, ხოლო საჭირო თუმას ჩვენის კასისიდან ვიხდიდით. შემდეგ ამ სკოლას თ-დ ჯავახიშვილებმა სახლის ადგილიც შესწირეს, სადაც შემდეგ სახლი აშენდა და სადაც ამ ჟამად სკოლა არსებობს. რადგანაც ამ ჩვენს პატარა კრებულს სურვილი დიდი ჰქონდა და ღონისძიება იმდენი არა, რომ თვისი სურვილი განესორციელებინა, ამიტომ დაიბადა აზრი დაგეარსებინა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ ჩვენ შორის. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მთავრობა ნებას არ მოგვცემს ამ საზოგადოების დაარსებისასაო. შემდეგ ეს პატარა კრებული დაითხოვეს, თუმცა ხოვლეველის სკოლა კიდევ არსებობდა ჩვენ მიერ ადრევე მოგროვებულის თუმით.

დადგა 1877 წელიწადი და, როგორც მკითხველსაც ესმოდეს, დაიწყო რუს-ოსმალთ ომი. ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა რუსეთის მთავრობისაგან მოწოდება (воззваніе) ქართველ ერის მიმართ. მთავრობა ამ მოწოდებაში იხსენიებდა, რომ სქართველო მუდამ რუსეთის მთავრობის ერთგული ეოფილა და ქართველთ ტომი (ეს პირველად იყო ნახმარი რუსულად სიტყვა картвельское племя) განთქმულია თვისის კაჟკაცობითა და სხვა-და-

*) მიხვილ ყიფიანს, ძალიან სურვილიც რომ ჰქონოდა საზოგადოების დაარსების საქმეში მონაწილეობა მიეღო რამ, არ შეეძლო, რადგანაც 1870 წ. გადასახლდა კავკაზს, ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა ტფილისს, და 1891 წ. გარდაიცვალა იქვე.

სხვა ამისთანა ქება ჩვენის სამშობლოსი და მისის ერისა. ვიფიქრე, რომ ეს დრო სწორედ კარგი დროა ჩვენის აზრის განსახორციელებლადა-მეთქი...

გაზეთებში მქონდა წაკითხული, რომ პეტერბურგში ჰმოქმედობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი (Комитетъ грамотности при Импер. Вольно-Экономическомъ Обществѣ). მივწერე ამ კომიტეტს, რომ თავისი წესდება გამოეგზავნა ჩემთვის. მივიღე პასუხი, რომ ჩვენი წესდება თქვენ არ გამოგადგებათ და გირჩევთ ხარკოვს მიჰმართოთ, სადაც დაწესებულია იმისთანა საზოგადოება, როგორიც თქვენა გსურთ და გამოგადგებათო. მე ხარკოვის საზოგადოებასაც მივმართე. იქიდგან მოიწერს, რომ ჩვენ საზოგადოებას დაბეჭდილი წესდება არა აქვს და გადაწერაც ეგრე ადვილი არ არისო. იმასაც უმატებდნენ, რომ ერთი ეგზემპლიარი ჩვენის საზოგადოების წესდებისა ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისს თ-დ ზაქარია გიორგის მე ერისთავს გავუგზავნეთო.

მაშინვე მივმართე ამ დიდად პატივცემულ პირს, რომელმაც დიდის სიხარულით გადმომცა ხარკოვის საზოგადოების წესდება.

ამდროს დიმ. ყიფიანი, როგორც ზევით მოვახსენე მკითხველებს, მარშლად კი აღარ იყო, არამედ ტფილისის მოურავად იყო (როგორც მახსოვს, მოურავად ამორჩეულ იქმნა 1876 წ.). ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და მე შევიყარენით და ვთხოვეთ დ. ყიფიანს მონაწილეობა მიეღო ამ სასარგებლო საქმეში, შეგვემუშავებინა ხარკოვის საზოგადოების წესდება და შეგვედგინა საქართველოში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წესდების პროექტი.

დ. ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოეწონა. დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ, ხანდისხან ორჯელაც, ვიკრიბებოდით ხოლმე იმის სახლში წესდების შესადგენად.

თუმცა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წესდება გვქონდა, მაგრამ იმაში ბევრი იმისთანა რამ იყო, რაც ჩვენ არ გამოგვადგებოდა, ჩვენს ცხოვრებასა და ზნეს ეწინააღმდეგებოდა; ამიტომ წესდების შედგენას

თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი და 1878 წ. იანვარი მოუნდა. გიდრე გავათავებდით მის შედგენას, ზეკით-მოსსენებულთა გარდა არავის მონაწილეობა არ მიუღია, სოლო მასსოვს, ერთხელ თუ ორჯელ, ბ-ნი ანტონ შურცელაძე დაესწრო ჩვენს კრებას; ისიც, გეონებ, რაგორც დიმიტრი უითვიანის სახლობის ნათესავი, სტუმრად მოსულიყო.

როდესაც წესდება მზად იყო, 30 იანვარს 1878 წ., თ. გრ. დიმ. ორბელიანის სახლში შევიყარენით, სადაც მიწვეულნი იყვნენ მის მიერ უკვლანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, რაგორც წეგრთ. დ. უითვიანმა წაიკითხა წესდება, რომელიც უკვლამ მოიწონა. კრებაზედ ერთი ეპიზოდი მოჰხდა, რომლის მოხსენება არ იქმნება მეტი, რადგანაც მით ცხადად სჩანს დიმიტრი უითვიანის აზრი სომეხთა შესახებ.

წესდების პროექტის წაკითხვის შემდეგ დიდს ხანს იყო ბაასი იმის გამო, თუ რა სახელი გეწოდებინა საზოგადოებისათვის. თ-დი გრიგოლ ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ ის სახელი გეწოდებინა, რომელსაც ამ ყამად გუწოდებთ. ამაზე დიმიტ. უითვიანმა უპასუხა, რომ ეგ სახელი გერ გამოგა რიგიანიო, რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა წიდი ადარ დაედებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა გრცელდებოდეს წერა-კითხვა, და ეს, ჩემის აზრით, არ არის სასურველიო. თ. გრ. ორბელიანმა სთქვა, რომ ეგ დასამალავი არ არის, უკვლამ გავიგეთ, შეკითხეთ და დარწმუნდით, რომ სომეხნი, თუმცა ჩვენი მეზობელნი არიან, მაინც იმათგან მტრობის მეტს არას უნდა მოველოდეთო, რადგანაც ამ ბოლოს დროს აშკარად გამოიჩინეს და დაამტკიცეს ასეთი თვისი განზრახვა. თ-დ გიორგი რომანოზის ძემ ერისთავმა (ატამანმა) დიმ. უითვიანის მსარე დაიჭირა და თ-დ გ. ორბელიანს უპასუხა, რომ ჩვენ მაგას არ უნდა გამოვუდგეთო; ჩვენ, რაგორც აქამდე ვუოთილვართ სომეხთათვის ერთგულნი მეზობელნი და ამხანაგნი ლხინსა და ჭირში, ისევ ისე უნდა დავრჩეთ, სოლო სომხებს, რაგორცა სურდეთ, ისე მოიქცნენო.

შემდეგ ამისა კრებამ ისურვა, რომ სომხებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საზოგადოებაშიო. ამის გამო საზოგადოების

დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებიან: გრ. მ. ტ. ლორის-მელიქოვი, თ-დნი: ის. შიოშის ძე თუმანიშვილი, იასონ თუმანიშვილი, ალ. სტ. ანანოვი, ს. შაჰ-ზარონიანცი და სხვ.

იმ დღესვე კრებამ დაადგინა: მიენდოს დიმ. უიფეანს, თ-დ იდია ჭავჭავაძეს და ბესარ. დოლბერიძეს წარუდგინონ ეს წესდება მთავრობას დასამტკიცებლად.

ზემოხსენებულ წერილის ავტორს უნდა მოვახსენო ჩვ, რომ თუმცა ამბობს, რომ ბეს. დოლბერიძეც იყო ამ საზოგადოების დამაარსებელიო, მაგრამ 1878 წ. 30 იანვრამდე იმას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში.

თითქმის ოთხი თვე ვატარებდი ამ წესდებას ხელის მოსაწერად იმათთან, ვინც კი ტფილისში სცხოვრობდა; შემდეგ წესდება გადავეცი დიმ. უიფეანს და 24 ივნისს 1878 წ. წარდგენილ იქმნა იგი მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. ახლა ის გვაწუხებდა, რომ მთავრობას მალე დამტკიცებინა; თუმცა ბევრს ვცდილობდით, მაინც დამტკიცებამ ძალიან დაიგვიანა—ცხრა თვეზე მეტმა გაიარა (დამტკიცდა 31 მარტს 1879 წ.). მიზეზი ის იყო, რომ ძალიან დიდი ბასი გამოიწვია ამ წესდების მესამე მუხლმა, რომელშიაც მოხსენებულია: «საზოგადოება თავისს მიზანს იმითი მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასწყობის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს და სხვ...

ჩვენი წესდება მთავრობამ გადასცა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს თავისის აზრის გამოსათქმელად. იმ ჟამად ძველი მზრუნველი ნეველროვი გამოსცვალეს და წავიდა პეტერბურგს, ახალი კი ჯერ არ იყო დანიშნული. მისს თანამდებობას ასრულებდა ნ. ლ. მოძალევსკი, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი და არ გვსვენებდი, ძალას ვატანდი მალე წარედგინა მთავრობისათვის თავისი აზრი. მოძალევსკიმ მოითხოვა ზემო-ხსენებულ მუხლის შეცვლა, ამიტომ ჩვენ, წესდების შემდგენელები, იძულებულნი ვიყავით ზოგიერთი რამ დაგვეთმო მესამე მუხლში მოხსენებულიდან და ამ მიზეზით წესდების ზოგიერთ ფურცლის გადაწერა დაგვჭირდა. შემდეგ მოძალევსკიმ ორჯერ კიდევ მოითხოვა ამავე მუხლის გადაკეთება, მაგრამ ჩვენ აღარ დავთანხმდით და პირდაპირ გუთხარით, რომ შეგიძლიანთ

თქვენი აზრი წარუდგინოთ მთავრობას და, თუ ის არ დაამტკიცებს, და ნუ დაამტკიცებს, ჩვენ კი მაგ მუხლს ვეღარ შევცვლით, რადგანაც მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონის-ძიება თვისი დანიშნულება აღასრულოსო და სხვ. და სხვ.

ცოტა ხანს შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის მთავარ-სამმართველომ თავის მხრივაც მოითხოვა ამ მესამე მუხლის შეცვლა. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა, 25 მარტს 1879 წ., წარადგინა ჩვენ-მიერ ერთად შედგენილი განმარტების ქაღალდი და არ გავიდა ერთი კვირა (31 მარტს), რომ წესდება დამტკიცდა.

აქ კიდევ მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა დიმ. ყიფიანზე, როგორც რეჟისორზე, რომელიც ხშირად იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენების მართვის საქმეში, ვიდრე ჯერ სამუდამო ქართული დასი არ იყო და ოსტატურად და ხელოვნურად სწვრთნიდა სცენის მოყვარულ არტისტებს, მაგრამ ეს ჩემი შენიშვნა უამისოდაც ძალიან დიდი გამოვიდა, რისთვისაც მკითხველთან ბოდიშს ვითხოვ. რა გაეწყობა, უნდა ჩვენც შევეჩვიოთ სიმართლის სიყვარულსა და ჭეშმარიტების თქმას. შვიდი წელიწადი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა და იმისმა შვილმა დიდის შეცდომილებით დასწერა იმის ცხოვრების აღწერა. მაშასადამე, რამდენად ძნელია ვენდოთ რამდენისამე ასისა და ათასის წლის ამბების მომთხრობელთა!...

ამას გარდა, იმდენად ცოტანი გვყავს დღეს ისეთნი კაცნი, რომელთაც საზოგადოებისათვის უღვაწნიათ და რამ სიკეთე დაუთესიათ ჩვენის ქვეყნისათვის, რომ, რაც უნდა სკეპტიკობით შევხედოთ დიმ. ყიფიანის საზოგადო მოღვაწეობას, მაინც პირნათლად გამოვა იგი და გამოჩენილ მამულის შვილად ჩაითვლება ჩვენს ახალს ისტორიაში.

ნ. ყიფიანის წერილით შევიტყვეთ, რომ დიმ. ყიფიანმა არ დაინდო თავისი თავი, შეეწია ერთს ჩვენს საზოგადოების წევრსა და ყველამ ვიცით, რომ ამით თითქმის თავისი თავი დაჰჭლუპა. ისიც ვიცით, რომ იმისთანა დროც დადგა მას შემდეგ დიმიტრისთვის, როცა თითქმის დღიური ცხოვრება უჭირდა. ვგონებ, კაცს ამაზედ მეტი აღარა მოეთხოვება-რა...

ღმერთმა ნუ მოაკლოს სქართველოს ამისთანა ერთგული და სასულოვანი მამულის-შვილი და ღმერთმა აშოროს იმისთანანი, რომელნიც სიტყვით სტიროდნენ და სტიროდნენ სქართველოს წარსულისა და მომავლის ბედისათვის, გარნა საქმით იმაგე უბედურ სქართველოს სასიკეთოდ ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ, თუმცა შეეძლოთ დიდი ამაგი დაედოთ ჩვენის საწყალის სამშობლოსათვის...

მაგრამ იმედი გვაქვს, ოდესმე იმისთანა დრო დადგება, როდესაც საზოგადოება დაათვასებს ნამდვილსა და ერთგულ მამულიშვილს და გაარჩევს, ვინ ემსახურებოდა თავის ქვეყანას სულითა და გულითა, ვინ იღვწოდა მისთვის საქმითა, და ვინ მხოლოდ ლიტონის სიტყვითა.

გახტანგ თულაშვილი

ზოგიერთი ვნე-ჩვეულება

ქორწინების დროს კახეთში

როცა ვაჟს ქორწინების დრო დაუდგება, ის ბიჭდაბიჭ არ ეუბნება თავისს ოჯახის უფროსს, რომ მას დრო დაუდგა შეუღლებისა. დასანიშნი ცდილობს სხვა-და-სხვა გარეგანის ნიშნებით აგრძნობინოს უფროსს ეს თავისი სურვილი: იგი ამ დროს ან მაღზე გადამეტებულად მუშაობს და ან ხშირად ბიჭქვე გდია და არაფითარ საქმეს სულს არა ჰკიდებს. მაშინ დედ-მამა დასანიშნისა შეუდგება ქორწილისთვის მზადებას და ქალის ძებნას. თუ ვაჟს შენიშნული ჰყავს სატოლე, მაშინ იგი ბიჭდაბიჭ ეუბნება მშობლებს: «წადით ამა და ამ ქალის ბატრონთან და სთხოვეთ ჩემთვის ქალიო». თუ ქალი ნანახი არა ჰყავს, მაშინ სასიძო თვითონაც მისდევს მშობლებს ქალის გასასინჯად.

თუ ქალის ბატრონს ვაჟი ჭკუაში მოსდის, ქალს აჩვენებს ვაჟსა და მისს ბატრონს, თუ არა და თვალით არ დაანახვებს. მაშინ ვაჟი თავს ანებებს ამ ქალზე თქმას და სხვაგან ეძებს თავისს ბედს. გასინჯვა მეტად საინტერესოა, ამიტომ მე აქ მოკლედ აგიწერ. როცა ქალის ბატრონს ვაჟი ჭკუაში მოსდის, მაშინ ის, როგორც ზემოდა ვსთქვით, ნებას აძლევს ვაჟსა და მისს მშობლებს ესტუმრნენ ქალის ოჯახს. ქალს ამ დროს სხვის ოჯახში რთავენ, თუ სადუთარ სახლში თავისუფალი ოთახი არა აქვთ. ადგენ ქალისა და ვაჟის ჭირისუფლნი ერთმანეთთან გართულნი არიან სასიამოვნო ლაპარაკსა და ხუმრობაში. ვაჟი ამ დროს აღელვებულია: იმის წამ-დაუწუმ თერი ცვლება და ათრთოლებულის ხელით სან ულვაშს იგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეხს, ხან წვერს ისწორებს, ხან ქუდს გვერდზე იგდებს, ხან ხან-ჯალს ისწორებს, ერთის სიტყვით, ცდილობს, დაწუნებული არ და-რჩეს საპატარძლოსა და მისს პატრონისაგან. ის თითქმის ლაპა-რაკში არც კი ერევა: ზის გაჩუმებული, მოუთმენლად და გულის ფანცქალით ელის მომავალის სატრფოს შემოსვლას. რასაკვირველია, არც ქალია ნაკლებ აღელვებული ამ დროს: ის სტირის და უარს აცხადებს შესვლაზე, მაგრამ მეგობრები და მახლობლები ამხნევებენ, აზედვინებენ, ართობენ, ეხუმრებიან, თან რთავენ და მორთული შემო-ჰყავთ ვაჟთან.

აგერ მორთული და თავ-ჩაღუნული ქალი სახლში შემოიყვანეს და დასვეს ვაჟის პირდაპირ. ვაჟი გატაცებულის თვალით შესცქე-რის ქალს, ქალი თავსა ღუნავს და ცდილობს, თვალი მოარიდოს, მაგრამ ცდა ამაოა: მორცხვი ბუნება ქალისა ამ დროს იმდენად ძლიერდება, რომ ვაჟს ორჯელ-სამჯერ ძალა-უნებურად თვალს თვა-ლში გაუყრის.

ეს წუთიერი შეხედვა ქალისათვის საკმარისად რჩება, რომ ან მოიწონოს, ან დაიწუნოს თავისი მომავალი პატრონი.

ზოგიერთი ვაჟის პატრონი, მეტადრე ქალები, ნამეტანს მზრუ-ნველობას იჩენენ გასინჯვის დროს: საპატარძლოს გაატარ-გამოატა-რებენ, რომ კოჭლი ან ლანგი*) არ გამოადგეთ; დაალაპარაკებენ, რომ მუნჯი ან ენა-ჩლუნგი არ იყოს; მოხდიან თავს და თმას გაუ-სინჯავენ, რომ ქაჩალი არ იყოს, ერთის სიტყვით, ვაჟის პატრონი ცდილობს, ყოველისფრით სრული და ჯანით საღი ცოლი უშოვოს თავისს დასანიშნს.

გათავდა ქალის გასინჯვა. ქალი სხვა ოთახში ან მეზობელ-თან გავიდა. სახლში მოსალაპარაკებლად დარჩნენ ქალის პატრონი, ვაჟი და ამის მხლებელნი. ქალის პატრონები ქალსა ჰკითხვენ, მოს-წონს მას ვაჟი, თუ არა? ვაჟის პატრონები ვაჟსა ჰკითხვენ. როცა ქალისაგანაც და ვაჟისაგანაც თანხმობა ცხადდება, მაშინ ლაპარაკი მზითევზე იწყება. მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე ისეც, რომ ქალს მშობლები თანხმობას სრულიად არა ჰკითხვენ, თუ ვაჟი ჭკუაში

*) ლინგი—ცოტათი კოჭლი, რომელსაც ძლივს ეტყობა სიკოჭლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუვიდათ. ქალის სურვილს ისინი ყურადღებას არ აქცევენ; თვითონ უცხადებენ ვაჟსა და მისს თანამხლებლებს ქალის თანხმობას და საქმე ხელის-დასადებით თავდება.

ხელის-დასადებს ვაჟი იძლევა. იგი შესდგება ან ფულისაგან (მანეთი, ან ორი, სამი, ან მეტი, შეძლების დაგვარად); ან რამე ნივთისაგან (ბეჭედი, ბაღდადი, მოსახვევი ან სხვა რამ ნივთი).

რაკი ვაჟმა ქალს ხელი დასდო, ქალი იმისია: იმას სხვაზედ ვერ გაათხოვებს პატრონი; ვერც ვაჟი დაინიშნება სხვაზედ. ხელის-დადების შემდეგ ვაჟს სრული თავისუფლება ეძლევა იაროს ქალის ოჯახში დღისითაც და ღამეც. დღისით უფრო ძვირად მიდის დანიშნულთან; ღამე კი უფრო ხშირად. ღამე ახალგაზდებს სარეცელი გაყოფილი არა აქვთ. ამიტომაც დანიშნული ქალი ქმრის ოჯახში ხშირად ფეხ-მძიმედ შედის, მაგრამ ეს სათაკილოდ სრულიადაც არ ითვლება. ხალხს ეს ჩვეულება დაუკანონებია და ამ ჩვეულებას ვერავინ შელახავს: ძალიან ძვირია იმისთანა მაგალითი, რომ დანიშნულს ვაჟს თავი დაენებებინოს ქალისთვის, თუ იმათ სარეცელი გაუყოფელი ჰქონიათ. თავის-დანებება ისეთ დიდ ცოდვად მიაჩნია ხალხს, რომ, თუ ვაჟმა დანიშნულს თავი დაანება, იმას ქალს აღარავინ მიათხოვებს; ხშირად ამ ჩვეულების შემლახავი ქალის პატრონის ხანჯლის და თოფის მსხვერპლი ხდება.

ამით არ თავდება დანიშვნა. ქორწილამდის ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის. ამ დროს განმავლობაში უეჭველად რამე დიდი დღესასწაული იქნება: ან შობა-ახალწელიწადი, ან აღდგომა, ან პეტრე-პავლობა, ან მარიამობა. ამ დღესასწაულებზე საქმრო მოვალეა თავისს საპატარძლოსთან მოსაკითხით მივიდეს.

აი, მაგალითად, სამარიამობოდ უნდა მოიკითხოს ვაჟმა საპატარძლო. ვაჟის პატრონი ამ დროს დიდს ფაცი-ფუცშია: იმან გამოაცხო მრავალი გამტკიცული პური, ქადა და ნაზუქი, იყიდა მშვენიერი მსუქანი ცხვარი, ღორი, აავსო მშვენიერის ღვინით ტიკები, იშოვნა სხვა-და-სხვა ნაირი ხილეულობა, საპატარძლოსთვის იყიდა მოხდენილი ფეხსაცმელი, თავზე მოსახვევი, საკაბე, ლეჩაქი, ბუზიკა ან დაირა, ერთის სიტყვით, რაც კი რამ საუკეთესო ნივთის მიტანა უნდა საქმროს, ამ დროს მიაქვს.

აი დატვირთა ამ სანოვაგით და ნივთიერებით ან ცხენები, ან ურემი, გაიყოლია ვაჟმა თან თავისი მახლობელი ნათესავები და მეგობრები და გაუდგა გზას საპატარძლოსაკენ. თუ საპატარძლო ახლოა, მაშინ თვითონ დღესასწაულ დღეს მიდის სანეფო, თუ შორს არის,—წინა დღეს. ქალის პატრონი კი ამ დროს არხეინადა ზის შინ იმ იმედით, რომ სიძე ყოველიფერს, რაც საჭიროა, მიუტანს. ის მხოლოდ სტუმრებს დაჰპატიჟებს, რომ ლხინი კარგი გააწყოს.

სიძის მიერ მოუკითხაობა შეუძლებელია; ქალის პატრონს რომ თავის დროზე მოსაკითხი არ მოუვიდეს, ისე ეწყინება, რომ, შეიძლება, ქალი სულაც აღარ მისცეს.—აი საპატარძლოს ოჯახში ლხინი გაიმართა წირვის შემდეგ, სადაც დანიშნულები იყვნენ სადილობამდის წირვის მოსასმენად. სტუმრებს ღვინო თავში შეუჯდათ, ღვინომ იმოქმედა, ლხინი გაჩაღდა. დაირა და ბუზიკა სრულს მოქმედებაში არიან. წამოხტა სასიძო, გაშალა ხელები და რაც ღმერთმა თამაშობის შნო და ნიჭი მისცა, სულ ახლა გამოიჩინა. საპატარძლო ამ დროს შორიდან შეჰყურებს თავისს სატრფოს ხელ-ფეხის მარდსა და ლაღს მოძრაობას.

გაათავა სანეფომ ცეკვა და საპატარძლოს დაუკრა თავი. ადგა მორცხვად საპატარძლო და გამოვიდა სათამაშო ასპარეზზე. გახურდა დაირის კვრა და ტაშის ცემა. ახლა ყველა სტუმარმა ჯიბეს ხელი გაიკრა. დადგა გადასალოცის დრო. აგერ ამოიღო სხვაზე უფრო მდიდარმა სტუმარმა მანეთიანი, მიაწოდა ერთ სტუმართაგანს, რომელიც სხვებზე უფრო ენა-მახვილია და უთხრა მისს მაგიერ გადულოცოს მოთამაშე საპატარძლოს. ამანაც ჩაახველა, ხმა ამოიწმინდა და დაიწყო: «ხალხნო და ჯამაათნო! სმენა იყოს და გაგონება! ჩვენებიანთ დემეტრეს ხომ იცნობთ?! ერთი საწყალი მარტოხელი ბიჭი ვარო; მართალია, შესანახი ბევრი არა მყავსო, მაგრამ ნიშნობასა და ქორწილს არ გამოვაკლდები ხოლმეო, ჩემს ჯიბეში აბა ფულს რა დააყენებს? სადაც კვამლი მაღალია, მე იმისი მაყარი ვარო, სიცოტავეზე ნუ დამემდურები, შენი ჭირიმე, ეხლა ეს იყოს, მერე კიდევ სხვა იქნება; მოურთმევია ერთი სირმა მანეთი, ღმერთმან ააშენოს!!»

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აააშენოს! — მიაძახებენ სხვანი. ახლა სხვა სტუმარი მიაწვდის და გადამლოცველი ამასაც ასე ბოდიშს მოხდის. რამდენად გადამლოცველი ენა-მახვილი და ოხუნჯია, იმდენად უფრო მეტი სიცილი და მხიარულებაა საპატარძლოს თამაშობის დროს. გადალოცვის დროს საპატარძლო გაუწყვეტლივ თამაშობს, ცდილობს, რომ ყველა სტუმარს მიეცეს დრო და საშუალება მიულოცონ მას ბედნიერება. გათავდა გადალოცვა, გათავდა ცეკვაც. სტუმრებმა განაგრძეს ისევ ლხინი და საღამოზედ შეზარხოშებულნი და მხიარულნი დაბრუნდნენ თავ-თავის სახლში. ამ ლხინის დროს სხვა ახალგაზდა ქალი და ვაჟიც იღებენ მონაწილეობას ცეკვა-თამაშსა და სიმღერაში. აქ აწონებენ თავს გასათხოვარი ქალი და დასანიშნი ვაჟი ერთმანეთს თამაშობით, ჩაცმა-დახურვით, სიმღერით და ოხუნჯობით. აქ ხშირად გამოინასკვება ხოლმე მორიდებული სიყვარული სხვა მომავალ ახალგაზდა დასანიშნთა შორისაც. აქ ივიწყებენ მოხუცებულნი მშობლები ყოველდღიურ გაჭირვებას და ვარამს და ეძლევიან სრულს გატაცებულს მხიარულებას, რომელსაც ჩვენ, განათლებულნი, ძალიან ძვირად ვიგემებთ ხოლმე.

აქ სამოც-ოთხმოცის წლის მოხუციც ისეთის აღტაცებითა მღერის და ლხინობს, თითქო თვრამეტ-ცხრამეტის წლის ჭაბუკი იყოს.

ბოლოს დადგა ჯვარის-წერის დროც. ახლა კიდევ, რასაკვირველია, ორივე მხარე, როგორც საპატარძლოსი, — ისე საქმროსი უფრო დიდს ფაცა-ფუცში არიან. ქორწილი ხომ მეტის მხიარულებით და მეტის ცერემონიით უნდა მოხდეს! ზემოდა ვსთქვი, რომ დანიშვნასა და ქორწილს შუა კარგა ხანი გაივლის ხოლმე-მეთქი. ამ ხნის განმავლობაში ქალის მშობლებმა უნდა მოუმზადონ ქალს მზითევი (ნივთები) და ქრთამიც (ფული), თუ ამ უკანასკნელს დაჰპირდნენ. მზითვის სიდიდე და სიკარგე დამოკიდებულია ქალის მშობლების შეძლებაზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ მდიდარმა კაცმა ქალი ღარიბს მიათხოვა, იმდენ მზითევს არ მისცემს, რამდენსაც მისცემდა მდიდარ სასიძოს: მდიდარ სასიძოს მეტს აძლევს, ღარიბს — ცოტას; მდიდრისა რცხვენიან, ღარიბისა კი არა. საშუალო ქონების პატრონი კაცი მისცემს თავისს ქალს შემდეგ ნივთებს:

ლოგინიდან: ორ ბამბის სახანს, ორ მატყლის მუთაქას, ერთ თვრდაგს, ერთ სალიჩას, ქვეშ-საგებ ნაბადს, ერთ მაფრაშას და სხ.; ლოგინის ზედაბირის გადასაკრავი საქმრომ უნდა იყიდოს; ტანსაცმელიდან: ოთხ კაბას (ერთ თვრჩისას, ერთ შალისას, ორ ჩითისას), ორს იუბკას, ოთხ წუვილ თეთრეულს, ორ ლეჩაქს, თავსაკრავს, ორ-სამ ბაღდადს; ჭურჭლიდან: ორ ან სამ სპილენძის ქვაბს, სარეცხის ტაშტს, სელის სახან ტაშტს, თუნგს და სხვ.; სის ავეჯეულობიდან მხოლოდ ერთ სკივრს მისცემენ, სხვას არაფერს. როცა ყველა ეს ნივთები მზად ექნება ქალის მშობლებს, მაშინ აცნობებენ კაცს და საქორწილო დროს უნიშნავენ. ქორწილი გლეხობაში სშირად უფრო გიორგობის თვეში სდება, რადგან ამ დროს გლეხი უფრო ზურგ-მაგარია, სარჩო ამ დროს უფრო უხვად აქვს.

აგერ მეფე-დედოფალი და მაყრები ცხენებით მოვიდნენ ეკლესიასთან. ეკლესიის შესავალ კარებში მეჯვარეებმა გაჯვარედინეს ამოღებული სმლები ან სანჯლები და ამგვარ ჯვარს ქვეშ გაატარეს მეფე-დედოფალი ეკლესიაში. შემდეგ მღვდელმა დაადგა მათ გვირგვინი, რომელიც მეფე-დედოფალს სასლში სამი დღის განმავლობაში ადგიათ. საჭიროდ მიმაჩნია გვირგვინის აწერა, რადგან აქ განსხვავებული გვირგვინი იციან. გვირგვინი შესდგება სის რკალისაგან, რომელსაც სქლად შემოხვეული აქვს თეთრი და ყვითელი სირმის ძაფი, ასე რომ სე სრულებით არა სჩანს. წინადან რკალს სირმისაგანვე გაკეთებული ჯვარი აქვს დამაგრებული; ეს ჯვარი მეფე-დედოფალს შუბლზე დაუნდობა სოლმე. რკალს ოთხ ადგილას მიმაგრებული აქვს ოთხი გრძელი გვირგვინის ტოტი, სიგრძით თითო არშინი; ტოტები შესდგება სირმის მოგრძო ბურთებისაგან, რომელნიც ერთმანეთზე მიბმულნი არიან სირმითვე; ტოტი თავდება სირმის ფოჩებით.

გათავდა ჯვარის წერა, და მაყარმა დამბაჩის ან თოფის დაცლით შეატყობინა სოფელს, რომ ჯვარის-წერა გათავდა. შესხდნენ მეფე-დედოფალი ცხენებზე, შესხდნენ მაყრებიც, გაუდგნენ გზას და შემოსძახეს მსიარული მაყრული: «მოგვყავს და მოგვისრიან დედალ-მამალი ხოხობი» და სხ. ერთი მაყართაგანი, რომელსაც უფრო მარდი ცხენი ჰყავს, გაექცევა წინ ცხენს, რომ ქალის მშობლებს

ასაროს ჯვარის-წერის ამბავი. ამას მახაროპელი ჰქვიან. ის მარდად მიაგდებს ცხენს მასპინძლის კარებზე და დაიყვირებს:

„მე ვარ მახაროპელი,
სახლის გამხარებელი,
ამიხვიეთ მხარი,
მტერს დაუდგა თვალი!“

მასპინძელს მზად აქვს აბრეშუმის ბაღდადი, აუსვეს იმით მხარს, მოუტანს თიხის ჯამით ღვინოს, მხაროპელი გამოართმევს, დაილოცება, ადღეგრძელებს მეფე-დედოფალს, გამოსტლის ღვინოს, ცარიელ ჯამს მიწაზედ დასმსხვრევს და იტყვის: «ასე გაგიტეხოს ღმერთმა მტერიო!» მოაჯდება ცხენს და ბაღდადით მხარ-ასვეულია მიეგებება გზაზე მეფე-დედოფალს. მოუახლოვდნენ სახლს მეფე-დედოფალიც მაყრებითურთ, გადმოხტნენ ცხენებიდან და მივიდნენ სახლის კარებთან. აქ შაქრით ან შარბათით დახვდა მათ ერთი ვინმე დედ-მამიანი, რომელმაც ჩაუდო მათ პირში შაქარი ან შარბათი დალევინა, მიულოცა ამ სიტყვებით: «ღმერთმა ასე ტკბილად შეგხვედროთო».

შემდეგ ეს დედ-მამიანი ტახჩას დაიდგამს თავზე, ტახჩაზე ტკბილეულობა და ლავაშები აწყვია, სელში დაიჭერს სელდა ღვინოს, გაუძღვება წინ მეფე-დედოფალს და სამჯერ შემოატარებს სახლის დედა-ბოძს; მაყრებიც მეფე-დედოფალს უკან მისდევენ სმალ ან სანჯარ ამოღებულნი, სანჯლის და სმლის წვერს სახლის ჭერს სტენენ და მღერიან:

„ჯვარი წინა,
ჯვარს უკანა,
ანგელოზო, შინ შემოდი!
ნეტავი მეფის დედასა,
ვარდნი უსხედან კერასა;
იუდის მეფის დედასა
თაგვნი უსხედან კერასა.“

ამ სიმღერას «ჯვარის-წინას» ეძახიან. ამ დროს მეფე-დედოფლისათვის მომზადებულ ბალიშებზე პირ-ქვე წევს დედ-მამიანი პატარა სუთი-ექვსი წლის ვაჟი; იგი ბალიშებიდან არ ადგება, სანამ დედო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლის მაყრები სახუქარს არ მისცემენ. უმაწვილმა სახუქარი მიიღო, წამოხტა და ბალიშები გაასთავისუფლა. დასხდნენ მეფე-დედოფალი ბალიშებზე. ამ დროს მეფის ნათესავი ქალი ერთის წლის ვაჟს ან ტოტა მეტისას დედოფალს მუხლებზე გადუგორებს და ისურვებს, რომ იმასაც ამისთანა ვაჟი შესძენოდეს. ამის შემდეგ გაიმართება სმა-ჭამა, მხიარულება, სიმღერა და თამაშობა.

აქ სადილს შემდეგ იწყებს ჯერ სხვა ქალების თამაშობა და შემდეგ პატარძლისა. პატარძლის თამაშობის დროს იწყებს ისეთი გადალოცვა ფულით, როგორიც იყო დანიშვნის დროს.

ზოგიერთ სოფლებში ოჯახიშვილებს, სანამ სადილზე დასხდებიან, მეფე-დედოფალი მაყრებითურთ მიჰყავთ მარანში, სადაც პატარძალმა პირველმა უნდა დაჭრას ბარი ღვინით სავსე დიდს ქვევრს ასასდგომად. შემდეგ სხვები გამოართმევენ ბარს, ახდიან ქვევრს და აქედან იწყებენ სმას, შემდეგ შედიან ისევ დარბაზში და იქ იწყებს ნამდვილი ლხინი.

მეფის სადღეგრძელოს რომ დალევენ ასე ულოცავენ:

„მეფეო, ღმერთმა შენ მოგცეს
ბედი და ბედნიერება,
ვისაც რო ეგ შენთვის შურდეს,
მას ჰირი ნუ დაელევა.“

პატარძლის სადღეგრძელოზედ ხშირად სახუმარო ლექსებს იტყვიან და სალხს ატირებენ. მაგალითად:

„ბებერი რომ დაბერდება,
მიუჯდება კერასაო,
რომ არავინა ჰკითხავდეს,
ატარტარებს ენასაო.
კრუხ-წიწილა მივაბარე,
დამიჭმია ძერასაო.“

ან ამგვარს:

„პტარძალო პატარაო,
წყალს მოიტან—სხვას არაო,
წამოჯდები კერასაო,
ატარტარებ ენასაო.

ან ვიდეც ამგვარს:

„პატარ-ქალი გამათხოვეს—
მძიმედ მოვიქეო;
უმარილი ბევრი ვისვი,
ფერი ვიჭარბეო,
წარბი წვრილად შევიღებე,
თვალი ვისურმეო.*)
წითელი ცხენი მომგვარეს,
იმას შევჯექ მეო;
სოფლის ბოლოს რომ მივედით,
სახლი ვიკითხეო.
დედაბოძს შემომატარეს,
საჯდომს დავხედეო,
ხალიჩა რომ არსად იყო,
ჯეჯიმს დავჯექ მეო.
დედამთილსა წავჩუკჩუკე,
პური მშიან მეო.
ერბო-კვერცხი რომ შემოდგეს,
ის მიამა მეო,
დიდი ლუკმა რომ ჩავიდე,
მდადს მოვეფარეო;
სამი კვირის პატარძალმა
ძმები გავყარეო,
დედამთილი მიგიჯოხე,
მული მივტორეო,
მამათილს წვერი ვაგლიჯე,
. . . . . ! “

თ. მ.

*) ესე იგი წამწამები სურმით გავიშავეო.

ჩვენი ისტორია

მოსე გიორგისძე ჯანაშვილი.—საქართველოს ისტორია, შემუშავებული და შეკრებული აგტორისაგან. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი, 1894 წ.

I

ხუთის წლის შემდეგ, სახელდობრ 28 დეკემბერს 1900 წ., შესრულდება ერთი საუკუნე, რაც გარდაიცვალა უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი, ძე სახელოვანის მეფის ერეკლე მეორისა, პატარა კახისა. გიორგის სიცოცხლის შემდეგ მოისპო ოც და ერთის საუკუნის განმავლობაში შეუწყვეტლად მომდინარე საქართველოს მეფეთა რიგი, შეჩერდა მეფობითი მმართველობა და საქართველოს ერმა იწყო თავის ცხოვრება მფარველობასა ქვეშე ერთმორწმუნის რუსეთისა. ამგვარად ჩვენმა ერმა ხელი აიღო თავის თავზედ ზრუნვისაგან და ეს არსებითი უფლება, მოვალეობა თვითეულის ერისა, თავის ნებაყოფლობით გადასცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს. განუსაზღვრელი და ნამდვილი ქრისტიანული ერთგულობა და ერთსულობა უნდა ყოფილიყო ამ ორ, გვარტომობით არა ერთმოდგმის, ერთა შორის იმ დროს, როდესაც მყარდებოდა ამისთანა მამაშვილური, და ძმური, მოყვასური კავშირი. სწორედ ამისთანა ქრისტეს მცნებაზედ დაბყარებულ კავშირის შედეგად, ქართველთა მხრივ მაინც, უნდა მივიღოთ ის თვალსაჩინო მოვლენა, რომ დაღლილ-დაქანცულ ქართველობა მთელის თავის არსებით მიენდო ახალს, ქრისტეს მიერ ძმას, ხოლო თვით

მიეცა მოსვენებას, ტკბილ ძილს. ან რატომ არ უნდა მისცემოდა ამისთანა განცხრომას, როდესაც გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მას ძილის დროს დარაჯად ედგა ერთმორწმუნე მძლავრი მფარველი, რომელიც შეიძლებდა თავის ქრისტიანულ მოვალეობის შესრულებას, დაცვასა და დაფარვას ქართველთა იმ თვით-არსებობის ნიშანწყლისას, რისთვისაც ქართველობა მედგრად იბრძოდა ხანგრძლივის თავის ისტორიულ ცხოვრების დროს. ამისთანა ტკბილი ძილი და ქრისტიანული ნდობა უტკბობდა და დღესაც მრავალთ უტკბობს სიცოცხლეს. ამავე დროს ვერ მისცემოდა თავდაპირველიდანვე ამისთანა ტკბილსა და ნეტარს ოცნებას ზოგიერთი კერძო გვამი, რომელსაც ღრმად და ფერადის ასოებით ჰქონდა ამოჭრილი გულის ფიცარზედ თავის პირადი ოდენ აღსარების მცნება და მხოლოდ ამ კერძო მცნების ოცნება და სამსახური ასულდგმულებდა. რა საკვირველია, ჯერ არც დრო და არც გარემოება უწყობდა ხელს, რომ ესრეთი გულითადი აღსარება გაეზიარებინა მოძმეთათვის, რათა შემდგარიყო გუნდი, შეკავშირებული ერთის ზოგადის მცნებით. ამისთვის საჭირო იყო დრო და ჟამი; საჭირო იყო ამასთანავე ისეთი მარჯვე საშუალება, რომლის დახმარებითაც შესაძლო გამხდარიყო სიტყვის გაზიარება, აზრთა აღებ-მიცემობა, რაიცა გააფართოვებდა მცირე რიცხოვან პირვანდელ დასს, ერთის მცნებით შეიარაღებულს. ესრეთი დროც დადგა და გარემოებამაც ურჩობა ვეღარ შესძლო. დაიწყო მწერლობა, გაჩნდა ჟურნალ-გაზეთობა, გაიხსნა ახალის ხასიეთის სკოლები, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო ჟამთა-ვითარების მიერ ნივთიერად და ზნეობით დაუძლურებულ საზოგადოებაში. ამისთანა ხანა შეიქმნა სათავედ ახალის ცხოვრებისა, როდესაც ქართველობამაც იგრძნო საჭიროება თავისთავისთვის ზრუნვისა. სიფხიზლე თან-და-თან მატულობდა და მატულობს, მაგრამ ყველა დაწყობილობას, ყველა საქმეს დღემდე სულს უხუთავს ერთი თვალ-საჩინო სენი, რომელიც შეეპარა თავიდანვე ჩვენს ცხოვრებას. საქმე ის არის, რომ სათავიდანვე ყველაფერი მოეწყო და დღესაც ჩვენი ავი და კარგი

მოწყობილია და მოქარგული უცხო ნიადაგზად, და, მაშასადამე, სასიქადულო მოღვაწეთა შრომაც ვერ გამოიღებდა და ვერც გამოიღებს ჩვენთვის სანატრელს ნაყოფს. ეს ნაკლი დიდად დააჩნდა უმეტესად ენას და ეროვნულ ისტორიას, რადგან მათი აღორძინება ექვემდებარება იმისთანა წეს-რიგს, რომელსაც დღესაც არა აქვს დათმობილი და იქნება ადრე მომავალშიაც არ დაეთმოს სასურველი ალაგი ჩვენს ცხოვრებაში. შემოწმება საჭირო აღარ არის, რომ სადაც ამისთანა წეს-წყობილება ჰსუფევს, იქ სამშობლო ისტორიის შესწავლაც და შემუშავებაც დიდს და თითქმის უძლეველს განსაცდელშია ჩავარდნილი. სწორედ ამგვარის ჟამთა-ვითარების შედეგი იყო, რომ ოთხმოცი წელიწადი გავიდა, რაც ერთმორწმუნე რუსეთმა კისრად-იღო ჩვენი მფარველობა, და ჩვენ ჯერ მოკლე ისტორიაც არა გვქონდა წარსულის ჩვენის ცხოვრებისა ქართულს ენაზედ.

საკვირველიც აქ არაფერია, თუ მოვისაზრეთ, რომ ჩვენს სასწავლებლებში ქართულ ენას ჰქონდა და დღესაც აქვს ყოვლად მცირე ადგილი დათმობილი. მაშ ვიღასთვის უნდა დაწერილიყო ისტორია, თუ მას არ ეყოლებოდა არც მკითხველი და, მაშასადამე, არც მსყიდველი. ხოლო თუ შეადგენდა ვინმე, უფრო იმისთანა, რომელსაც არ ექმნებოდა დაბეჭდვის საშუალება. მაშასადამე, დაწერილი ისტორია უნდა დაუბეჭდავი დებულიყო. ამისთანა უნუგეშო გარემოებით იყო შეზღუდული ჩვენი ისტორიის საქმე. ამ გარემოებას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ თვითეული მწერალი ჩვენ დროს ნივთიერად დაკმაყოფილებული არ არის და მთელი მისი შრომა დღიურ ლუკმა პურის შოვნას უნდება, მაშინ ადვილად წარმოსადგენი იქმნება, თუ რატომ არა გვქონდა ამ თორმეტ-ცამეტის წლის წინად ქართულად დაწერილი საქართველოს სრული ისტორია, თუნდა ეს შემოკლებულიც ყოფილიყო.

თუ საქმე ამისთანა ყოფაში იყო, მაშასადამე, ისტორიის შემდგენელს იმედი უნდა ჰქონოდა მხოლოდ თავის ცოდნა-ხელოვნებისა, რათა მისგან შედგენილი ისტორია გავრცელე-

ბულიყო ხალხში და სკოლაში და გამხდარიყო როგორც სასიამოვნო, ისე სასარგებლო საკითხავ წიგნად.

II

სწორედ ამისთანა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თითქოს განგების დახმარებით, ტფილისში დაისტამბა პირველად ქართულს ენაზედ, „შემოკლებული საქართველოს ისტორია, შედგენილი ძამსაშვილისაგან“. ისტორია პატარა ტანისაა და შესდგება 190 გვერდისაგან. ამ ისტორიას არა აქვს ხასიათი სისტემატიური, არამედ ბიოგრაფიული, ამისთვის მკითხველი სიამოვნებითაც კითხულობს და ადვილადაც ითვისებს შინაარსს. ამასვე ძლიერ ეხმარება ყველასთვის ადვილად გასაგები ენა, რომლითაც ეს ისტორია არის დაწერილი.

ამისთანა თვისება აღნიშნულის ისტორიისა ადვილად არის ასახსნელი იმისთვის, ვინც იცის, თუ რა გარემოებამ შეუწყო ხელი მის ავტორს. აი ეს გარემოებაც. 1876 წელს ეს იყო მიწვეული თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად ქართულის ენისა და ქართულ-რუსულის გალობისა, სადაც ეს მსახურებდა 1883 წლამდე. თუმცა ქართული ენის კათედრა ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული სასულიერო სასწავლებლებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასწავლებელს ჰქონდა მიცემული არა ისეთი გეგმა ქართულის ენისა, რომელიც იყო მაშინ მიღებული სასულიერო მთავრობისაგან საქართველოში, არამედ გეგმას ჰქონდა მოშორებული მეტი და ცხოვრებაში გამოსულადეგი ბარგი, ხოლო მის ნაცვლად დამატებული ჰქონდა საქართველოს მოკლე ისტორია. რასაც მასწავლებელი სიტყვით ესაუბრებოდა მოწაფეებს, იმასვე სწერდა და ასწორებდა მეორე და მესამე საუბრის შემდეგ. ბოლოს უკითხავდა თავის თანამოსამსახურე მასწავლებლებს ნაკლის შესანიშნად და გასასწორებლად. ამგვარად მასწავლებელი გამოცდილებით რწმუნდებოდა, თუ უფრო რა გვარად მოთხრობილი ეადვილებოდათ, ანუ ეძნელებოდათ მოწაფეებს. ამისთანავე გარემოებისაგან

იყო გამოწვეული თვით ხასიათიც საქართველოს ისტორიის შედგენისა.

„როდესაც ჩვენ ვადგენდით ამ შრომასა, სწერს ავტორი, სახეში არა გვქონდა მეცნიერების თვალით შეგვეხედნა საგანზედ; ჩვენ სახეში არა გვქონდა რაიმე ახალი ჭეშმარიტება აღმოგვეჩინა საქართველოს ისტორიაში. ჩვენ გვქონდა სახეში შეგვედგინა საქართველოს ისტორიის **სახელმძღვანელო** მოსწავლე ქართველ ახალგაზდობისათვის.“ როგორც მკითხველიც ჰხედავს, ავტორის განზრახვას არ ეტყობა არც სიამაყე, არც ქადილი საყურადღებო ღვაწლით. ნაცვლად ამისა იგი ნათლად ჰხედავს, თუ რა პატივი აქვს მინიჭებული ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიას და ან რა ხალისით ეკიდება ჩვენი მკითხველი საზოგადოება ამისთანა ნაწერებს. იმედი არა აქვს, რომ მის შრომას, დაწერილს სულ სხვა განზრახვით და გამოწვეულს კერძო გარემოებით, გასავალი ექმნება და ამისთვის ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ „**ტოტა ვრცელი გამოვიდა ჩვენი ისტორია.**“ მაინც უნუგეშო გარემოებას არ ემონავება, გულს არ იტეხს და თუმცა იცის, რომ საქართველოს ისტორიას ჩვენს სასწავლებელში ადგილი არა აქვს დათმობილი, მაგრამ მაინც „**სახელმძღვანელოს**“ არც კი ამოკლებს. ამ ულმობელ გარემოებით მოცული ავტორი თავის თავს მხოლოდ შემდეგის სიტყვებით ამხნევებს:

„რა მივიღეთ მხედველობაში ყმაწვილებისათვის საკითხავის წიგნების სიღარიბე ჩვენს მწერლობაში, აღარ შევამოკლეთ, რადგან, ჩვენის ფიქრით, სამშობლო ისტორიის შესწავლის გარდა, ჩვენს წიგნს სხვა დანიშნულებაც ექმნება,—იგი იქმნება კიდევ **საკითხავ წიგნადაც სკოლებში**“. მაშასადამე, ავტორი ბოლოს იმედოვნებს, რომ თუ ჩემი ისტორია სახელმძღვანელოდ არ იქმნება მიღებული, საკითხავ წიგნად მაინც გამოდგებაო სკოლებში. ავტორს ცხადად ეტყობა, რომ იმან იცის ადგილი თავის შრომისა და უბრალოდ არ აზვიადებს მის ღირსებას და მნიშვნელობას. ახლაც ვერ დაჰბეჭდავდა თავის შრომას ავტორი თავის ხელმოკლეობის გამო, თუ ქველმოქმედთა უანგარობა

არ დაჰხმარებოდა როგორც ფულით, ისე ხელის მოწერის გამართვით.

III

ამისთანა სურათს წარმოგვიდგენდა ჩვენი ისტორიის ქართულს ენაზედ დაბეჭდვის საქმე 1884 წლამდინ, როდესაც თამარ ქართველიშვილისამ დასტამბა თავის საფასით „საქართველოს მოკლე ისტორია, შედგენილი მოსე ჯანაშვილისაგან.“ საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო სრულებით გაყიდული პირველად დასტამბული ისტორია რ. ძამსაშვილისა. თუ ჩვენი ისტორიის შედგენის საქმე წარმოადგენდა ზემორე დახატულ სურათს, მაშასადამე, ახლად შემადგენელს უპირველეს ყოვლისა უნდა ზედმიწევნით გაეცნო თავის საგნის ლიტერატურა, შეეთვისებინა იგი, გამოერკვია, თუ რაგვარი ისტორია იქმნებოდა უფრო შესაფერი იმ დროისთვის.

მხოლოდ შემდეგ ამისა უნდა შესდგომოდა ავტორი სამშობლო ისტორიის შედგენას უფრო მეტის დაკვირვებით, ვიდრე იყო პირველი ამგვარი ნაბიჯი, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, თავის ნაკლი ექმნებოდა, როგორც ყოველ პირველ ცდას. საჭირო არ იყო, ჯერ-ჯეროვნობით მაინც, აჩქარება, მით უმეტეს, რომ პირველი გამოცემა ჯერ კიდევ არ იყო სრულიად გაყიდული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ისტორიულ მწერლობის მოძრაობას ანუ უკეთ—პირველად გადადგმულ ნაბიჯს დაეტყობოდა უკან დახევა, შეფერხება. ამისთანა ქცევით დავამტკიცებდით, რომ ჩვენ ჯეროვანის პატივით არ ვეპყრობით, საჭირო დახმარებას არ ვუწევთ ისტორიულ მწერლობას და მისს წარმატებას. ამას გარდა, ნივთიერადაც აზარალებდა გამომცემელს, ავნებდა აგრეთვე თვით ეროვნულ საქმესაც, რადგან მკითხველს გულს აუცრუებდა, დაუკარგავდა სამშობლო ისტორიის წაკითხვისა და შესწავლის ხალისს, გაურყვნიდა გემოვნებას და გაუქარწყლებდა, დააჩრდილებდა იმ დიდებულ სხივ-

შემოსილ მამაპაპათა სურათს, როგორც დღემდე აქვს დახატული, წარმოდგენაში მაინც, ჩვენს ხალხს.

რადგან თვითეული ნაშრომი უნდა ფასდებოდეს იმის მიხედულობით, თუ რა განზრახვით არის იგი დაწერილი, ამისთვის ჩვენც ამას გზას ვერ ავუქცევთ. აი ეს განზრახვაც.

ბ-ნი მ. ჯანაშვილი თავის ისტორიის პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში ჯერ გვატყობინებს ჩვენის ისტორიულ მასალის ან უქონლობას, ან უვარგისობას, ან შეუმუშავებლობას და ბოლოს თავის განაჩენსა სდებს: „ამას შემდეგ საქართველოს უნაკლო ისტორიის შედგენა, რასაკვირველია, მეტად საძნელოა და ჯერ-ჯეროვნით შეუძლებელიც". აქედან სჩანს, რომ ავტორი შესაძლოდ ჰრაცხს უნაკლო ისტორიის შედგენას, თუ ჯერჯეროვნით ვერა, შემდეგ მაინც. მაშასადამე, წადილი ავტორისა, როგორც მკითხველიც ჰხედავს, ფართოა და გარეშემოუწერელი, რადგან ამისვე სიტყვებით, „**შეიძლება მეცნიერების ყოველგვარ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ისტორიის შედგენა**". თუმცა ჩვენს შრომის მოყვარე ავტორს ყველა ეს შესაძლოდ მიაჩნია, მაგრამ ამ ჟამად მცირედითად კმაყოფილდება: „ჩვენ, როგორც შეგვეძლო, ვიშრომეთ და შევადგინეთ... დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი შრომა, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, თუმცა ვერ აკმაყოფილებს ყოველ-გვარს მოთხოვნილებას ისტორიულის თხზულებისას, მაგრამ **მაინც ასე სუსტი არ არის, რომ არ შეეძლოს სარგებლობის მოტანა**". მკითხველისა რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ესე გვეყურება ავტორის განზრახვა: „მე დიდი სურვილი მქონდა შემედგინა ისეთი ისტორია საქართველოსი, რომელშიაც ყოფილიყო ნათქვამი ყოველივე ის, რაც კი შესაძლო იქმნებოდა თქმულიყო საქართველოზედ იმ საისტორიო მასალების საშუალებით, რომელიც ჩვენ დროს არის აღმოჩენილი,—ესრეთი სურვილი მქონდა და კიდეც შევასრულე ჩემი განზრახვა. მართალია, ჩემს ისტორიას ნაკლულევანება ეტყობა, მაგრამ, როგორც თავდაპირველადვე მოგახსენეთ, ეგ ნაკლი ჩემი ბრალი კი არ არის, არამედ იმ უვარგისის საისტორიო

მასალისა, რომელთანაც აქვს საქმე თვითეულს მკვლევარს საქართველოს ისტორიისას. ამის გამო, მეც, დღეს, მართალია, გიძღვნით საქართველოს ისტორიას, უნებლიედ შემოკლებულს, მაგრამ მაინც იმედს არა ვკარგავ, რომ ეს შემოკლებული ისტორია არის შედგენილი მეცნიერულად ყველა იმ საისტორიო მასალიდან, რაც კი ჩვენ დღეს მოგვეპოვება და, ამისგამო, არ შეიძლება ისეთი სუსტი გამოდგეს, რომ არ შეეძლოს სარგებლობის მოტანა მკითხველისთვის".

რაღა თქმა უნდა, რომ ეს სურათი მხოლოდ მაშინ მოჰხდიდა ბოდიშს ავტორს, უკეთუ მას შეემუშავებინა ის ისტორიული მასალა, რომელიც მოიპოვებოდა პირველ გამოცემის დროს. მაგრამ სავალალოც ის არის, რომ ეს მასალა ჩვენის ავტორის მიერ სულ უყურადღებოდ არის დატოვებული. ერთად-ერთ წყაროდ თავის ისტორიის შედგენის დროს ავტორს ჰქონდა რუსულად დაწერილი ისტორიები ს. ბარათაშვილისა და გოლოვინისა. ამ ისტორიებიდანაც შემადგენელს ასე უხერხულად, ისეთის სიჩქარით და ასე დაუგვირგვინებლად ამოუკრებია აქა-იქიდან ცნობები, ისიც უმარილოდ ენით, რომ მკითხველის წარმოდგენაში არამცთუ სრული ხორცშესხმული ისტორიული სურათი, არამედ მისი მკრთალი ჩრდილიც ადარა რჩება. შთელს ისტორიაში ჩვენ გერ დაგვისახელებია გერც ერთი წარჩინებული მეფე, რომლის შესახებ შესაძლო მიგვაჩნდეს თქმა „აი ამ მეფის მოდვაწეობა უფრო დასურათებულია ნამდვილთან დაახლოებით მაინც."

ამ საზოგადო შენიშვნის შემდეგ, რომლის წინააღმდეგი, ვგონებთ, არც თვით ავტორი იქმნება, საჭიროდ აღარ მიგვაჩნია კერძოდ განხილვა პირველის გამოცემისა, მით უმეტეს, რომ ჩვენს მწერლობაში უკვე („ივერია" 1883 წ. № 12) იყო ჯეროვნად დაფასებული აღნიშნული გამოცემა. ამას გარდა, რასაც ვიტყვით მეორე გამოცემის გამო, მკითხველი იქიდანაც ცხადად დაინახავს, თუ რა ღირსეობისაც უნდა ყოფილიყო ეს პირველი გამოცემაც.

IV

ვიდრე თვით ისტორიის მეორე გამოცემის გამო ვიტყოდეთ რასმეს, საჭიროდ ვრაცხთ გამომცემლის მოვალეობას შევეხოთ, რადგან ხშირად ნივთიერ ხარჯს გამომცემლისას ვერ მოაქვს ხოლმე სასურველი ნაყოფი, რასაკვირველია, შედარებით ხარჯთან. ამისთვის ურიგო არ იქმნებოდა, რომ ნივთიერ გაჭირვების დროს, როგორშიაც არის ჩავარდნილი დღეს ჩვენი საზოგადოება, გამომცემელმა ასწონოს, დააფასოს თავდაპირველადვე ღირსება გამოცემულის ნაშრომისა და როდესაც დარწმუნდება, რომ მისი ხარჯი ჯეროვანს ნაყოფს მოიტანს, მხოლოდ მაშინ შეუდგეს ამისთანა ხშირად უანგარო ხარჯს. ამას ორმაგი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რადგან არც გამომცემლის ხარჯი ჩაივლის უნაყოფოდ და ავტორიც ერთგულად, თავგამოდებით შეიმუშავებს თავის შრომას იმ მოსაზრების გამო, რომ გამომცემელი, ვიდრე ბეჭდვას შეუდგება, ეცდება ან თავისით, ან სხვის დახმარებით ღირსეულად დააფასოს დასასტამბად მომზადებული გონებითი ნაწარმოები.

ამისთანა შენიშვნის შემდეგ, უნდა აღვიაროთ, ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის სასახელოდ, რომ მოსე ჯანაშვილის მიერ ხელმეორედ გამოცემული ისტორია დაბეჭდილია კარგ ქაღალდზედ, სუფთად არის გამოცემული და ძვირადაც არ არის დაფასებული. წიგნი შესდგება 512 დასტამბულ გვერდისაგან და ღირს 70 კ. ამისთანა გამომცემელი თუ ქველმოქმედთა რიცხვში არა, ანგარების მოყვარედ მაინც არ ჩაითვლება, როგორც ამას დაინახავს მკითხველი ქვევითაც.

რაც შეეხება თვით ისტორიას, საჭიროდ ვრაცხთ, ავტორის სასახელოდ, შევნიშნოთ, რომ ახალ-გამოცემაში თვალსაჩინო ცვლილება მოუხდენია. თუ პირველი გამოცემა შესდგებოდა 248 დასტამბულ გვერდისაგან, ნაცვლად ამისა ეს მეორე გამოცემა შესდგება 512-საგან, და, მაშასადამე, ეს ახალი შრომა აღემატება პირველს ერთი-ორად. გარდა „ქართლის

რედ ათის წლის განმავლობაში, დაწყებული პირველის გამოცემიდან, დაისტამბა ქართულს ენაზედ ოთხი შრომა: ა) ვახუშტი, **საქართველოს ისტორია**, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. პირველი, ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით, გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა, ტფილისი 1885 წ. ბ) **ისტორია საქართველოსი**, უძველესის დროდამ მე-X საუკუნის დასასრულამდე, დ. ზ. ბაქრაძისა, 1889 წ., გ) **ისტორიული ნარკვევი** ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის, უძველეს დროდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე, ალ. ჭყონიასი, 1890 წ. და დ) **მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო**, ისტორიული მონოგრაფია, ნ. ურბნელისა, 1894 წ. ეს ოთხივე თვალსაჩინო შრომა სწორედ იმ დროს შეეხება, რომლისთვისაც ჩვენს ავტორს თითქმის ხელიც არ უხლია მეორე გამოცემაში. აუცილებელი მოვალეობა კი მოითხოვდა, რომ ჩვენს ენაზედ დასტამბული საყურადღებო და საგულისხმო შრომანი თვალსაფერისად მაინც გადაეფურცლა საქართველოს ისტორიის ხელმეორედ შემადგენელს, რათა მის ისტორიას საპატიო ყურადღება მიეპყრო მკითხველ საზოგადოებისა. იქმნება ჩვენს ავტორს ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნდეს აღნიშნულნი შრომანი, მაგრამ რომ პირველი ნაწილი მისის ისტორიისა სუსტია და შეუფერებელია მეორესთან, ეს კი ნათელია დღესავით.

თვით ავტორიც ჰხედავს, როგორც ეტყობა, ამ ნაკლს, მაგრამ აი რით მართლულობს თავს: „საქართველოს პირველ დროინდელი ისტორია, აგრედვე მეფობანი ფარნავაზისა, ადერკისა, ვახტანგ გორგასალისა და ზოგიერთ სხვა პირთა, ე. ი. ქართლოსიდგან ქრისტეს შემდეგ საქართველოს გაერთიანებამდე, ახალ წყაროების ჩვენებით, **სხვა სახით გვეხატება**... რადგან ეს მოითხოვს გულდასმით შესწავლა-გამოძიება-განხილვას, ამიტომ ჩვენს ისტორიაში, ამ ჟამად, აღნიშნულ დროის შესახებ, **შეგიტანეთ მხოლოდ** საზოგადო **ცნობები და ისიც მოკლედ**".

ამ სიტყვებით, როგორც თვით მკითხველიც ჰხედავს, ორი აზრი აქვს გამოთქმული ავტორს. პირველი ის, რომ საქართველოს ისტორია დასაწყისიდან გაერთიანებამდე, ესე იგი ბაგრატ მესამის გამეფებამდე, რომელმაც შეაერთა საქართველო პირველად დანაწილების შემდეგ, ავტორს ისე არა აქვს წარმოდგენილი, როგორც სხვებს, რომელთაც კი აღნიშნული დრო შეუსწავლიათ ან მის შესახებ დაუწერიათ რამე, არამედ „სხვა სახით ეხატება“. მეორე ის აზრი, რომ აღნიშნულ დროის ისტორია ავტორს შეუვსია „მხოლოდ საზოგადო ცნობებით და ისიც მოკლედ“. თუ რა სახით ეხატება აღნიშნული დრო, ამას თვით ავტორი წარმოადგენს დაპირებისამებრ, ხოლო თუ რაიმე ახალი ცნობებით შეუვსია აღნიშნული დრო მეორე გამოცემაში, ამის გასინჯვა ჩვენთვისაც მოსახერხებელია. ამისთვის ამჟამად ჯერ შევადარებთ მხოლოდ ამ ნაწილს ახალის გამოცემისას პირველთან და აღვნიშნავთ ყოველგვარ ცვლილებას, ჩამატებულსაც, გამოტოვებულსაც და შეცვლილსაც, რათა მკითხველმა თავის თვალით დაინახოს ის „საზოგადო ცნობები“, რომლითაც ავტორს მეორე გამოცემა საქართველოს ისტორიისა შეუვსია თავიდან დაწყებული გაერთიანებამდე ანუ ბაგრატ მესამემდე.

აი ეს ცვლილებაც. შემადარებელს ბევრი შრომა რომ არ დასჭირდეს, ამისთვის აიღოს ეს ხანა და მხოლოდ ფურცლები დათვალოს. მაშინ ნათლად დაინახავს, რომ პირველ გამოცემაში ამ დროის ისტორია მოთხრობილია 75-სა, ხოლო მეორე 73 გვერდზედ. გაბევრების მაგიერ რად დაკოტავებულა რიცხვი დასტამბულ გვერდებისა, როდესაც დასტამბულ სტრიქონების რიცხვი თვითეულ გვერდზედ თუმცა ერთნაირია ორივე გამოცემაში, მაგრამ მათი სიგძე კი დამოკლებულია მეორედ დასტამბულში? ეს იმის შედეგი გახლავთ, რომ გამოტოვებულია ორი გვერდი სრულიად (3—4), ოც და ხუთი კერძო სათაური და მასთან ათიოდე სტრიქონიც (გ. 1. 2. 68). სულ ერთად რომ ვიანგარიშოთ, გამოტოვებულია ასზედ მეტი სტრიქონი. ამ დანაკლისის შესავსებლად ჩამატებული აქვს სამ ადგილს

(გ. 43. 56. 62) ექვსი სტრიქონი. მაშასადამე, ავტორს აღნიშნულ ნაკუწისაგან გამოუკლია ასზედ მეტი სტრიქონი, ხოლო თვით ამის სამაგიეროდ უძღვნია ახლად ექვსი სტრიქონი. ესეთია მთელი ღვაწლი ავტორისა შესავსებად იმ ისტორიულ ჟამისა, რომელიც შეიცავს თითქმის ცამეტ საუკუნეს. ეს სურათი სრული არ იქმნება, თუ ამასთანვე არ აღვნიშნეთ, რომ მთელი ცამეტ საუკუნოიანი ხანა დანაწილებულია და თვითეული ხანა აღრიცხულია პირველ გამოცემაში რომაულ (I-XIV), ხოლო მეორე გამოცემაში ქართულ (ა-ია) ნიშნებით, თუმცა კი თვით საგანს როგორც მათი ხმარება არას უმატებს, ისე არაფერს დააკლებდა მათი უხმარებლობაც. საჭირო არ არის იმისთანა შენიშვნა, როგორსაც ვკითხულობთ მე-44 გვერდზედ ათცამეტთა სირიელ მამათა შესახებ, რადგან თვით ამ მამათა სახელები უნდა შეადგენდნენ შინაარსს არა შენიშვნისას, არამედ თვით მოთხრობისას. ამას გარდა მოთხრობა ათცამეტ სირიელ მამათა მოსვლის გამო საქართველოში, შეცდომით ჩაწერილი მეხუთე საუკუნეში, გადატანილია ახლა მეექვსე საუკუნეში, ე. ი. ვახტანგ გორგასლანის დროიდან ფარსმან მეექვსის დროს. რაც შეეხება შინაარსს, ავტორს არამცთუ ახალის ცნობებით შეუვსია ეს ნაწილი **მეორე** გამოცემისა, არამედ სიტყვები და ასოებიც კი ხელშეუხებელი დაუტოვებია. მართალია, პირველ გამოცემაში დამახინჯებული სიტყვები— აგსარტანი, ვახტანგი, ვაგარშაკი და სხვ. ავტორს გაუსწორებია მეორე გამოცემაში, მაგრამ ჩვენ ამას დიდ ღვაწლად არ ჩავუთვლით, რადგან ამავე დროს დაუტოვებია ხელშეუხებლად ამგვარი სიტყვები: დებედა-ჩაი, გარნი-ჩაი, ეგრი-ჩაი, კიდეკარი და სხვ. მკითხველმა საჭიროა იცოდეს, რომ ჩვენი მატიანე „ჩაის“ მაგიერ ჰხმარობს „წყალს“, („ეგრისის წყალი“ ქ. ც. 31), ხოლო კიდე-კარის მაგიერ **კლდე-კარს** (ქაც. 219). ახლა თვით მკითხველმა დასდოს მსჯავრი, თუ რამდენად საფუძვლიანი უნდა იყოს ამისთანა ცვლილების გამოსახატავად ავტორის სიტყვები: „**ახალს გამოცემაში შეგიტანეთ მხოლოდ სანდო ცნობები**“. ჩვენის ფიქრით, ამ სიტყვებს ადგილი არ უნდა

ჰქონდეს წინასიტყვაობაში, რადგან, როგორც თვით მკითხველიც ხედავს, ავტორს ამგვარი ცვლილება სრულიადაც არ მოუხდენია. სამართლიანი იქმნებოდა ეთქვა, რომ ჩვენს ისტორიაში ბაგრატ მესამის მეფობამდინ „ახალი ცნობები“ კი არ შეგვიტანია, არამედ მოვაშორეთ ის მეტი ბარგი, რომელიც ავკიდეთ პირველ გამოცემას, ხოლო რაც შეეხება ჩამატებულს ჩვენ მიერ ექვს სტრიქონს, ამას ჩვენ დიდ ფასს არა ვსდებთ. ვგონებთ ამით ავტორი უფრო გამოიწვევდა მკითხველის თანაგრძნობას, ვიდრე საქმის გაზვიადებით.

რაც შეეხება იმას, რომ ავტორმა ეს ნაწილი თავის ისტორიისა ამ ჟამად არ შეავსო საჭირო ცნობებით, რადგან მერმე „ცალკე“ გამოკვლევას აპირობს, ამგვარად საქმის გადადება მხოლოდ მაშინ ეპატივებოდა ავტორს, თუ რომ ეს ნაწილიც შინაარსით დაეთანასწორებინა მეორესთან. ამისთანა დათანასწორების შემდეგაც შეეძლო შესდგომოდა ახალს გამოკვლევას, თუ გინდ სულ ახალი შუქი მოეფინა თავის ახალის გამოკვლევით აღნიშნულის დროისთვის.

VI

დავერწმუნოთ ავტორს ჯერ-ხნობით მაინც, რომ ამ ხანას სულ სხვა შუქს მოჰფენს მომავალში, მაგრამ რაღა დააშავა ოქროს დროის იმ ხანამ, რომელიც შეიცავს ორ საუკუნეს —ბაგრატ მესამიდან დაწყებული თამარის გამეფებამდე? ჩვენს ავტორს მაგდენად თავი არ შეუწყენია არც ამ დროისთვის, რომელიც, ჩვენის ფიქრით, უფრო საყურადღებოა და თვალსაჩენი, ვიდრე პირველი. თუ პირველი ნაკლი საბოდიშოდ ჩავუთვალეთ მომავლის იმედით მაინც, მეორე დროის უყურადღებოდ დატოვების მიზეზად რაღას დაგვისახელებს? იქმნება ის ცვლილება, რომელიც ამ ხანასაც დაატყო, საკმარისად მიაჩნდეს ავტორს. აღვნიშნოთ ეს ცვლილებაც.

ავტორი რომ უფრო მეტის ყურადღებით მოჰპყრობია აღნიშნულ ხანას, ვიდრე წინა დროს, ეს იქიდან სჩანს, რომ

ამის დასურათებისთვის მეორე გამოცემაში ჩაუმატებია სხვა-დასხვა ადგილს **შვიდი ფურცელი**. ეს ჩამატებული ფურცლები, როგორც უნდა ვიფიქროთ, გაუყვია მეფეთა ღირსების მიხედულობით, ამ რიგად: **ერთი** ფურცელი უჩუქებია ბაგრატ მესამისთვის, სადაც დაუსახელებია ათი ისტორიული მოღვაწე. გიორგი პირველის ცხოვრება გაუმდიდრებია ერთის სტრიქონით, რომლის სამაგიეროდ ერთივე გამოუკლია, მაშასადამე, ნამდვილად არაფერი ჩაუმატებია. **ნახევარ** ფურცელი უძღვნია ბაგრატ მეოთხისთვის, რომელზედაც მოუთავსებია ანდერძი მეფისა და შინაარსი ერთის არა მაგდენად საყურადღებო გუჯრისა. მართალია, ოთხის სტრიქონის მეტი ვერ გაუმეტნია გიორგი მეორისთვის, მაგრამ ნაცვლად ამისა **ოთხ ფურცელ ნახევარი** უძღვნია დავით აღმაშენებელისთვის, რომელშიაც ჯერ არის დასახელებული ხუთი თანა-მედროვე მოღვაწე და წიგნების კითხვა დავითის მიერ, შემდეგ ნახსენებია დავითის მიერ ნაშრომი „გალობა სინანულისა“, ბოლოს აღნიშნულია მეფის ზრუნვა შიომღვიმის განშვენებისა და სამღვდელოების კეთილდღეობისათვის. დიმიტრი პირველის ცხოვრებაში ჩამატებულია შვიდი სტრიქონი ანუ ცნობები ერთის მოღვაწის გამო. **ერთი** ფურცელი შეუწირავს თამარის მამის გიორგისთვის, სადაც ავტორი აგვიწერს გიორგის ვერაგობას, რომლის გამო მან დაარღვივა თავის ძმის, მეფე დავითის ანდერძი და სამეფო ტახტი გადასცა არა თავის ძმისწულს დემნას-დიმიტრის, როგორც ჰქონდა ნაანდერძევი ძმისაგან არამედ თავის ასულს თამარს. აქვე არის აწერილი ვარძიის ტაძარიც.

აი ამ ცნობებით შეუვსია ჩვენს ავტორს ის ხანა ჩვენის ისტორიისა, რომელიც ღირსეულად შეადგენს ქართველების სიქადულს. ავტორს, როგორც მკითხველიც ჰხედავს, არ მოუმდურებია თითქმის არც ერთი მეფე ბაგრატ მესამიდგან დაწყებული თამარის გამეფებამდე და თვითეულის მათგანისთვის თავის ყურადღება არ დაუკლია. ესრეთი ყურადღება და თავის თანაგრძნობა გამოუხატავს შვიდი ფურცლით, რომელთა რიცხვი ახალს გამოცემაში ჩაუმატებია. ნუ თუ ამ ხანას იმდენად თვალსაჩინო

ალაგი არ უჭირავს თავის მნიშვნელობით ჩვენს ისტორიაში, რომ ავტორს, თუ მეტი არა, იმისთანა ყურადღება მაინც მიექცია, როგორის ყურადღებითაც ეს მოჰკიდებია ბოლო ხანას—თამარიდან დაწყებული მეფობის დასრულებამდე ჩვენში. ნუ თუ ეს ხანა უფრო საყურადღებო და უფრო საგულისხმო არ არის, ვიდრე დრო დანაწილებისა და ძმათა შორის მტრობისა და ბრძოლისა. სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენის მოსაზრებით კი ავტორს თვითეული ისტორიული ხანა ანუ მეფე საყურადღებო უნდა გაეხადა მათის მნიშვნელობისა და საზოგადო მოღვაწეობის მიხედულობით და არა თავის პირადის თანაგრძნობისა ანუ გულგრილობის ხელმძღვანელობით. ამ საყოველთაო მოსაზრების გამო, ჩვენ ვერას გზით ვერ გავამართლებთ ავტორს, რომელმაც თხუთმეტი საუკუნის ისტორია წარმოგვიდგინა, მისისავე სიტყვით, ახლად „**შეკსებული და შემოშავებული**“ და მხოლოდ შვიდი ფურცელი კი ჩაუმატა. როგორ სახელს უწოდებთ ამისთანა შევსება-შემოშავებას? ვინ ატყუებს ანუ ვინ სტყუვდება—ავტორი თუ მკითხველი? ნუ თუ ეს თხუთმეტ-საუკუნოვანი ხანა ღირსი არ იყო, რომ ავტორს თვითეულ საუკუნისთვის სათითაო ფურცელი მაინც ეძღვნა ახლად? მაგრამ იქმნება ეს საჭიროც არ იყო? იქმნება ეს ხანა პირველ გამოცემაში ისე ხელოვნურად და გულდადებით იყო შესწავლილ-შემოშავებული, რომ მისი ხელახლად შევსება საჭირო აღარ იყო. აი სწორედ კბილის გაჩხრეკაც ამას უნდა. ეს რომ არა ყოფილიყო საზრუნველი, კალმის აღებაც აღარ იყო საჭირო. ჩვენ თუ აქამომდე მკითხველის ყურადღება ჩამატებულ ფურცლებისა და მათს შინაარსის გაცნობას მოვანდომეთ, სწორედ იმის გამო, რომ ძველის იმედით ვერ ვინუგეშებდით. მართლაც, ეს ნაწილი განხილულის ისტორიისა უფრო ჩონჩხია, ისიც უხერხულად შედგენილი, ვიდრე საქართველოს თხუთმეტი საუკუნის ცხოვრება ისტორიკოსის მიერ განიავებული, გაცხრილული და დარკვეული. არც ერთი ცხოველი სურათი, არც ერთი ღრმად ჩამაფიქრებელი ისტორიული მოვლენა, არც ერთი ხსივ-შესხმული ისტორიული გვამი არ

იზიდავს მკითხველის სულსა და გულს. ყველა ნაბიჯზედ გხვდებათ უმარილო კილო მოთხრობისა, უცეცხლო სურათი, გაუღვიძებელი გრძნობა, მომაკვდავის ოხვრა-ვაება და უიმედო ნუგეში. ცხადად ატყობთ, რომ ავტორი საითღაც ეჩქარება, ვეღარც სიტყვებს აკავშირებს და ვერც დალაგებით, რიგზედ გესაუბრებათ. მკითხველი რაღაც ისტორიულის ნაქუცმაცებით იკვებება, ვიდრე დარბაისლურის მოთხრობით თავის დაცვისა და წარმატებისათვის.

VII

მიდგომით საუბარი რომ არ დაგვწამოს მკითხველმა, ჩვენ დავუსახელებთ რამდენსამე იმისთანა მოვლენას, რომელიც შეადგენს ისტორიის სულსა და გულს. თუ სხვას არა, ისტორიკოსი ამისთანა საგულისხმო საგნებს მაინც უნდა ჯეროვანის ყურადღებით მოექცეს. ამისთანა ყურადღების ღირსნი არიან: ფარნავაზი, როგორც დამაარსებელი მეფობითის მმართველობისა, რომელმაც არსებითი ცვლილება დაატყო ქართველთა მართვა-გამგეობის საქმეს; დრო მირიან მეფისა და წმ. ნინოსი, როდესაც ქართველთა ერმა გამოიჩინა იმდენი გონებითი და ზნეობითი ძალ-ღონე, რომ უარჰყო კერპთ-თაყვანისმცემლობა და მიიღო უმაღლესი ზნეობის მქადაგებელი სარწმუნოება ქრისტესი; დრო ბაგრატ მესამისა, როდესაც დარღვეულმა და დანაწილებულმა საქართველომ დაიწყო ერთმთავრობის დამყარება და გაძლიერება იმგვარ მოღვაწეთა დახმარებით, როგორნიც არიან დავით დიდი კუროპალატი, ექვთიმე ათონელი, თორნიკე ერისთავი და სხვანი. საგულისხმოა, რომ შედარებით უფრო მკრთალად არის დასურათებული ღირსება და მოღვაწეობა საქართველოს მტკიცე ბურჯის, დავით აღმაშენებელისა, რომელიც ამასთანავე, არ ვიცით კი რა საფუძვლით, არის წოდებული მესამედ, როდესაც პირველ გამოცემაში არის დასახელებული მეორედ. ეს მით უფრო საკვირველია, რომ დღეს თითქმის ყველასაგან აღიარებულია ეს მეფე მეორედ და არა მესამედ. რომ ნამდვილად ესრეთი

მკრთალია ზემორე დასახელებულ დროთა და გვამთა აღწერა, ჩვენ შეგვეძლო ამის შემოწმება მაგალითებით თვით ისტორიიდან, მაგრამ რადგან უიმისოდაც სიტყვა უნებლიედ გაგვიგრძელდა, ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ იჩვენეულთ თვით ისტორიას მიჰმართონ. მხოლოდ ერთის ნიმუშის ამოწერის ნებას კი მოვითხოვთ მკითხველისაგან, რადგან ეს ამონაწერი არ წაგვართმევს არც ბევრს დროს და არც დიდს ალაგს. აი, მაგალითად, როგორის ხელოვნებით აგვიწერს ჩვენი ისტორიკოსი ფარნავაზის ღვაწლსა და მნიშვნელობას: „ფარნავაზმა (ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ ფარნავაზს ვხმარობთ და არა ავტორის „ფარნაოზს“) მოიკლა სამეფო გაჰყო რვა ნაწილად ანუ საერისთაოდ. ერისთავები ყველაფერში ჰშველოდნენ მეფეს, მაგრამ თავისს საერისთავოს მეფის დაუკითხავად (მშვენიერი წესი ყოფილა) განაგებდნენ. ამ დროს გაჩნდა ათხი წოდება: თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა. ამავე მეფემ მოაწყო სპარსეთიდგან მოგვები(?), რომელთაც უნდა განეწმინდათ ზოროასტრის სჯული. საზოგადოდ ეს სჯული ჰგმობდა ქურდობას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებას, ტყუვილს, აქეზებდა მიწის შემუშავებას, აგრეთვე თხოულობდა ცხვრების ადგრძას. მაგრამ ამავე სჯულში იყო ბევრი ცუდი და მავნე მოთხოვნილებანიც: იმისი მიხედვით, მგდარი არ იმარხებოდა, ნათესავებს ნება ჰქონდათ შეუღლებულიყვნენ ერთმანეთთან და სხვა. ფარნავაზ მეფემ უფრო დიდი სიკეთე ის უყო ქართველებს, რომ შეადგინა ანბანი. ეს ანბანი ისეთი სრულია და გონიერად შედგენილი, რომ თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს ამგვარი თავისს ენაზე“. (გვ. 6—7). აქედან რომ გამოვაკლოთ თქმული ზოროასტრის სარწმუნოების გამო, რადგან ამ სარწმუნოების შემოღება ჩვენში ეკუთვნის არა ფარნავაზის მეფობას (ფარნავაზს აკუთვნებს მხოლოდ ა. გოლოვინი და სხვა არავინ), მაშინ დანარჩენი სიტყვებით გამოხატული სურათი წარმოგიდგენთ ნამდვილს სურათს ფარნავაზის მეფობისას. თუ რა ღირსებისა არის ეს სურათი, ამის ფასი თვით მკითხველმა გადასჭრას.

როგორც წარმინებულნი მეფენი და მათი დრო ვერ დაუსურათებია ჩვენს ავტორს ჯეროვნად, ისევე მკრთალად ანუ შეუნიშნავად რჩება მკითხველს ის დრო, როდესაც საქართველოს ერს კისრად ედება მძიმე ტვირთი უცხო ტომთ უფლებისა. ესენი არიან სპარსელნი, რომაელნი, არაბნი, თურქნი და სხვ. მკითხველი ვერ ატყობს, რომელია დრო თავისუფლებისა და რომელია მონებისა. ისე გგონია ქართველი ადამიანის ხვედრი თვით განგებით ისე მოწყობილი, რათა ეს მძიმე უღლით იბადებოდეს და უნუგეშოდ კვდებოდესო. ამისათვის არ არსებობს არც დრტვინვა, არც მწუხარება, არც ხელისა და ტვინის შენძრევა განთავისუფლებისთვის. გეგონება ამისთანა გულის თქმას მოკლებულია ქართველთა ერი, რომელსაც გრძნობა გაჰყინვია და ყოველგვარი მისი სულის მოძრაობა რაღაც თილისმით შემდგარა. წაიკითხეთ რომაელების მფლობელობის ხანა და თქვენ თვით დარწმუნდებით სხვის დაუხმარებლად. თუ მწერალი ცხადის სინამდვილით ვერ დაგვიხატავს რომელსამე ისტორიულ მოვლენას, ის სჯობია, რომ სრულიად გაჩუმდეს, ვიდრე საეჭვო და გაურკვეველ მდგომარეობაში დასტოვოს თავის მკითხველი. რომაელების ხანა ჩვენს ისტორიაში მრავალის მხრით არის საყურადღებო, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, არც ერთი მხარე არ არის ღრმადაც ხელშეხებული. სრულიად არაფერს დაჰკარგავდა ჩვენ მიერ განსახილველი ისტორია, რომ მთელი ხანა ფარნავაზის შემდეგ მირიანამდე და ეგრედვე ვახტანგ გორგასლანიდან ბაგრატ მესამემდე გამოტოვებული იყოს. ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ ის არ არის ნათქვამი, რაც უნდა იყოს, ხოლო რაც არის ნათქვამი, ის უნაყოფოა და გულგამაგრილებელი ჩვენს მკითხველისთვის, რომელსაც უჭირს გამოფხიზლება, გამოღვიძება, გულისა და სულის სიცხოველე.

ამა ჩვენის სიტყვის შესამოწმებლად, თუ გნებავთ, წაიკითხეთ მთელი ხანა ფარნავაზის შემდეგ მირიანამდე, რომელიც შეიცავს ხუთ საუკუნეს, და მოკლედ მიბრძანეთ, რასაც ამოიკითხავთ. ჩვენ კი წინადვე ვართ დარწმუნებული, რომ ეს შრომა უნაყოფოდ ჩაგივლით და წახალისების მაგიერ გული

აგიცრუვდებათ. ვერ მიჰხვდებით ვერც დროს ვითარებას, ვერც ამის მიზეზს, რაღა თქმა უნდა, თუ მხოლოდ ამ სახელმძღვანელოს მიენდეთ. წაიკითხეთ სამაგალითოდ მაინც წარჩინებული პონტოს მეფის მიტრიდატ VI ბრძოლა რომაელებთან და თქვენის თვალით დარწმუნდებით, რომ მიტრიდატს შეებრძოლება ჯერ ვიღაც სილლა? (იქმნება „სულლა“ იყოს), მერმე ლუკულლი, რომელიც **„კოლხიდიდან რომში გაიწვიეს** (გ. 15) და უკან აღარ დაბრუნებულა. ლუკულის შემდეგ მოდის დიდის ლაშქრით პომპეი, რომელმაც **„ნნწ. ქდ.-მდე** საშინლად დაამარცხა მიტრიდატი“ (იქვე). ამას შემდეგ, მართალია, მატრიდატი გაიქცა ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ არც თვით პომპეის დაეყარა კეთილი. ეს ისე გაჰქრა **„შეჯსებულ და შემუშაგებულ“** ისტორიიდან, რომ კაცმა არ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. ამის გამო, რაღაც განგებით, რომში გაწვეული ლუკულლი ისევ ბრუნდება და მიტრიდატს კუდით ქვას ასროლინებს. ერთის სიტყვით, ეს ზეცით მოვლენილი ლუკულლი ყველა იმ ამბებს ჩაიდენს კავკასიაში საზოგადოდ და ჩვენში განსაკუთრებით, რაც აქამომდე და ახლაც ისტორია აკუთნებს არა ლუკულლს, არამედ პომპეის. ეს რის ნიმუშია, თუ არა იმ აჩქარებისა, რომელსაც აუცილებლად მოსდევს ამგვარი შედეგი.

ჩვენის აზრის შესამოწმებლად დავასახელებთ კიდევ ჩვენი დედა-ქალაქის ტფილისის განთავისუფლებას თურქთა ძფლობელობისაგან. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი უცხო ტომთა ხელშია, მეფეები ხიზნებივით სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ადგილს, საიდანაც ცრემლით აღვსილ თვალებით შეჰყურებენ მაჰმადიანთა ოინბაზობას ტფილისში, როდესაც სხვა ადგილები სრულებით განთავისუფლებულია. მაინც ჯავრს გულშივე იკლავენ. ბოლოს ძლივ დარი უდგება საქართველოს და ძლევამოსილი დავითი ანთავისუფლებს ტფილისს თურქთა უფლებისაგან. აი ამ სურათს როგორის ფერადებით გვიხატავს ჩვენი ისტორიკოსი: **„1121 წელს დავითმა ოასლმნი გარეკა ტფილის-დმანისიდან, შაქ-შირვანიდან, განჯიდან და ერთ ბრძოლაში**

(რომელში?) **გასწყვიტა 60,000 სპარსი**“ (გვ. 103). მაშ დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენს ის გარემოება, რომ მეფე დავითს ერთ ბრძოლაში სამოცი ათასი კაცი გაუწყვეტია და ამავე დროს ერთმანეთისაგან დიდის მანძილით დაშორებული ადგილები ანუ ქალაქები გამოუხსნია თურქთა ხელიდან? ოღონდაც რომ შესანიშნი გმირობაა და დიდს შთაბეჭდილებასაც დასტოვებს მსმენელთა და მოსწავლეთა გონებაში. თუ გნებავთ, რომ ყმაწვილებს გაუადვილოთ შესანიშნავ ისტორიულ მოვლენის დახსომება, სწორედ ამისთანა სურათს უნდა მიჰმართოთ. ამასთანავე არ ვიცით, ავტორს რად უნებებია 1121 წლის დასახელება, როდესაც ტფილისის განთავისუფლების ხანად თითქმის ყველასაგან მიღებულია დღეს 1122 წელიწადი?

ვერაფრით ვერ გაგვიმართლებია ის საქციელიც ავტორისა, რომლის გამო გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა არამც თუ მოუქცევია ბაგრატ მესამის ცხოვრებაში, არამედ წარბ-შეუხრელად მოგვითხრობს: „ბაგრატ მესამისავე მეფობის დროს (ესე იგი 980+1014) დაიწყო მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელმა, ათონელმა“ (გვ. 80). ჩვენ გულითადის სიამოვნებით დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს, უკეთუ იგი დაგვარწმუნებს, რომ ახლად დაბადებული ყრმა (გიორგი დაიბადა 1014 წ. და ამავე წელიწადს გარდაიცვალა მეფე ბაგრატ მესამეც) რაიმე თვალსაჩენ, ისტორიაში ჩასაწერ, მოღვაწეობას შეიძლებს.

ამას გარდა თქვენ ხშირად შეგხვდებათ განხილულს ისტორიაში იმისთანა ადგილები, სადაც ჩამოთვლილია მხოლოდ მეფეთა სახელები (20. 22. 66. 103), ხოლო მათის მნიშვნელობისა და მოღვაწეობის შესახებ კი **არაფერია** სრულიად ნათქვამი, რის გამო წიგნი აჭრელებულია მოწაფისა და მოუმზადებელ მკითხველისთვის გაუგებარ ნიშნებით. ამისთანა ადგილების თავიდან ასაცილებლად, ჩვენის ფიქრით, სამჯობინარი იქმნებოდა, რომ წიგნის ან თავსა, ან ბოლოში იყოს დასტამბული საქართველოს მეფეთა და მთავართა სია თავიდან ბოლომდინ. ამ სიაში ნაჩვენები უნდა იყოს როგორც დრო თვითეულის მეფისა და მთავრის მმართველობისა, ისე სხვა-და-სხვა საგვარე-

ულონი საქართველოს მეფეთა და მთავართა. ჩვენის ფიქრით, ამისთანა სია, ხელოვნურად შედგენილი, უფრო ბევრს და უტყუარ საზრდოს მისცემდა თანამედროვე მკითხველს ანუ შემსწავლელს საქართველოს ისტორიისას, ვიდრე ჩვენ მიერ მითითებული მეფეთა სიები განხილულ ისტორიაში. მაშინ საჭირო აღარ იქმნებოდა დაბეჭდვა შენიშვნაში იმისთანა სიისა კახეთ-ჰერეთის და კუხეთის მთავართა და მეფეთა, რომელსაც ვხედავთ მე-103 გვერდზედ. ესეთია პირველი ნაწილი განხილულის ისტორიისა, რომელსაც შეიძლება საფუძვლიანად ვუწოდოთ „შეუმუშავებელი და შეუვსებელი“, რასაკვირველია, შედარებით მეორე ნაწილთან.

VIII

თუ ჩვენ მიერ განხილული ნაწილი ბ-ნი ჯანაშვილის ისტორიისა არ არის ახლად შემუშავებული და ავტორს სიჩქარე ეტყობა, ამის სამაგიეროდ, ავტორს მთელი თავის ძალღონე შეუღვია მეორე ნაწილისთვის. უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს დიდი შრომა დაუდვია ამ ნაწილის უფრო გულდადებით შესწავლისა და შევსებისთვის. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმას, რაც ჩვენ ნაკლულევანებად გვეჩვენება. მეორე ნაწილის სივრცეს შინაარსიც რომ უდრიდეს ანუ სიდიდესთან სიმდიდრეც ეტყობოდეს, ეს შრომა ღირსი იქმნებოდა დიდის ყურადღებისა და ქება-დიდებისა. მაგრამ როდესაც ჰკითხულობთ ამ ნაწილს, შინაარსი ხელში გიქრებათ და ისტორიული მოთხრობა ჰაეროვანად გეჩვენებათ. რისთვის? მიზეზი ამისი ის არის, რომ ავტორი ხშირად იმისთანა წვრილმან დავას ასტეხს, რომელზედაც სასწავლო წიგნში კრინტიც არ უნდა იყოს დაძრული. აი, მაგალითად, თამარის გამეფებისა და სიკვდილის გამო რა უადგილოდ არის ატეხილი კამათობა მე-119—120 გვ. შენიშვნაში: „თამარის გამეფებისა და სიკვდილის წელიწადნი დღემდის დაჭეშმარიტებით გამოკვლეულნი არ არიან. გახუშტით, თამარი გამეფდა 1174 წ. და

აღესრულა 1201 წ.; ბრაზეს ანგარიშით კი იგი გამეფდა 1184 წ. და აღესრულა 1212 წ. ამას გარდა ზაგიერთი მემატიანე თამარის სიკვდილის წელიწადად ჩხადის 1207 წ., ზაგი 1204 წ. და სხვ.“ ამისთანა ეჭვებს მთელი გვერდი უჭირავს. საკვირველია, რომ ბ-ნი გრენის აზრიც არ მოჰგონებია ავტორს. რა საკამათო ადგილი უპოვნია ავტორს, რომ ეს თავგამოდებით იბრძვის იმ მოსწავლეთა წინაშე, რომლებსაც უკვე დაუწერა 1184—1212 წ., ესე იგი დრო თამარის გამეფებისა და გარდაცვალებისა. თუ თვითვე არა სწერა, რასაც სწერს, ამის ადგილი ჟურნალსა და გაზეთშია, ან ცალკე გამოკვლევაში, და არა სასწავლო წიგნში. ამისთანა დაუჯერებლობის და დაურწმუნებლობის ბრალია, რომ ავტორი თავის ნათქვამსვე არღვევს მეორე ადგილს, როდესაც თამარ მეფის გარდაცვალების დროდ გვისახელებს 1213 წ. (გვ. 163). ორჭოფობა არავისთვის და არას დროს არ არის მოსაწონი, მით უმეტეს მოწაფესთან საუბრის დროს ანუ მისთვის დასტამბულ წიგნში. თუ რომელიმე საგანი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამოკვლეული მეცნიერულად, ამისთვის უნდა იზრუნონ ისტორიკოსებმა თავის სამუშაო ოთახში და არა მოწაფეთა თვალ-წინ. სასწავლო წიგნში სრულიად საკმარისია აღინიშნოს დრო გამეფებისა და გარდაცვალებისა, მიღებულ მეცნიერულ გამოკვლევის შემდეგ, თუ გინდ ეს გამოკვლევა საბოლოო და სამუდამო არ იყოს. უპირველესი ყურადღება ავტორისა უნდა მიექცეს ისტორიულ გვამის დასურათებას, მის მოღვაწეობის ცხადად აღწერას, რათა ეს გვამი შემსწავლელსა და წამკითხველს ეხატებოდეს იმ განუშორებელ შუქით, რომელიც მას დაუტყვია თავის დროისთვის და რომლითაც იგი ცხადად განსხვავდება სხვა დროთაგან.

შეუფერებლად მიგვაჩნია სასწავლო წიგნისთვის ეგრედვე ომგვარი აღწერა თამარ მეფის სასახლისა, როგორსაც ვკითხულობთ მე-153 გვერდზედ. აქ ნაჩვენებია მხოლოდ მასალა აღწერისა და არა თვით აღწერილობა. უხერხულად მიგვაჩნია ეგრედვე ის საშუალება, რომელსაც ავტორი ჰხმარობს, რათა

გააცნოს მკითხველს თანამედროვე იარაღი, საცმელი ანუ სამკაული, საფენი, ჭურჭელი ანუ ავეჯი, საკრავი, სათამაშო, ფული და სხვ. (გვ. 154—156). აქაც უნდა იყოს მხოლოდ დასურათებული ზოგადად და არა ჩამოთვლილი სახელდობრივ ცული, ბარი, თოხი და სხვანი.

კარგია ხან-და-ხან თვით მატიანეს სიტყვებითაც საუბარი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სიტყვები დიდად საყურადღებოა და ძნელად გადასაცემი სხვა სიტყვებით. მაინც ზომიერება არ უნდა იყოს დარღვეული, როგორც ეს ეტყობა თამარის ცხოვრებაში შეტანილ ადგილებს „ქართლის ცხოვრებიდან“ (გვ. 126. 128. 134. 136—138. 140. 144. 146).

ისტორიულ მოთხრობის შეგნებას ძლიერ აბრკოლებს, როდესაც ავტორი თავის სიტყვით კი არ აგვიწერს რომელსამე ისტორიულ ხანას, ადგილს და გვამს, არამედ სიტყვა-სიტყვით შემოაქვს ისტორიაში მემატიანეთა სიტყვები, წარწერები, გუჯრები, სამართლის მუხლები, მოგზაურთა აღწერანი და მზითვის სიები (გ. 126. 128—129. 130. 134. 136. 138. 144. 202. 205—209. 223—224. 234—235. 238. 259—260. 273. 277. 313. 350—359. 409. 459—462). ამისთანა წესს აუცილებლად დაეტყობა ორი ნაკლი, სიძნელე ანუ გაუგებრობა ენისა, და გაჭიანურება საუბრისა, რის გამო, რაც ორი სიტყვით შეიძლებოდა გამოთქმულიყო, ამას რამდენიმე სტრიქონი სჭირდება, მაგრამ მაინც სიცხოველე და სიადვილე აკლდება. აიღეთ, მაგალითად, დანიშნული ადგილები და თქვენ დარწმუნდებით, რომ მათი ჩამატება, თუ მეტად არა, ერთი-ორად მაინც გაუძნელებს და მეტს დროსა და შრომას მოითხოვს მოწაფეთაგან, ვიდრე თავის სიტყვით გადაცემული და მოთხრობილი.

მკაცრად უნდა იყოს დაცული ქრონოლოგიური რიგი რომელისამე ისტორიულ მოთხრობის გარდაცემის დროს და ისეთი წაჯე-უკუჯექობა არ უნდა ეტყობოდეს, როგორიც ეტყობა მოთხრობას ვახტანგ მე-VI შესახებ. ამ მეფის ცხოვრებას ქრონოლოგიური რიგი რომ დაეტყოს, თვით ისტორიაში უნდა იხტუნოთ ერთის ადგილიდან მეორეზედ ამ რიგად: გვ. 373—

375. 407—411. 378. 411. უადგილოდ უნდა ჩაითვალოს ეგრედვე საუბარი მეთხუთმეტე საუკუნეში (გვ. 230—231) იმის შესახებ, რაც აქამომდე უკვე უნდა თქმულიყო. ყველა ეს ნაკლი თითქმის არაფრად უნდა ჩაითვალოს შედარებით იმასთან, რაც ნაკლი ეტყობა განხილულს ისტორიას შესახებ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა. ეს ნაწილი საქართველოსი სრულიად დაჩრდილულია და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ შეგხვდებათ მისი ხსენება და მოგაგონდებათ, რომ იმასაც უთუოდ რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეს ქართლ-კახეთის ისტორიასთანაო. თუ ბუნებას თავის გავლენა ჰქონდა საქართველოს დანაწილებაზედ, ისტორიამაც არ უნდა დაივიწყოს ეს გარემოება და კარგად უნდა ჩაუნერგოს მისი ნაკლი და გამანადგურებელი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზედ. შეიგნებს რა ამას ჩვენი დროის ქართველი, ეს აზრი გულში უნდა ჩაინერგოს და თვით უწინდელის დანაწილებისა და უთანხმობის შესწავლით ჩაუნერგოს ჩვენ დროს საჭიროება შეერთებისა და მჭიდროდ დაკავშირებისა ქართველ ტომთა წარმომადგენელთ.

სხვა რომ ყველაფერი ვაპატიოთ ავტორს, ეს მაინც დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს, რომ ჩვენ დედა-ქალაქს ტფილისსაც კი არ გვიწერს თავის საკუთარის კალმით, არამედ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვახუშტის აღწერას. თუმცა ამ სიტყვებს აკლია ბრჭყალები, როგორც გარეგანი ნიშანი იმისი, რომ ეს ალაგი უცხო მწერალს ეკუთვნის და არა თვით ავტორს, მაგრამ ჩვენ მაინც შედარებით წავაკითხებთ მსურველს ორისავე მწერლის სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახუშტი:

„ტფილისს არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ტფილისი პირველ იყო დაბა. გორგასლან დადვა საფუძველი. დაჩიმ ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი, დიდშენნი ავაზიანნი. კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა. მაღალს ციხეში არს ეკკლესია გუნბათიანი და სასახლე მეფისა (გვ. 184. 186). პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. როსტომ მეფემ თავისა თვისისათვის აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა, 94 მეფემან გახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა“... (საქართვ. გეოგრაფია, ვახუშტისა, გვ. 188).

მ. ჯანაშვილი:

„ქალაქი თბილისი იყოფება სამ ნაწილად: თბილისად, კალად და ისნად. ტფილისი პირველ იყო დაბა. გორგასლანმა დასდვა საფუძველი. დაჩიმ ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა... ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო (გვ. 459) ექვსნი, დიდ-შენნი, ავაზიანნი. კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა. მაღალს ციხეში არს ეკკლესია გუმბათიანი და სასახლე მეფისა. პალატნი დიდდიდნი და შვენიერნი. როსტომ მეფემ თავისა თვისისათვის აღაშენა სიონსა და ანჩისხატის შუა—სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა. მეფემან ვახტანგ (1658—1675) აღაშენა სახლი შვენიერი სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა... (გვ. 460).

მკითხველი თავის თვალით ხედავს, რომ ამონაწერში ასოც კი არ არის შეცვლილი, არამცთუ სიტყვა. ამ ამონაწერს უჭირავს მთელი ორი გვერდი ისტორიისა. ახლა ვიკითხოთ, განა უკეთესი არ იქმნებოდა, რომ ეს მემატიანეს მიერ აღწერილი ტფილისი თავის სიტყვით გადმოეცა და ქალაქის უწინდელი ნაწილები აეწერა შედარებით ახლანდელთან. ჩვენ გვგონია, რომ მაშინ უფრო ნათლად წარმოიდგენდა მკითხველი ძველ სურათს ქალაქისას. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ 94 ვახტანგი ავტორს შეცთომით ჰგონია მეხუთე, ეს არის ვახტანგ მეექვსე—სჯულისმდებელი, შვილის-შვილი ვახტანგ მეხუთისა. ეს ის ვახტანგია, რომელიც გადასახლდა რუსეთს 1724 წელს.

ბოლოს საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ ერთი თვალსაჩინო ნაკლიც. აქამომდე არ დაწერილა არც ერთი ისტორია საქართველოსი, ქართულად თუ რუსულად, რომ ეს არა ყოფილი-

ყო რამდენსამე ნაწილად დაყოფილი. თვით ბ-ნ მ. ჯანაშვილის ისტორიასაც პირველ გამოცემაში ეტყობოდა ამგვარი დანაწილება, სახელდობრ, მითიური—მეფობამდე, ისტორიული—ფარნავაზიდან მეთხუთმეტე საუკუნემდე ანუ დანაწილებამდე და დანაწილებიდან მეფობის დასრულებამდე. მით უფრო საჭიროა და სახეირო ამისთანა დანაწილება, რომ ჩვენი ისტორია თავის ნაწილებით უდრის თვით მსოფლიო ისტორიას, სახელდობრ ძველი ხანა, საშუალო და ახალი. მიუხედავად ამისა ჩვენს ავტორს მეორე გამოცემაში სრულიად მოუსპია იმგვარი დანაწილება, რომელიც უნებლიედ შემოიღო პირველ გამოცემაში. რისაგან უნდა იყოს გამოწვეული ესრეთი საქციელი? ნუ თუ ავტორს ეს უსარგებლოდ მიაჩნია? სრულებითაც არა. თუ ამხანად ავტორმა ეს უარჰყო, უფრო იმისთვის, რომ წინანდელ დანაწილებას ვერ დაუკმაყოფილებია მისი ფართო მოთხოვნილება, ხოლო შემდეგისთვის, იმედია, შეავსებს ამ ნაკლს, როგორცა სჩანს შემდეგის მისის სიტყვებისაგან: „ვრცელი, გამორკვეული და ხანა-ეპოქებად დაყოფილი ისტორია წარმოდგენილ იქმნება ცალკე, მეფე-მთავრებისა და ქათალიკოსების სიებითურთ.“ ვისურვებთ, რომ ეს საქებური წადილი სასიქადულოდ შეესრულებინოს ჩვენს შრომის მოყვარე ავტორს და ამასთანავე უყურადღებოდ არ დაეტოვებინოს ისიც, რაც ჩვენ საჭიროდ დავინახეთ საქმის წარმატებისა და ჩვენის სამშობლო ისტორიის საფუძვლიანად შესწავლისა და შემუშავებისათვის.

IX

ჩვენ დაწერილი გვქონდა ზემორე ნათქვამი, როდესაც წავიკითხეთ „ივერიის“ № 74-ში „ბიბლიოგრაფია მოსე ჯანაშვილის ისტორიის გამოცემის გამო“, ბ. „ინი და ფარი“-სა. აქ გამოთქმული აზრი არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ ასაბუთებს კიდეც ჩვენს ძირითადს შეხედულობას იმის გამო, თუ რა სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი ეროვნული თვით-შემეცნების საქმე. ერთი მოვლენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც აღუნიშნავს ბ. „ინ და ფარ“-ს, უტყუარი ნიშანია იმისი, თუ რა უნუგეშო სასოწარკვეთილებას მისცემია ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა ვითომ „**ნარ-დოსის**“ წერილების გამო საქართველოს წარსრულის შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტობას თუ გულსაკლავი არა, აი რა ფრიად საგულისხმო მსჯავრი დაუდვია 1890 წელს საქართველოს ისტორიის შესწავლის გამო ქართველთა მიერ: „**ჩვენთვის სირცხვილი არ არის თამარ მეფის ცხოვრება რომ არ ვიცოდეთო**“.

ვინც ჩაჰკვირვებია ჩვენს ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნეში, რასაკვირველია, იმან კარგად იცის, რომ ეს სამწუხარო და სავალალო მდგომარეობა სრულიადაც არ არის შედეგი „**ნარ-დოსის**“ წერილებისა. ესე რომ იყოს, დიდად სამწუხარო არ იქმნებოდა ამგვარი მოვლენა. საქმე ის არის, რომ ამას უფრო ღრმა ფესვი აქვს, რომელსაც შეუიარაღებელი თვალი ადვილად ვერ გაარჩევს. ეს არის, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, მთელი ახალი წესწყობილება ჩვენის ცხოვრებისა, მოქარგული ახალს სარჩულზედ, ახალს ნიადაგზედ. აი ამ წესწყობილებამ და ამ ნიადაგმა დაჰბადა თვით „**ნარ-დოსები,**“ „**აშორდიები,**“ ის ცხვრის ტყავში გახვეული მოძღვარ-მოწაფენი, რომელნიც უსირცხვოდ და მოუკრთალებლად ამხობენ ყოველსავე, რაც კი ნამდვილ ქართველისათვის უნდა შეადგენდეს „**წმიდათა-წმიდას.**“ გაიხსენეთ თუნდა დღევანდელი საქმე „**დაბადებისა**“ და წმ. ნინოს „**დაუჯდომელისა**“, თუ შორს მიხედ-მოხედვას არ ისურვებთ. ჩვენ მაინც სასოწარკვეთილებას არ ვძლევით, რადგან ამგვარად მოაზრენი, როგორც „ინ და ფარი“ გვანუგეშებს, მხოლოდ „სუსტნი და გულფიცხლნი“ სტუდენტნი ყოფილან. მიუხედავად ამისა, ამათაც კი, წარმოიდგინეთ, ბოლოს დაუდგენიათ: „ამ, ე. ი. მეცხრამეტე, **საუკუნის დასაწყისიდან უნდა შევისწავლოთ ჩვენი ისტორია ყოვლის მხრით**“. თუმცა, მართალია, ამისთანა სურვილი ცოტა დაგვიანებულია, რადგან ეს გრძნობა დაბადებულა მხოლოდ 1890 წელს, და სამშობლო ისტორიის შესწავლაც ბოლოდან ახლად შემოღებული რიგია,

მაგრამ ამას ვინღა მიაქცევს ყურადღებას, როდესაც „სუსტი და გულ-ფიცხელი“ ახალგაზდობაც კი განმსჭვალულა სანუგეშო გრძნობით. საყურადღებოა ისიც, რომ ამავე დროს ჩვენა გვყოლია მძლავრი და აუჩქარებელი სტუდენტებიც, „რომელთა შორის, როგორც გვარწმუნებს „ინ და ფარი“ მოუკიდნია ფეხი და ფრთა აუსხავს წარსულის სიყვარულის გრძნობას“. ამ ახალის მიმართულებისავე შედეგია, რომ „ინ და ფარი“-ც შეიარაღებულა ახალგაზდობის სიმხნით და განუზრახავს, რათა ჩვენი ისტორია, რომელიც ჩვენ თვითონ მეცნიერულად გამოგვიკვლევია და შეგვისწავლია, რუსებსაც გადუთარგმნოს და შეასწავლოს, უკეთუ ამის წინააღმდეგი არ იქმნება თვით მ. ჯანაშვილი, როგორც ავტორი ამ ისტორიისა. მართალია, ავტორი ხელს არ უცარავს ახალგაზდა მშრომელს და სათუო პირობით აძლევს რუსულად თარგმნის ნებას (ივერია № 86), მაგრამ „ინი და ფარი“ ჩვენ რომ დაგვკითხებოდა, გადაჭრილ უარს ვეტყოდით და მით დავიხსნიდით როგორც გულწრფელ მთარგმნელს უნაყოფო შრომისაგან, ეგრედვე ჩვენს ეროვნულ ისტორიას იმ შეურაცხყოფისაგან, რომელიც იქმნებოდა შედეგად რუსულის თარგმანისა.

ნ. მთვარელიშვილი

ბიბლიოგრაფია

«ორი მოთხრობა» ეგ. ნინოშვილისა (ინგოროყვასი), ავტორის სურათით და მისი ბიოგრაფია, შედგენილი გ. წერეთლის მიერ, ტფილისი 1895 წ.

შარშან გარდაიცვალა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზდა ბელეტრისტი ეგ. ნინოშვილი და შარშანვე ერთმა მისის ნიჭის პატივისმცემელმა განიზრახა შემოკრება ბელეტრისტის უკანა ნაწერისა და ცალკე წიგნად დაბეჭდა. განა, მგონიხარ, რომ ამ განზრახვის განხორციელება ფრიად სასურველი, სასარგებლო და სწორედ გეთილი საქმე იქმნებოდა? მაგრამ, სამწუხაროდ, ამ განზრახვას არ ელირსა საქმედ გადაქცევა...

ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დღეს იმისთანა ნიჭიერის მწერალის ნაწერები ერთად დაბეჭდილი არა გვაქვს. ამ ნაკლის შევსება ჩვენს ლიტერატურაში მოინდომა რადაენდმე «გვალის» რედაქციამ და წელს დასტამბა პატარა წიგნაკი, რომლის სათაური ზემოთ მოგიხსენეთ. წიგნაკში დაბეჭდილია მხოლოდ ორი პაწაწინა მოთხრობა: «განკარგულება» და «მონადირე». რასაკვირველია, ამისთანა პატარა მოთხრობას, ანუ, უკეთ ვსთქვათ, პატარა ამბავს, გაგრეთ მოთხრობილს, ბევრი არა მოეთხოვება-რა და არც ჩვენა გვაქვს აზრად ამ ორის მცირე ნაწარმოების გარჩევა და განხილვა კრიტიკის თვალითა. გიტყვით მხოლოდ, რომ კაცი დიდისა და განსაკუთრებულის ნიჭით უნდა იყოს მოსილი, ამისთანა პატარა ამბით ბევრი რამ უთხრას მკითხველის გულსა და სულს. მაინცა და მაინც ამ ორს პატარა ნაწერსაც ატყვია, ტოტად თუ ბევრად, ნიჭი ნინოშვილისა, ამჩნევია მადლი იმ შემოქმედობისა, რომლის ნაყოფიც იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«პალეოსტომის ტბა» და სხვა უფრო შესამჩნევი ნაწერები უდროვოდ გარდაცვალებულისა.

არ შეგვიძლიან, სამწუხაროდ, არ აღვნიშნოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ენა ამ ორის პატარა ამბისა ალაგ-ალაგ ცოტა გაუშალაშინებელია. წიგნაკი იაფი გამოცემაა, ხელ-მისაწვდომი მდაბიო ხალხისათვის და შინაარსითაც სახალისო საკითხავია მისთვის; ამიტომ ამისთანა წიგნაკების ქართულს ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. თუ განსვენებულმა რაიმე მიზეზების გამო ვერ შესძლო, ვერ მოასწრო ესა, ამ საქმეს ღირსეულად უნდა გასძღოლოდა გამომცემელი, «კვალის» რედაქცია. ჩვენის აზრის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

„...ფანატიკოსს ბეჟანას **იშვიც არ შეჰქონდა** ზღაპრებში მოთხრობილი **ამბების სინამდვილეზე**“...

ეს წინადადება ქართულად არ არის აგებული და მალიან უდის სუნი რუსიციზმისა.

...„მართალია, ბოლოს დროს ბეჟანა ძლიერ **ჩიოდა ნადირის გადასვლაზე**“...

ჩიოდა რასა და არა რაზედ. რაზედ სჩივი? რუსულად ასე ითქმის—почему жалуешься, «რაზედ მიწყრები, უქენო, რა მმართებს ნეტავ შენია?» რას მიჩივი, რას სჩივი?—О чемъ жалуешься.

„**ზუილი** მგლებისა.“

მგლები ჰყმუიან, ჰღმუიან და არა ჰზუიან, არცა ჰზმუიან.

...„**გვერდთან** წაიჩხუბნენ კვერნები“...

...„რომ **შეეტყო ვარსკვლავზე**, რამდენი გავიდა **ღამის** და რამდენი დარჩა კიდევაო“...

არც ეს არის კარგი ქართული. ქართველი ასე იტყოდა: ვარსკვლავებზედ შევატყობ ცას, რამდენი დრო გასულა ღამისა და რამდენი დარჩენილა კიდევაო.

...„კარგ **ნიშნად** ჰქონდა დაცდილი“...

რაკი კარგად დაცდილი ჰქონდა, სიტყვა **ნიშნად** საჭირო აღარ არის. კარგად მქონდა დაცდილი, ცუდად მქონდა დაცდილიო—ასე უნდა იყოს.

…„იქაური მონადირეების ფიქრით, მდგომარეობს შემდეგში"…

ეს სულ ხალასი რუსიციზმია. ლექსთა-შექსოვას, ზედ-შესრულის შეთანხმებას აღარ გამოვეკიდებით: ეს ნაწილი გრამატიკისა სრულიად უარყოფილია თითქმის ამ წიგნაკში.

ორიოდე მაგალითი კიდევ:

…„რომ **მას** მოუტანეს ბოქაულის უწყება, რომლითაც **მას** უნიშნავდა ბოქაული ვადას…

შეუძლებელია ამდენის ნაცვალ-სახელის ხმარება ქართულში.

… ას ცხრა მანათი **იმდენზედ** დიდი ფული იყო, რომ **მის**…

…„მოაწია გაყიდვის რიგიც"…

მოაწია რამ? დრომ, რიგმა… და არა რა?

…**საზოგადო გაჭრობიდან დაირჩინა** ეს ხარები…

უცნაური მიმოხვრაა!

ორიოდე სიტყვა ვსთქვათ განსვენებულის მგ. ნინოშვილის ბიოგრაფიის შესახებ, რომელიც შეუდგენია ამ წიგნაკში ჩასართავად ბ-ნს გ. წერეთელს. მაგრამ მანამდე ერთი რამ კიდევ უნდა ვუსაყვედუროთ გაკვრით «კვალის» რედაქციას. ამ დალოცვილს, ის არა სჯობდა, რომ ორ პატარა, თითქმის უმნიშვნელო ამბავის მაგიერ დაესტამბა ცალკე წიგნად ერთ-ერთი დიდი მოთხრობა ნინოშვილისა, «კვალში» დაბეჭდილი შარშან და შარშან-წინ: ან «ჩვენის ქვეყნის რაინდი», ან «პარტახი», რომელსაც აფთიაქხანის სასწორით სწონავდა რედაქცია და ისე აწვდიდა მკითხველებს, თითქო მეწვრიმალეა და კვესა ჰყიდის თითო კაპეიკისასაო. ამით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა თავის-თავსაც, განსვენებულის სახელსაც და მკითხველსაც. დიდი თაყვანის-მცემელი უნდა იყოს კაცი მწერლისა და დიდი მოთმინებაც უნდა ჰქონდეს, რომ იკითხოს მისი ნაწერი, რო-

მელიც პატარ-პატარა ნაშრობით იბეჭდება კვირეულს გაზეთში სამსა და ოთხს თვეს!

რაიცა შეეხება განსვენებულის ბიოგრაფიას, ურიგოდ არ არის შედგენილი. ამ ბიოგრაფიაში აღწერილია, რომ ღარიბ-ღატაკის დედმამის შვილი, ერთის სასწაულის გლეხ-კაცის ბიჭი ათას ჭირსა და ვაგლახშია, მაგრამ მაინც ეტანება წიგნს, სწავლას და, თუმცა მრავალი დაბრკოლება ელობება წინ, მაინც არ ჭკარგავს იმედს, ებრძვის გმრემობას, ისწრაფის ნათლისკენ და ბოლოს იმდენად გითარდება, რომ უკვე «მარილია ამ ქვეყნისა»; ნიჭი მისი ჭნათობს ახლა ბრწყინვალედ და აშუქებს, ათბობს თვისის ნამოქმედარით ტანჯულთა და ბნელში მყოფთა. ბიოგრაფიიდანვე სჩანს, რა ადვილად შეიძლება თვით უნიჭიერესი ყმაწვილი შთანთქას საბნელემ, სიღარიბე-სიღატაკემ, ათასმა ჩვენმა მოუწყობლობამ და ურიგობამ, ჩვენმა დაუდევრობამ სასწაულ-განათლების გავრცელების საქმეში. ვინც ამ ბიოგრაფიას წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ უველას წმინდა და სამღვთო მოვალეობაა, ეცადოს სოფლად განათლების სხივი მოჰფინოს, ცოდნა გაავრცელოს, რადგან უამისოდ მრავლისაგან მრავალნი ნიჭიერნი, ობოლნი მარგალიტნი, როგორც ზღვის ძირას, ისე დამარხულნი ერის გულის სიღრმეში, შესაძლოა, სამუდამოდ დაეკარგოს ქვეყანას. მადლობა ღმერთს, რომ ნინოშვილი მაინც და მაინც ვერ დაჭღუშა უმეცრებამ, სოფლის წუწდიადმა და იმდენი იბრძოლა, ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, თვის ნიჭს მოუარა, გაეფურჩქნა, თვით სახელი მოიხვეჭა და ჩვენს მწერლობას, ჩვენს ერსა და ქვეყანას აჩუქა ისეთი ნაწერები სიტყვა-კაზმულის მწერლობისა, რომელიც არის: «ქრისტინე», «სიმონა», «ჩვენის ქვეყნის რაინდი» და სხვ.

ბიოგრაფიის მტირეოდენ ნაკლულევანებად ის ჩაითვლება მხოლოდ, რომ მისი შემდგენელი წამ-და-უწამ თავისს ამბავს მოგვითხრობს, ისეთს ამბავს, რომელსაც მტირედი კავშირი აქვს განსვენებულის ეგზისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, რომელიც ნაკლებად ახასიათებს იმის ვინაობას, იმის სულის ვითარებას. ასეთია, მაგალითად, საკმაოდ ვრცლად მოთხრობილი ეპიზოდი იმისი, თუ როგორ წაუკითხა გ. წერეთელმა ნინოშვილს უცირიდაში ბ-ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოლობერიძის კანტორაში თვისის მოთხრობის «პირველ ნაბიჯის» სცენები, როგორ დიდად მოიწონა ეს რომანი და ბოლოს როგორ იტირა (?) მოთხრობის გმირთა სულ-ბედისათვის (გვ. XIII-IVX); ასეთივეა ეპიზოდი შესახებ მუშების აჯანყებისა ბათუმს (როტშილდის ქარხანაში). აქ გ. წერეთელი ვრცლად მოგვითხრობს, რომ იმ დროს მე არტელს ვადგენდი ბათუმში მუშებისას, აჯანყებულმა მუშებმა მე მომმართეს; დავიწყე შუამდგომლობა თ. ნ. ერისთავის წინაშე საწყალთათვისაო და სხვა ამისთანები, რომელთაც, როგორც მოვიხსენეთ, ძალიან მცირედი, სულ შორეული ინტერესი აქვს ნინოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობის მსურველთათვის (გვ. VIII-XII).

ბიოგრაფია, ჩვენის ფიქრით, უნდა გარკვევით ახასიათებდეს მწერალს, გვითვალისწინებდეს მის ცხოვრებასა და მოქალაქეობას არა მარტო იმ გარემოებათა აღნუსხვით, რომელნიც მწერლის გარეგანს ცხოვრებას შეეხება, არამედ იმ გარემოებათა გარკვევითაც, რომელთა გამო სწარმოებდა ზრდა საბიოგრაფიო კაცის სულისა, ნიჭისა, რომელთა ზედ-გავლენითაც შემუშავდა მისი ფიქრი და აზრი, მისი ფსიხოლოგია. ყოველს ამას ძალიან მოკლებულია ბ-ნ გ. წერეთლის მიერ შედგენილი ბიოგრაფია ეგ. ნინოშვილისა. მაინც ამისათვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ბიოგრაფიის ავტორისა. ამ ბიოგრაფიით ცოტად მაინც გაგვაცნო ის გარემოებანი, რომელთა შორისაც აღიზარდა და მწერლობდა ჩვენი დაუვიწყარი ეგ. ნინოშვილი. როცა უფრო მრავლად მოგროვდება საბიოგრაფიო მასალა, მაშინ, იმედია, დაიწერება უფრო ვრცელი ბიოგრაფია, რომელსაც მცირედი მნიშვნელობა არ ექმნება ჩვენის მკითხველის საზოგადოებისათვის.

G.

Очерки по Исторіи Грузинской словесности. Выпускъ первый. Народный эпосъ и апокрифы. **А. С. Хаханова.** Москва 1895 годъ.

ვინც ჩვენს თხზულებას («სახალხო პოეზია») კითხულობს «მოამბეში», ცხადად დაინახავდა, თუ როგორ შევსტირით ჩვენ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ სტრიქონში ცასა და ქვეყანას, რომ ჩვენი ლიტერატურა საზოგადოდ და სახალხო სიტყვიერება ნამეტურ სრულიად არ არის შემუშავებული, რის გამოც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ვითომც სრულიად არავითარი გონებრივი განძი არ გაგვჩნდეს: არც მწერლობა და არც სახალხო ეპოსი (მაგ. იხილე) „Исторія всемірной литературы“ Зотова იმ ადგილას, რომელიც შეეხება ქართულს ლიტერატურას; დუბროვინის „Закавказье“ გვ. 127, 137 138; ზუბოვის „Картины Кавказскаго края“ ч. 1. გვ. 12—13, 151—152; ს. ცაგარელის „Грамоты и другіе историческіе документы“ გვ. XXXVII., „Съв. Вѣстникъ“ за 1889 годъ № 2 „Письма о Грузіи“ Н. Д. და სხვ).

მით უმეტეს სასიამოვნო და განსასვრელია ჩვენთვის შეძენა ისეთის შესანიშნავი თხზულებისა, როგორიც არის ზემოაღწერილი „Очерки“ ბ-ნ ს. სახანაშვილისა. ავტორი ამ ახალის შრომისა უკვლასთვის ცნობილია ჩვენშიცა და რუსეთშიც, როგორც დაუღალავი მოღვაწე და თავდადებული მკვლევარი ჩვენის ძველისა და ახალის მწერლობისა, სახალხო სიტყვიერებისა და ისტორია-არქეოლოგიისა. მის ურიცხვ ნაწერებში ეს ახალი თხზულება ყველაზე უფრო დიდი და საყურადღებო შრომაა. ეს გებერთელა თხზულება (366 გვ.) შესდგება ორის ნაწილისაგან; პირველი შეიცავს სახალხო ეპოსის განხილვას (3—143 გვ.) და მეორე შეეხება მწერლობითს ლიტერატურას (143—366). ამ ორ ნაწილს წინ უძღვის ორი შესავალი: პირველში არის განმარტებული საგანი წიგნისა, მეორეში არის მოკლე მიმოხილვა ბოჰემისა, ბრასსესი, მაქს მიულლერისა, თრიდრის მიულლერისა და სხვების თეორიებისა შესახებ ქართულ ენის ჩამოშავლობისა. პირველი ნაწილი თხზულებისა შეიცავს რვა თავს: I—სახალხო ჩვეულებანი და სიმღერანი, II—გმირული ლექსები, III—ისტორიული ლექსები, IV—ლირიგური ლექსები, V—ზღაპრები, VI—ანდაზები, VII—გამოცანები და VIII—შელოცვები. მეორე ნაწილი არის გაყოფილი სუთ თავად: I—ქართული ჰიმნოგრაფიები, II—სასულიერო ლექსები (Духовный стихъ), III—ლეგენდები, IV—სახალხო წიგნები (კარაბადინები, კალანდობა, სამთვარიო, სიზმრის წიგნი, ხიროსმანტია და სხვ.), V—წმიდათა ცხოვრებანი. წიგნი დაბოლოებულია დამატებანით.

ქართულ სიტყვიერების ისტორია,—ბ-ნ ა. ხახანაშვილის აზრით, —შეიცავს განხილვას ზეპირ-სიტყვიერებისას და მწერლობისას. პირველი არის შექმნილი მთლად ხალხის მიერ, რისგამოც იგი არის მოკლებული კერძო ინტერესებს. მეორე ეკუთვნის კერძო ავტორებს. ხალხს დაუწყია გონებრივი განვითარება უძველესს დროიდან და პირველად შეუქმნია ლოცვები და რელიგიური სიმღერები ღმერთების სადიდებლად. ამ თავის ნაწარმოებს ხალხი უყურებს საღმრთო კრძალულებით. მწიგნობრობის გაჩენიდან დაიწყო ახალი ფორმა სიტყვიერებისა—სასულიერო ლექსები და ლეგენდები. მითოლოგიურის თეორიით, ყველა ეს ნაწარმოებნი სიმბოლიური გაპიროვნებაა ბუნების ძალთა (იაკობ გრიმმი, მანნჰარდტი, შვარცი, გუბერნატისი, ორესტ მილლერი და აფანასიევი). მეორე თეორიით («თეორია ლიტერატურულის გავლენისა»), ეს კალაპოტი (ცოტა უნდა შევიწროვდეს (ბენფეი, ვესელოვსკი, ვსევოლოდ მილლერი) და მესამე თეორიამ წამოაყენა წინ დიდი გავლენა ქრისტიანობისა (ბოგომილებისა და აპოკრიფებისა) სახალხო სიტყვიერებაზედ (ბუგგე). თუ ევროპაში ასეთი ყურადღება აქვს მიქცეული ამ საგანს, ჩვენში, წინააღმდეგ ამისა, ძალიან გვიან მიაქციეს ყურადღება სახალხო პოეზიას, პირველად ჩვენი პერიოდიული გამოცემანი სრულებით უარს ჰყოფდნენ ამ საგნის მნიშვნელობას და მათში სახალხო პოეზიის ერთი ნიმუშიც არ იბეჭდებოდა. პირველად სახალხო პოეზიას მიაქცია ყურადღება «დროებამ» და იწყო ამ პოეზიის ნიმუშების ბეჭდვა. შემდეგ სახალხო პოეზიას ფართო ადგილი აქვს დათმობილი «თეატრში», «ივერიაში», «ჯეჯილში», «ნობათში», „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“-ში და სხვ.

სახალხო ლექს-სიმღერებში,—განაგრძობს ბ-ნი ა. ხახანაშვილი,—პირველად ეხება გაღმერთებულს გარეშე ბუნებას: მზეს, მთვარეს, გაზაფხულს, გაზაფხულის ღმერთს. ხალხი დღესასწაულობდა მზის ამოსვლას, ჩასვლას, მოახლოებას გაზაფხულისასა. მზის დღეობა ბოლოს შეუერთდა შობა-ახალწელს. ამ დღესასწაულებს შეეხება მრავალი სახალხო ჩვეულება და სიმღერები (მაგ. «კალანდობა», «ალილო-არალო», «ბედის კვერი», «ბასილა»). ამ ჩვეულებათა და დღესასწაულთა აქვთ კავშირი აგრეთვე ყველიერთან, შავ-ორშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათთან («ყეენობა»), აღდგომასთან, ახალ-კვირესთან («ბერიკელა», «კუდიანობია», «ჭონა» და სხვ.)

მეორე კატეგორიას სახალხო ნაწარმოებისას შეადგენენ გმირული ლექსები. იგინი განიყოფებიან ორ რიგად: პირველში ხალხი უმღერის ბუმბერაზებს (великіе богатыри, великаны.), მეორეში კი განმარტულია აღმოსავლეთის სიუჟეტები და მოტივები. პირველ რიგის ლექსებში ყველაზე უფრო თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს **ამირანს**, მეორეში კი—**როსტომს**. ამირანზე ყველგან შეხვდებით საქართველოში ლექსებს და თქმულებათა, მაგრამ სრული თქმულება არის შენახული მხოლოდ სამი და სამივე წარმოადგენს უფრო პროზულ ნაწარმოებს, ვიდრე გალექსილს, წყობილ სიტყვაობას. ერთი ვრცელი ვარიანტი ეკუთვნის ფშაველებს, მეორე—სვანებს, მესამე არის ჩაწერილი ქართლში, სოფელ ბრეთს. ამ თქმულებებში ამირანი არის ხან სულკალმახის შვილი, ხან ბადრისა და უსუპის ძმა, ხან ბადრის შვილი. იმერულ ვარიანტში კი ამირანი არის შერეული ქალთან—როკაპთან (რუსების «ბაბა-იაგა»).

ყველა ვარიანტებში ამირანი არის დასურათებული ორ ნაირად: კეთილ და ბოროტ არსებად, ღმერთად. როგორც კეთილი ღმერთი, იგი ჰხოცავს დევებს, ებრძვის ცას, რათა მოსპოს ქვეყანაზე ბევრი უსამართლობა, ცდილობს ხალხს აძლიოს რძიანი და არა სისხლიანი პური და ამისთვის დასჯილია ღმერთისაგან *), როგორც მიჯაჭვული პრომეთეოსი ბერძნებისა. მეორე მხრით ამირანი ებრძვის ღმერთს, ქრისტეს და სურს გასწყვიტოს კაცობრიობა. ეს მოვლენა შესანიშნავია ჩვენში. ბოროტების ღმერთი (богъ зла) ქართულს წარმართულს სარწმუნოებას არ სცოდნია, კეთილის ღმერთი კი ჰყავდა—არმაზი (ორმუზდი სპარსელებისა). ამისათვის ალბად სპარსე-

---

*) მეტი არ იქნება აქ დავსძინოთ ჩვენის მხრით, რომ ყველა ასეთს თქმულებაში ზოგიერთნი ღვთის-მეტყველნი და ფილოსოფოსნიც, მიმდევარნი მითოლოგიურის თეორიისა, ჰხედავენ პირველ გაღვიძებას კაცობრიობის თვით-შემეცნებისას, ანუ კაცისაგან გარეშე ბუნების დათრგუნვას, მაზედ ამაღლებას გონებით, კაცისგან თვისის უმაღლესის მოწოდების შემეცნებას, მის პირველს კულტურულ ნაბიჯს და სხვ. (იხილე ამაზე O. Pfleiderer-Genetisch. Spekulativ Religion. vier Haupt. Seit. 364—5; I. Eichhorn—Urgeschichte. B. I. S. 424; D. Straus—Die christliche Glaubenlehere. 1841. B. II § 55. S. 27—34).

მ. კელ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების ბოროტი ღმერთი არიმანი შეერთდა ჩვენს ამირანთან. ეს იქიდან სჩანს, რომ არიმანის მსახურნი ანგელოზები Aeschma-ები გავრცელებულია ჩვენში და უთუოდ მათი ბატონი ღმერთიც არ დაავიწყდებოდათ ქართველებს. ამირანის თქმულებაზედ ჰქონდათ აგრედვე გავლენა აპოკრიფებსაც ისე, როგორც თვით ამ თქმულებათა ჰქონიათ გავლენა ლეგენდებზედ შესახებ წმ. გიორგისა და სიმეონისა.

როსტომის შესახებაც სამი სრული ვარიანტია დაცული: ერთი სვანეთში, ერთი ფშავეთში და ერთიც იმერეთში. გმირულ ლექსებს და თქმულებათა ეკუთვნის აგრედვე თქმულებანი და ლექსები ეთერისა და აბესალომისა («ეთერიანი»), თორღვასი, გიგასი, ზეზვასი, არსენასი, სოლოღასი და სხვ.

ისტორიული ლექსები შეეხება უმეტეს ნაწილად თამარსა და ერეკლეს. თამარიცა და ერეკლეც—ორივენი ბრწყინავდნენ საქართველოში, მაგრამ ლექსებში ორივენი მოსთქვამენ, რომ მთლად ვერ მივაღწიეთ ჩვენს სურვილს და ვერ მივანიჭეთ სამშობლოს დიდებული მომავალიო. თათრების შემოსევამ საქართველოში ბევრი სიუჟეტები გააჩინა სახალხო სიტყვიერებაში. არიან ისტორიული ლექსნი აგრედვე არჩილის შესახებაც.

ქართული სალირიკო ლექსები მოკლედ მოჭრილია, ლაკონური და სხვა ენაზე ძნელი გადასაღები. ხშირად შეყვარებულ ქალისა და კაცის მაგიერ გამოჰყავს ხალხს შინაური და გარეული ცხოველები. ქართულ ლირიკაში პირველი ადგილი უჭირავს ქალს: აქ იგი არის დაუშრეტელი წყარო და უკვდავი მუზა ხალხის პოეტურის გენიოსობისა (იხ. ჩემი «სახალხო პოეზიის» მეორე თავი მოამბე 1894 წ. დეკემბერი). სხვა გვარი სალირიკო ლექსები შეეხება მიწის მუშაობას, გუთანს, ხარს და საზოგადოდ ყოველს საგანს, რადგან ქართველი ყოველთვის ღიღინებს და ყველაფერს ამკობს სიმღერაში. ამ სალირიკო ლექსებში ზოგი თვითონ ერის შექმნილია, ზოგს კი ეტყობა თათრული და სპარსული ჩამომავლობა. ქართულია: ლექსი, სიმღერა, შაირი, ფერხული; თათრულია: მუხამბაზი, ბაიათი და ყიჩაგი. ყველა ამ სიმღერებს ჰყავს მომღერალი სპეციალისტი: საზანდარი, ანუ მესტვირე და აშუღი, რომელნიც დაჰმღერიან ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს სტვირზე, დაფზე, ჩანგზე, ბუკზე, წინწილაზე, ჩანგურზე და ჭიანურზე. ამ საკრავებში სპარსულია: დაფი ჩონგური, ჭიანური, აგრეთვე ზურნა და დუდუკი. ქართული სახალხო სიტყვიერება უფრო მდიდარია ზღაპრებით, რომელნიც განიყოფებიან სამ კლასად: I მითური ზღაპრები, II ზნეობრივი და III ცხოველების ეპოსი. ბევრი სიუჟეტი ქართულ ზღაპრებში მოგვაგონებს თურქებისა და სპარსელების ზღაპრებს; ეს კავშირი აიხსნება გავლენით და ფსიხოლოგიურის ერთბუნებოვანებით. ზღაპრებში ყველგან არის ომი ნათელსა და ბნელს შორის, დღე ებრძვის ღამეს, ზამთარი ზაფხულს. შესანიშნავია ქართულ ზღაპრების შინაგანი სიმდიდრე და მსგავსება და კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთა ყველა ზღაპრებთან. ალბად ხან ჩვენს ზღაპრებს ჰქონიათ სხვებისაზე გავლენა, ხან სხვებისას ჩვენს ზღაპრებზე.

ანდაზებში ხალხი მოკლედ ჰხატავს თვის სიბრძნეს, აზრს, შეხედულებას. მათში სჩანს ძველი მითიური კვალი და გავლენა ისტორიულის ამბებისა. მაგალითებრ, მითურის ხასიათისა არის ანდაზები: «თუ მთვარე ჩემსკენ არის, ვარსკვლავები რაღად მინდა» (სჩანს მნათობთა გაღმერთება); «გაჭირებამ დედუფალთან დამაწვინა», «ბედს ვერ წაუხვალ», «ბედნიერება მომეცი და სანაგვეზე გადამაგდე», «უბედურს ქვა აღმართში მიეწია» და სხვ. ისტორიულ სიუჟეტის ანდაზებია: «თამარ ერზერუმელი გოჭის თავს მე მართმევს» (გავლენა სათათრეთისა), «თუ თაფლი იქნა, ბუზი მილეტიდამ მოფრინდება» (საბერძნეთის გავლენა), «ინდოეთში ვირი ხეზე გავიდა» (ინდოეთის გავლენა). ზოგი ანდაზები შეეხება ოჯახის შინაურ ცხოვრებას: «ბატონმა რომ გითხრას, მუხას ვაშლი ასხიაო, დაუჯერე», «ბუტონის რისხვა წყალობაა», «არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი პური ძველი ღვინო წლიდან წლამდე გამყოლია», «აზნაურის სტუმრობა ნუ გგონია ხუმრობა».

გამოცანები ალლეგორიულად ჰხატავს ერთს საგანს მეორეს შემწეობით: «მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი» (დღე და ღამე).

შელოცვებში ხალხი მიჰმართავს ღმერთებს, ითხოვს მათს წყალობას და რისხვის უკუბრუნებას. ქართველ ხალხს ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარს შელოცვები და გამომლოცველი დედაკაცები. შელოცვას და გადალოცვას მიჰმართავს მწყემსიც, მონადირეც, მიწის მუშაც, ოჯახის პატრონიც. ეს ლოცვები არის შეკრებილი კარაბადინებში და შეეხება ყოველს სნეულებას.

სიტყვიერების მეორე დიდს განყოფილებას შეადგენს მწერლობა, რომელიც საქართველოში იწყება ქრისტეანობის მიღებიდან (IV ს.). ქრისტეანობამ საქართველო დაუკავშირა საბერძნეთს და იქიდან წამოაღებია განათლებაც და მწერლობაც. დაიწყო ხანა ბიზანტის გავლენისა, რომელიც განგრძელდა იუსტინიანედან ვიდრე ბიიზანტიის დაცემამდე. ბერძნების მიხედვით ქართველებმაც იწყეს სამწერლობო მოღვაწეობა და სტამბის შემოღებამდის ავრცელებდნენ წიგნებს ხელთ-ნაწერებად. უუძველესი ნაშთი ამ ლიტერატურისა არის ქსნის სახარება (VI ს). მეცხრე საუკუნიდან დაგვრჩა ქადაგებანი, კრებულნი და კურთხევანი, მეათე საუკუნიდან ბიბლია და სხვა გვარი ნაშთებიცა.

განათლების ცენტრებად იყო პალესტინისა, სირიისა და ათონის ქართველთ მონასტრები. პირველი განათლება იყო რელიგიურ-ზნეობრივი. პირველად განათლება დაიწყო საქართველოს გარეშე, ბოლოს ფეხი მოიმაგრა თვით საქართველოშიაც. აქ პირველი ადგილი ეჭირა დასავლეთის საქართველოს: მესხეთს, იმერეთსა და შავშეთს. სკოლები იყო მოფენილი მთელ საქართველოში და ბიზანტიურად იყო მოწყობილი. არჩილიანიდან სჩანს, რომ ამ სკოლებში ასწავლიდნენ: წერას, კითხვას, მსოფლიო ისტორიას, უცხო ენებს, თარგმნას, საღმრთო წერილს, იურისპრუდენციას, პიიტიკას, მათემატიკას, დიპლომატიას, გიმნასტიკას და ფეხტოვანიეს. მე-XI საუკუნეში პეტრიწის აქვს აკადემია გრემში. მე XVIII საუკუნეში ანტონ პირველმა დააარსა სემინარიები და გადააკეთა სკოლები რუსულ სკოლების ტიპის მიხედვით, ჩაურთო სემინარიის პროგრამმაში გრამმატიკა, ლოღიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, მეტაფიზიკა და თვითვე დაამზადა ამ საგნების სახელმძღვანელონი. ამ ძველ დროის ქართულ მწერლობაში უფრო ვრცელს და საინტერესო განყოფილებას შეადგენს აპოკრიფები, ლეგენდები და სასულიერო ლექსები.

აპოკრიფები ძალიან ადრე შემოვიდა საქართველოში ჯერ საბერძნეთიდან, მერე სომხეთიდან. შესანიშნავია აპოკრიფები: «აბელის მოკვლა კაენისაგან», «ხარება ანგელოზისაგან სეტის (სეითი) დაბადების შესახებ», «სოლომონი», «ქალწული და ჭაბუკი», «აბრაამიანი», «იობი», «მიძინება ღვთის-მშობლისა», «წერილი ავგარისა იესო ქრისტესთან» «მიმოსვლა ღვთის-მშობლისა», «ბრძანება იესო ქრისტესი სილიბისტროსთან», «გოდება ღვთის-მშობლისა», «კითხვები ელისაბედისა ქრისტესადმი», «ლოცვა ღვთის-მშობლისა», «საუბარი გრიგოლ განმანათლებელისა ანგელოზებთან», «სამოთხე» და სხვ.

ბევრი ამ აპოკრიფებ შორის გავრცელებულია სხვა ერთა მწერლობაშიც, მაგრამ ქართული მათი ვარიანტები ბევრს ახალს და სრულებით უცხო მასალას იძლევა.

აპოკრიფების გავლენით გაჩნდა **სასულიერო ლექსები**. მათი სიუჟეტები არის ამოღებული საქრისტიანო მოძღვრებიდან, ამისათვის იგინი რელიგიურის შინარსისაა. ზოგიერთ აპოკრიფს ეტყობა დაბადების გავლენა და გვხვდება როგორც სხვა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოს ყველა კუთხეში.

სასულიერო ლექსებთან ახლოს დგას ლეგენდები ანუ სასულიერო და ზნეობრივი ზღაპრები. იგინი გაჩნდა სასულიერო მწერლობის გავლენით. ლეგენდებში ქვეყნიური და ზეციური ელემენტები არეულ-დარეულია, მაგრამ ყოველთვის კეთილი სძლევს ბოროტს. არის ლეგენდები, სხვათა შორის, შოთა რუსთაველისა, თამარისა, ვახტანგ გორგასლანისა, დავლაურისა, ირაკლისა და სხვათა.

ლეგენდების შემდეგ საყურადღებოა სახალხო წიგნები. ქართული «კალანდობა» მოგვაგონებს რუსების „КАЛЯДНИКЪ"-ს, ლათინთა „calendae"-ს და ბერძნების „Τοῦ Προφήτου Εσδρα Διάγνωσις"-ს. სამკურნალოებში ანუ კარაბადინებში ანუსხულია წამლები ჯანმრთელობის დასაცველად. ეს წიგნები შესანიშნავია, რადგანაც მათში არიან განმარტული მცენარეთა თვისებანი და მედიცინასთან არეულია ცრუ მორწმუნეობაც, რისგამოც საჭიროა მითოლოგიის შესასწავლადაც.

არა ნაკლებ საყურადღებოა «სამთვარიო», სახელდობრ, იგი საჭიროა ლინგვისტისა და ისტორიკოსისათვის. დასასრულ, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უურადღებოა «ქუსიდის წიგნი», «სიროშანტია», «სიზმრის» წიგნი და სხვა.

ქართველი ერის სიტყვიერებასთან, ისტორიასთან და შესწავლებასთან ძალიან დაკავშირებულია წმინდათა ცხოვრებანი, ასე რომ ზოგიერთი მათგანი სრულებით სალხის გემოვნებაზეა გადაკეთებული. მაგ. ანდრიასპლოსის «ცხოვრებაში» არის დაბარაკი სამოთხეზე, ცაზე, ელიაზე და სხვა-და-სხვა საკოსმოგონიო და სალვთისმეტყველო საგნებზედ ისე, როგორც თვით სალხი მსჯელობს თვისს სიტყვიერებაში.

ასეთია შინაარსი ზემო-ხსენებული წიგნისა და მსჯელობა მისის ბატივცემულის პატრონისა. აქედან თვით მკითხველი მიხვდება, თუ რამდენად მდიდარი და სხვა-და-სხვა ფეროვანია ეს შინაარსი. თუმცა ასეთი შრომა ბირველი მაგალითია ჩვენს ლიტერატურაში, მაინც შრომის მოყვარესა და ერუდიციით აღჭურვილს პატრონს დაუძლეველა ყველა დამბრკოლებელნი გარემოებანი. მისი თხზულება ისეთი შრომაა, რომელიც უთუოდ ახლს სანას დაამყარებს ჩვენს ლიტერატურაში. ეს თხზულება ამ ლიტერატურაში ბირველი მოკლენაა თვისი სამეცნიერო ღირსებით: საგნების სალიტერატურო შემუშავებით, პატრონის ერუდიციით, მასალების სიუხვეთა და შედარებითის მეთოდის მშვენიერად გამოყენებით. ამასთანავე იგი თხზულება დაბეჭდილია რუსულად და, მაშასადამე, მთელის იმპერიისათვის ადვილად წასაკითხი და გასაგები. ამიტომ იგი, იმედია, ბოლოს მოუღებს იმ სასაცილო და შემცდარს აზრებს ქართულ ეპოსისა და მწერლობის შესახებ, რომელიც აქეთ გამოთქმული ზოგიერთ ჟურნალისტებს.

რეცენზიის სისრულისათვის უნდა აღვნიშნოთ აქ რამდენიმე წვრილმანი ნაკლიც წიგნისა: გმირულ ეპოსში პატრონი უურადღებად სტოვებს რამოდენსამე თავსსაჩინო გმირს; აგრედვე გამოუტოვებია გმირები საისტორიო ლექსებისა. ლირიკის ნიმუშები ცოტა უსეიროა; მათ მაგიერ შეიძლებოდა მოეყვანა სრული მარგალიტებისა საგნის უფრო კარგა დასასურათებლად. გარდა ამისა, პატრონის აზრით, ზოგიერთი ანდაზა სალხის პოეზიას «ვეფხისტყაოსნიდან შეუთვისებია, მაგრამ პატივცემული პატრონი უურად-

ღებოდ სტოვებს იმას, რომ მრავალი ანდაზა, ათორიზმი და ეპიზოდი გმირების ცხოვრებისა თვით «ვეფხის-ტყაოსანშია» ჩართული სახალხო პოეზიიდან მსგავსად იმისა, როგორც ესა სჩანს ჩვენს მატიანეშიც. *)

მაგრამ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ეს ჩამოთვლილი ნაკლულევანებანი ერთი ცვარია ოკეანში თხზულების მრავალ-გვარ ღირსებასთან შედარებით და სრულიად გერგებერს გერ დაჰკლებს მაისს დიდს მნიშვნელობას. ავტორი კიდევ გვპირდება სამს ამისთანა ტომს. ღმერთმა ჰქნას!

მ. ჯან—მე

*) ბ-ნ ხახანაშვილის წიგნის ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქართულის პოეზიის ნიმუშები თარგმანთან ერთად ქართულადაც არ არის მოყვანილი. თუმცა ასეთი, მეცნიერების საწინააღმდეგო, ჩვეულება ჩვენში სხვებმა შემოიღეს ისტორიულის დოკუმენტების შესახებ, მაგრამ ვწუხვართ, რომ ბ-ნმა ხახანაშვილმა მიჰბაძა ამ ჩვეულებას.

რედ.

რ ძ მ

III *)

რძის გამოსაკვლევი საშუალებანი

c) ლაგალის ლაკტოკრიტი. ლაკტოკრიტი ისევე ცენტრიფუგია, რომელიც ზემოდ იყო აწერილი. ამ ლაკტოკრიტს ორგვარს აკეთებენ, ან იმისთანას, რომელიც ორთქლის შემწეობით ტრიალებს და ან ხელით დასატრიალებელს. მე ამ უკანასკნელ ლაკტოკრიტის სურათს მოვიყვან აქ. როგორც სურათიდანა სჩანს (სურათი 16) ეს ცენტრიფუგი მხოლოდ იმითი განირჩევა, რომ ღერძის ზემოდ თავზე თეფშის მაგიერად კარგა სქელი მორგვი აქვს ჩამოცმული. ეს მორგვი ზემოდან შუაში ამოფუღურავებულია კარგი ღრმა ბადიასავით და ამ ფუღუროდან შიგ მორგვის სისქეში დატანებული აქვს რამდენიმე ბუდე. ამ მორგვსაც გარეშემო პერანგი არტყია, რომელიც აქაც გაჭრილია ნაჩვენები. ეს ცენტრიფუგი მოგონილია 1886 წელს და უფრო დიდრონი სარძევეებისთვის არის გამოსადეგი, რადგანაც ერთსა თუ იმავე დროს ათი თუ ოცი რძის გამოკვლევა შეიძლება; ფასიც ამისთვის დიდი აქვს, არა ნაკლებ 125 მანეთისა.

აი როგორა ხმარობენ ამ ლაკტოკრიტს: აიღებენ 10 კ.ს. კარგად არეულ რძისას, ჩაასხამენ რაიმე ჭურჭელში და მიუმატებენ იმოდენსავე ძმრის სიმჟავეს, რომელსაც 5% გოგირ-

*) «მოამბე» № IV.

დის სიმჟავე უნდა ჰქონდეს შერეული; კარგად შეანჯღრევენ და ჩასდგამენ წყალით სავსე ქვაბში და გააცხელებენ 7—8



სურათი 16—(B). სურათი 16. ლავალის ლაკტოკრიტი—(A).

წუთს. ამგვარის გაცხელებით ხაჭო გაიხსნება სიმჟავეში და ამით ერბოს გამოცლა გაადვილდება. ახლა ამ სიმჟავესთან არეულ რძეს ჩაასხამენ სპილენძის სათითის დაგვარ პატარა ჭურჭელში, (სურათი 16, ა), რომელიც კარგად ჩამოეცმება იმავე ლითონის მასრას (სურათი 16, ბ). ამ მასრაში ჩამაგრებულია ჭიქის ვიწრო მილი, ნიშნებით განაწილებული. როცა ამ მასრას წამოაცმენ რძის სავსე სათითეს, რძე, რასაკვირველია, ჭიქის მილში ავა, გაავსებს და მეტი გარედ გამოვა ზევითა პირიდან

(სურათი ბ-ა), ახლა ამ მილს ანუ მილებს ჩააწყობენ იმ ბუდეებში, რომლებიც მორგვის ამოფუღრულშია დატანებული, ისე რომ ზევითა პირები ბადიისკენ იყურებოდეს, და ბადიას თბილი წყალით (40°) გაავსებენ. ამას შემდეგ დიდის ბორბლის ტარს დაატრიალებენ და როცა იმ სიჩქარემდინ მიახწევს ტრიალი, რომ წუთში 50-ჯერ შემოტრიალდეს, მაშინ ერთს წუთს კიდევ ამ სიჩქარით ატრიალებენ და შემდეგ ტარს ხელს მოაშორებენ, რომ თავისთავად იტრიალოს (რადგანაც ტრიალი აჩქარებული იყო, ამისათვის ხელის მოშორების შემდეგაც იტრიალებს თვისის ინერციით). სამის წუთის შემდეგ ტრიალს შეაჩერებენ და ბუდიდან ამოიღებენ მასრებს იმ სიფრთხილით, რომ რძე არ გადმოიღვაროს; ამისთვის საკმარისია თითით დაუცონ მილის ზემოთი პირი. მთელი ერბო ეხლა მოგროვილია მასრაში ჩაკეთებულ მილის შუა და ადვილია მისი ტანის შეტყობა ნიშნების შემწეობით. ამ ერბოს ტანი უჩვენებს პირდაპირ ერბოს რაოდენობას. მაგალითებრ, თუ ამ ერბოს ტანს 3,5 ნიშანი უჭირავს, მაშინ ერბოს რაოდენობა 3,5% იქნება.

ამავე ლაკტოკრიტით შესაძლებელია ნაღებ-მოხდილ რძისა და დოს გამოკვლევაც და იმავე რიგად, როგორც ნაღებ-მოუხდელი რძე. მხოლოდ ამ შემთხვევაში ლაკტოკრიტის ნაჩვენებს ცოტაოდენი რაოდენობა უნდა მიემატოს, რადგანაც ეს ცოტაოდენი რძეში და დოში რჩება.

მაგალითებრ, თუ ლაკტოკრიტი უჩვენებს:

0,1%	ერბოს,	მაშინ	ამას	უნდა მიემატოს	0,30%
0,5%-დინ	—	—	—	—	—	0,25—
0,5—0,6	—	—	—	—	—	0,20—
0,6—0,7	—	—	—	—	—	0,15—
0,7—0,8	—	—	—	—	—	0,12—
0,8—0,9	—	—	—	—	—	0,10—
1,0—1,5	—	—	—	—	—	0,05—

ამ ლაკტოკრიტის შემწეობით, როგორც უკვე ვსთქვით, შესაძლებელია ბევრი ნიმუშის ერთად გამოკვლევა; ლაკტო-

კრიტში 24 ბუდეა და, მაშასადამე, თუ 24 მასრას სხვა-და-სხვა რძით ავავსებთ და ყველას დავნიშნავთ, შეგვეძლება 24 ნიმუშის ერთად გამოკვლევა. ამისათვის ამ ლაკტოკრიტს უფრო დიდრონ სარძევეებში ხმარობენ; მისგან ნაჩვენები ერბოს რაოდენობა ძალიან მიახლოვებულია სინამდვილეს, თუმცა სოქსლეტის საშუალებას ცოტათი ჩამოუვარდება; მისი შეცდომა $0,_1\%$ არ გადასცილდება.

რადგანაც ამ ლაკტოკრიტის შემწეობით ნაპოვნი ერბოს რაოდენობა გამოანგარიშებულია რძის ტანზე, ამისათვის საჭიროა, თუ გვსურს რძის წონაზე გამოანგარიშება, რძის სიმჭირხნის ცოდნაც. ამ შემთხვევაში ერბოს ტანის რაოდენობას გაჰყოფენ რძის სიმჭირხნის რაოდენობით და ამის გამო ყოველი ნიშანი მასრისა ასე გამოიცვლება. ვსთქვათ, რომ რძეს $1,_{030}$ სიმჭირხნე აქვს, მაშინ ერთი მასრის ნაწილის ერბო წონით იქნება $1: 1,_{030}=0,_{0912}\%$.

რაღა თქმა უნდა, რომ მომზადებულ რძის მასრებში ჩასხმა და ამ მასრების ბუდეებში ჩაწყობა სიჩქარით უნდა მოხდეს, რომ რძე არ გაცივდეს; თუ რძე გაცივდა, მაშინ კარგად არ მოიკრიფება.

B) **სასწრაფოთ გამოკვლევა.** აქამდის ჩვენ სულ ერბოს რაოდენობის შეტყობაზე ვლაპარაკობდით; ჩვენ ვნახეთ, რომ ამისთვის მოგონილია მრავალი საშუალება, რომლებიც კარგად თუ ავად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ახლა მკითხველების ყურადღებას მივაქცევ იმ ქიმიურ საშუალებათა, რომელთაც მეცნიერები ხმარობენ რძის ვრცლად და მთლად გამოსაკვლევად. როგორც უკვე ვიცით წინა წერილებიდან, რძეში, ერბოს გარდა, სხვა სხეულებიც არის: წყალი, ხაჭო, შაქარი და მარილოვანი ნივთიერებანი.

a) **წყალის და ექსტრაქტის რაოდენობის შეტყობა.** რძეში ამ ნივთიერებათა რაოდენობის შეტყობა ძნელი არ არის: ჯერ ასწყავენ 10 კ. ს. (შესაძლებელია აგრედვე ცოტაც და მეტიც) რძეს და ჩაასხამენ გამშრალ და აწონილ ფიალაში და ხელმეორედ ასწონენ; ამით შეიტყობენ ამ რძის წონას. ახლა

ამ ფიალას დასდგამენ მდუღარე წყალზე და დააშრობენ. ამის შემდეგ შესდგამენ გამთბარ ყუთში (ეგრედ-წოდებულ გასაშრობ ყუთში), რომელიც 100—110°-დინ უნდა იყოს გაცხელებული და აქ იმდენს ხანს დასტოვებენ, ვიდრე ამ ფიალის წონა უცვალებელი შეიქმნება, ე. ი. ამ ტემპერატურაზე აღარასა ჰკარგავს. ახლა გაცივების შემდეგ, ამ ფიალას კიდევ ასწონენ, წონიდან ფიალის წონას გამორიცხვენ და ეს იქნება ექსტრაქტის რაოდენობა 10 კ. ს. რძეში. წარმოვიდგინოთ, რომ დასაშრობად აღებულ 10 კ. ს. რძეს $10,_{30}$ გრამი წონა ჰქონდა და დაშრობის და გაშრობის შემდეგ ფიალაში დარჩა $1,_{28}$ გრამი; აქედან ექსტრაქტის რაოდენობას ასე გამოიანგარიშებენ: $=\frac{1,28.\ 100}{10,30}=12,_{42}\%$ იქნება.

ამ რაოდენობას თუ 100-დან გამოვრიცხავთ, ნაშთი წყალის რაოდენობა იქნება 100 გრამ რძეზე: $100—12,_{42}=87,_{58}\%$ წყალი.

ჩვენ ამ ექსტრაქტის რაოდენობაზე კიდევ გვექნება ლაპარაკი და ეხლა კი იმას ვიტყვით, რომ ფიალაში რძის დაშრობას ძალიან დიდი დრო უნდება, 10 თუ 12 საათი და მაინც სრულიად არა შრება. ამის მიზეზი ის არის, რომ დაშრობის დროს ხაჭო რძის პირას კანად იქცევა და ასე გადაგვარებული წყალს ნებას არ აძლევს აორთქლებისას. ამისათვის ზოგნი ურჩევენ რძის დაშრობის დროს გამშრალი და აწონილი ქვიშის მიმატებას. ეს ფხვიერი სხეული რძეს შეისვავს, რძე დანაწილდება და უფრო ადვილად დაშრება.

კიდევ არის ერთი საშუალება რძის ექსტრაქტის რაოდენობის შესატყობად, რომელიც უფრო თეორიული არის და დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ თუ რძის სიმჭირხნე და მისი ერბოს რაოდენობა ვიცით, მაშინ შეგვეძლება ამ ორ რაოდენობის საფუძველზე თითონ ექსტრაქტის რაოდენობაც გამოვიანგარიშოთ. დიდი ხანია სწავლულები ცდილობდნენ ეპოვნათ, რა დამოკიდებულება არის რძის შემადგენელ ნივთიერებათა შორის და ფლეიშმანმა სცნა, რომ ხაჭოსა, შაქარსა

და მარილების რაოდენობათა შორის ესეთი დამოკიდებულება არის 5: 6: 1.

თუ ექსტრაქტის რაოდენობას დავნიშნავთ რომელისამე ასოთი, მაგ. t და ერბოს რაოდენობას—f და რძის სიმჭირხნეს 15°-ზე—s, მაშინ შეგვიძლიან აქედან შემდეგი ფორმულა შევადგინოთ: $t = 1{,}_2 f + 2{,}_{665} \times \frac{100s - 100}{5}$.

წარმოვიდგინოთ, რომ რძის სიმჭირხნე უდრის $1{,}_{030}$ და ერბოს რაოდენობა—$3{,}_4\%$ და ეს რიცხვები ფორმულაში ჩავწეროთ თავიანთ ადგილას და გამოვიანგარიშოთ ექსტრაქტის რაოდენობა: $t = 1{,}_2 \times 3{,}_4 \times 2{,}_{665} \cdot \frac{100 \times 1{,}_{030} - 100}{1{,}_{030}} = 11{,}_{84}\%$ ექსტრაქტი.

b) **ერბოს რაოდენობის შეტყობა.** რძის დაშრობის დროს რომ ექსტრაქტი დარჩა, თუ ამას წმინდა ეთერში დავალბობთ და რამდენჯერმე ეთერითვე გავრეცხთ, მაშინ მთელი ერბო ეთერში გადავა, ახლა ამ ეთერხსნილ ერბოს გასწურავენ ქაღალდში და ჩაასხამენ მშრალს და აწონილ ფიალაში ანუ სხვა რამ ჭურჭელში და ეთერს დააშრობენ ან გამოხდიან. როცა მთელი ეთერი გამოეცლება, მაშინ ჭურჭელს შიგ მოგროვილ ერბოთი 100°-დინ გამთბარ ყუთში შესდგამენ ოციოდე წუთით და გაცივების შემდეგ ასწონენ. რაც ჭურჭელმა წონით მოიმატა, ეს ერბო იქნება; ვსთქვათ, ეს წონა უდრის 0,45 გრამს, აქედან რძეში ერბოს რაოდენობა იქნება $= \frac{0{,}45 \times 100}{10{,}_{30}} = 4{,}_{36}\%$.

შესაძლებელია აგრედვე ერბოს რაოდენობის გამოანგარიშება ფლეიშმანის ფორმულით იმავე გვარად როგორც ექსტრაქტის რაოდენობა იყო გამოანგარიშებული; ამისთვის საჭიროა აგრედვე რძის სიმჭირხნის და ექსტრაქტის რაოდენობის ცოდნა. ამ ფორმულით ერბოს რაოდენობა $f = 0{,}_{8331} t - 2{,}_{22} \frac{100s - 100}{s}$

თუ ექსტრაქტის რაოდენობა $11{,}_{84}\%$ უდრის და სიმჭირხნე,—$1{,}_{030}$ და ამ რიცხვებს ფორმულაში ჩავწერთ თავ-თავის ადგილას და გამოვიანგარიშებთ, მაშინ

$$f = 0{,}_{833} \times 11{,}_{84} - 2{,}_{22} \frac{100 \times 1{,}_{030} - 100}{1{,}_{030}} = 3{,}_4\% \text{ ერბო.}$$

ამ გვარად ნაპოვნი ერბოს რაოდენობა თუმცა დაახლოვებულია სინამდვილეს, მაინც ნამდვილი არ არის, რადგანაც ექსტრაქტის ნამდვილ რაოდენობის ცოდნა ძნელია; როგორც უკვე ვსთქვით, ეს ფორმულა დაფუძნებულია იმ დამოკიდებულებაზედ, რომელიც სუფევს ხაჭოსა, შაქარსა და მარილის რაოდენობათა შორის (6: 6: 1); თუ მათ შორის დამოკიდებულება რომელსამე რძეში ძალიან შეიცვალა, მაშინ ამის მიხედვით გამოანგარიშებული ერბოს რაოდენობა ნამდვილი აღარ იქნება. ამის მიუხედველად ამ ფორმულის მოხმარება მაინც სასარგებლოა, ძალიან დაახლოვებულ რაოდენობას იძლევა და, თუ შეცდომა მოხდა, ეს შეცდომა $0,_2\%$ არ გადააჭარბებს და უფრო ხშირად კი ამაზე ნაკლებია და შეადგენს $0,_{08}\%$-ს. უნდა ვსთქვათ, რომ თითონ ქიმიურის სასწორით ანალიზიც ხშირად ამისთანავე შეცდომას იძლევა და, მაშასადამე, ამას არ ჩამოუვარდება.

ც) **შაქრის რაოდენობის შეტყობა.** ჩვენ წინადვე ვსთქვით, რომ რძის შაქარიც ისე მოქმედობს ფელინგის სხნილზე, როგორც ყურძნის შაქარი, ესე იგი სპილენძის ჟანგს გადააქცევს სპილენძის ჟანგულად და თვითონ განაწილდება, სხვა სხეულებად გადაიქცევა. მაშასადამე, ამ შაქრის რაოდენობაც შეიძლება ისევე შევიტყოთ, როგორც ყურძნის შაქრისა. ამისთვის აიღებენ 25 კ. ს. რძეს და ისე გაანელებენ გამოხდილის წყალით, რომ 400 კ. ს. დადგეს. ამას შემდეგ ამ განელებულ რძეს მიუმატებენ ან ტყვიის შაქარს (ძმრის სიმჟავის ტყვიის ტუტი მარილს) და ან გოგირდის სიმჟავის სპილენძის მარილს, რასაკვირველია, წყალში გახსნილს. ამით რძეს მთელი ხაჭო გამოეცლება. ხაჭოს გამოცლა იმისთვის არის საჭირო, რომ მან არ იმოქმედოს სპილენძის ჟანგზე. ამასთან ესეც საჭიროა, რომ რძეში ტყვია და ან სპილენძი არ დარჩეს, რადგანაც ეს ანალიზს დაუშლის. ამ სხეულების გამოსაცლელად ხაჭო-გამოცლილ რძეს მიუმატებენ იმდენ ნატრის ან კალიქვის მწვავ ტუტის ხსნილს, რომ ეს სხეულები სრულიად გამოეცალოს. ამას შემ-

დეგ რძეს ქაღალდის ფილტრში გაატარებენ და ნაწურს შეავსებენ 500 კ. ს.-დინ.

ახლა მოიქცევიან ისევე, როგორც ყურძნის შაქრის შესატყობად, ესე იგი აიღებენ 10 კ. ს. ფელინგის ხსნილს და 40 კ. ს. გამოხდილ წყალს შეურევენ ჩინურს ფიალაში და გააცხელებენ ადუღებამდინ და ამას წვეთ-წვეთობით მიუმატებენ მომზადებულ რძეს, ვიდრე ფელინგის ხსნილის ფერი არ გამოიცვლება, ლაჟვარდ ფერს დაჰკარგავს და თეთრი ანკარა გახდება.

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ რძის შაქრის გასანაწილებლად უფრო ბევრი სპილენძის ჟანგი უნდება. ერთი მოლეკული ამ შაქრისა $7,_4$ გრ. სპილენძის ჟანგს თხოულობს და ყურძნის შაქარი ხომ მარტო $5,_{25}$ გრამს თხოულობდა. რადგანაც ფელინგის ხსნილის ტიტრი ყურძნის შაქრით არის შემოწმებული, ამისათვის ამ შაქარზე გამოანგარიშებულ რაოდენობას შეამცირებენ ამ ფაქტორით $\frac{100}{70,_5}$ და მაშინ რძის შაქრის რაოდენობა დადგება.

d) **ხაჭოს რაოდენობის შეტყობა.** ხაჭოს რაოდენობის შესატყობად რიტგაუზენის საშუალებას ხმარობენ. ეს საშუალება ის არის, რომ გოგირდის სიმჟავის სპილენძის მარილის მიმატებით რძეს ხაჭო მთლად ეცლება; სპილენძის ჟანგი ანუ სპილენძის ტუტი ხაჭოს უერთდება და აქედან წამომდგარი სხეული წყალში აღარ იხსნება. ამ გამოცდილებას ასე მოახდენენ:

ჯერ მოამზადებენ სპილენძის მარილის ($CuSO^4$) ხსნილს, რომელიც ლიტრში უნდა შეიცავდეს $103,_{92}$ გრ. გოგირდის სიმჟავის სპილენძის მარილს; ამას გარდა მოამზადებენ ნატრის მწვავი ტუტის ხსნილს 15 გრამი ტუტის ($NaHO$) ერთ ლიტრ წყალში გახსნით.

ახლა ასწონენ 10 კ. ს. რძეს, მიუმატებენ 100 კ. ს. წყალს და ამასთანავე 5 კ. ს. სპილენძის ხსნილისას, შეანჯღრევენ და მიუმატებენ 7 კ. ს. ტუტის ხსნილს, კიდევ შეანჯღრევენ. ამ დროს რძეში გაჩნდება ლაჟვარდი ლექი და რძე დაიწმინდება, მთელი ხაჭო გამოეცლება და შრატი დარჩება. ამ დროს

საჭიროა, რომ ამ შრატის რეაქცია სრულიად ნეიტრალი იყოს: თუ ტუტი ეტყობა, მაშინ ცოტაოდენ ძალიან განელებულ გოგირდის ან მარილის სიმჟავეს მიუმატებენ წვეთობით (სიმჟავე ასეა განელებული: 1 კ. ს. სიმჟავე და 100 კ. ს. წყალი), ვინემ ნეიტრალი არ შეიქნება. თუ მიჯნას გადასცილდა და მჟავე რეაკცია დაეტყო, მაშინ ტუტი უნდა მიუმატონ. როცა ხაჭო კარგად დაილექება და მოიკრიბება ჭურჭლის ძირში, მაშინ ამას გასწურავენ წინადვე გამშრალ და აწონილ ქაღალდის ფილტრში, ფილტრს და ფილტრზე მყოფ ხაჭოს კარგად გარეცხავენ მდუღარე წყალით (ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოუნდება გარეცხა) და გააშრობენ 100°-მდე გამთბარ ყუთში. გაშრობის და გაცივების შემდეგ კიდევ ასწონენ და ნამეტი, სპილენძის ტუტესთან შეერთებული, ხაჭოს რაოდენობა იქნება.

რადგანაც 5 კ. ს. მიმატებულ სპილენძის ხსნილში იყო $0,_{5196}$ გრ. სპილენძის მარილი ($CuSO^4$), აქედან სპილენძის ტუტი (CuH^2O^2) დადგება 0,2026 გრამი. ეს რაოდენობა მთლად ხაჭოსთან იქნება ან შეერთებული და ან შეერთებული და შერეული. ამისათვის ხაჭოს წონიდან ეს წონა უნდა გამოირიცხოს და ნაშთი იქნება ხაჭოს რაოდენობა 10 კ. ს. რძეში. მაგალ. თუ ფილტრმა იმატა 0,5826 გრამით, აქედან უნდა გამოირიცხოს 0,2026 და დანარჩენი ხაჭო იქნება=0,5826—0,2026=0,38 ხაჭო.

e) **მარილოვან სხეულების რაოდენობა.** მარილოვან სხეულების რაოდენობა ისევე შეიტყობა, როგორც ყოველ სხვა შემთხვევაში. აიღებენ 10 კ. ს. რძეს, ასწონენ, დააშრობენ და დასწვავენ და რაც დარჩება, მარილი იქნება

რძის გამოსაკვლევი საშუალებანი დიუკლოსი

აქ აწერილი რძის გამოსაკვლევი ქიმიური საშუალებანი დიუკლომ ცოტაოდნად შესცვალა და ამით უფრო გაადვილა რძის ანალიზი და უფრო დიდი სიმტკიცე მისცა. მართლა-და,

რატგაუზენის საშუალება ხაჭოს რაოდენობის შესატყობად ყოველთვის ნამდვილ რაოდენობას არ იძლევა; თუ ან სიმჟავემ ან ტუტმა ცოტაოდნად გადაამეტა, მაშინ ცოტაოდენი ხაჭო რჩება შრატში გახსნილი და ამის გამო, რასაკვირველია, შეცდომა მოუვა გამომკვლეველს.

აი რა გვარად იქცევა დიუკლოო რძის გამოსაკვლევად:

გამოსაკვლევ რძიდან სამ ნიმუშს იღებს, ათ-ათ კუბიკურ სანტიმეტრს; ერთი ათი კუბიკური სანტიმეტრიდან ის ტყობილობს რძის სიმჭირხნეს და მარილოვან სხეულების რაოდენობას; მეორე ათიდან—შაქრის რაოდენობას და მესამე ათი კუბიკური სანტიმეტრიდან—ერბოს და ექსტრაქტის რაოდენობას.

a) **რძის სიმჭირხნის და მარილოვან სხეულების რაოდენობის შეტყობა.** კარგად აწყულ 10კ. ს. რძეს ჩაასხამენ წინად გამშრალ და აწონილ ფიალაში, რომელსაც სახურავი აქვს და ხელმეორედ ასწონენ. ამ აწონით ადვილი შესატყობია ამ რძის სიმჭირხნე; ამ შემთხვევაში წონა ტანით უნდა განაწილდეს და სიმჭირხნე დადგება. წარმოვიდგინოთ, რომ 10 კ.ს. რძისა იწონის $10{,}_{31}$ გრამს; აქედან რძის სიმჭირხნე იქნება $=\frac{10{,}_{31}}{10}=1{,}_{031}$ სიმჭირხნე. ამის შემდეგ ამ რძეს დააშრობენ და დასწვავენ; როცა ფიალაში მთელი ორგანული ნივთიერება დაიწვება და ნაცარი გათეთრდება, ამ ფიალას გააცივებენ და კიდევ ასწონენ; ვსთქვათ, ნაცრის წონა აღმოჩნდა $0{,}_{098}$ გრ., აქედან ადვილია მისი რაოდენობის გამოანგარიშება: $\frac{0{,}_{098}\times 100}{10{,}_{31}}=0{,}_{95}\%$.

b) **რძის შაქრის რაოდენობა.** დიუკლოს საშუალება ბევრად არ განირჩევა წინად მოყვანილისაგან და ამისათვის ამაზე ჩვენ არას ვიტყვით.

c) **ექსტრაქტისა და ერბოს რაოდენობა.** წინადაც მოვიხსენიეთ, რომ რძის დაშრობა ფიალაში ძალიან გაძნელებულია და ხშირად შეუძლებელიც არის. ამ გარემოების ასაცილებლად, დიუკლო ამგვარად ჰმოქმედობს: რძის გასაშრობად ხმარობს ღრუბლის (eponge) პატარა ნაჭერს, რომელიც ჯერ ცივი წყალით არის გარეცხილი მტვერის და ტალახის გამოსაცლე-

ლად, შემდეგ მდუღარე წყალით. გაშრობის შემდეგ წმინდა ეთერით არის გარეცხილი ცხიმოვან სხეულების გამოსაცლელად და პატარ-პატარა ნაჭრებად არის დაჭრილი. ღრუბლის ნაჭრები, ესე მომზადებული, ჩაწყობილია ერთ განიერ ჭიქის მილში, რომელსაც ბოლო შევიწროებული აქვს და მოკაკული, როგორც ეს სურათიდანაცა სჩანს (სურათი 17. ა). ამ მილს განიერს პირში ერთი ხვრელიანი საცობელი აქვს, რომელშიაც ჩამაგრებულია ერთი ბოლო ორად მოკაკულ ვიწრო მილისა; ამ მილის მეორე ბოლო ჩადის ერთ პატარა ჭიქის ჭურჭლის საცობელში (ბ); ამ საცობელს ორი ხვრელი აქვს და მეორე ხვრელშიაც ვიწრო მოკაკული და მოკლე მილი არის ჩამაგრებული. ამ მეორე ჭურჭელში ჩააწყობენ ცოტაოდენ გოგირდის სიმჟავეს, ისე რომ პირველ ჭურჭლიდან წამოსული მილის ბოლო შიგ სიმჟავეში იყოს ჩაფლული. ამ სიმჟავის დანიშნულება ის არის, რომ პირველი ჭურჭლიდან ამოსული წყალი აქ მოგროვდეს (როგორც ვიცით, გოგირდის სიმჟავეს ის თვისება აქვს, რომ ის ბევრს წყალს შეისვავს). ახლა ასე მოიქცევიან: განიერ მილს ახდიან საცობელს, ჩასდგამენ თბილ წყალში და შიგ გააცარებენ ცოტაოდენი ხნით მშრალ ჰაერს (გოგირდის სიმჟავეში გატარებულს—ამის სურათი აქ არ არის დახატული). ცოტა ხნის შემდეგ ამ მილს ამოიღებენ წყლიდან, გააშრობენ და გაცივების შემდეგ ასწონენ. ამავე დროს ასწონენ იმ ჭურჭელსაც, რომელშიაც გოგირდის სიმჟავე არის ჩასხმული თვისის საცობლით და მილებით. ამას შემდეგ ასწყამენ 10 კ. ს. რძეს და



სურათი 17.

ექსტრაქტის, წყალის და ერბოს შესატყობი ჭურჭელი.

ა) განიერი მილი ღრუბლით.

ბ) ვიწრო მილი გოგირდის სიმჟავით.

განიერ მილში ღრუბელზე დაასხამენ; ღრუბელი, რასაკვირველია, ამ რძეს შეისვავს. ხელმეორედ ასწონენ და ამით შეიტყობენ რძის წონას. ახლა საცობელს თვისის მილით ისევ დაუცობენ, ჩასდგამენ ცხელ წყალში და მშრალ ჰაერს გაატარებენ კარგა ხნით, ერთი ორის საათის განმავლობაში. ამ დროს ქვაბში წყალი უნდა სდუღდეს. ამგვარად შიგ გატარებული ჰაერი და გარეგანი სითბო რძეს ამოაცლის მთელ წყალს, რომელიც მეორე ჭურჭელში მოგროვდება. შემდეგ ჭურჭელს ამოიღებენ ქვაბიდან, გააშრობენ, გააცივებენ და ასწონენ. კიდევ შეუერთებენ საცობელს, ჩასდგამენ ისევ ცხელ წყალში და ჰაერს გაატარებენ. ნახევარ საათის შემდეგ კიდევ ასწონენ და ასე ამგვარად, ვიდრე ამ ჭურჭლის წონა აღარა კლებულობს. ახლა იმ ჭურჭელსაც ასწონენ, რომელშიაც გოგირდის სიმჟავე არის. რაც ამის წონას მოემატა, ეს წყალის რაოდენობა იქნება და რაც ღრუბელში დარჩა, ის ექსტრაქტის რაოდენობა არის.

ახლა ამ ექსტრაქტიდან, რომელიც ღრუბელშია დარჩენილი, ადვილია ერბოს რაოდენობის შეტყობა, ამისათვის ამ ჭურჭელში ჩაასხამენ იმოდენა წმინდა ეთერს, რომ მთელი ღრუბელი შიგ იყოს ჩალბობილი. რამდენისამე წუთის შემდეგ ამ ეთერს წმინდა ჭურჭელში გადაასხამენ შევიწროებულის მილის შემწეობით; ამას შემდეგ ამ განიერ მილს გააშრობენ ცხელ წყალში ჩადგმით და ჰაერის გატარებით და გაცივების შემდეგ კიდევ ასწონენ. რაც ეხლა ამან წონით დაიკლო, ეს ერბოს რაოდენობა იქნება. ამგვარად ძალიან გაადვილებულია რძის გამოკვლევა და ამისთვის ღირსია ყურადღებისა.

ბ) გაყალბებულის ან დაზიანებულის რძის გამოკვლევის საშუალებანი.

რასაკვირველია, საჭიროა ყველამ იცოდეს (გამყიდველმაც და მყიდველმაც), თუ მისი რძე რა ღირსებისა არის; მყიდვე-

ლი ამით ყოველთვის მოგებაში იქნება და პატიოსანი გამყიდველიც, თუ მისი რძე კარგია და გაყალბებული არ არის, მის რძეს უფრო კარგი ფასი ექნება და უფრო მალე გაიყიდება. მაშასადამე, საჭიროა რძე ამ მხრითაც იქმნას გამოკვლეული. ამ შემთხვევაში გამომკვლეველმა ოთხ გარემოებას უნდა მიაპყრას თავისი ყურადღება:

1) რძეს წყალი ხომ არა აქვს შერეული; 2) ნაღები ხომ არა აქვს მოხდილი; 3) წყალის შერევით და ნაღების მოხდით ხომ არ არის გაყალბებული და 4) რძის ვითარებას ჰიგიენის მხრით.

უფრო ხშირად რძე პირველ ორის მხრით არის გაყალბებული და მესამე კი, ესე იგი ნაღების მოხდა და ამასთანავე წყალის შერევა უფრო იშვიათია.

რადგანაც ამ შემთხვევაში რძის გაყალბების შესამოწმებლად მხოლოდ რძის სიმჭირხნის და ან ერბოს რაოდენობის შეტყობით კმაყოფილდებიან, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამით დაკმაყოფილება არ არის სასურველი; აქედან შესაძლებელი არ არის რაიმე შეურყეველი აზრი დაასკვნას კაცმა შესახებ რძის გაყალბებისა, რადგანაც თვითონ ნორმალურ, არა-გაყალბებულ რძეს ყოველთვის ერთგვარი შედგენილება არა აქვს. როგორც წინა წერილებიდან უკვე ვიცით, სხვა-და-სხვა ძროხის რძეს სხვა-და-სხვა შედგენილება აქვს. ამისგამო ზემოდ მოყვანილ საფუძველზე დაფუძნებული სჯა შესახებ რძის გაყალბებისა ჭეშმარიტი და უტყუარი არ იქნება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზოგიერთ რძეში ექსტრაქტის რაოდენობა მხოლოდ 10 ან 11% და ზოგში კი 14 და 15% ადის. ამისათვის თუ იმისთანა რძეს, რომელსაც 13% ექსტრაქტი აქვს, შეურევთ $^1/_5$-ს წყალს (20%), მაშინ ამ რძის ექსტრაქტი დაიწევს მხოლოდ 10,$_8$%-დინ და ამგვარი რძეც ხომ ბევრია, მაშასადამე, არ შეგვიძლიან დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ეს რძე წყალ-შერეულია.

აქედან ცხადია, რომ იმის შესატყობად, გაყალბებულია რძე თუ არა, უნდა ვრცელი გამოკვლევა მოხდეს. თუ რძე შეხედულობით კარგია და იმისი სიმჭირხნე 1,$_{030}$ ზე დაბალი

არ არის და არც $1,_{033}$ მაღალი, მაშინ შეგვიძლიან გამოუკვლეველად ეს რძე ნორმალურ რძედ მივიღოთ. თუ ამ სიმჭირხნეზე ან მცირეა და ან მეტი და თუ ამასთან, სხვა გარეგანი თვისებანიც, როგორც ფერი, გემო და სუნი აქვს, მაშინ რძე ვრცლად უნდა იქმნას გამოკვლეული. რასაკვირველია, ესეც შესაძლებელია, რომ ნაღების მოხდით და წყალის შერევით, რძეს ნორმალური სიმჭირხნე შერჩეს, მაგრამ ამ შემთხვევაში რძეს თავისი გარეგანის შეხედულობით უეჭველად დაეტყობა, რძის ფერი მოლურჯო იქნება და, მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც რძე ვრცლად უნდა იქმნას გამოკვლეული.

როცა საჭიროა რძის ვრცლად გამოკვლევა, მაშინ ჯერ ამ რძის სიმჭირხნე უნდა იყოს შეტყობილი, შემდეგ მისი რეაკცია და ბოლოს ერბოს და ექსტრაქტის რაოდენობა. რასაკვირველია, აქაც ძნელია გადაწყვეტით ვსთქვათ, რომ თუ რძეს რა რაოდენობა უნდა ჰქონდეს ერბოსი და ან ექსტრაქტისა, რომ გაყალბებულად არ ჩაითვალოს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველ მხრისა და ყოველ ადგილის რძეს თავისი ხასიათი აქვს, თავისი ბეჭედი აზის, ეს გარემოება გაგვიადვილებს მსჯელობას. ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მთის ძროხებს უფრო დიდ-ექსტრაქტიანი და ერბოანი რძე აქვთ, ვიდრე ვაკე-ბარის ძროხებს. ამისათვის ყოველმა გამომკვლეველმა წინადვე უნდა შეისწავლოს ადგილობრივის რძის ხასიათი და შედგენილება, შეისწავლოს, რასაკვირველია, ნორმალურ რძის კვლევითა და მაშინ ამასთან შედარების წყალობით შეუძლიან გადასწყვიტოს, რა მინიმუმი და მაქსიმუმია მოსალოდნელი ამ სხეულების რაოდენობისა ადგილობრივ რძეში. თუ ამას შემდეგ რომელიმე რძე ამ მიჯნებს გადაცილებულია, რასაკვირველია, შეუძლიან გაყალბებულად შერიცხოს. ის გამომკვლეველი, რომელიც კარგად იცნობს ადგილობრივ რძის შედგენილებას, შეუდგება სხვა-და-სხვა გარემოებათა აწონ-დაწონვას, მისგან ნაპოვნთა ნივთიერებათა რაოდენობის ერთმანეთთან შედარებას და ამით შეუცდომელად გადასწყვეტს რძის ღირსებას. ამ შემთხვევაში ღირსია ყურადღებისა ერთი საშუა-

ლება, რომელიც ფლეიშმანმა მოიგონა: ჯერ შეიტყობენ რძის სიმჭირხნეს (s) მტკიცედ 15°-ზე; ამას შემდეგ ერბოს რაოდენობას (f) და ზემორე-მოყვანილი ფორმულის შემწეობით გამოიანგარიშებენ ამ რძის ექსტრაქტის რაოდენობას. ექსტრაქტის და ერბოს რაოდენობიდან შეიძლება შევიტყოთ უერბოვო ექსტრაქტის რაოდენობაც (r); აქედან შეიძლება გამოანგარიშებულ იქმნას საკუთარი წონა (ანუ სიმჭირხნე) ყოველის რძეში მყოფ ნივთიერებისა (m) ამ ფორმულით (თუ ერბოს, ექსტრაქტის რაოდენობას წინანდელს მივიღებთ და სიმჭირხნეს $1{,}_{0305}$):

$$m = \frac{s.\ t}{s.\ t} - (100s - 100);$$

ახლა ასოების მაგივრად მათი გამომხატველი ნივთიერებათა რაოდენობა თავიანთ ადგილებს ჩავწეროთ და მაშინ ამგვარი სახე ექნება:

$$m = \frac{1{,}0305 \times 11{,}842}{1{,}0305 \times 11{,}842} - (100 \times 1{,}0305 - 100),$$

საიდანაც გამოანგარიშებით

$$m = 1{,}333.$$

წყალის შერევას იმით შეიტყობენ, რომ ექსტრაქტის სიმჭირხნე ნორმალურ რიცხვთა შორის $1{,}_{30}$—$1{,}_{40}$ იქნება და სხვანი კი, როგორც s, f, t და r, ნორმაზე დაბალი იქნებიან. ნაღების მოხდის დროს m ძალიან გადიდდება და s კი ცოტაოდნავ; თუ რძე ნაღებ-მოხდილია და ამასთანავე წყალ-შერეულიც, მაშინ f, t და r შემცირდებიან და s კი ნორმალური დარჩება. რძეს ხშირად უმატებენ იმისთანა სადეზინფექციო ნივთიერებათა, რომელნიც რძეს დიდ ხანს ინახავენ. ამ ნივთიერებათა მიმატება ხშირად მავნებელია და ამისათვის ყოველთვის საჭიროა შევიტყოთ, არის რამე მიმატებული ამისთანა ნივთიერება, თუ არა. მათ შორის უფრო გავრცელებულია:

ბორაქსის ხსარება. როგორც უკვე ვიცით, ბორის სიმჟავის მარილი (ბორაქსი) რძეს კარგად ინახავს და არც ძალიან მავნებელია, თუ გადამეტებული არ არის. თუ რძეშია შერეული, სიმჭირხნეს უმატებს და ამასთან, რასაკვირველია, მარილოვან ნივთიერების რაოდენობასაც ადიდებს. ამ სხეულით

გაყალბების შეტყობა ძნელი არ არის. აიღებენ ცოტაოდენ რძეს, ჩაასხამენ პლატინის ფიალაში, დააშრობენ, დასწვამენ და შემდეგ ცოტაოდენს წმინდა ალკოგოლს მიუმატებენ და ამასთან გოგირდის სიმჟავესაც; კარგად აურევენ და ცეცხლს მოუკიდებენ. თუ დარჩენილ ნაცარში და, მაშასადამე, რძეში ბორაქსი იყო, მაშინ ალკოგოლის ალს მწვანე ფერი ექნება.

აგრედვე შესაძლებელია ამ სხეულის შემოწმება ამგვარად: აიღებენ 100 კ. ს. რძეს, ცოტა კირს მიუმატებენ, დააშრობენ და დასწვამენ. ნაცარს რაიმე სიმჟავეში გახსნიან, მაგ. გოგირდის ან მარილის სიმჟავეში, ქაღალდში გასწურავენ. შემდეგ მიუმატებენ კურკუმის ხსნილს (ერთგვარი მცენარის საფერავია) და ცეცხლზე დააშრობენ. თუ რძეს ბორაქსი ჰქონდა მიმატებული, მაშინ დაშრობის დროს მთელი ნაშთი წითელის აგურის ფრად შეიღებება.

სალიცილის სიმჟავე. სალიცილის სიმჟავეც ძალიან კარგად ინახავს რძეს და ამისათვის ზოგიერთნი ამ ნივთიერებას უმატებენ. ამისი პოვნაც ძნელი არ არის: აიღებენ 100 კ. ს. თბილ წყალს (60°) და 5 წვეთს ძმრის სიმჟავეს, კარგად აურევენ და ამ ნარევს მოუმატებენ ხუთიოდე წვეთს ვერცხლის-წყლიან გვარჯილის სიმჟავის მარილის ხსნილს. ამით რძეს ხაჭო გამოეცლება და, დალექის შემდეგ, ქაღალდის ფილტრში გაატარებენ. ხაჭო-გამოცლილ შრატს ჩაასხამენ ვიწრო-ყელიან ჭურჭელში, მიუმატებენ 50 კ. ს. წმინდა ეთერს, კარგად შეანჯღრევენ და შეასვენებენ. ცოტა ხნის შემდეგ მთელი ეთერი პირს მოექცევა და ამ ეთერში იქნება გახსნილი სალიცილის სიმჟავე, თუ, რასაკვირველია, რძეს ჰქონდა მიმატებული. ამ ეთერს გამოაცლიან, გასწურავენ ქაღალდში, დააშრობენ და ნაშთს წყალში გახსნიან. ამას მიუმატებენ ორიოდე წვეთს ქლორიანის რკინის მარილის ხსნილს (Fe^2Cl^6)—თუ სალიცილის სიმჟავე არის, ის მაშინვე იის ფრად შეიღებება.

ამ სალიცილის სიმჟავის პოვნა შეიძლება აგრედვე 20 კ. ს. რძისთვის ორი-სამი წვეთი გოგირდის სიმჟავის მიმატებით და რძის ეთეთრთან შენჯღრევით. ამას შემდეგ კი ისევე მოიქცე-

ვიან, როგორც წინად, ე. ი. ეთერს დააშრობენ, მარილს წყალში გახსნიან და რკინის მარილით იმოქმედებენ—აქაც იის ფრად შეიღებება, თუ სალიცილის სიმჟავე არის.

ნახშირ-მჟავის მარილების ბოვნა. რძის შესანახად ხშირად ხმარობენ ნახშირის-სიმჟავის ნატრის მარილს, სოდას (carbonate de soude) და მისი დანიშნულება იმაშია, რომ, თუ რძე დამჟავდა, თუ რძეში რძის სიმჟავე გაჩნდა ანუ **რძის დუღილა**, ეს მარილი სიმჟავეს დაანელებს და რძე აღარ აიჭრება, მაშასადამე, დიდ ხანს შეინახება. ამ სხეულის პოვნა ასე შეიძლება: აიღებენ 10 კ. ს. რძეს და მიუმატებენ 10 კ. ს. ალკოგოლს და რამდენსამე წვეთს როზოლის სიმჟავის ხსნილს (acide rosolique — 1: 100). თუ რძე წმინდა იყო, მაშინ იმას საღი წაბლის ფერი ანუ მუქი ქარვის ფერი მიეცემა და თუ ზემოდხსენებული მარილი ჰქონდა მიმატებული, მაშინვე წითელი ვარდის ფერს შეიძენს.

ნადუღი რძის შეტყობა. რძის შესანახავად რძეს ადუღებენ და, თუ რძის ადუღება ყოველ დღეს არის გამეორებული, მაშინ რძე დიდ ხანს შეინახება; ყოველ ადუღების დროს რძის სიმჟავის ფერმენტი იხოცება და, მაშასადამე, აღარ აიჭრება. ამ გვარის ადუღებით რძის ხაჭო იცვლება, სქელდება და ამით იცვლება თითონ რძის თვისებაც. ნადუღი რძის შეტყობა ადვილია; ამისთვის ხმარობენ ერთგვარის ფისის (გვაიკის) ხსნილს, რომლის მიმატებითაც, თუ რძე ნადუღი არ არის, ლაჟვარდის ფრად შეიღებება და თუ ნადუღია—ფერს არ იცვლის.

საჭირო აგრედვე რძის რეაქციის შეტყობა. ხშირად მოხდება, რომ რძეს გარეგანის შეხედულობით არაფერი ზიანი არ ატყვია, მაგრამ გაცხელებით მაშინვე აიჭრება. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ რძეში უკვე გაჩენილა რძის დუღილი და ცოტა ხნის განმავლობაში თავის-თავადაც აიჭრება. ამისათვის საჭიროა რძის გასინჯვა ლაკმუსის ხსნილის შემწეობით, უფრო კარგია, თუ ლაკმუსის ქაღალდს იხმარებენ (ლურჯს); თუ რძე დამჟავებული არ არის, მაშინ ლურჯი ქაღალდი ან ისევ

ლურჯი დარჩება და ან იის ფერს მიიღებს და, თუ დამჟავებულია, მაშინვე გაწითლდება.

ერბოს გასინჯვა ჩიგეინის მხრით. როგორც ვიცით, რძეს ბევრი მტერი ჰყავს, სხვა-და-სხვა მიკრო-ორგანიზმები, რომლებიც, თუ რძეში დაიბუდეს, ან დაამჟავებენ და ან ისე წაახდენენ, რომ საჭმელად აღარ ევარგება. აგრედვე ისიც ხომ ხშირად მოხდება, რომ რძეს სხვა-და-სხვა გადამდები სენის ფერმენტები ექნება ან ძროხებიდან გადმოტანილი და ან მწველელისაგან. ამ შემთხვევაში რძეს მიკროსკოპით უნდა გამოკვლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარ გამოკვლევას ცოდნა უნდა და ამისთვის ყველას არ შეუძლიან, თუ მეტადრე სენი ჯერ გაძლიერებული არ არის. ამ ბაკტერიების შემჩნევა უფრო მაშინ არის გაადვილებული, როცა მათის მოქმედების შედეგი გამოჩნდება, ე. ი. როცა რძე ან დამწარდება, ან დამლაშდება, ან გასქელდება, ან ლორწოიანი და წებოვანი გახდება. ამაზე ჩვენ წინად გვქონდა ლაპარაკი და ამისთვის გამეორება საჭირო აღარ არის.—მიკროსკოპით აგრედვე ადვილი შესაძლებელია იმ ნივთიერებათა შემჩნევა, რომელთაც ხშირად უმატებენ ან ფერის მისიცემად, ან გასასქელებლად, როგორც კაოლინი, ცარცი, სახამებელი, ფქვილი და სხვანი.

ამით ვათავებთ რძის გამოკვლევის აღწერას და ბოდიშს ვითხოვთ ასეთის წვრილმანისა და თავ-მოსაბეზრებელ ცნობათა გარდმოცემისათვის. სამწუხაროდ უამისოდ ძნელია რძის მრეწველობის ფეხზე წამოყენება და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ, თუ ბევრი არა, ზოგიერთი მაინც ისარგებლებს ამ ცნობებით.

IV

ნაღები

მისი მოგროვება და მოხდა

ყველამ კარგად იცის და ჩვენც არა ერთხელ მოგვიხსენებია, რომ როცა რძე წყნარად სდგას ჭურჭელში, მაშინ მისი ერბოს ბურთები ანუ ერბოს წვეთები რძის პირას ამოდის და თან ამოაქვს ის გარსის დაგვარი ნივთიერებანიც, რომელშიაც გახვეულია, ესე იგი ხაჭო და სხვანი. ერბოს სფერები, ასე ზედაპირას ამოსული, არის ნაღები*). მაშ ამ გარემოებაში რძე ორად ნაწილდება, რომელთაგანაც ერთი, ზემოთი ნაწილი, მდიდარია ერბოთი და მეორე კი, ქვემოთი—გაღარიბებულია, ცოტა-და ერბოს შეიცავს. მრეწველობაში ამ თვისებით სარგებლობენ, რომ რძეს გამოაცალონ, რაც შეიძლება, ბევრი ერბო ნაღების შემწეობით და შემდეგ ამ ნაღებისაგან მოამზადონ კარაქი. კარაქის მომზადება, რასაკვირველია, შესაძლებელია პირდაპირ რძისაგანაც, ნაღებ-მოუხდელ რძისაგან, მაგრამ ამგვარად მომზადება გავრცელებული არ არის და არც ღირსია გავრცელებისა. ტკბილი, მტკნარი ანუ ახლად მოწველილი რძე ძნელად იდღვიბება და ამასთან რადგანაც ერბოს მოსაგროვებლად საღღვებელში საჭიროა დაბალი ტემპერატურა, ამ შედღვებას დიდი დრო და ჯაფა უნდება, ძრიელს და ხანგრძლივ დღვებას თხოულობს. ზოგიერთ

*) ამ ნაღებს, ესე იგი უმი რძის ნაღებს ჩვენში მგონია არაჟანს ეძახიან.

ადგილებში, როგორც, მაგალითებრ, ჩვენში, ამ ხანგრძლივი დღეების ასაცილებლად სდღვებენ დამჟავებულ ანუ შედედებულ რძეს, ასე რომ მოწველის და შედღვების შორის კარგა ხანი გადის. ამგვარი ხერხი თუმცა ცოტაოდნად აადვილებს და აჩქარებს ერბოს მოგროვებას, მაგრამ არც ეს არის კარგი და ღირსი გავრცელებისა. ამგვარად მომზადებულ კარაქს, იმას გარდა რომ ცოტაა, არც კარგი გემო აქვს და არც შესანახავად არის კარგი; კარგის ხარისხის კარაქი არ გამოდის და ვერც დიდ ხანს ინახება, მალე მძაღდება. ამას ისიც დავუმატოთ, რომ პირდაპირ რძის შედღვება (ტკბილია თუ დამჟავებული, ამ მხრით სულ ერთია) დიდრონ სადღვებლებს თხოულობს, რადგანაც, როგორც ვიცით, ამ რძეს, ნაღებთან შედარებით, ხუთჯერ თუ ექვსჯერ უფრო დიდი ტანი აქვს. პირდაპირ რძის შედღვება გავრცელებულია, როგორც ლეზე ამბობს, მხოლოდ იმისთანა ღარიბ და გადაკარგულ ქვეყნებში (dans quelques pays pauvres et isolés), სადაც მამაპაპურს ჩვეულებას წლითი-წლობით ითვისებენ შემდეგნი თაობანი და სადაც ვერავინ ჰბედავს იმის შეცვლას. ეხლანდელ მწერლობაში და მეტადრე საზოგადო სარძევე ქარხნებში აღარც რძეს და აღარც მაწონს აღარა სდღვებენ, არამედ თითქმის ყველგან ჯერ ნაღებს აგროვებენ და მხოლოდ ამ ნაღებით აკეთებენ კარაქს. ამგვარ საშუალებას ის უპირატესობა აქვს, რომ ნაღები რძესთან შედარებით უფრო ბევრ ერბოს შეიცავს და ამისგამო უფრო ადვილი შესამუშავებელია. მართალია, ნაღების მოსაგროვებლად და მოსახდელად საჭიროა ცალკე მოწყობილი შენობა, საჭიროა ნაღებ-მოსაგროვებელი ჭურჭელი, რაც, რასაკვირველია, დიდ ხარჯსა და შრომას თხოულობს, მაგრამ ამის მიუხედველად ნაღებით კარაქის გაკეთება უფრო გავრცელებულია და გავრცელებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გვარად მომზადებულ კარაქს უფრო კარგი თვისება აქვს, უფრო გემრიელი და სუნნელოვანია, უფრო ადვილი და კარგი შესანახია და დიდ ხანსაცა სძლებს, არა ფუჭდება. ამ ბოლოს დროს ნაღებს ცენტრიფუგებით ჰხდიან და ამით, როგორც ვნახავთ, ძალიან შემოკლებული და გაადვილებულია ეს მუ-

შაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ყველგან არ არის გავრცელებული, როგორც თვითონ მანქანების სიძვირის გამო, ისე იმიტომაც, რომ მათ სახმარებლად ბევრი რძე არის საჭირო; ცენტრიფუგების ხმარება აქამდე მხოლოდ საზოგადო სარძევე ქარხნებს შეუძლიანთ და ან მდიდარ და ბევრის საქონლის პატრონს; ცალკე ოჯახობა კი საზოგადოდ ამას ჯერ მოკლებულია.

ამის გამო ჯერ-ჯეროზით კიდევ დიდად არიან გავრცელებულნი ის სხვა-და-სხვა საშუალებანი, რომელნიც დაფუძნებულია თავის-თავად ნაღების მოკრეფაზე, როცა რძე წყნარად არის შენახული, თუმცა კი, როგორც ვნახავთ, ამ გარემოებაში რძეს მთელი მისი ერბო არასდროს არ ეცლება, ერთი მეექვსედი შიგვე რჩება და ამ მხრით დიდად სჯობია ცენტრიფუგით მუშაობა.

თუმცა, როგორც ვხედავთ, ნაღების მოგროვებას და მოხდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერ მაინც კარგად გადაწყვეტილი არ არის, რა გარემოებაში და რა ვითარებაში უფრო კარგად გროვდება ეს ნაღები. ამისათვის ვიდრე სხვა-და-სხვა ნაღებ-მოსაკრეფელ საშუალებათა აწერას შევუდგებოდე, ვეცდები მკითხველებს გავაცნო ის სხვა-და-სხვა გარემოებანი, რომლებზედაც ასე თუ ისე დამოკიდებულია ნაღების მოგროვება და ბოლოს თითონ ნაღებისა და ნაღებ-მოხდილ რძის შედგენილება და მოხმარება.

ა) ნაღების მოგროვებაზე ზედ-მოქმედნი გარემოებანი

ზემოდ მოხსენებულ რძის განაწილება ნაღებად და ნაღებ-მოხდილ რძედ მთლად დამოკიდებულია იმ ნივთიერებათა ფიზიკურს თვისებაზე, რომელთაგანაც შედგენილია რძე და განსაკუთრებით გამოწვეულია თითონ ერბოს თვისებით, მისის სიმჭირხნით; ეს სიმჭირხნე ბევრად მდაბალია ანუ სუსტი რძის სხვა შემადგენელ ნივთიერებათა სიმჭირხნეზე. აქ იგივე მო-

ვლენაა, რაც ვნახეთ და თითქმის ყოველთვის ვხედავთ წყალთან შედღვებილ ზეთის ემულსიაზე: დროს განმავლობით და ცოტ-ცოტაობით ზეთი ეცლება წყალს და პირზე ექცევა ერთ კეცად. მაშ, მოსალოდნელი უნდა იყოს, რძესაც მთელი ერბო გამოეცალოს და რძის პირას ერთ კეცად მოგროვდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძალიან იშვიათია; ეს მოვლენა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ამ ერბოს ბურთებს ექნებოდა შეძლება ან ნება რძიდან თავისუფლად ამოსვლისა. სამწუხაროდ, ერბოს ბურთები ამ შეძლებას ანუ თავისუფლებას მოკლებულია და ამის გამო სრული მათი გამოკლა ძალიან იშვიათია. რძე რომ მარტო წყლისა და ერბოს ემულსია ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, მათი განაწილება ძალიან ადვილი მოსახერხებელი და შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, რძეში, წყალს გარდა, ბევრი სხვა ნივთიერებაც არის და ეს ნივთიერებანი ძალიან უშლიან ერბოს თავისუფლად პირზე ამოსვლას. აქ დამაბრკოლებელი ან შემაფერხებელი მიზეზი ორია: პირველი ისა რომ, როგორც უკვე ვიცით, თუმცა ერბოს ბურთებს გარსი არა აქვს, მაგრამ მაინც გახვეულია რძის მასალაში, ხაჭოსა და წყალში გახსნილ შაქარსა და მარილებში. ეს მასალა, რომელშიაც ბურთებია გახვეული, უფრო მჭირხნეა, უფრო მძიმეა, ვიდრე თითონ ერბო და შიგ გახვეულ ერბოსაც ამძიმებს და დამძიმება, რასაკვირველია, მის თავის-თავად რძის-პირას ამოსვლას დააბრკოლებს, მის თავისუფალ მსვლელობას შეაფერხებს და გააძნელებს. მეორე მიზეზი თითონ რძის თვისებაა: როგორც ვიცით, რძეში ბევრი ნაწილი ხაჭოსი გაჟღენთილია რძის მასალით და არა გახსნილი, მხოლოდ გაბუბკებულია და ამის გამო რძე წებოვანია და სქელი. ეს გარემოებაც, ე. ი. რძის წებოვანება, რასაკვირველია, აფერხებს ერბოს ბურთების თავისუფლად მსვლელობას და ამის გამო ძნელდება ამ ერბოს პირზე ამოსვლა. ერბოს ბურთები ამოსვლის დროს ეხახუნებიან ამ წებოვან ხაჭოს და ეს ხახუნი, რასაკვირველია, აგვიანებს მათ მსვლელობას.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ის ნივთიერებანი, რომელშიაც ერბოს ბურთებია გახვეული, ყოველ რძეში ერთგვარი და ერთის თვისებისა არ არის: ზოგი რძე უფრო სქელია და ამის გამო შიგ მოტივტივე ერბოს ბურთებს უფრო სქლად ექნება შემოხვეული ეს ნივთიერებანი და ამით უფრო დამძიმებული იქნება და, მაშასადამე, უფრო გაძნელებული მათი ზედაპირისკენ მსვლელობა.

რამდენადაც რძე სქელია, იმდენად ეს ერბოს ბურთების გარეშე შემოხვეული გარსიც სქელი იქნება და, მაშასადამე, ამ გარემოებასაც დიდი გავლენა ექნება ნაღების მოგროვებაზედ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ერბოს სფერებს სხვა-და-სხვა ტანი აქვს, ზოგი წვრილია და ზოგი შედარებით დიდრონი. ამისგამო იმ ნივთიერებათა წონაც, რომელშიაც ეს სხვა-და-სხვა ტანის სფერებია გახვეული, სხვა-და-სხვა იქნება, ერთი-ერთმანეთზე მეტ-ნაკლები ან მძიმე და ან მსუბუქი. რასაკვირველია, დიდრონ სფერების გარეშემოხვეული გარსი უფრო მძიმე იქნება, ვიდრე წვრილებისა—ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ, თუ ამ გარსის დაგვარ ნივთიერებათა წონას თითონ ერბოს სფერების წონას შევუდარებთ, მაშინ სულ სხვას ვნახავთ: ყველამ კარგად იცის, რომ დიდის სხეულის ამავე სხეულის ტანთან შედარებით უფრო პატარაა, ვიდრე პატარა სხეულისა, თუ ამასაც ამავე სხეულის ტანს შევუდარებთ; პატარა სხეულის გარსი უფრო მძიმე იქნება მისთვის, ვინემ დიდი სხეულისა დიდი სხეულისთვისვე. აქედან ცხადია, რომ ის დამაბრკოლებელი ძალა ერბოს სფერების ზედა პირზე თავისუფლად მსვლელობისა, როლმელიც ამ სფერების გარსზე არის დამოკიდებული, წვრილ სფერებისთვის უფრო ძრიელი იქნება, ვიდრე ერბოს დიდრონ სფერებისათვის. ამისგამო წვრილი სფერები უფრო შეფერხებული იქნება, უფრო ძნელად ამოვა ზედა პირზე, ვიდრე დიდი სფერები. მაშ, ნაღებში დიდრონი სფერები უფრო მალე ამოვა, ვიდრე წვრილები, დიდრონი სფერების რძიდან გამოცლა და გამონაწილება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე წვრილებისა, რასაც ყოველდღიური პრაქტიკა ცხადად გვიჩვენებს. ნაღებ-მოხ-

დილ რძეში ყოველთვის რჩება ერბოკ და ეს ერბოკ სულ წვრილ-სფერებისაგან არის შემდგარი. ჩვენ აქ მოგვყავს ორი მიკროს-კოპული სურათი (სურათი 18, ა—ბ), რომელთაგანაც ა ნაღებ-მოუხდელი რძეა და ბ ნაღებ-მოხდილი და რომელთაგანაც სრუ-ლიად ცხადად სჩანს ზემორე ნათქვამი. როგორც ვხედავთ, ნა-ღებ-მოხდილ რძეში სულ წვრილმანი ერბოს სფერები დარჩე-ნილა.



სურათი 18. ა) ნაღებ-მოუხდელი რძე.



სურათი 18. ბ) ნაღებ-მოხდილი რძე.

რადგანაც ერბოს გამოსავალი მჭიდროდ დამოკიდებულია ამ ერბოს რაოდენობაზე შესადღვებ ნაღებში და რადგანაც ერ-ბოს სფერების ზედა პირზე ამოსვლის სიჩქარეს დიდი გავლენა აქვს ამ ნაღების მოკრეფაზე და, მაშასადამე, თვითონ რძის ღირსებაც ამ მხრით ამაზეა, დამოკიდებული, ამისათვის ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით გავარჩევთ იმ გარემოებათა, რომელთაც ასე თუ ისე რამე გავლენა აქვთ ამ ნაღების მოკრეფაზე ანუ ერბოს ბურთების რძის პირას ამოსვლაზე.

ნაღების მოგროვებაზე მრავალ სხვა-და-სხვა გარემოებასა აქვს გავლენა და მათ შორის განსაკუთრებით 1) რძის თვისე-ბას და ერბოს რაოდენობას ამ რძეში, 2) რძის ტემპერატუ-რას ნაღების მოგროვების ხანაში, 3) ჰაერის მდგომარეობას, 4) ვენტილაციას და ნაღებ-მოსაკრეფის ადგილის სიწმინდეს,

5) რძის სიმაღლეს ჭურჭელში, 6) რძის ადუღებას და სხვანი. ამ გარემოებათა გამოკვლევით და შეგნებით შევიძლებთ შევადგინოთ საზოგადო და ცხადი სურათი ნაღების მომზადებისა.

1) რძის თვისების და ერბოს რაოდენობის მნიშვნელობა ნადების მოგროვების დროს. რადგანაც, როგორც უკვე ვიცით, ხაჭო ყოველ რძეში ერთგვარ მდგომარეობაში არ არის, რადგანაც იგი ყოველ რძეში ერთ ხარისხზე არ არის დაბუბკებული და გაჟღენთილი, ამისგამო ყოველი რძე ერთგვარის სიჩქარით არ მოიკრეფს ნაღებს, ყოველ რძეში მისი ერბო ერთდროს განმავლობაში არ ამოვა იმის პირას. წარმოვიდგინოთ, რომ ორი რძე შენახულია ერთგვარ გარემოებაში, ესე იგი ერთ ტემპერატურაზე, ერთგვარ ჭურჭელში, ერთის სიმაღლით და ერთგვარ ჰაერში და სხვანი და ამასთან ორივე რძეს ერბოს რაოდენობა ერთგვარი აქვს, მაშინ ის რძე უფრო მალე მოიკრეფს ნაღებს, იმ რძეს უფრო მალე ამოეცლება ერბო, რომელშიაც ხაჭოს მდგომარეობა უფრო დაახლოვებულია **გახსნილ მდგომარეობაზე.** რამდენადაც რძე თხელია, იმდენად გაადვილებული იქნება ერბოს სფერების პირზე ამოსვლა და, პირიქით, რამდენადაც რძე სქელია, რამდენადაც უფრო წებოვანია, იმდენად გაძნელებული იქნება ნაღების მოგროვება ანუ ერბოს რძის პირზე ამოსვლა. ამას გარდა, ამასთან ისიც არის შესანიშნი, რომ თხელ რძეში, არა თუ მარტო აჩქარებული იქნება ნაღების მოგროვება, არამედ, ამასთანავე, ამ რძის პირას მოგროვილ ნაღებში ამოვა წვრილმანი ერბოს წვეთებიც, წვრილმანი სფერები. ამისგამო ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაღები უფრო სუქანი იქნება, უფრო ბევრ ერბოს შეიცავს და აქედან ერბოს გამოსავალიც უფრო კარგი იქნება.—არა მარტო ხაჭოს ვითარება და რაოდენობა ჰმოქმედობს ასე, არამედ ხაჭოსთან ერთად და თითქმის ერთგვარად ჰმოქმედობს ის სხვა სხეულებიც, რომელიც რძეში მოიპოვება, როგორც მაგალითად შაქარი და მარილები. ესენიც ხაჭოსთან ერთად ამ ერბოს სფერებს გარს ეხვევიან და ამით ამძიმებენ და ამცირებენ მათ მოძრაობას ზევით, მათ მსვლელობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედაპირისკენ. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ყოველი წვეთი ერბოსი, ყოველი სფერი თავის მოგზაურობაში ზევითკენ ამ რძის შემადგენელ ნივთიერებათა ხვდება, მათ ეწებება, ეხახუნება და ეს გარემოებაც, რასაკვირველია, თითონ რძის მდგომარეობის დაგვარად შეამცირებს ამ სფერების მსვლელობას. ნალების მოგროვებასა და ამ ნალების შედგენილებაზე აგრეთივე დიდი გავლენა აქვს თითონ ერბოს რაოდენობასაც რძეში. რამდენადაც ერბო ბევრია რძეში, იმდენად უფრო კარგა და ჩქარა ამოდის რძის პირას და ამის გამო იმდენად უფრო მცირდება თითონ რძეში მყოფი ერბოს რაოდენობა, ასე ვსთქვათ, იმდენად უფრო უერბოვდება ეს რძე. ამის მიზეზი ის არის, რომ სუქან რძეში ერბოს სფერები უფრო შეჯგუფებულია, უფრო დაახლოვებული ერთმანეთზე და ამის გამო ის გარემოებანი ანუ ძალნი, რომელნიც ზევით ამოსვლას უშლიან, უფრო შესუსტებულნი იქნებიან, ესე იგი იმდენად უფრო შემცირებული იქნება ხაჭოს ზედგავლენა მათზე, აგრედვე შემცირებული იქნება ხახუნიც, რომელიც ყოველმა ერბოს წვეთმა უნდა აიტანოს. ყოველივე ესე აადვილებს და აჩქარებს ამ ერბოს ბურთების რძის პირას ასვლას.—ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენადაც რძე სუქანია, იმდენად ამ ერბოს სფერები უფრო დიდი ტანისაა და დიდრონი სფერები ხომ, როგორც უკვე ვიცით, უფრო მალე და ადვილად ადის რძის პირას. საზოგადოდ, შენიშნულია, როგორც ეს წინა წერილებიდანაც ვიცით, რომ რომელი ძროხაც უფრო სუქან რძეს იძლევა, ის თავის რძეში უფრო დიდრონ ერბოს სფერებს ამზადებს (როგორც ჯერსეის ჯიშისა). ყველა ამ გარემოებათაგან ცხადია, რომ სუქანმა რძემ უფრო მალე და უფრო ადვილად უნდა მოიგროვოს ნალები.

2) ტემპერატურის ზედგავლენა ნალების მოგროვებაზე. ყველა გარემოებაზე ტემპერატურას უფრო დიდი გავლენა აქვს ნალების მოგროვებაზე და რამდენადაც ეს ტემპერატურა მაღალია ერთგვარ მიჯნათა შორის, იმდენად კარგა იკრიფება ნალები და ეს ნალები ამასთანავე იმდენადვე ბევრს ერბოს შეიცავს.

საზოგადოდ, მიღებულია, რომ ნაღების მოგროვების დროს რძის ტემპერატურამ 0°-ზე ძირს არ უნდა დაიწიოს და არც 30°-ზე მაღლა აიწიოს; მაშასადამე, ტემპერატურის ცვლილებას კარგა ვრცელი მიჯნები აქვს. რაც შეეხება ამ მიჯნებს გადაცილებულ ტემპერატურას, ამ მხრით ყოველგვარი გამოკვლევა იმას გვაუწყებს, რომ ორივე მხრით ამ მიჯნებზე გადაცილება მავნებელია ნაღების მოგროვებისათვის. თუ ერთის მხრით ნაღებ მოსახდელი რძე შენახულია 0°-ზე და ან ამას ქვეითზედ, მაშინ ეს რძე ნაღებს აღარ იძლევა, ამ გარეიოებაში ნაღები აღარ გროვდება, როგორც ეს დაამტკიცა მრავალის გამოკვლევით დალმა (Dahl); აგრედვე გაძნელებულია ნაღების მოგროვება 30°-ზე ზევით, მეტადრე იმიტომ, რომ ამ გარემოებაში რძე მალე მჟავდება, იჭრება და, მაშასადამე, ნაღები ვეღარ მოგროვდება. ესეც დამტკიცებულია ალექ. მიულერის გამოკვლევით. ამისათვის, როცა ტემპერატურის ზედგავლენაზე იქნება ლაპარაკი, მაშინ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ის ტემპერატურა, რომელიც საზოგადოდ მიღებულია ამგვარის მუშაობისათვის, ე. ი. 2°-დინ 25—30°-დინ. აქ კიდევ გავიმეორებთ, რომ **ამ მიჯნათა შორის რამდენადაც ნაღების მოგროვების ხანაში რძის ტემპერატურა მაღალია, იმდენად მოგროვილ ნაღებს ცოტა ცხიმი აქვს და ამასთანავე იმდენად სქელია და იმდენად ბევრ ერბოს შეიცავს.**

ტემპერატურის ზედგავლენა ნაღების მოგროვების ხანაში სამის მხრით შეიძლება გავსინჯოთ: a) ნაღების რაოდენობის მხრით, ე. ი. რა ტემპერატურაზე უფრო დიდი ცხიმი აქვს მოგროვილ ნაღებს; b) ერბოს რაოდენობის მხრით ამ ნაღებში, ესე იგი რომელ ტემპერატურაზე მოგროვილი ნაღები უფრო ბევრ ერბოს შეიცავს და უკანასკნელად c) რძიდან ერბოს ამოცლის სისრულის მხრით, ანუ რომელ ტემპერატურაზე უფრო ბევრი ერბო ამოდის რძიდან და ნაღებ-მოხდილ რძეში კი უფრო ცოტა ერბო რჩება.

a) პირველის მხრით, ანუ ნაღების რაოდენობის, გინა მისის ცხიმის მხრით პირველად კეიზერმა გამოარკვია, რა დამო-

კიდებულეააც არსებობს რძის ტემპერატურასა და ნაღების ტანის შორის; იმან მოახდინა გამოკდილება ორს ტემპერატურაზე და რძე ნაღების მოსაგროვებლად შეინახა 8°-ზე და 16°-ზე; აი შედეგი ამ გამოკელევისა:

	ნაღების ტანი:	
	8°	16°.
2 საათის შემდეგ	10,00%	8,00%
4 — —	12,25—	8,25—
6 — —	13,50—	9,75—
8 — —	14,50—	10,00—
18 — —	14,75—	10,75

როგორც ვხედავთ, 8°-ზე მოგროვილ ნალოებს უფრო დიდი ტანი აქვს, ვინემ 16°-ზე მოგროვილს და, მაშასადამე, დაბალ ტემპერატურაზე უფრო ბევრი ნაღები, უფრო დიდი ტანისა გროვდება, ვიდრე მაღალზე. ამას შემდეგ სხვა-და-სხვა სწავლულებისაგან მრავალი გამოკვლევა იყო მოხდენილი ამავე საგნის შესახებ და ყველა გამოცდილებათა შედეგი კეიზერის გამოცდილებას ამტკიცებს. იმავე კეიზერმა მოახდინა გამოცდილება ტემპერატურის უფრო გაცილებულ მიჯნებზე, ერთ რძეს 2° ჰქონდა და მეორეს 16° და აი აქაც რა აღმოჩნდა:

	ნაღების ტანი:	
	2°	16°
6 საათის შემდეგ	17,0	9,0
22 — —	16,0	9,25.

ამგვარივე გამოკვლევა მოახდინეს სხვა საწლულებმაც, მაგ. ალ. მიულერმა, დალმა, გებელმა (Gâbel) და მათი გამოკვლევაც ამასვე ამტკიცებს, ე. ი. დაბალ ტემპერატურაზე მოგროვილ ნაღებს უფრო დიდი ტანი აქვს, ვინემ მაღალ ტემპერატურაზე.

ამათ გარდა 1874 წელს ძალიან ვრცელი, დაწვრილებული და ამავე ჭეშმარიტების დამამტკიცებელი გამოკვლევა მოახდინა კრეისლერმა კერნის და დალის თანაშემწეობით: აიღო რამდენიმე ჭურჭელი ერთის ტანისა, სტაქნები, რომლებ-

საც 6 სანტიმეტრი სიგანე ჰქონდათ და 18,₆ სიმაღლე, ყველა გაავსო ერთგვარას რძით და შეინახა სხვა-და-სხვა ტემპერატურის წყალში და სხვა-და-სხვა დროს განმავლობაში შეამოწმა მოგროვილი ნაღების რაოდენობა. თითონ სანაღებე ოთახში ჰაერს 12—13° ტემპერატურა ჰქონდა და წყლის ტემპერატურა სხვა-და-სხვა ჰაუზში შეუცვლელად იყო დაცული მთელის გამოცდილების დაბოლოვებამდე.

რადგანაც ამ სწავლულის გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურის ზედმოქმედების შესაგნებად და ამ გამოკვლევის შედეგი ამ ტემპერატურის ზედმოქმედების სამსავე მხარეს შეეხება, ამისათვის მე აქ ჯერ თითონ გამოცდილებაში ნახმარ რძის შედგენილებას მოვიყვან და შემდეგ იმასაც, რაც გამოკვლევამ აღმოაჩინა. კრეისლერი ყოველ გამოცდილებაში, ნაღების მოხდის შემდეგ, ქიმიურად არჩევს თითონ ნაღებს და ნაღებ-მოხდილ რძესაც და ამისათვის ჩვენ შეგვიძლიან ნაღების ტანს გარდა, ისიც შევიტყოთ, რამდენი ერბოა ამ ნაღებში და რამდენი დარჩენილია ნაღებ-მოხდილ რძეში. ამ ცნობათა შედარებით ჩვენ შეგვეძლება შევადგინოთ სრული და ვრცელი სურათი ტემპერატურის მოქმედებისა ნაღების მოგროვებაზე.

კრეისლერისგან ნახმარ რძეს ჰქონდა 1,02992 სიმჭირხნე 17,°₆-ზე და ამ რძეში შემადგენელთა ნივთიერებათა ურთიერთი რაოდენობა შემდეგი იყო:

წყალი	—	88,₂₉₇ %
ერბო	—	2,₉₅₁ —
ხაჭო	—	3,₂₂₆ —
შაქარი და მარილი	—	5,₆₁₆ —

ექსტრაქტულ ნივთიერებათა რაოდენობა იყო 11,₇₉₃.

აი ამ გამოცდილების სქემა ნაღების რაოდენობის მხრით; სადაც სქემაში ციფრებს მაგივრად ხაზებია დასმული, იქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ გარემოებაში რძე დამჟავდა და ნაღები ვერ მოიკრიფა:

ჭრის ტემპერატურა.	დროს განმავლობა საათობით:									
	8	16	28	40	52	64	76	88	112	136
2°	—*)	10,43	10,31	11,36	11,89	11,89	12,42	—	12,51	12,32
4°	7,86	10,58	10,55	10,39	11,59	11,71	11,85	—	11,82	11,59
6°	7,30	9,14	10,03	11,0	11,02	11,20	11,21	11,34	11,18	10,82
8°	8,48	9,65	10,15	10,45	10,69	10,80	10,66	—	10,10	9,94
10°	8,83	9,20	9,92	10,41	10,17	10,28	9,82	9,89	9,82	—
15°	8,60	9,26	9,37	—	—	—	—	—	—	—
20°	8,93	8,70	—	—	—	—	—	—	—	—
25°	7,35	—	—	—	—	—	—	—	—	—
30°	6,51	—	—	—	—	—	—	—	—	—

ამ გამოკვლევიდან ცხადად სჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევის გარდა, რამდენადაც ტემპერატურა რძისა მაღალი იყო ნაღების მოგროვების დროს, იმდენად ნაღებს პატარა ტანი ჰქონდა, ანუ ცოტა ნაღები მოიკრიფა და პირ-იქით, რამდენადად დაბალი ანუ გრილი იყო ეს ტემპერატურა, იმდენად მოგროვილ ნაღებს დიდი ტანი ჰქონდა. თუმცა ზოგიერთი ციფრები არ ეთანხმება ამ კანონს, მაგალითებრ, ორმოცის საათის განმავლობის შემდეგ 6°-ზე უფრო ბევრი ნაღები მოგროვდა, ვიდრე 4°-ზე და ამისთანა განსხვავებას ვხედავთ რვა საათის განმავლობის შემდეგაც სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე, მაგრამ ამისთანა ცოტაოდენი უთანხმობა უნდა მიეწეროს თითონ გამოცდილების შეცდომას. ყოველ გამოცდილებაში შესაძლებელია ამგვარი შეცდომა, მეტადრე როცა გამოცდილება სწარმოებს ესეთ ცოტა რძეზე, როგორც 500 კ. სანტიმეტრი.

b) რაც შეეხება ტემპერატურის ზედმოქმედების მეორე

*) ამ გარემოებაში დაბალ ტემპერატურის გამო ძლივს შესამჩნევი ნაღები მოგროვდა.

მხარეს, ერბოს რაოდენობას ნაღებში, ამ მხრითაც შესანიშნავია და საფუძვლიანი ამავე კრეისლერის გამოკვლევა, რომლიდანაც ცხადად სჩანს, რომ მაღალ ტემპერატურაზე მოგროვილ ნაღებში უფრო ბევრი ერბო არის, ვიდრე დაბალ ტემპერატურაზე მოგროვილში; ნაღებში ამოსული ერბოს რაოდენობა იმდენად უფრო ბევრია, რამდენადაც ამ ნაღების მოგროვების დროს თვითონ რძეს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. აი სქემა კრეისლერისა შესახებ ერბოს რაოდენობისა სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე მოგროვილ ნაღებში.

რძის ტემპერატურა.	დროს განმავლობა საათობით.									
	8	16	28	40	52	64	76	88	112	136.
	ერბოს რაოდენობა ნაღებში.									
2_0	—	$12,_{28}$	$13,_{97}$	$15,_{21}$	$15,_{13}$	$16,_{65}$	$16,_{29}$	—	$18,_{64}$	$20,_{36}$
4_0	$11,_{57}$	$11,_{92}$	$14,_{35}$	$15,_{43}$	$16,_{16}$	$17,_{57}$	$18,_{36}$	—	$20,_{18}$	$22,_{0}$
6^0	$11,_{94}$	$14,_{31}$	$15,_{70}$	$17,_{41}$	$17,_{37}$	$18,_{29}$	$19,_{65}$	$20,_{09}$	$21,_{26}$	$23,_{22}$
8^0	$12,_{88}$	$13,_{24}$	$16,_{27}$	$17,_{07}$	$18,_{51}$	$19,_{78}$	$21,_{30}$	—	$23,_{71}$	$23,_{22}$
10^0	$12,_{97}$	$15,_{25}$	$17,_{61}$	$18,_{65}$	$19,_{87}$	$21,_{12}$	$23,_{05}$	$23,_{04}$	$24,_{97}$	—
15^0	$14,_{97}$	$17,_{31}$	$20,_{45}$	—	—	—	—	—	—	—
20^0	$17,_{89}$	$17,_{49}$	—	—	—	—	—	—	—	—
25^0	$20,_{27}$	—	—	—	—	—	—	—	—	—
30^0	$22,_{51}$	—	—	—	—	—	—	—	—	—

c) ტემპერატურის ზედგავლენა ერბოს ამოცლის ანუ ნაღებში ამოსვლის სისრულეზედაც ცხადია. როგორც არა ერთხელ გვითქვამს, რძიდან ნაღებში მთელი ერბოს გადასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ერბოს გამოსავალზე; რამდენადაც ბევრი ერბო ამოვა რძიდან ნაღებში, იმდენად ბევრს ერბოს მოგვცემს ეს ნაღები. შესაძლებელია, რომ რძემ რომელსამე გარემოებაში ძალიან ბევრი ნაღები მოიგროვოს და

ამასთან ისიც შესაძლებელია, რომ ამ ნაღებში ერბოს რაოდენობაც დიდი იყოს, მაგრამ ამასთან კიდევ ისიც არის შესაძლებელი, რომ ნაღებ-მოხდილ რძეში ცოტა თუ ბევრი ერბო კიდევ დარჩეს, ესე იგი შესაძლებელია რძეს მთლად არ გამოეცალოს იმაში მყოფი ერბო. თუ მოვიგონებთ, რომ ყოველ რძეს ერთგვარი სისქე არა აქვს და იმასაც, რომ მისი სიმჭირხნე დიდად იცვლება ტემპერატურის ზედ-მოქმედებით და ამასთან არ დავივიწყებთ, რომ რძის სისქე დიდად აბრკოლებს ერბოს ამოსვლას, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან წინადვე გამოუკვლეველად გადავსწყვიტოთ, რომ რამდენადაც რძე თხელი იქნება, რამდენადაც შემცირებული იქნება მისი სიმჭირხნე და წებოვნება, იმდენად ამ რძიდან მალე და ადვილად ამოვლენ შიგ მყოფი ერბოს ბურთები. რადგანაც მაღალ ტემპერატურაზე რძე უფრო თხელია, ვიდრე დაბალზე, აქედან ცხადია, რომ რამდენადაც რძე თბილი იქნება, იმდენად მისი სიმჭირხნე შემცირდება, რძე გათხელდება. ეს ორი გარემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ რძეში მყოფი ერბო იმდენად უფრო სრულიად და მთლად აცა რძის პირას და ნაღებად მოგროვდება, რამდენადაც მაღალი იქნება ამ რძის ტემპერატურა ნაღების მოგროვების დროს.

ამ მხრითაც საინტერესოა კრეისლერის გამოკვლევა, რომლის სქემასაც აქ მოვიყვანთ და რომლისაგანაც ცხადად სჩანს, რომ რამდენადაც მაღალია რძის ტემპერატურა ნაღების მოგროვების დროს, იმდენად ბევრი ერბო ამოდის ამ გარემოებაში მოგროვილ ნაღებში და ამის გამო იმდენად მცირე იქნება დარჩენილ ერბოს რაოდენობა ნაღებ-მოხდილ რძეში და, მაშასადამე, იმდენად სრული იქნება რძის განეწილება.

კრეისლერი ამ შემთხვევაშიაც ხმარობს ერთის ტანის სტაქნებს (500 კ. ს.) და ამ სტაქნებს, რძით გავსებულს, აწყობს სხვა-და-სხვა ტემპერატურის წყალში და ყოველ ჟურჟლის ტემპერატურას შეუცვლელად ინახავს მთელის გამოცდილების ხანში.

გამოცდილების შემდეგ ქიმიურად არჩევს ნაღებსაც და ნაღებ-მოხდილ რძესაც და ტყობილობს ერბოს რაოდენობას ერთშიაც და მეორეშიაც.

აი სქემა ამ გამოკვლევისა:

ტემპერატურა.	დროს განმავლობა საათობით.									
	8	16	28	40	52	64	76	88	112	136
	რძიდან ამოსული ერბოს რაოდენობა.									
2°	—	42,3	48,0	56,9	58,77	63,99	66,7	—	76,11	81,1
4°	30,03	42,1	50,4	59,5	62,7	67,4	71,7	—	78,2	83,6
6°	28,6	43,8	50,3	63,3	63,3	67,4	73,2	74,8	78,9	82,2
8°	36,3	42,6	53,9	58,7	65,5	70,93	75,0	—	79,9	83,2
10°	38,3	46,98	57,2	64,4	67,0	72,6	75,6	78,9	81,6	—
15°	43,5	55,0	66,4	73,1	—	—	—	—	—	—
20°	55,0	61,1	—	—	—	—	—	—	—	—
25°	53,0	—	—	—	—	—	—	—	—	—
30°	53,3	—	—	—	—	—	—	—	—	—

აქაც ცხადია, რომ ერთსა და იმავე გარემოებაში და ერთსა და იმავე ხანში, ზოგიერთ შემთხვევას გარდა, იმდენად უფრო ცოტა ერბო რჩება, რამდენადაც ამ რძის ტემპერატურა მაღალია ნაღების მოგროვების დროს. თუმცა აქაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოკვლევა ამ კანონს არ ემორჩილება, მაგრამ საზოგადოდ ეს კანონი მართლდება.

მაშ, ცხადია, რომ თუმცა მაღალ ტემპერატურაზე მოგროვილ ნაღებს პატარა ტანი აქვს, მაგრამ უფრო ბევრ ერბოს შეიცავს, ვიდრე ის ნაღები, რომელიც დაბალ ტემპერატურაზე გროვდება და რომელსაც შედარებით უფრო დიდი ტანი აქვს; ესევე აზრი შეიძლება გამოვხატოთ სხვა ნაირადაც:

ნაღების მოგროვება უფრო ჩქარი და უფრო სრულია მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე დაბალზე. კიდევ გავიმეორებთ, რომ მაღალ-დაბალი ტემპერატურა ნახმარია მხოლოდ 2^0—30^0 შორის.

კრეისლერის შემდეგ კიდევ ბევრმა გამოიკვლია ტემპერატურის ზედგავლენა ნაღების მოგროვებაზე და მათგან ზოგიერთის, მაგ. ნაზერის (Naser) გამოკვლევა არ ეთანხმება კრეისლერის გამოკვლევის შედეგს, მაგრამ აქ სხვა მიზეზია, რომელსაც შედეგ გავარჩევთ. კრეისლერის დასკვნა სრულიად შეურყეველი და მართალია.

ნაჩვენებ ტემპერატურის ზედგავლენა ხაჭოს თვისებაზეა დამოკიდებილი; რძეც და მისი ხაჭოც დაბალ ტემპერატურაზე უფრო წებოვანი და სქელია და ამისგამო უფრო აფერხებს ერბოს გამოცლას. მაღალ ტემპერატურაზე კი ამის წინაღმდეგი ხდება.

ტემპერატურის ზედგავლენაში ერთი სხვა გარემოებაც არის ყურადღების ღირსი, მაგ. დრო, დროს განმავლობა. როგორც წინად მოყვანილ მაგალითებიდან სჩანს, ერბო პირველ ხანში უფრო ბევრია ამოსული ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, ვიდრე შემდეგ; რამდენაც დრო მატულობს, იმდენად მცირდება ერთსა და იმავე ხანში ამოსულ ერბოს რაოდენობა. ეს გარემოება ცხადად სჩანს წინად მოყვანილ სქემიდან:

შევადაროთ რომელსამე ტემპერატურაზე, მაგ. 15^0-ზე სხვა-და-სხვა დროს განმავლობაში რძიდან ამოსულ ერბოს რაოდენობა და ვნახავთ,

რომ 8 საათ. განმავლობ. ამოსულა $43,_5\%$ ერბო და საათში $5,_{44}\%$
შემდეგ 8 — — — $11,_{25} = (55 - 43,_5)$ — $1,_{344}$ —
— 12 — — — $11,_{34} = (66,_{34} - 55)$ — $0,_{995}$ —
— 12 — — — $6,_7 = (73,_{11} - 66,_{34})$ — $0,_{56}$ —

აქედან ცხადია, რომ პირველ 12 საათის განმავლობაში რძის პირას მოგროვილა თითქმის ნახევარ ერბოს რაოდენობა და მეორე 12 საათში კი მხოლოდ ერთი მეოთხედი. ამის მი-

ზეზი ის არის, რომ პირველად და უფრო მალე რძის პირას დიდრონ ერბოს ბურთები ამოდის და მცირე, წვრილმანი ბურთები კი უფრო ძნელად და გვიან; სულ წვრილმანები კი ისევ რძეში რჩება.

3) რძის შენჯღრევის მნიშვნელობა ნაღების მოგროვებაზე. საზოგადოდ მიღებულია, რომ ერთგვარ გარემოებაში რძეს მხოლოდ მაშინ გამოეცლება ერბო კარგად და სრულად, თუ ეს რძე მოწველის უმალვე ჩასხმულია ნაღებ-მოსაგროვებელ ჭურჭელში, რომელიც ამასთან მთელ ნაღების მოგროვების ხანაში შეურხეველად და წყნარად უნდა იდგეს. ყოველგვარი შენძრევა ანუ შერხევა მოწველის შემდეგ ან გადატან-გადმოტანით, ან გაცივებით და ან სხვა ნაირად აძნელებს და აფერხებს ერბოს ბურთების რძის პირას ამოსვლას და, მაშასადამე, ამცირებს ერბოს რაოდენობას მოგროვილ ნაღებში. თუმცა გადაწყვეტით ძნელია ითქვას, რა მონაწილეობას იღებს ეს გარემოება ამ შეფერხებაში, მაგრამ საზოგადოდ შეფერხება კი ცხადია, როგორც ეს დაამტკიცა მრავალის სწავლულის გამოკვლევამ; ამ მოვლენას ფლეიშმანი ასე გვიხსნის: „თუ მოვიგონებთ, რომ ერბოს დიდრონი ბურთები ცუდ გარემოებაშიაც კი ადვილად ამოდის რძის პირას, ოლონდ რძე ცოტა ხანს შესვენებული იყოს და, პირ-იქით, წვრილმან ბურთების ამოსვლა კი კარგ გარემოებაშიაც გაძნელებულია, ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რაში უნდა მდგომარეობდეს რძის შენჯღრევით ნაღების მოგროვების შეფერხება. თუ რძე მოწველის უმალვე შესვენებულია, მაშინ ყველა ერბოს ბურთები ნელ-ნელა დაიწყებს ზედა პირისკენ ამოსვლას, თუ, რასაკვირველია, იმ ბურთების ზედა პირისკენ მსვლელობის ძალა ისე დიდია, რომ შეუძლიან დაამარცხოს ყოველი დაბრკოლება. რძის მრავალი ერბოს ბურთები ამ ამოსვლის დროს ერთი-ერთმანეთს უახლოვდება, ერთი-ერთმანეთს აწევება და ამის გამო იმისთანებსაც წამოიყოლებს და ამოიტანს, რომლებიც თავის-თავად არ ამოვიდოდა, თუ სხვებისგან, დიდრონებისგან არ ყოფილიყო წამოტანილი. რადგანაც დიდრონ ბურთების

მსვლელობა უფრო ძლიერია და უფრო ჩქარია, ამისათვის, რასაკვირველია, ესენი უფრო გაუსწრობენ პაწაწინებს. თუ რძე შეინჯღრა ამ ბურთების ამოსვლის დროს, მაშინ რამდენიმე პაწაწინა ბურთებისა დასცდებიან დიდრონების მსვლელობას, რომლებისაგანაც გამოტაცებულნი იყვნენ, მოშორდებიან და შემდეგ, რასაკვირველია, ველარ მოეწევიან". მაშ შენჯღრევით უფრო წვრილმან ერბოს ბურთების ამოსვლა არის შეფერხებული და ამისგამო მთელი ერბო არ გადავა ნაღებში. რძის შენჯღრევის ზედ-გავლენა ნაღების მოგროვებაზე გამოიკვლიეს ველკერმა (Uoelker), ბაუმჰაუერმა (Baumhauer) და სეგელკემ (Segelcke) და მათმა გამოცდილებამ ცხადად დაამტკიცა, რომ ნაღების მოგროვების წინად შენჯღრევა რძისა აფერხებს ნაღების მოგროვებას:

ველკერმა აიღო ორი ერთგვარი ჭურჭელი ერთისა და იმავე რძით და ერთში შეანჯღრია რძე და მეორეში კი არა; ორივე ჭურჭელი შეინახა 17°-ზე და ნახა, რომ 24 საათის განმავლობაში შეუნჯღრეველმა რძემ 12% ნაღები მოიკრიფა და შენჯღრეულმა კი მხოლოდ 8%. ბაუმჰაუერმა აიღო ორი ჭურჭელი რძით სავსე და ერთი ერთის წუთით შეანჯღრია; ამ ჭურჭლის შესვენების შემდეგ რძის პირას მოგროვდა ჯერ მარტო 1—2% ნაღები და შემდეგ 24 საათის განმავლობაში ამ ნაღებს მიემატა მეორე კეცი ნაღებისა, რომელსაც სულ სხვა შეხედულობა ჰქონდა; მეორე ჭურჭელი ანჯღრია 10 წუთის განმავლობაში და ეს რძე შეიდღვიბა და ერბო მოგროვდა.

სეგელკემაც მოახდინა გამოცდილება ერთსა და იმავე რძეზე, რომელიც ორ ჭურჭელში იყო ჩასხმული და ერთი მათგანი კარგად იყო შენჯღრეული. შესვენების შემდეგ აღმოჩნდა, რომ შეუნჯღრეველმა რძემ სამის საათის განმავლობაში მოიკრიფა 9% ნაღები და შენჯღრეულმა კი ამოდენივე ტანის ნაღები (9%) მოიგროვა მხოლოდ 8 საათის განმავლობაში.

აქედან ცხადია, რომ შენჯღრევა ძალიან უშლის ნაღების მოგროვებას.

4) გენტილაციის მნიშვნელობა ნაღების მოგროვებაზე. თუ ის ადგილი, სადაც რძე არის შენახული ნაღების მოსაგროვებლად, კარგად არ არის და სრულებით არ არის გამონიავებული, მაშინ შიგ მომწყვდეული ჰაერი ძალიან დანოტივდება; ეს ჰაერი იმდენად უფრო დანოტივდება, რამდენადაც რძის შესანახი ადგილი პატარა არის და შესამუშავებელი რძე კი ბევრი. ნოტიო და შეგუბებული (შემწყვდეული) ჰაერი ძალიან ხელს უწყობს სხვა-და-სხვა წვრილმან ორგანიზმების აღორძინებას და გამრავლებას და ამათის მოწყალებით რძე მალე მჟავდება, იჭრება და ნაღები აღარ გროვდება. პირიქით, თუ ამ ადგილში ჰაერი მშრალია, ხშირად გამონიავებული, მაშინ რძის დამამჟავებელი ორგანიზმები ამ გარემოებაში ველარ იხეირებენ და ამისგამო ველარც რძეს ავნებენ. აქედან ცხადია, რომ თუმცა ჰაერის სიმშრალეს ანუ სინოტივეს პირდაპირი ზედგავლენა არა აქვს ნაღების მოგროვებაზე, მაგრამ მაინც საჭიროა დიდი ყურადღება, რადგანაც შეგუბებულ ჰაერს შეუძლიან რძის დამჟავება აიჩქაროს და ისე შესცვალოს, რომ ერბოს სფერები ველარ ამოვიდეს რძის პირას, მაშასადამე, ასე თუ ისე ავნოს ნაღების მოგროვებას. აქედან ცხადია სარძევე ადგილის ხშირ-ხშირი გამონიავების საჭიროება.

5) სიწმინდისა და სისუფთავის ზედგავლენა ნაღების მოგროვებაზე. სიწმინდესა და სისუფთავეზე ბევრი ვილაპარაკეთ მეორე წერილში და იქვე ვუჩვენეთ მათი მნიშვნელობაც. სიწმინდესა და სისუფთავეში რძე დიდ ხანს ინახება, მაშასადამე, დრო ექნება ნაღების მოგროვებისა; ჭუჭყი და უსუფთაობა კი აიჩქარებს რძის გადაგვარებას და, მაშასადამე, ასე თუ ისე, დაუშლის ნაღების მოგროვებას.

6) ნაღებ-მოსახდელ ჭურჭელში რძის სიმაღლის მნიშვნელობა ნაღების მოგროვების საქმეში. ამ გარემოების გავლენის შესაგნებად მოვიგონოთ, რაშიც მდგომარეობს ნაღების მოგროვება და წარმოვიდგინოთ, რომ ჭურჭელში ჩასხმულ რძეს რამე სიმაღლე უჭირავს და ამასთან ისიც, რომ ამ რძეში ერბოს სხვა-და-სხვა ტანის ბურთები ერთგვარად არის გაფანტუ-

ლი; ამასთან თუ ეხლა ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ეს რძე რამდენსამე კეცად არის გაყოფილი, მაშინ ყოველ ერთის ტანის რძის კეცში (couche) იქნება ერთგვარი რაოდენობა სხვა-და-სხვა ტანის ერბოს ბუშტებისა, ასე რომ რამდენი დიდრონი ბუშტებიც ერთ რომელსამე რძის კეცშია, იმდენივე ამავე ტანის მეორე და ან მესამე კეცში იქნება; აგრედვე წვრილი ბუშტებიც. თუ ნაღების მოგროვება იწყება ამ გარემოებაში, ამ ერთგვარად შეზავებულ რძეში, მაშინ ყოველი ერბოს ბურთი, რომლის ამოსასვლელი ძალაც უფრო ძრიელია, ყოველ კეციდან დაიწყებს ზედაპირისკენ ამოსვლას და ამოსვლის ძალა და სიჩქარე დამოკიდებული იქნება თვითონ ამ ერბოს ბურთების ტანზე. დასაწყისშივე ყოველი კეცი (პირველსა და უკანასკნელს გარდა) იმდენ ერბოს ბურთებს გადასცემს მეორე მას ზევით მყოფ კეცს, რამდენსაც თვითონ მიიღებს ქვემოთის კეციდან, ასე რომ ამ კეცებში ერბოს რაოდენობა ჯერჯერობით შეუცვლელი დარჩება (შეცვლა მხოლოდ პირველსა და უკანასკელს დაეტყობა,—ძირის კეცი მოიკლებს ერბოს და ზედა პირისა კი მოიმატებს), არ შეიშლება. მაგრამ, რაკი ძირის კეცზე ზემოდ მდებარე კეცი, ესე იგი მეორე კეცი (ძირიდან) გამდიდრდება ძირის კეციდან ამოსულ ერბოს ბურთებით, მაშინ, რასაკვირველია, ეს მეორე კეცი ერთსა და იმავე დროს განმავლობაში მესამე კეცს უფრო ბევრს ერბოს გადასცემს, ვიდრე თვითონ მიიღებს (რადგანაც ძირის კეცში უკვე შემცირებულია ერბოს რაოდენობა) და ამისგამო ესეც გაღარიბდება, მესამე კეცზე უფრო ცოტა ერბო დარჩება. ამავე საფუძვლით მესამეშიაც ცოტა იქნება მეოთხეზე, მეოთხეში—მეხუთეზე და ამგვარად უკანასკნელამდინ, ესე იგი პირის კეცამდინ, რომელიც ყველაზე ბევრ ერბოს უნდა შეიცავდეს, რადგანაც ეს აღარავის უგზავნის ერბოს ბურთებს. ამგვარად, ხარისხეულად ნამატი ერბო სულ ამოდის ზედა კეცში, პირის კეცში და აქ გროვდება. აქ ერბოს ბურთები თანდითან უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს, კეცი სქელდება, ტანს მატულობს და ბოლოს სრულიად გამოეცლება რძეს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ერთი და იგივე რძე ჩავასხით ორ ჭურჭელში, რომელთა შორისაც ერთი უფრო ვიწროა, ვიდრე მეორე და უდრის ამ მეორის სიგანის ნახევარს. თუ ამ ორივე ჭურჭელში ერთგვარ საწყაო რძეს ჩავასხამთ, მაშინ ვიწრო ჭურჭელში რძე უფრო მაღალის ტანისა იქნება და ეს სიმაღლე ორჯერ გადამეტებული იქნება განიერ ჭურჭელში მყოფ რძის სიმაღლეზე, ასე რომ, თუ განიერ ჭურჭელში რძის სიმაღლე უდრის 15 სანტიმეტრს, მაშინ მეორეში, ესე იგი ვიწროში რძის სიმაღლე იქნება 30 სანტიმეტრი. თუ ამ ორივე ჭურჭელს, შიგ ჩასხმულ რძით, ერთგვარ გარემოებაში შევინახავთ და ერთსა და იმავე ტემპერატურაზე, მაშინ ორივე ჭურჭელში ნაღების მოგროვება ანუ ერბოს ბურთების რძის პირას ამოსვლა ერთგვარად უნდა მოხდეს, ისე, როგორც ჩვენ წარმოვიდგინეთ ამის წინად. მაგრამ, რადგანაც ერთ ჭურჭელში რძის ტანი ორჯელ მაღალია, ვიდრე მეორეში, ამისათვის ერბოს ბურთებმა მაღალ ტანის რძეში ორკეცი გზა უნდა გაიაროს. რადგანაც დიდის გზის გავლას დიდი დრო მოუნდება, ამისათვის ცხადია, რომ რა ტანის ნაღებიც რომელსამე დროში დაბალის ტანის რძიდან მოგროვდება, მაღალის ტანის რძეში ამავე ტანის ნაღები ორკეც დროს მოინდომებს. მაგ. თუ დაბალი ტანის რძემ ორ საათში 3 კ. ს. ნაღების კეცი მოიგდო, ამავე სამ სანტიმეტრ ნაღების მოგროვებას მაღალის ტანის რძიდან დასჭირდება ოთხი საათი.

გამოცდილებაც და პრაქტიკაც ცხადად გვიმტკიცებს ამ გარემოების ზედგავლენას ნაღების მოგროვებაზე; სხვა-და-სხვა სწავლულების გამოკვლევა ცხადად გვიჩვენებს, რომ ნაღების მოგროვება იმდენად უფრო დაგვიანებულია, რამდენადაც რძეს ნაღებ-მოსაკრეფ ჭურჭელში დიდი სიმაღლე აქვს და, პირიქით, რამდენადაც შემცირებულია რძის სიმაღლე, იმდენად ნაღები მალე გროვდება. მაშასადამე, ერთსა და იმავე გარემოებათა შორის დაბალ ჭურჭელში შენახული რძე უფრო მალე მოიგდებს ნაღებს, ვიდრე ღრმა ჭურჭელში და ეს დამოკიდებული იქნება, რასაკვირველია, რძის ტანის სიმაღლეზე.

აი ამის დასამტკიცებლად ნიბერგის მიერ (Nyberg) მოხდენილი გამოცდილება და მისი შედეგი: ამ სწავლულმა ახლად მოწველილი რძე, რომელსაც $3,_{33}\%$ ერბო ჰქონდა, შეინახა ნაღების მოსაგდებლად ორ ტემპერატურაზე ($10-22^{\circ}$) და ისე, რომ ყოველ ტემპერატურაზე რძე ორ ჭურჭელში იყო ჩასხმული; ერთში რძეს $23,_{6}$ სანტიმეტრი სიმაღლე ჰქონდა და მეორეში $4,_{7}$ სანტიმეტრი და 24 საათის შემდეგ ყოველ ჭურჭელში და ყოველ ტემპერატურაზე შეამოწმა მოგროვილ ნაღების ტანი და ამ ნაღებში ერბოს რაოდენობა. აი სქემა ამ გამოკვლევისა.

რძის ტემპერატურა.	რძის სიმაღლე სანტ.	ნაღების ტანი.	რძიდან ნაღებში გადასული ერბოს რაოდენობა.
22°	$26,_{6}$	$11,_{5}$	85 %
—	$4,_{7}$	$10,_{6}$	92 —
10°	$23,_{6}$	$18,_{7}$	92 —
—	$4,_{7}$	$12,_{8}$	94 —

აგრეთივე გამოკვლევა მოახდინა კრეისლერმაც, რომელმაც მოწველილი რძე 5—6 საათის შემდეგ ჩაასხა სხვა-და-სხვა ფორმის ჭურჭელში და სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე შეინახა. მისგან გამოკვლეულ რძეს ჰქონდა $2,_{951}\%$ ერბო. რძე განაწილებული იყო რამდენსამე ნაწილად და ჩასხმული ორგვარ ჭურჭელში; ერთ რიგისაში რძეს ეჭირა $18,_{6}$ სანტიმეტრი სიმაღლე და მეორესაში $3,_{5}$ სანტიმეტრი; 28 საათის შემდეგ გასინჯა ნაღების ტანი და ამ ნაღებში გადასულ ერბოს რაოდენობა.

აი სქემა:

შენახულის რძის ტემპერატურა.	ნაღების რაოდენობა.		რძიდან ამოსულ ერბოს რაოდენობა.	
	18,6 სანტ.	3,5 ს/მ.	18,6 ს/მ.	3,5 ს/მ.
2°	10,31	9,81	48	69,8
4°	10,55	10,39	50,4	74,6
6°	10,03	9,86	50,9	81,5
8°	10,15	8,99	53,3	86,5
10°	9,92	8,38	57,2	82,7
15°	9,37	—	66,4	—

ეს სქემა ცხადად გვიჩვენებს, რომ რამდენადაც ნაღებ-მოსახდელ რძეს დაბალი ტანი აქვს, იმდენად ამ რძეზე მოგდებულ ნაღებში ბევრი ერბო არის; რამდენადაც ერბოს ბურთებს მოკლე გზა აქვთ გასავლელი პირზე ამოსასვლელად, იმდენად მალე ამოვლენ და ნაღებად მოგროვდებიან. სხვა-და-სხვა სიმაღლის რძეზე ტემპერატურაც სხვა-და-სხვა ნაირად ჰმოქმედობს; თუმცა ორსავე შემთხვევაში აჩქარებულია ერბოს ბურთების ამოსვლა, მაგრამ ეს აჩქარება უფრო შესამჩნევია მაშინ, როცა რძეს მაღალი ტანი არა აქვს, ასე რომ ნაღები იმდენად უფრო სუქანი იქნება, რამდენადაც რძის ტანი დაბალია და ტემპერატურა კი მაღალი; ამის შესაგნებად აქ მოვიყვან ნაღების რაოდენობის შედარებას სხვა-და-სხვა ტემპერატურაზე და სხვა-და-სხვა ტანის რძიდან იმ რაოდენობასთან, რომელიც ამავე გარემოებაში მყოფმა რძემ 2°-ზე მოიკდო.

მაღალი ტანის რძე:		დაბალი ტანის რძე:
4°-ზე იმატა	5,0 %	6,9 %
6° — —	4,8 —	16,8 —
8° — —	12,3 —	23,5 — და სხვანი.

7) ნაღების მოგროვების ხანის ზედ-გავლენა. ჩვენ ვნახეთ, რომ ნაღების მოგროვება სხვა-და-სხვა გარემოებისაგან ბევრად

იცვლება; ისიც ვნახეთ, რომ ამ ერბოს ბურთების რძის პირას ამოსვლა არას დროს არ არის შეწყვეტილი, მაშინაც კი, როცა მოგროვილ ნაღების ტანი კლებულობს, მცირდება. მაშასადამე, რამდენადაც დიდის ხნით არის შენახული რძე ნაღების მოსაგროვებლად, იმდენად ბევრი ერბო გადავა ამ ნაღებში. სამწუხაროდ, რაც უნდა შესაფერ და ხელ მომწყობელ გარემოებაში იყოს რძე შენახული, მაინც მთლად არ ამოვა ამ რძიდან ერბოს ბურთები; აქამდინ ჯერ ვერავინ შესძლო მთლად ერბოს ამოცლა, რაც უნდა დიდი ხნით იყოს გაგრძელებული ნაღების მოგროვება. სწავლულების ფიქრით, რძეში ალბად იმისთანა წვრილმანი ტანის ერბოს ბურთებიც უნდა იყოს, რომელიც მუდმივ და ადგილის შეუცვლელად ტივტივებს რძეში და ვერ ამოდის იმის პირად; სხვა კი ამათზე დიდი ტანის ბურთები ამოდის რძის პირას თავის ტანის დაგვარ სიჩქარით: დიდრონები ჩქარა და წვრილები კი ნელ-ნელა. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ თავისთავად რძის პირას ერბოს მოგროვებას აქვს თავისი მიჯნები სხვა-და სხვა გარემოების დაგვარად და მათის ამოსვლის სისრულე არ გადასცილდება 88%, თუმცა კი უფრო ხშირად შეადგენს 83%. რადგანაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნაღების მოგროვების დროს პირველ ხანებში უფრო ბევრი ერბო ამოდის, ვიდრე შემდეგში, ასე რომ რამდენისამე დღის შემდეგ ძლივსღა ეტყობა ეს ამოსვლა, ამისათვის ხშირად სასარგებლოც არ არის დიდის ხნით დაცდა, რადგანაც ერბო ცოტა ემატება და დამჟავებაც მოსალოდნელია. საზოგადოდ ნაღების მოგროვების ხანი 24 და ხან 48 საათია, რომელთა გადაცილებაც დიდ სარგებლობას არ მოგვცემს.

8) **ჰაერის ზედაწოლის გავლენა ნაღების მოგროვებაზე.** ზოგიერთმა სწავლულმა და მემამულემ მოინდომეს გაგება იმისი, თუ რა გავლენა ექნება ჰაერის ზედაწოლის შემცირებას ანუ მომატებას ნაღების მოგროვებაზე,—ეგონათ, რომ ზედაწოლის შემცირებამ ხელი უნდა მოუმართოს ერბოს ბურთების ამოსვლას რძიდან და, მაშასადამე, ააჩქაროს და შეამოკლოს ნაღების მოგროვების ხანი. დალმა მოახდინა რამდენიმე გამო-

კვლევა ამ საგნის შესასწავლად სხვა-და-სხვა ზედაწოლის ქვეშ და აი გამოკვლევამ რა უჩვენა.

დრო საათობით.	ნალების რაოდენობა.			ტემპერატურა გამოცდილების დროს.
	ჩვეულებრივი ზედაწოლის ქვეშ.	2 ატმოსფერის ზედაწოლის ქვეშ.	დაფუკულ ჰაერში.	
24	6,1	6,0	8,0	14—18°
23	8,3	7,6	11,4	0°—6°
23	8,5	8,3	9,1	3—6°

ამ გამოცდილების დროს რძე ჩასხმული იყო ჭიქის სტაქნებში სიგანით 4,9 სანტიმეტრი და სიმაღლით 33; რძე სხვა-და-სხვა ძროხისა იყო და გამოცდილების შედეგი კი სამივე რძეში ერთგვარია. ამ გარემოებიდან ცხადად სჩანს, რომ რამდენადაც შემცირებულია ჰაერის ზედაწოლა, იმდენად მოგროვილ ნალებს დიდი ტანი აქვს.

ამგვარივე გამოკვლევა გამეორებული იყო შემდეგ წელიწადშიაც ერთგვარ რძეზე და იმავე გარემოებაში და აქაც ისივე გამოჩნდა:

ცხიმის რაოდენობა რძეში.	ნალების მოგროვების ხანი საათობით.	ტემპერატურა.	დაფუკულ ჰაერში.		ჩვეულებრივ ჰაერში.		რამდენად იმატა დაფუკულ.	
			ნალების ტანი %.	ცხიმის რაოდენობა %.	ნალების ტანი %.	ცხიმის რაოდენობა.	ნალებმა.	
3,64	24	1—6°	17,50	1,28	13,5	1,08	4,0	0,20
3,64	24	14—17°	—	—	—	—	—	—
3,20	47	2—9°	13,125	0,97	12,5	0,79	0,625	0,18
3,20	47	10—16°,5	10,0	1,74	8,0	1,62	2,0	0,12
3,20	47	10—18°	8,0	1,51	—	—	—	—
3,35	22	12—17°	15,0	1,21	13,5	1,15	1,5	0,06
3,36	23	3—7°	15,0	1,44	13,0	1,36	2,0	0,08

ყველა ეს გამოცდილება ცხადად გვიჩვენებს, რომ დაფუკულ ჰაერში მოგროვილ ნაღებს უფრო დიდი ტანი აქვს, მაგრამ ამასთან ისიც გამოჩნდა, რომ ეს ნაღები ისე სუქანი არ არის, როგორც ჩვეულებრივ ზედაწოლის ქვეშ მოგროვილი ნაღები, ასე რომ დაფუკულ ჰაერში ნაღების მოგროვების დროს ნაღებ-მოხდილ რძეში უფრო ბევი ერბოა რჩება. მაშასადამე, ჰაერის ზედაწოლის შემცირებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პირ-იქით, თითქმის მავნებელიც არის, რადგანაც შემჩნეულია, რომ რამდენადაც ჰაერის ზედაწოლა მცირეა, იმდენად მალე მჟავდება რძე და, მაშასადამე, აფერხებს ნაღების მოგდებას.

9) რძის ადუღების გავლენა ნაღების მოგროვებაზე. ზოგიერთ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩვენში, ინგლისში (დევონშირი), საბერძნეთში და სხვაგან გავრცელებულია ის წესი, რომ ნაღებს ჰხდიან ადუღებულ რძეს. ძველ დროში სწავლულებიც კი ურჩევდნენ რძის ადუღებას ნაღების მოსაგროვებლად იმ საფუძვლით, რომ, რადგანაც ადუღებული რძე უფრო დიდ ხანს შეინახება უვნებლად, ამისთვის ერბოს მოგროვებაც მთლად შესაძლებელი იქნებაო. ეს რჩევა სასარგებლო არ აღმოჩნდა; ზოგიერთ სწავლულის გამოკვლევამ, განსაკუთრებით ალექ. მიულერისა და ფლეიშმანისამ დაგვიმტკიცა, რომ დუღილით რძე უფრო წებოვანი, უფრო თითქო ლორწოიანი ჰხდება, მისი ხაჭო იცვლება, სქელდება და ამით აძნელებს ერბოს ბურთების ზედაპირას ამოსვლას. ჩვენ ვიცით, რომ ადუღების დროს რძეს ერთგვარი სუნი ასდის და ამასთან დუღილი რაღაც სულ სხვა გემოს აძლევს, რომელიც დიდად განირჩევა უმის რძის გემოსგან. ამას გარდა, ესეც ცხადია, რომ დუღილით ერთი ნაწილი ხაჭოსი, ეგრედ-წოდებული ალბუმინი სქელდება, იჭრება და ილექება; ეს გარემოება, რასაკვირველია, ყველას უნდა შეემჩნია; ვისაც ადუღებული რძე უნახავს, შეამჩნევდა, რომ ქვაბის ძირს და გვერდებს გასქელებული და აჭრილი ხაჭო აქვს მიკრული. ამგვარად აჭრილი და გასქელებული ალბუმინი შიგ გაიხვევს ერბოს ბურთებს და ერთად დაილექება; დალექაც რომ

არ იყოს, გასქელებული ალბუმინი ერთ მეათედად დაამძიმებს ერბოს წვეთებს და ამით გაიძლიერებს და შეამცირებს ამ ბურთების ზედაპირისკენ მსვლელობას. ამგვარად, ნაღების მოგროვება შეფერხებული იქნება მაშინაც კი, რომ რძეს, ამის მეტი ცვლილება არ მოუვიდეს. როგორც გამოცდილება, ისე ზოგიერთი გამოკვლევაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ნადული რძე უფრო გვიან და უფრო სუსტად იგროვებს ნაღებს, ვიდრე აუდუღარი.

როგორც ვნახეთ, მრავალ გარემოებასა აქვს გავლენა ნაღების მოგროვებაზე, ამ ნაღების შედგენილებასა და თვისებაზე. აქედან შეგვიძლიან შემდეგი საზოგადო კანონი დავასკვნათ ნაღების მოგროვების შესახებ:

1) ახლად მოწველილი რძე ერთგვარ გარემოებაში უფრო კარგად იგდებს ნაღებს, ვიდრე დიდი ხნის მოწველილი.

2) ახლად მოწველილი რძე თუ გადატანილ-გადმოტანილია, ანუ შენჯღრეულია და ან თუ ცოტაოდენის შესვენების შემდეგ არეულია, ნაღებს უფრო ცუდად მოიგდებს, ვიდრე ის რძე, რომელიც წყნარად იყო შენახული მოწველის შემდეგ.

3) რამდენადაც დიდ ხანს იქნება რძე უვნებლად შენახული (დაუმჟავებლად), რამდენადაც სუფთად არის შენახული და სარძევეც გამონიავებულია, იმდენად ნაღებში ბევრი ერბო გადავა.

4) რამდენადაც შენახულ რძის ტემპერატურა დაბალია, რძე იმდენად დიდ ხანს შეინახება.

5) რამდენადაც შენახულ რძეს დაბალი ტანი აქვს, იმდენად ბევრი ნაღები მოგროვდება.

6) ნაღებში ერბო იმდენად უფრო მატულობს, რამდენადაც დიდ ხანს იქნება შენახული.

7) მცირედი შენჯღრევა ნაღების მოგროვების დროს შეაფერხებს ნაღების მოგროვებას.

8) რამდენადაც დაბალია ტემპერატურა ნაღების მოგროვების დროს, იმდენად დიდია ნაღების ტანი და ამ ნაღებში

წყალის რაოდენობაც და ამისგამო იმდენად ცოტა ერბო ექნება. პირ-იქით, იგივე რძე იმდენად პატარა ტანის ნაღებს და იმდენად სუქანს მოიგდებს, რამდენადაც ტემპერატურა მაღალი იქნება ამ ნაღების მოგროვების დროს.

გ. ჰეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) თეგდორე-მღვდელი.—ისტორიული ამბავი თორმ.ანთ კობასი. სახალხო წიგნი № 5. ტფილისი 1895. ფასი 5 კაპ.

2) სამი არაკი.—№ 37. მეორე გამოცემა გ. თავართქილაძისა. ახალ-სენაკი 1895 წ. ფასი 3 კაპ.

3) **По Сигнахскому уѣзду.** Случайные наброски агронома. **А. С. Пиралова.** Тифлисъ 1895 г.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი